PRIME Time

N27 (225), ორშაბათი 8 ივლისი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.g



## რა საუბარი შედგა ბიძინა ივანიშვილსა და არჩილ კბილაშვილს შორის

EXCLUSIVE

## ვინ დაიკავებს მთავარი პროკურორის პოსტს

EXCLUSIVE

## დაუბრუნდება თუ არა საბრალდებო სკამს ლადო ბედუკაძე



# 12 წლის ბიჭზე ძალადობის სკანდალური კადრები სააკაშვილის ვაჟის სკოლაშია გადაღებული

EXCLUSIVE

## სკანდალური სასამართლო პროცესი

EXCLUSIVE




# რატომ გაუშვეს გაუპატიურებაში ეჭვმიტანილები, რას უამბობს „პრაიმტაიმს“ გაუპატიურებული

## დავით უსუფაშვილი ნოემბერში თანამდებობას დატოვებს



EXCLUSIVE

## ზურაბ ვაზაგაშვილის ძმა ნარკოტიკებზე დააკავეს?



იური ვაზაგაშვილი: „ნამდვილად მოხდა დაკავება, თუმცა ნარკოტიკების რა მოგახსენოთ...“

## რა პრემიებს იღებდნენ პოლიციაში კრიმინალური ავტორიტეტების ლიკვიდაციისთვის

EXCLUSIVE

## კანონიერი ქურდების ადვოკატის სკანდალური ისტორიები



ლედი ტუკვაძე: „აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ახალი ხელმძღვანელობა სპეცოპერაციების თემით, რომლისთვისაც კოლოსალურ თანხებს იხდიდნენ მერაბიშვილის უწყებაში“

## სუს-ის მიერ ამოღებული ჰეროინი 40 მილიონ დოლარს აჭარბებს

EXCLUSIVE




## ვინ „კრიშავდა“ ნარკობიზნესს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# უპრეცედენტო ნარკოტრაფიკის საქმე






## ვინ „კრიშავდა“ საქართველოში ნარკობიზნესს?



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**გასულ კვირას შინაგან საქმეთა სამინისტრომ უპრეცედენტო ნარკოტრაფიკის საქმე გახსნა... თავისი მასშტაბით ამ საქმეს ანალოგი არ აქვს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონში. საუბარია 116 კილოგრამ ჰეროინზე, რომელმაც სატვირთო ავტომობილით საქართველოს საზღვარი 3 ივლისს გადმოკვეთა. ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, რომელიც სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით ჩატარდა, სამართალდამცველებმა ძარაზე დამონტაჟებულ სპეციალურ სამალავებში 500-გრამიან შეკვრებად დაფასოებული 232 ერთეული ჰეროინი აღმოაჩინეს.**

**რა გზას გადიოდა საქართველოში შემოსული ნარკოტიკები? ვინ მფარველობდა ქვეყანაში დანაშაულებრივ სინდიკატს? რა წერია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სკანდალურ დასკვნაში და უკავშირდება თუ არა ავღანური ჰეროინის ტრანზიტს ირანთან უვიზო რეჟიმის გაუქმება?**

**„პრაიმტაიმი“ შეეცადა ამ კითხვებზე პასუხების მოძიებას, თუმცა მანამდე გაგაცნობთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებას უპრეცედენტო ნარკოტრაფიკის საქმესთან დაკავშირებით.**

**ნინო გიორგობიანი, შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:** „შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ახალციხის ტერიტორიაზე დააკავეს თურქეთისა და მოლდოვის რესპუბლიკების ორი მოქალაქე. დაკავებისას თურქეთის მოქალაქე „მერსედესის“ მარკის სატვირთო ავტომანქანას მოლდოვის რესპუბლიკის სახელმწიფო სანომრე ნიშნით მართავდა. მას თან ახლდა მოლდოვის მოქალაქე. გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა მიმდინარე წლის 3 ივლისს გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ნინოწმინდის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით. თურქეთის მოქალაქემ საქართველოში საერთაშორისო გადაზიდვისთვის უკანონოდ შემოიტანა 116 კგ ჰეროინი, რომლის ღირებულებაც რამდენიმე ათეული მილიონი დოლარია“.

ცხადია, დაკავებული ორი პირი დანაშაულებრივი ჯაჭვის მცირე რგოლია და ამ ქსელის სათავეები გაცილებით შორს მიდის. შსს-ში განმარტავენ, რომ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით. ვისზე გავა საბოლოოდ გამოძიება, ამას, ალბათ, უახლოეს მომავალში გავიგებთ, მანამდე კი მოდით, ვნახოთ, რა ღირს საქართველოს შავ ბაზარზე 1 გრამი ჰეროინი.




ქართული ნარკოკარტელის შემოსავლები საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. გაეროს მონაცემებით, საქართველოში 1 გრამი სუფთა ჰეროინის „ქუჩის“ ფასი 350 აშშ დოლარია. გამოდის, რომ, საშუალოდ, შსს-ს მიერ მხოლოდ გასულ კვირას ამოღებული ნარკოტიკები 40 მილიონ დოლარს აჭარბებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ წლების განმავლობაში საქართველოში ტონობით ჰეროინი მოძრაობდა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რამდენად კოლოსალური შემოსავლები მიედინებოდა ნარკომაფიის ჯიბეში. გაეროს 2009 წლის მონაცემებით, საქართველოს სასაზღვრო პორტებიდან 7 ტონა ჰეროინი გაედინება ევროპაში, 2 ტონა კი საქართველოში რჩება, რომელიც ადგილობრივ ნარკომოვაჭრეებზე ნაწილდება. ამ ფონზე გულუბრყვილოდ გამოიყურება შსს-ს იმდროინდელი მონაცემები, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ჰეროინის ამოღების დონეს ასახავს: 2008 წელს ამოღებული და განადგურებულია მხოლოდ 8,3 კილოგრამი ჰეროინი, 2007 წელს კი – 6,8 კილოგრამი.

შესაძლებელია თუ არა ხელისუფლების უშუალო მონაწილეობის გარეშე ასეთი რაოდენობის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა პატარა ქვეყნის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით ისეთი მძიმე ნარკოტიკის, როგორიცაა ჰეროინი? საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი „მწვანეთა პარტიიდან“, გია გაჩეჩილაძე დარწმუნებულია, რომ ნარკომაფია მჭიდროდ იყო დაკავშირებული წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გაჩეჩილაძე იმედს გამოთქვამს, რომ გამოძიება სრულფასოვნად წარიმართება და კვალი აუცილებლად მივა სააკაშვილის მთავრობასთან.

**გია გაჩეჩილაძე, „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი:** „შსს-ს მიერ ამ მასშტაბის ოპერაცია, ფაქტობრივად, ნიშნავს იმას, რომ წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი ნარკოკარტელი დაინგრა საქართველოში. ბუნებრივია, უზარმაზარი ნარკოტიკების ბრუნვა მაშინდელი ხელისუფლების უშუალო მფარველობისა და მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. თქვენ, ალბათ, საქმის კურსში ხართ გაეროს მონაცემების, თუ რამდენად კატასტროფული იყო ამ კუთხით მდგომარეობა. გარდა ამისა, არსებობს აშშ-ს ადმინისტრაციის ანგარიშები, სადაც საქართველო ნარკოტიკების ერთ-ერთ მთავარ სატრანზიტო







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „მაგთიკომის“ ხელშეწყობით წიგნი „საქართველო და ქართველები“ გამოიცა

**„მაგთიკომის“ ინიციატივითა და მხარდაჭერით გამოიცა წიგნი „საქართველო და ქართველები“. წიგნს საქართველოს ისტორიაზე სამი ავტორი ჰყავს, ესენი არიან - ზაზა აბაშიძე, მიხეილ ბახტაძე და ოთარ ჯანელიძე. წიგნის წარდგენა „მაგთი კლუბში“ 2 ივლისს შედგა. წიგნი ათასიანი ტირაჟით გამოიცა, ამ ეტაპისთვის სასაჩუქრედ.**

**ნინო სურგულაძე, „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი:** „მაგთიკომი“ წლებია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართულ მწერლობას, როგორც ძველს, ისე - თანამედროვეს. ჩვენი კომპანიის მხარდაჭერითა და ინიციატივით უკვე ათეულობით წიგნი გამოიცა. მათ შორის არის წიგნი „საქართველო და ქართველები“. ეს არის პოპულარულ ენაზე დაწერილი საქართველოს ისტორია, რომელიც უძველესი პერიოდიდან მეოცე საუკუნის მიჯნამდე პერიოდს მოიცავს. ამდენად მნიშვნელოვანია „მაგთიკომის“ ეს ინიციატივა. ვულოცავ წიგნის ავტორებს. „მაგთიკომი“ მომავალშიც არ დაარღვევს ტრადიციას და კიდევ არა ერთჯერ გამოსცემს საინტერესო წიგნს.

წიგნი წელიწად-ნახევარი მუშავდებოდა. სამივე ავტორს სხვადასხვა ეპოქა აქვს განაწილებული. ფარნავაზ მეფის და ქართლის სამეფოს წარმოშობის პერიოდიდან მოყოლებული მეთერთმეტე საუკუნემდე მიხეილ ბახტაძე წერს. ზაზა აბაშიძის ნაწილი შუა საუკუნეების ეპოქას მოიცავს, მეთერთმეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, ხოლო მეცხრამეტე საუკუნიდან მეოცე საუკუნის 90-იან წლების ისტორიაზე ოთარ ჯანელიძემ იმუშავა.

**ზაზა აბაშიძე:** - ეს ბატონ გია ჯოხთაბერიძის იდეა გახლავთ, რომ ჩემი ტელეგადაცემები წიგნში გადასულიყო. მას უნდოდა, რომ ეს ყოფილიყო წიგნი არა უმეტეს 400 გვერდისა, რაც არ გამოვიდა. წიგნი 760 გვერდიანია. მინდა შევკვეცო და 400 გვერდიანი გახდეს.

**- როგორ მკითხველზეა ეს წიგნი გათვლილი?**

- წიგნს 13 წლის მოზარდიც წაიკითხავს და 84 წელს მიტანებულიც. ვეცადეთ ისტორია პოპულარული ენით გადმოგვეცა და ყველა თაობისთვის მისაწვდომი ყოფილიყო. წიგნი სასაჩუქრეა, მაგრამ ჩვენ ძალიან გვინდა, რომ წიგნი მაღაზიაში შევიდეს, თუნდაც სიმბოლურ ფასად. თუ წიგნი ხალხმა ვერ იყიდა, ის წიგნი მკვდარია.

**ოთარ ჯანელიძე**: -„საქართველო და ქართველები“ სამეცნიერო კვლევებისგან განსხვავებული წიგნია. გარდა იმისა, რომ პოპულარული ენით არის დაწერილი, ეპოქის ფონზე პიროვნებების პორტრეტები წამოვწიეთ. მეფის რუსეთის პერიოდი და საბჭოთა სინამდვილე ყველაზე მეტად გაყალბდა. დიდი მუშაობა დაგვჭირდა, რომ ეს პერიოდი გაგვემართა. თუ ძველი ისტორიის წიგნებში ჰეროიკა ჭარბობდა, ჩვენს წიგნში რეალური სურათები დავხატეთ - ვეცადეთ ცუდიც დაგვენახვებინა მკითხველისთვის და კარგიც.

წიგნის პრეზენტაციას „მაგთი კლუბში“ ისტორიკოსები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები დაესწრნენ. ავტორებმა სტუმრებს ახალი წიგნი საჩუქრად გადასცეს.












# გია გაჩეჩილაძე: „წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი ნარკოკარტელი დაინგრა“

ქვეყნად არის მოხსენიებული. ტონობით ჰეროინის ტრანზიტი საქართველოში 2005-06 წლებში დაიწყო. მაშინ დაახლოებით 7 ტონა სუფთა ჰეროინი ბორნების საშუალებით გადიოდა ფოთის პორტიდან და შედიოდა ბულგარეთსა და უკრაინაში. გარდა ამისა, შეერთებული შტატების ადმინისტრაცია საკუთარ ანგარიშებში პირდაპირ წერდა, რომ საქართველო იქცა ავღანური ჰეროინის ერთ-ერთ ძირითად სატრანზიტო ქვეყნად. იმ პერიოდში საქართველოში ნარკომანთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და 250 ათასს მიაღწია. ეს არის ქვეყნის ტრაგედია. ეს იყო უდიდესი ნარკოქსელი, რომელსაც რატომღაც ვერც მერაბიშვილი ხედავდა და ვერც საკაშვილი. საქართველოში მოქმედებდა სპეციალური ლაბორატორიები, სადაც შემოსულ ნარკოტიკებს აფასოებდნენ და შემდეგ გადადიოდა მოვაჭრეების ხელში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნამდვილად დიდი საქმე გააკეთა. ყოველ შემთხვევაში მე არ მახსენდება ამ მასშტაბის ნარკოტრაფიკის გახსნის პრეცედენტი მთელ რეგიონში. თუმცა აქვე მივმართავ შსს-ს, ბოლომდე მიჰყვნენ ამ საქმეს და გამოააშკარაონ ნარკოკარტერის მამები, რომლებიც საკუთარი გამდიდრების ხარჯზე წამლავდნენ ჩვენს ახალგაზრდებს“.

საქართველოს ნარკოსატრანზიტო ქვეყნად მართლაც განიხილავს ჩვენი პარტნიორი ქვეყანა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის დასკვნაში პირდაპირ ვკითხულობთ, რომ საქართველო ნარკოტიკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრანზიტორია.

„ნარკოტიკების ტრანზიტის მხრივ, სომხეთი მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს, რადგან ქვეყანა იზოლაციაში იმყოფება, თუმცა, ამ მხრივ აზერბაიჯანი და საქართველო მნიშვნელოვანი ტრანზიტორები არიან“, – წერს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი „ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო სტრატეგიაში“. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ირანიდან სომხეთში ნარკოტიკების შეტანის მცდელობა დიდია, თუმცა „ამ მხრივ მეზობელი ქვეყნები, აზერბაიჯანი და საქართველო, უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგანან. ნარკოტიკების გავრცელების ძირითად მარშრუტი ავღანეთიდან ირანში, ირანიდან აზერბაიჯანში და შემდეგ საქართველოზე გადის, საიდანაც რუსეთსა და ევროპაში ვრცელდება. საქართველოში ასევე მიწისქვეშა ნარკოტიკული ნივთიერებების მწარმოებელი ლაბორატორიებია“, – ნათქვამია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

ექსპერტი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებში, ჯემალ ჯანაშია დარწმუნებულია, რომ გამოძიება 116 კილოგრამი ნარკოტიკის აღმოჩენის ფაქტზე მხოლოდ ორი პირის დაკავებით არ შემოიფარგლება და ძიება მალე ნარკოკარტელის სხვა ფიგურანტებზე, მათ შორის მფარველებზე გავა. მისი თქმით, დასავლეთის ქვეყნებმა უნდა გააძლიერონ საქართველოს შესაბამისი უწყებების დახმარება, ნარკოტიკებთან ბრძოლის წინააღმდეგ. ჯემალ ჯანაშია არ გამორიცხავს, რომ ნარკოტრანზიტს უკავშირდებოდეს საქართველოს გადაწყვეტილება, ცალმხრივად გაეუქმებინა სავიზო რეჟიმი ირანთან, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ნარკოტიკების მექად წოდებულ ავღანეთს.

**ჯემალ ჯანაშია, ექსპერტი:**

– უპრეცედენტო რაოდენობის ჰეროინის ამოღება სამი ძირითადი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: როგორც ჩანს, ნარკოტრანზიტის კუთხით ამოქმედდა სომხური ვექტორი, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ეს პარტია სწორედ სომხეთის გავლით შემოვიდა საქართველოში. ტვირთი მიდიოდა ფოთის პორტში, საიდანაც ბორნების საშუალებით იგეგმებოდა ბულგარეთში, უკრაინასა და ევროპის ქვეყნებში გადატანა. სომხური ვექტორი ნამდვილად სახიფათოა, რადგან ეს არის უმოკლესი გზა ავღანური და ირანული ნარკოტიკის ევროპაში გასატანად. ასევე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს არ გახლავთ პირველი პარტია. როგორც წესი, ნარკოდილერები კონკრეტული „ტრასით“ რამდენჯერმე სარგებლობენ ხოლმე და რომელიღაც ჯერზე არის ჩავარდნა. როგორც ჩანს, ასეთ ჩავარდნასთან გვაქვს საქმე ახლაც. ამასთანავე, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ნარკოტიკი განკუთვნილი იყო ძირითადად ევროპისთვის. ამიტომ, პირველ რიგში, ევროკავშირის ქვეყნებმა უნდა გაზარდონ დაფინანსება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსი, რათა შესაბამისი სამსახურები მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღიჭურვოს.



**– თქვენ თქვით, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა... ამ მასშტაბის ორგანიზებული დანაშაულის განვითარება, მფარველების გარეშე, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა?**

– ამერიკის ადმინისტრაციის მოხსენებაში პირდაპირ წერია, რომ საქართველო გამოყენებულ იქნა ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყნად. როგორც ჩანს, ამის დამადასტურებელი ინფორმაციებიც ჰქონდათ ამერიკელებს. რაც შეეხება მფარველებს, თქვენ, ალბათ, დააკვირდით, რომ შსს-მ ძალიან მშრალად გაახმოვანა ეს ფაქტი. გასაგებიცაა, რადგან მიდის მუშაობა ამ ნარკოდანაშაულის ყველა რგოლის გამოაშკარავების მიზნით. როდესაც ძიება დასრულდება, ალბათ, მაშინ გახდება ცნობილი, სად იყვნენ მფარველები. ამჟამად ვინმე სოლიდური მფარველი რომ ჰყოლოდა საქართველოს ტერიტორიაზე მაშინ, ცხადია, არ დააკავებდნენ ამ ტვირთს. თუ ნარკოტრეფიკს მფარველები ჰყავდა სხვა ეტაპებზე, ეს ძიების პროცესში უნდა გახდეს ცნობილი.

**– რამდენიმე დღის წინ საქართველოს ხელისუფლებამ ირანთან გააუქმა სავიზო რეჟიმი... რამდენად ხედავთ კავშირს ამ გადაწყვეტილებასა და ნარკოტრანზიტს შორის?**

– კავშირი, რა თქმა უნდა, არსებობს. ეს იყო დროული და საჭირო გადაწყვეტილება. ამ ფაქტმა დაადასტურა, რომ მიზანშეწონილია სავიზო კონტროლის გამკაცრება ირანთან. როგორ შეიძლება, არ იყოს მკაცრი კონტროლი იმ ქვეყანასთან, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ავღანეთს, ავღანეთი კი, მოგეხსენებათ, ნარკოტიკებით მდიდარი ქვეყანაა. დღეის მდგომარეობით იქ იმდენი ნარკოტიკია დასაწყობებული, რომ რეალურად მომხმარებელი არ არსებობს საერთაშორისო ბაზარზე.

ირანთან გამარტივებული სავიზო რეჟიმი სკეპტიკურად შეფასდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2011 წლის ანგარიშშიც, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს მიერ 2010 წლის ნოემბერში ირანთან დადებულმა უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებამ შესაძლოა, საქართველოში უფრო მეტი ნარკოტიკის შემოდინება გამოიწვიოს.

„ეს სავსებით სავარაუდოა, ვინაიდან ავღანური ნარკოტიკების, დაახლოებით, 40% ირანის გავლით გაედინება. ამ ნარკოტიკების კონტრაბანდა ახლა პრობლემას წარმოადგენს ირანის საზღვრის ყველა მიმართულებით – სამხრეთისკენ, დასავლეთისკენ და ჩრდილოეთისკენ; ასე რომ, შეშფოთების საფუძველი არსებობს, რომ ირანსა და საქართველოს შორის გამარტივებული მიმოსვლა შესაძლებლობას მისცემს გადამზიდავებს „ახალი მარშრუტი“ მოსინჯონ“, – წერია სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

ანგარიშის თანახმად, ნარკოტიკები სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გავლითაც მიედინება, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ამ ინფორმაციის დადასტურება შეუძლებელია, რადგან რუსეთის საოკუპაციო ძალებს ან ამ ტერიტორიების დე ფაქტო მთავრობებსა და საქართველოს მთავრობას შორის ნარკოტრანზიტზე ინფორმაციის გაცვლა ან მცირეა, ან საერთოდ არ ხდება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პრეზიდენტისა და ვიცე-პრემიერის

## რა ასახვას ჰპოვებს არასრულწლოვნებში წამების, გაუპატიურებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციები?







**my View**



**მირიან ბოქოლიშვილი**

**ბოლო დროს ქართული სატელევიზიო სივრცე თითქმის მთლიანად დაიპყრო შემზარავმა ინფორმაციებმა ადამიანების წამების, გაუპატიურებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ. ვინ ნახა სკანდალური ჩანაწერები? რატომ არ დაისაჯნენ სათანადოდ წამებაში ბრალდებულები? რა მეთოდით აწამებდნენ და აუპატიურებდნენ ციხეებსა და პოლიციის ბნელ სარდაფებში და ა.შ. და ა.შ... სატელევიზიო სივრცეში ეს თითქოს დაუსრულებელი პროცესია, რომელმაც, როგორც ჩანს, თავისი ასახვა არასრულწლოვნებშიც ჰპოვა. ამის ნათელი დასტური კი გახლავთ ის კადრები, რომელიც თბილისის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სკოლაშია გადაღებული და რომელიც „პრაიმტაიმს“ ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის ოჯახმა მიაწოდა...**

**მოკლედ, მალე სასამართლოში საკუთარი პოზიციების დაცვა მოუწევს „ქართულ-ბრიტანულ აკადემიას“, სადაც ერთად სწავლობენ პრეზიდენტისა და ენერგეტიკის მინისტრის, საქართველოში აკრედიტებული ელჩებისა და სხვადასხვა ცნობილი პოლიტიკოსის შვილები.**

**12 წლის მოზარდზე განხორციელებულ ძალადობაზე ბავშვის მშობლები მთელ პასუხისმგებლობას კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებას აკისრებენ, „ქართულ-ბრიტანული აკადემია“ კი საქმის გამოძიებას პროკურატურისგან ითხოვს. კადრები, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ დამამცირებელ მოპყრობასა და ფსიქოლოგიურ ძალადობას ასახავს, ერთ-ერთმა მოსწავლემ მობილური ტელეფონით გადაიღო. ჩანაწერში კარგად ჩანს, როგორ აყენებენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას თანატოლები 12 წლის ლ.ლ.-ს. ჩვენ შეგნებულად თავს ვარიდებთ კადრების სრული შინაარსის გადმოცემას, თუმცა ეს ვიდეოჩანაწერი გადაეცა პროკურატურასაც, სადაც ამ ფაქტის მოკვლევა უკვე დაწყებულია.**

**თამარ ც., დაზარალებული ბავშვის დედა:**

– თვითონ ეს ფაქტი, რომელიც შემთხვევით აღმოვაჩინეთ მობილურ ტელეფონში, მოხდა ერთი თვის წინ, თუმცა ირკვევა, რომ ბავშვზე სისტემატურად მიმდინარეობდა ძალადობა მთელი წლის განმავლობაში. უშუალოდ ეს კადრები ჩემი შვილის მობილურით მისივე კლასელმა გადაიღო და რამდენიმე დღის წინ სრულიად შემთხვევით წავაწყდით. მეორე დღესვე დავუკავშირდი სკოლას და დირექტორთან ვითხოვე შეხვედრა, მაგრამ მოუცლელობის გამო ქალბატონმა ნათია ჯაყელმა იმ დღეს ჩემთან შეხვედრა არ ისურვა. მოგვიანებით შეგვხვდა და საკმაოდ აგრესიულად გვესაუბრა, აქეთ გადმოვიდა შეტევაზე. უკვე მივხვდი, რომ სკოლა არ აპირებდა პასუხისმგებლობის აღებას იმაზე, რაც მოხდა. გაოგნებული ვიყავი სრულიად. როგორია, უყურებ, შენს შვილზე როგორ ხორციელდება ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სიტყვიერი ძალადობა და ამაზე არავინ რეაგირებს?!



**– მანამდე თუ შეგინიშნავთ მსგავსი რამ?**

– არა, ჩემი შვილი ამაზე არასდროს საუბრობდა, თუმცა ბოლო ხანს მუდმივად გვეუბნებოდა, რომ არ სურს სკოლაში წასვლა. მიზეზს რომ ვეკითხებოდით, არაფერს ამბობდა. ჩავთვალეთ, რომ ეს მოზარდის აკვიატება იყო და საგანგაშოდ არ მივიჩნიეთ. რას წარმოვიდგენდი, რომ ბავშვის უსაფრთხოება დადგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ სკოლაში, რომელიც ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლად ითვლება მთელ საქართველოში. იქ გადავიყვანე იმიტომ, რომ იმედი მქონდა, მსგავსი არაფერი მოხდებოდა.

**– და ამჟამად რა არის თქვენი მოთხოვნა?**

– ჩვენ ვხედავთ სკოლას, როგორც დამნაშავეს და არა ცალკე აღებულ დირექტორს, მასწავლებელს ან მოსწავლეს. ჩვენი მოთხოვნაა, რომ დაისაჯოს თავად სკოლა. რა მექანიზმით, ამას განსჯის სასამართლო, ან განათლების სამინისტრო, რომელსაც ხელეწიფება სკოლისთვის აკრედიტაციის შეჩერება. აუცილებლად მივმართავთ სასამართლოს უახლოეს დღეებში. ამ ფაქტზე პასუხისმგებელია



სკოლა, როგორც ინსტიტუცია. ჩემი შვილი გარეგნულად განსხვავდება სხვებისგან. ამ სკოლაში იმიტომ გადავიყვანე და იმიტომ ვიხდიდი ამხელა გადასახადს (წელიწადში 7 ათასი ლარი), რომ მსგავსი ფაქტები არ დაგვეშვა. ბავშვი სპორტზე ვერ ვატარე იმიტომ, რომ პატარა დარტყმამაც კი შეიძლება მძიმე ზიანი მიაყენოს მის ჯანმრთელობას. ის, რაც ამ სკოლაში ხდება, გაცილებით მძიმეა, ვიდრე სპორტის დროს მიღებული შესაძლო ტრავმა. ამიტომ სკოლამ უნდა აანაზღაუროს ის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მორალური ზიანი, რომელიც ჩემს შვილს მიადგა. მე არ ვითხოვ არანაირ თანხას, მე ვითხოვ რეაბილიტაციის კურსის ანაზღაურებას. ჩემს შვილს კი გადავიყვან ამ სკოლიდან, მაგრამ ვწუხვარ, რომ ყველაზე პრესტიჟულ სკოლაში ასეთი გაუგონარი რამ ხდება. ჩვენთვის მაღალი ხარისხის განათლების მიღებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, რასაც, სამწუხაროდ, ეს სკოლა ვერ უზრუნველყოფს.

12 წლის ლ.ლ.-ს საქმეში დევს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც, სადაც დადასტურებულია, რომ ძალადობის შედეგად ბავშვს სხეულზე მრავლობითი დაზიანებები აქვს მიყენებული. „ქართულ-ბრიტანულ აკადემიაში“ დასკვნას სადავოს არ ხდიან, თუმცა გამორიცხავენ, რომ ლ.ლ.-ს ეს დაზიანებები სკოლაში მიიღო. იზიარებს თუ არა „ქართულ-ბრიტანული აკადემია“ პასუხისმგებლობას და რა რეაგირება მოახდინა სკოლის ადმინისტრაციამ სკანდალურ ვიდეოკადრებზე? განმარტებები ამ თემაზე „ქართულ-ბრიტანული აკადემიის“ იურისტმა, ირაკლი კერესელიძემ გააკეთა.

**ირაკლი კერესელიძე, სკოლის ადვოკატი:**

– მას შემდეგ, რაც სკოლისთვის ცნობილი გახდა ამ სამწუხარო ფაქტის შესახებ, ჩვენ ბოლომდე მოვიკვლიეთ მომხდარი. გავესაუბრეთ ფირზე აღბეჭდილ ყველა ფიგურანტს, თავად ლ.ლ.-ს გარდა, რადგან მას სკოლაში უკვე აღარ უშვებენ და მთლიანად იზოლირებული ჰყავთ. ჩვენ ძალიან ნათელი სურათი დავდეთ, თუ რა მოხდა. ამის შემდეგ გადაიდგა კონკრეტული დისციპლინური ნაბიჯები. ბავშვი, რომელიც ამ კადრებში

## დაზარალებული ბავშვის მშობლები სკოლისთვის აკრედიტაციის ჩამორთმევასა და მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შვილების სკოლა სკანდალში ეხვევა

# 12 წლის მოზარდზე განხორციელებული ძალადობის ამსახველი კადრები პროკურატურას გადაეცა

**EXCLUSIVE**

უხამს კომენტარებს აკეთებს, სკოლიდან გაირიცხა, ასევე დადგა კლასის დამრიგებლის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც განთავისუფლდა სამსახურიდან. როგორც ჩანს, ლ.ლ.-ს მშობლებს არაადეკვატური მიდგომა აქვთ მომხდარზე, რადგან იქ არანაირ წამებას ადგილი არ ჰქონია. გარდა კადრებზე აღბეჭდილი ჭიდაობისა, სხვა რაიმე სახის განგრძობით ქმედებას, ან ბავშვზე ძალადობას სკოლაში ადგილი არ ჰქონია. ეს არის ჩვენი მკაფიო პოზიცია.

**– რით ხსნით ექსპერტიზის დასკვნას, სადაც წერია, რომ ბავშვს მრავალჯერადი დაზიანებები აქვს სხეულზე მიყენებული...**

– მე, როგორც იურისტმა, ამის გარკვევის მიზნით უკვე მივმართე პროკურატურას. დასკვნა, რომელიც მე გადმომცა ოჯახის ადვოკატმა და სადაც აღწერილია დაზიანებები, უკვე გადავეცი მთავარ პროკურატურას. უნდა გაირკვეს, სად მიიღო ბავშვმა ეს დაზიანება. იმ სახის დაზიანებები, რომელიც აღწერილია ექსპერტიზის დასკვნაში, ნამდვილად შეუთავსებელია იმ ფირთან, რომელიც თქვენ გადმოგცათ ოჯახმა. იმ ინციდენტის დროს შეუძლებელია, ბავშვს ამ ტიპის დაზიანებები მიეღო.

**– რომ არა ეს კადრები, თქვენთვის ცნობილი გახდებოდა ზემოხსენებული ინციდენტი?**

– არა, ჩვენთვის ამის შესახებ ცნობილი გახდა ბავშვის მშობლებისგან. ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ ბავშვის სხეულზე არსებული დაზიანებები სკოლაში არ არის მიღებული, მათ შორის იმ ჭიდაობის დროს, რომელიც კადრებზეა ასახული. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ თვითონ მშობლების მხრიდან კონტრაქტით მათზე დაკისრებული ვალდებულებები არ სრულდებოდა. დედას თითქმის არასდროს ჰქონია კომუნიკაცია სკოლასთან.

**– ბავშვის მშობლები ითხოვენ სკოლის მიმართ სანქციების გამოყენებას... ისინი სვამენ კითხვას – ასეთი ძვირადღირებული საგანმანათლებლო დაწესებულება რატომ ვერ უზრუნველყოფს ბავშვების დაცვას, თუნდაც ფსიქოლოგიური ძალადობისგან?**

– თუ ჩვენ ვიღებთ, როგორც მოცემულობას, რომ ბავშვი დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა არასათანადო მოპყრობას, ასეთ შემთხვევაში შეიძლება დაისვას ეს კითხვა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გარდა ამ უსიამოვნო ინციდენტისა, ლ.ლ.-ს მიმართ სკოლაში არანაირ ძალადობას ადგილი არ ჰქონია. ახლა პროკურატურამ უნდა გაარკვიოს, სად განიცადა ბავშვმა ძალადობა.

**– მანდატურის სამსახური რატომ არ არის სკოლაში?**

– სკოლას ჰყავს კერძო დაცვა, აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებით და არანაირ საჭიროებას მანდატურის არსებობა არ წარმოადგენს. ეს ბავშვები ყველანი არიან მეგობრები, ოჯახებში მიდიოდნენ და ამ ინციდენტის ამ დონეზე გაზვიადება თვითონ ამ ბავშვებს უქმნის უხერხულობას.

**– სკოლის ფსიქოლოგი თუ მუშაობდა ამ ბავშვთან?**

– დარწმუნებული ვარ, ექნებოდა საუბრები, თუმცა რა კონკრეტული შედეგებით დასრულდა ეს გასაუბრება, ამ ეტაპზე ჩემთვის უცნობია. სხვათა შორის, დედამისი იყო მოსული, რომელსაც შევხვდით მე და სკოლის დირექტორი. ეს ქალბატონი საკმაოდ ემოციურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და სამწუხაროდ, ჩვენი შეხვედრა ვერანაირი შედეგით ვერ დასრულდა.

სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გარდა, საქმეში არსებობს ასევე ფსიქოლოგიური დასკვნა, რომელსაც ხელს აწერენ ფსიქოლოგები თეო გოგოტიშვილი და ქეთევან ჩიგოგიძე. მათ დასკვნაში პირდაპირ წერია, რომ ლ.ლ. სასკოლო ძალადობის მსხვერპლია, რომელიც სპეციალური ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსის გავლას საჭიროებს. ფსიქოლოგები დაუშვებლად მიიჩნევენ, დაზარალებული მოზარდის იმავე სკოლაში დატოვებას. ქეთევან ჩიგოგიძე „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი ეს აგრესია, ერთ-ერთი გამოძახილია იმ ძალადობრივი ინფორმაციებისა, რომელიც ზოგადად ქვეყანაში ყოველდღიურად ვრცელდება საინფორმაციო საშუალებების მიერ.

**ქეთევან ჩიგოგიძე, ფსიქოლოგი:**

– ჩვენ ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით გავეცით სპეციალისტების დასკვნა, ბავშვთან გასაუბრებისა და მასზე სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური ტესტის ჩატარების შემდეგ. ეს არის ტიპური შემთხვევა სკოლის „ბულინგის“. ეს არის სასკოლო ძალადობა. სასკოლო დევნას, ბავშვის შეურაცხყოფას, დაცინვას და ა.შ., ბუნებრივია, ასეთ ფაქტს სკოლაში ადგილი ნამდვილად ჰქონდა. ბავშვი უდავოდ ტრავმირებულია. ეს არ გახლავთ ახალი ამბავი, დეკემბრის პირველი რიცხვებიდან დაიწყო, როგორც ჩანს, მასზე ზეწოლა. სახლში მოზარდი არ ამხელდა ამ ფაქტებს, ნელ-ნელა უფრო დამძიმდა მისი მდგომარეობა. ზოგადად, ასეთ შემთხვევაში სკოლას ევალება უფრო მეტი სათანადო ყურადღების მიქცევა ბავშვებისთვის, აქ თავს იჩენს სკოლის ფსიქოლოგის პასუხისმგებლობის საკითხიც, რომელიც უნდა ესაუბროს არა მხოლოდ აგრესიულ ბავშვს, არამედ ე.წ. მსხვერპლსაც. ამ შემთხვევაში ლ.ლ. არის მსხვერპლი. გარდა ამისა, სკოლის ფსიქოლოგს ეკისრება ვალდებულება, რომ ბავშვებს ჩაუტაროს ტრენინგები ამ მიმართულებით. კადრებში ჩანს, რომ ამ ჩაგვრას უყურებენ მისი თანატოლები და არანაირად არ რეაგირებენ. ისინიც გარკვეულწილად განიხილებიან, როგორც მომავალი მსხვერპლი. ისინი არ იღებენ ხმას, რადგან თვითონაც ეშინიათ, სამომავლოდ მსგავსი ძალადობის მსხვერპლნი არ გახდნენ. ეს პრობლემა სკოლამ უნდა მოაგვაროს.

**– ამ დასკვნას აკეთებთ კადრების საფუძველზე?**

– არამხოლოდ. მე ამას გეუბნებით კადრებზე დაყრდნობითაც, ბავშვთან გასაუბრების საფუძველზეც. ლ.ლ. არის საკმაოდ ბევრი ტესტით შემოწმებული და პირადად ჩემთვის ეს გაცილებით ინფორმაციულია, ვიდრე ის კადრები.

**– რამდენად შესაძლებელია, მოზარდებში გამოვლენილი აგრესია იყოს ასახვა, ზოგადად, ქვეყანაში არსებული გარემოსი... მოგეხსენებათ, თითქმის ყოველდღე ჩვენს გარშემო ვისმენთ გაუპატიურების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემზარავ ისტორიებს...**

– რასაკვირველია, როდესაც ტელევიზიაზე არსებობს ცენზურა, ეს გვაძლევს კონტროლის საშუალებას, შესაბამისად, ბავშვი ყველაფერს არ ისმენს. სხვათა შორის, სკოლის „ბულინგი“ ძალიან დიდი პრობლემაა აშშ-ში. როდესაც იქ სკოლებში ძალადობის ფაქტებმა საგრძნობლად იმატა, ეს იმით აიხსნა, რომ სატელევიზიო გადაცემებზე არ იყო ცენზურა. თუმცა ეს ერთადერთი განმაპირობებელი ფაქტორი არ არის.

**– რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ბავშვის იმავე სკოლაში დარჩენა?**

– არავითარ შემთხვევაში. გამორიცხულია, ბავშვი იმ სკოლაში დარჩეს. მან აუცილებლად უნდა გაიაროს ფსიქოთერაპიის კურსი. კვირაში, სულ მცირე, 2-ჯერ მაინც უნდა იაროს ფსიქოლოგთან. ბავშვი ნამდვილად ტრავმირებულია, რამაც სამომავლოდ შეიძლება გამოიწვიოს აკადემიური ჩამორჩენა, ჩაკეტვა და შესაძლოა, ამას მოჰყვეს ოჯახთან გაუცხოებაც. ის, რომ ბავშვი გარეგნულად განსხვავდება თანატოლებისგან, როგორც ჩანს, ამანაც ითამაშა გარკვეული როლი მის დაჩაგვრაში. სხვათა შორის, როდესაც შეერთებული შტატები ვახსენე, მინდა გითხრათ, რომ, მაგალითად, იქ ბავშვზე თავდასხმის ერთ-ერთ ძირითად მაპროვოცირებლად მიჩნეულია ალბინიზმი. ანუ გარეგნული მახასიათებლებიც, გვინდა თუ არ გვინდა, აისახება ძალადობის შემთხვევებზე.

როგორც უკვე მოგახსენეთ, დაზარალებული მოზარდის ოჯახს სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეაქვს. ოჯახის ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი გვესაუბრა იმ მტკიცებულებებზე, რომელსაც ის „ქართულ-ბრიტანული აკადემიის“ წინააღმდეგ წარადგენს.

**მარიამ კუბლაშვილი, ოჯახის ადვოკატი:**

– მე ახლა ხელთ მაქვს სამი მტკიცებულება: ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ბავშვის სხეულზე არსებულ დაზიანებებს ამტკიცებს; მეორე – ეს არის, ფსიქოლოგიური დასკვნა, რითაც დასტურდება, რომ ბავშვმა განიცადა მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა და მის ფსიქიკაში ჩამოყალიბებულია მნიშვნელოვანი დარღვევები და მესამე – ვიდეომასალა, რომელიც თქვენც გადმოგეცათ. სახეზე გვაქვს არასრულწლოვნის აშკარა ჩაგვრა, მაგრამ ვინაიდან პირები, რომლებიც ამ ჩაგვრაში მონაწილეობდნენ, არ არიან სისხლის სამართლებრივ ასაკს მიღწეულნი, აქედან გამომდინარე, მათ ბრალეულობაზე ვერ ვისაუბრებთ. შესაბამისად, ჩვენი პრეტენზიები მთლიანად მიმართულია სკოლისკენ. ხელშეკრულებაში, რომელიც თავის დროზე სკოლასა და ბავშვის მშობლებს შორის გაფორმდა, მკაფიოდაა დაფიქსირებული, რომ ბავშვის უსაფრთხოება იქნებოდა დაცული ძალიან მაღალ დონეზე. მით უმეტეს, სკოლა გაფრთხილებული იყო, რომ ამ ბავშვს სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან გარეგნული მახასიათებლებით განსხვავდება თანატოლებისგან.

**– როგორც ცნობილია, ამ ფაქტს სკოლის მხრიდან გარკვეული რეაგირება მოჰყვა... კადრებში ასახულ ერთ-ერთ მოსწავლესა და კლასის დამრიგებელს სკოლა დაატოვებინეს. ეს არ არის საკმარისი?**

– მე ვფიქრობ, სკოლამ გარკვეული რეაგირება მართლაც მოახდინა, თუმცა ის პასუხისმგებლობისგან ვერ განთავისუფლდება, რადგან ბავშვის მშობლები შვილის უსაფრთხოებაში, იმისთვის, რომ ის არ გამხდარიყო ჩაგვრის ობიექტი, საკმაოდ სოლიდურ თანხას იხდიდნენ, რაც დღეის მდგომარეობით, შეიძლება ითქვას, წყალშია გადაყრილი. სკოლა დამნაშავეა, რომ ვერ უზრუნველყო ბავშვზე ფსიქოლოგიური და სხვა სახის ძალადობის არდაშვება.

**– რას მოითხოვთ სასამართლოში?**

– ჩვენი ძირითადი მოთხოვნა იქნება მორალური ზიანის ანაზღაურება და ბავშვისთვის რეაბილიტაციის კურსის დაფინანსება.

**– რა წერია უფრო კონკრეტულად სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში?**

– დასკვნაში პირდაპირ წერია, რომ მიყენებულია სხეულზე არაერთი დაზიანება, მას აღენიშნება შრამები, რაც გამოწვეულია ფიზიკური ძალადობის შედეგად.

**– რით ამტკიცებთ, რომ ეს დაზიანებები მას სკოლაში აქვს მიღებული?**

– ეს რომ ასეა, ამის მტკიცებულება კადრების სახით უკვე წარმოვადგინეთ. ეს არის ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელიც შემთხვევით გადაიღეს. მაღალი ალბათობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსგავსსა და კიდევ უფრო მძიმე ზეწოლას განიცდიდა ლ.ლ. სხვა შემთხვევებში. ბავშვი მთელ დღეს ატარებს სკოლაში და სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ის თავად ყვება ამ ყველაფერს. შესაძლებელია მოზარდის სპეციალური მეთოდით დაკითხვა, რაც კიდევ უფრო მეტ სიცხადეს შეიტანეს ამ საქმეში.

„პრაიმტაიმი“ „ქართულ-ბრიტანულ აკადემიაში“ მომხდარი სკანდალის შესახებ განათლების სამინისტროსაც დაუკავშირდა, თუმცა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, თიკო ფეიქრიშვილმა განგვიმარტა, რომ კერძო სკოლებში არსებულ პრობლემებს განათლების სამინისტრო ვერ დაარეგულირებს.

„კერძო სკოლებიდან ჩვენთან არ შემოდის ინფორმაციები. ეს ის საკითხია, რითაც პირდაპირ საგამოძიებო ორგანოებს უნდა მიმართონ“, – ამბობს ფეიქრიშვილი.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# არჩევნებამდე კბილაშვილს

მირიან ბოქოლიშვილი

**მას შემდეგ, რაც გასულ კვირას პრემიერ-მინისტრისთვის ცნობილი გახდა, რომ მთავარმა პროკურატურამ პატიმრების წამებაში ბრალდებულ რამდენიმე პირთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა და მათი ნაწილი სასჯელისგან საერთოდ გაათავისუფლა, არჩილ კბილაშვილი შუშის სასახლეში დაიბარეს. როგორც ინფორმირებული წყარო გვიყვება, პრემიერმა კბილაშვილს კითხვები ძირითადად პატიმრების წამების საქმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტის, ვლადიმერ ბედუკაძის ირგვლივ დაუსვა და მკაცრი ტონით მიანიშნა თანამდებობის დატოვებაზე. კაბინეტის დაცლა არჩილ კბილაშვილს, სავარაუდოდ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე მოუწევს, მანამდე კი მას რამდენიმე გახმაურებული საქმის ბოლომდე მიყვანას აცლიან. კბილაშვილის მისამართით ბიძინა ივანიშვილს უკმაყოფილება არც საჯაროდ დაუმალავს, როდესაც აღიარა, რომ პროკურატურა ნამდვილად სუსტად მუშაობს, თუმცა მასზე პოლიტიკური გავლენის მოხდენას არ აპირებს.**

„თუ დამტკიცდება, რომ კონკრეტულ პიროვნებას ადამიანის წამებაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, აუცილებლად გამოვიკვლევ, ასე არ უნდა იყოს. თუ თქვენ ეს გაქვთ მხედველობაში, რომ ადამიანი წამებაში მონაწილეობდა და ის საპროცესოთი გამოუშვეს, თუ ეს ასეა ფაქტებით, მე გეთანხმებით თქვენ, გამოვიკვლევ და თქვენც მოგაწვდით ინფორმაციას, ასე არ უნდა იყოს, მეც ვუერთდები თქვენს კითხვას“, – განაცხადა ივანიშვილმა არჩილ კბილაშვილის გადაწყვეტილების საპასუხოდ, რომლის თანახმადაც ვლადიმერ ბედუკაძე სასჯელისგან საერთოდ განთავისუფლდა.

2010 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებულია ნორმა, რომელიც მთავარ პროკურორს ბრალდებულის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების უფლებას ანიჭებს, თუმცა, როგორც ირკვევა, ეს ნორმა არ ვრცელდება წამების შემთხვევებზე. დაარღვია თუ არა არჩილ კბილაშვილმა კანონი, როდესაც ბედუკაძეს უშუამდგომლა? საპარლამენტო უმცირესობა მიიჩნევს, რომ – კი, თუმცა დიდად განსხვავებული პოზიციები არც საპარლამენტო უმრავლესობას აქვს. შეგახსენებთ, იგივე თინა ხიდაშელის განცხადებას, რომელმაც ზემოხსენებული ფაქტის გამო, მთავარი პროკურორის პასუხისმგებლობაზე მიანიშნა. მას შემდეგ, რაც არჩილ კბილაშვილი ბედუკაძის გამო სკანდალში გაეხვია, ლოგიკურად გაჩნდა კითხვა, ვინ შეცვლის მას? კულუარებში საუბრობენ, რომ კბილაშვილის კაბინეტში მისი მოადგილე, ლაშა ნაცვლიშვილი გადაინაცვლებს, თუმცა მთავარი პროკურორის პოსტზე განიხილება ქალაქის პროკურორის, მაია მწარიაშვილისა და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის, ზაქარია ქუცნაშვილის კანდიდატურები.

ახლა კი, რაც შეეხება ვლადიმერ ბედუკაძეს, რომელიც სასჯელისგან განთავისუფლების შემდეგ საზოგადოებას ძირითადად პრესისა და სოციალური ქსელის საშუალებით „მოძღვრავს“. მის მიმართ გამოჩენილი უპრეცედენტო ლოიალობის შემდეგ გაჩნდა ლეგიტიმური კითხვა – რა ბედი ელის იმ პატიმრების საქმეებს, რომლებიც წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში უშუალოდ ბედუკაძეს ადანაშაულებდნენ? მის წინააღმდეგ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩვენებები არსებობს. მათ შორის არაერთი პატიმრის წერილი „პრაიმტაიმის“ რედაქციაშიც მოვიდა, რომელზეც ჩვენ სისტემატურად ვწერდით. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენ კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი წამების იმ საქმეებს, სადაც უშუალოდ ვლადიმერ ბედუკაძის გვარი ფიგურირებს. იმ შემთხვევაში, თუ არჩილ კბილაშვილს თანამდებობიდან გაათავისუფლებენ და მისი გადაწყვეტილება კანონთან შეუსაბამო აღმოჩნდება, შესაძლოა, საქმეში გამოიკვეთოს ახალი გარემოებებიც, რომელიც ბედუკაძეს კვლავ საბრალდებო სკამზე დააბრუნებს. მანამდე კი გაგაცნობთ ციხის სკანდალის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტის, ვლადიმერ ბედუკაძის საქმის ძველ გარემოებებს...



## რა საუბარი შედგა ბიძინა ივანიშვილსა და არჩილ კბილაშვილს შორის? ვინ დაიკავებს მთავარი პროკურორის თანამდებობას და დაუბრუნდება თუ არა საბრალდებო სკამს ლადო ბედუკაძე?

### ოქროპირიძის საქმე

ვლადიმერ ბედუკაძესთან პატიმრობის დროს ხშირი ურთიერთობა ჰქონდა ვახტანგ ოქროპირიძეს, რომელმაც ცოტა ხნის წინ საჯაროდ აღიარა, რომ გლდანის მერვე დაწესებულებაში ყოფნისას ბედუკაძე მასზე სექსუალურად ძალადობდა. ოქროპირიძე ბედუკაძის დასჯას მოითხოვს.

**ვახტანგ ოქროპირიძე, ყოფილი პატიმარი:**

– არ მინდა მხოლოდ ბედუკაძეზე საუბარი, რადგანაც ის დღეს გმირად შერაცხეს. ჩემი მოსაზრებით, იმის გამო, რომ ბედუკაძე თანამშრომლობს პროკურატურასთან, მას ჰყავს ადვოკატად ლალი აფციაური და აფციაურის მეგობარი არის მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, არ ხდება ბედუკაძის პასუხისგებაში მიცემა. კბილაშვილი არის ძალიან კარგი პიროვნება, მაგრამ ქალბატონ ლალი აფციაურთან, ჩემი აზრით, აქვს ძალიან კარგი და მეგობრული ურთიერთობა. ლალი აფციაური არის ბედუკაძის ინტერესების დამცველი და აქ რაღაც პირადულ-მეგობრულ ურთიერთობას ვხედავთ. გარდა ამისა, ციხის კადრების გამო გარკვეული ვალდებულება აქვს ხელისუფლებას ბედუკაძის წინაშე. ბედუკაძეს არ უნდა ჰქონდეს დამატებითი იმუნიტეტი, იმიტომ არ უნდა ჰქონდეს, რომ პიროვნებები, რომლებიც არიან კრიმინალები, ციხეში უნდა ისხდნენ და არ უნდა ხდებოდეს მათი ხელშეწყობა. ბედუკაძე ახლა განთავისუფლებულია, მაგრამ ის რომ დაინიშნოს იმ თანამდებობაზე, რაზეც იყო ან უფრო მაღალ თანამდებობაზე, რა დარწმუნებული იქნება საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომ ბედუკაძე არ მოახდენს პატიმართა ცემას? არ მოახდენს პატიმრების მიმართ ზეწოლის განხორციელებას, რასაც მთელი იმ პერიოდის განმავლობაში ჰქონდა ადგილი?

### ციხიდან გამოგზავნილი წერილით დანაშაულის მორიგი ფაქტი ხმაურდება

ვახტანგ ოქროპირიძის შემდეგ ბედუკაძის მიერ პატიმრების მიმართ გამოვლენილ სისასტიკეზე უკვე სხვა პატიმრებიც ალაპარაკდნენ. „პრაიმტაიმმა“ ცოტა ხნის წინ ციხიდან სკანდალური წერილი მოიპოვა, სადაც ერთ-ერთი პატიმარი მასთან ერთად საკანში მყოფ ვინმე თემურ გრიგალაშვილის სასტიკი წამების შესახებ საუბრობს. პატიმარი დიასამიძე, რომლის წერილიც ხელში ჩაგვივარდა, წერს, რომ გრიგალაშვილს ერთხელ ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა, თუმცა ციხის ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს.

„ამჟამად სასჯელს ვიხდი, ქ. თბილისის #1 დაწესებულებაში... შემიძლია, დანამდვილებით ვთქვა, რომ ლადო ბედუკაძეს ვიცნობ გლდანის #8 დაწესებულებიდან. ის პატიმრების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით, ცინიზმით გამოირჩეოდა. დაახლოებით 2010 წლის სექტემბრის დასაწყისში მე, დანარჩენ პატიმრებთან ერთად, ჩამიყვანეს გლდანის #8 დაწესებულებაში კარანტინში. კარანტინში კი ვიმყოფებოდი 3 დღის განმავლობაში. მთელი ამ ხნის მანძილზე ლადო ბედუკაძე სისტემატურად შემოდიოდა კარანტინში და გვაყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. თუკი პატიმრების მხრიდან იქნებოდა მოთხოვნა, რაიმე სახით დახმარების თაობაზე, ლადო ბედუკაძე ასეთ პატიმრებსა და მათ შორის მეც, ფიზიკურად მისწორდებოდა. კერძოდ კი, ხელებითა და წიხლებით სხეულის სხვადასხვა ნაწილებში გვაყენებდა მძიმე დაზიანებებს. როდესაც პატიმრები და მათ შორის მეც ბადრაგის თანამშრომლებს ჩავყავდით კვლავ კარანტინში, სასამართლოში გადაყვანამდე იქ გავიცანი ერთ-ერთი პატიმარი თემურ გრიგალაშვილი. მე ის ვნახე საშინლად ნაცემი, სულ დასისხლიანებული იყო. როდესაც თემურ გრიგალაშვილს ვკითხე, ვინ სცემა ასე სასტიკად, მან მითხრა, რომ აგერ ლადო ბედუკაძე რომ დადის ჩვენ წინ კორიდორში, იმან მაწამაო. რომ ვკითხე, რატომ გაწამებს-მეთქი, მან მითხრა ისეთი ცუდი რამეები, პირადად დავინახე, როგორ აწამებდნენ და უსწორდებოდნენ პატიმრებს, ვინმესთვის რომ არ მეთქვა, მალევინებდნენ წამლებს, რომელიც ჩემს ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს და მეუბნებოდნენ, აქიდან ცოცხალი ვერ გახვალო, სჯობია, შენ თვითონ მოიკლა თავიო. მან მითხრა, მე არ მინდა სიკვდილი და მათი ჩადენილი სისასტიკეები რომ დავინახე, ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ფიზიკურად გამანადგურონო. მე მას ვუთხარი, რომ ან ადვოკატისთვის ან სოციალური თანამშრომლისთვის ეთქვა ამის შესახებ და მან მართლაც მოითხოვა სოციალური თანამშრომელი. თუმცა ამის სანაცვლოდ, როდესაც ე.წ. ფუქსში ვიყავი, იქვე დამხვდა სასტიკად ნაწამები თემურ გრიგალაშვილი. რომ ვკითხე, ვინ გაწამა-მეთქი, მან მითხრა, ლადო ბედუკაძემ მაწამა და კიდევ მასთან ერთად მყოფმა ოლეგ ფაცაციამო. ზუსტად ამ დროს „ფუქსში“ შემოვიდნენ ლადო ბედუკაძე და ოლეგ ფაცაცია. სიცილ-სიცილით და დაცინვით, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, „ფუქსიდან“ გაათრიეს თემურ გრიგალაშვილი. ხელებსა და ფეხებს ურტყამდნენ. თემურ გრიგალაშვილის წამებაში აქტიურობდა ლადო ბედუკაძე. ის ჩვენც გვიყვიროდა, რომ ასე დაგვემართებოდა, თუ არ დავაკმაყოფილებდით მათ კაპრიზებს. ასევე, ნათლად დავინახე, როგორ ჩამოაცვა ლადო ბედუკაძემ თავზე „კასკა“ თუ რაღაც ჩაფხუტი, ხელებზე ხელბორკილები დაადო და რეზინის ხელკეტებით სცემდა, თან ჩვენს დასანახად ამოიღო შარვლიდან სასქესო ორგანო და თემურ გრიგალაშვილს ეუბნებოდა, თავზე უნდა დაგაფსაო. თემურ გრიგალაშვილი წამებისგან იტანჯებოდა და ღმუოდა. ჩვენ „ფუქსში“ ძალიან შეშინებულები ვიყავით და განვიცდიდით მომხდარი სისასტიკის გამოვლენას. თემურ გრიგალაშვილს ამდენი წამების შემდეგ გონება დაეკარგა. გონდაკარგული გრიგალაშვილი კი სად გადაიყვანეს შემდეგ, ჩემთვის იმ მომენტისთვის უცნობი იყო. ერთი თვის შემდეგ, როდესაც თემური შემოიყვანეს, იყო სულიერად განადგურებული, მან მომიყვა, როგორ სისტემატურად ეუბნებოდნენ ლადო ბედუკაძე და სხვები, რომ გირჩევნია, შენ თვითონ მოიკლა თავი, ვიდრე ჩვენ მოგკლათო. სასოწარკვეთილმა თემურ გრიგალაშვილმა გვითხრა, თავს ვერ ვიცოცხლებო და მართლაც ღამით, როდესაც საკანში პატიმრებს გვეძინა, საკუთარი ხელით გამოიჭრა ყელი, თუმცა, საბედნიეროდ, ის გადარჩა. ამ ყველაფრის შემდეგ, როდესაც ის შემოიყვანეს ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მან მითხრა, რომ ლადო ბედუკაძე ისეთი სისასტიკით ემუქრებოდა, თავს არ იცოცხლებდა.

### ბედუკაძეს ციხის თანამშრომელი ამხელს

„პრაიმტაიმს“ ხელში ჩაუვარდა მე-8 დაწესებულების თანამშრომლის ჩვენების ოქმი, რომელშიც ბედუკაძის მიერ გაუპატიურებული და ნაწამები პატიმრის შესახებაა მოთხრობილი. ჩვენებას მე-8 საპყრობილის კონტროლიორი მამუკა ჩხიტუნიძე აწერს ხელს.

**მამუკა ჩხიტუნიძე:** „2007 წლის იანვრიდან ვმუშაობ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #8 დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის კონტროლიორის თანამდებობაზე. ჩემი სამუშაო დღე იწყება დილის 09:00 საათზე და მთავრდება მეორე დღის დილის 10:00 საათზე, შემდეგ ორი დღე ვისვენებ და მესამე დღეს ისევ გამოვდივარ სამსახურში. განაწილებული ვარ #8 დაწესებულების „C“ კორპუსზე, სადაც მე მევალება: პატიმრების მეთვალყურეობა, მათთვის საჭმლისა და ტანსაცმლის მიწოდება, საკნის კარის გაღება და დახურვა, პატიმრის გაყვანა სამორიგეო გამომძიებლის მიერ წარმოდგენილ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #8 დაწესებულებაში. გადაღებული ვიდეოჩანაწერები მე მანამდე ვნახე სატელევიზიო ეთერის მეშვეობით, სადაც მე ვარ დაფიქსირებული. ხსენებული ჩანაწერის ირგვლივ მოგახსენებთ შემდეგს:



მაია მწარიაშვილი



ზაქარია ქუცნაშვილი



ლაშა ნაცვლიშვილი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პოსტს დაატოვებინებენ



## სკანდალური ბრალდებები ბედუკაძის წინააღმდეგ:

- „როდესაც მისი განცხადება მოვისმინეთ, რომ, არავინ უწამებია და თუ ვინმეს პრეტენზია გაქვთ, მომმართეთო, თხოვნას ვუსრულებთ და მივმართავთ“
- „დავინახე, როგორ ჩამოაცვა ლადო ბედუკაძემ თავზე „კასკა“ თუ რაღაც ჩაფხუტი, ხელებზე ხელბორკილები დაადო და რეზინის ხელკეტებით სცემდა“
- „ლადო ბედუკაძეს ერთ ხელში ეჭირა ე.წ. „დუბინკა“, რომელსაც კონდომი ჰქონდა თავზე გაკეთებული, პატიმარს გაუკეთა სწორ ნაწლავში“
- „ვლადიმერ ბედუკაძის მითითებით, „ბასტიმ“ და „ბუბუმ“ გამხადეს შარვალი და ხელკეტით უკანა ტანში ახდენდნენ ჩემზე ზეწოლას“
- „შენ მართლა მანიაკი ყოფილხარ. ან სკლეროზი გაქვს, არ გახსოვს, მოყვანის დროს ცემით რომ მომკალით შენ, მელაძემ და მერაბიშვილმა“

2011 წელს, თვესა და რიცხვს ვერ ვიხსენებ, ჩემს მორიგეობაზე #8 დაწესებულებაში „C“ კორპუსიდან ჩამოვედი ე.წ. კარანტინში, საიდანაც სასამართლოდან მოყვანილი პატიმარი უნდა ამეყვანა „C“ კორპუსზე და საკანში გამენაწილებინა. ე.წ. კარანტინში მე დავინახე ლადო ბედუკაძე, რომელიც მე-8 დაწესებულებაში მუშაობდა ოპერატიული მორიგე-ინსპექტორის თანამდებობაზე და ასევე, ბორის ფარულავა, რეჟიმის კონტროლიორი. ლადო ბედუკაძეს ერთ ხელში ეჭირა ე.წ. „დუბინკა“, რომელსაც კონდომი ჰქონდა თავზე გაკეთებული, პატიმარს გაუკეთა სწორ ნაწლავში. დაახლოებით ორი წუთის შემდეგ მე ე.წ. „დუბინკა“ დავუბრუნე ბედუკაძეს და წამოვედი იქიდან პატიმრის კორპუსზე ასაყვანად“.

### ციხის სკანდალურ კადრებში ასახული პატიმარი ბედუკაძის წინააღმდეგ ჩვენებას იძლევა...

კიდევ ერთი სკანდალური ჩვენება, რომელიც „პრაიმტაიმს“ ხელში ჩაუვარდა, ასევე ვლადიმერ ბედუკაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ პატიმრის წამება-გაუპატიურებას და ამ ყველაფრის ვიდეოფირზე აღბეჭდვას ეხება. ამ შემთხვევაში ჩვენებას თავად პატიმარი წერს, რომლის სახელსა და გვარს ჩვენ შეგნებულად არ ვასახელებთ, რადგან მისი ჩვენების საფუძველზე, შესაძლოა, მკითხველმა ეს პატიმარი ადვილად ამოიცნოს იმ შოკისმომგვრელი კადრებიდან, რომელიც საზოგადოებამ ჯერ კიდევ სექტემბრის ბოლოს ტელეეთერში იხილა.

**დ.თ.:** „2011 წლის 7 მაისს ჩემთვის უცნობ მამაკაცთან მომივიდა ჩხუბი. რის გამოც პოლიციის მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა დამაკავეს ხულიგნობისთვის. ამ განყოფილებიდან შემდეგ გადამიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ბრალდების წარდგენის დროს გავიგე, რომ ის პიროვნება, ვისთანაც მე ჩხუბი მომივიდა, ყოფილა ჩემი უბნელი, რომელიც მუშაობდა გლდანის ციხეში. ბრალდების წაყენების შემდეგ სასამართლომ შემიფარდა 40-დღიანი წინასწარი პატიმრობა და მოთავსებული ვიქენი გლდანის #8 დაწესებულებაში. იმ დღესვე მომათავსეს კარანტინში პირველ სართულზე. მეორე დღეს დაახლოებით დილის 08 საათზე, ჩემთან მოვიდა ციხის ორი თანამშრომელი, როგორც შემდგომ ციხეში და ამჟამად ტელევიზიით გავიგე, ერთ-ერთი მათგანი იყო ვლადიმერ ბედუკაძე. ამ უკანასკნელებმა ამიყვანეს მეორე სართულზე და შემიყვანეს ერთ-ერთ გისოსისკარებიან საკანში. სადაც ვლადიმერ ბედუკაძემ ხელბორკილებით მიმაბა კარებზე. იქ იყო ციხის კიდევ ორი თანამშრომელი, საერთო ჯამში კი ისინი იყვნენ ოთხნი. რომელთაგან ერთ- ერთს ვლადიმერი მიმართავდა „ბასტით“ ხოლო მეორეს „ბუბუთი“. მეოთხე პიროვნება კი ჩემთვის უცნობია, მხოლოდ შემიძლია მისი აღწერა. ის იყო დაახლოებით 35 წლამდე, 180 სმ სიმაღლის, სუსტი აღნაგობის, ქერა, მოკლედ შეჭრილი თმით, ნახვის შემთხვევაში შესაძლებელია მე ის ამოვიცნო... ამის შემდეგ, მათ იცოდნენ, რომ მე ჩხუბი მომივიდა მათ თანამშრომელთან, დამიწყეს ცემა და გინება. მთხოვდნენ, რომ მეღიარებინა ჩხუბის სხვა თანამონაწილეები, რაზეც მე ვპასუხობდი სიმართლეს, რომ ჩხუბი მომივიდა მარტო და სხვა არავინ არ ყოფილა. ამის შემდეგ ვლადიმერ ბედუკაძემ მოიტანა ვიდეოგადამღები, ხოლო დანარჩენი სამიდან ერთ-ერთმა მოიტანა ხელკეტი, თუ რომელმა, არ მახსოვს. შემდეგ ვლადიმერ ბედუკაძის მითითებით „ბასტიმ“ და „ბუბუმ“ გამხადეს შარვალი და ხელკეტით უკანა ტანში ახდენდნენ ჩემზე ზეწოლას. იგივე მეთოდით მაწამებდა დანარჩენი ორი თანამშრომელი, ხოლო ვლადიმერ ბედუკაძე მაგინებდა და იღებდა ვიდეოფირზე. მეუბნებოდა, რომ ამ ყველაფერს აჩვენებდა ჩემს ახლობლებს. ამ ფორმით ისინი მაწამებდნენ დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში, რაც იწვევდა ძლიერ ფიზიკურ ტკივილს. ამის შემდეგ კი მათ გამომიყვანეს საკნიდან და იქვე კედლისკენ მიმაყენეს. ერთ-ერთმა მათგანმა მომცა მოკიდებული სიგარეტი და მაიძულეს, რომ სიგარეტი შემეტანა სწორ ნაწლავში, ხოლო შემდეგ მომეწია, რაც შიშის გამო ძალით გამაკეთებინეს. ამ ყველაფერსაც ვიდეოფირზე იღებდა ვლადიმერ ბედუკაძე. ამის მერე შემეშვნენ და დამაბრუნეს კარანტინში, ხოლო სამი დღის შემდეგ გადამიყვანეს დაწესებულების „ბ“ კორპუსში #127 საკანში, სადაც ვიყავი 2 თვე და 20 დღე. ჩემ მიმართ ციხის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ცემა-წამების შესახებ მე არავისთვის არ მითქვამს, არც ჩემი ადვოკატისთვის, რომელიც ხშირად მაკითხავდა ციხეში ჩემს საქმესთან დაკავშირებით“.

### უჩივლებენ თუ არა ციხის კადრების ერთ-ერთ ავტორს არაადამიანური მოპყრობისთვის

ბედუკაძის მიერ ნაწამები პატიმრების წერილებიდან, ასევე აღსანიშნავია ორი მათგანი. ერთ-ერთის ავტორები ძმები გიორგი და დავით მამულაშვილები არიან. ისინი დეტალურად იხსენებენ 2008 წლის სექტემბრის ბოლოს, როდესაც ბედუკაძემ და მისმა თანამშრომლებმა მეტალოპლასტმასის მილებითა და სამხედრო ბალთებით უმოწყალოდ სცემეს. გიორგი მამულაშვილი წერს, რომ ბედუკაძემ დღეში ერთი კაცის „ცემათერაპია“ დააწესა, რომლის მსხვერპლი თავად გახდა.

მეორე წერილის ავტორი თამაზ რასოიანი, იგივე „ტაისონაა“, რომელიც წერს, როგორ სცემეს ის ბეისბოლის ბიტით ბედუკაძემ და მისმა კოლეგებმა.

„ამ წერილს გწერთ ძმები დავით და გიორგი მამულაშვილები, რომლებიც ამჟამად ვიმყოფებით გეგუთის #14 დაწესებულებაში. 18 სექტემბრის შემდეგ პატიმრების მდგომარეობა გაუმჯობესდა, რაშიც გადამწყვეტი როლი წამების კადრების გასაჯაროებამ შეასრულა. ამ საქმეში ლადო ბედუკაძეს თავისი წვლილი მიუძღვის და ამისთვის მადლობლებიც ვართ, მაგრამ სიმართლე ყველაფერზე მაღლა დგას და არ გვაქვს უფლება, რაიმე დავივიწყოთ. ლადო ბედუკაძე უამრავი პატიმრის ცემასა და წამებაში უშუალო მონაწილე, ინიციატორი და პროცესის ხელმძღვანელი იყო. ის თანამდებობრივი სმენის უფროსი, ე.წ. დეპეენკა იყო. როდესაც მისი განცხადება მოვისმინეთ, რომ არავინ უწამებია და თუ ვინმეს პრეტენზია აქვს, მომმართეთო, თხოვნას ვუსრულებთ და მივმართავთ: ლადო, გაიხსენე 2008 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვები, კარანტინის მეორე ოთახში შენ და შენი თანამშრომლები მეტალოპლასტმასის მილებითა და სამხედრობალთიანი ქამრით ვითომდა ხმაურის გულისთვის რომ გვცემე და თან ცინიკურად კითხულობდი, – ვინმეს სიგარეტი, წამალი ან ტუალეტის ქაღალდი ხომ არ გინდათო. გეგმური ცემა რომ დააწესე, დღეში ერთი კაცი რომ უნდა გეცემა და ამ გეგმის ერთი მსხვერპლი მე, გიორგი, რომ გავხდი, ნუთუ არ გახსოვს?! მაშინ გაგახსენებ! გამიყვანეთ კარანტინის ოთახიდან კიბეებთან და მითხარით, რომ ცემა-თერაპია მესაჭიროებოდა. კითხვაზე, თუ რატომ? დამიწყეთ ცემა, საშინელი სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფეხს, ხელს, იდაყვს, მუშტს 5-6 ადამიანი მირტყამდით. ვინაიდან არ ვყვიროდი და ტკივილს ვითმენდი, ხედავ, რა გამძლეაო და უარესად მცემეთ...“

„ლადო! მე თამაზი ვარ რასოიანი, რუსთავის მეექვსედან. გავიგე გითქვამს, არავინ მიწამებიაო. შენ მართლა მანიაკი ყოფილხარ. ან სკლეროზი გაქვს, არ გახსოვს, მოყვანის დროს ცემით რომ მომკალით შენ, მელაძემ და მერაბიშვილმა (უსაფრთხოების უფროსმა, არა ვანომ), ან გადაძახების გამო რომ მცემე ბეისბოლის ბიტებით, ხომ მაგარი ბიჭივით დადიოდი. რამდენი პატიმარი გყავს ნაცემი? ერთი შენი თავი მომცა აქ, ყველაფერს გაგახსენებდი დიდი სიამოვნებით. კარგად რომ გაიხსენო, ბევრი გყავს ნაცემი და იმიტომ, მე თბილისელ ტაისონას მეძახიან, იეზიდი ბიჭი ვარ“.

**P.S. ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ ბრალდებებისა, რომელსაც ვლადიმიერ ბედუკაძეს უყენებენ. როგორც ჩანს, არჩილ კბილაშვილს არც ერთი ეს განცხადება მხედველობაში არ მიუღია, როდესაც ციხის კადრების მთავარ ფიგურანტს „ძვირფასი ინფორმაციის სანაცვლოდ“ ძვირფასი თავისუფლება უბოძა. არაა გამორიცხული, რომელიმე დაზარალებულმა, ბედუკაძის წინააღმდეგ მორიგი საჩივარი შეიტანოს. ამ შემთხვევაში პროკურატურას ვლადიმერ ბედუკაძის საბრალდებო სკამზე დაბრუნება მოუწევს.**

## კბილაშვილის კაბინეტში მისი მოადგილე, ლაშა ნაცვლიშვილი გადაინაცვლებს, თუმცა მთავარი პროკურორის პოსტზე განიხილება მაია მწარიაშვილისა და ზაქარია ქუცნაშვილის კანდიდატურებიც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ გაუშვეს გაუპატიურებაში ექვმიტანილები და რას უამბობს „პრაიმტაიმს“ გაუპატიურებული ბიჭი



მარიამ ნადირაძე

**ეს საქმე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც ხელისუფლების ცვლის შემდეგ მთავარმა პროკურორმა საზოგადოების წინაშე გამოიტანა და იმ სისასტიკის შესახებ გვიამბო, რასაც წინა ხელისუფლების პირობებში მერაბიშვილის უწყება ახორციელებდა. აი, რა განაცხადა კბილაშვილმა მაშინ:**

„გამოძიებით დადგენილია, რომ 2009 წლის 1 იანვარს, ბაკურიანში, ახალგაზრდებს შორის მომხდარი ჩხუბის გამო სამი ახალგაზრდა ბორჯომის შსს რაიონული სამმართველოს უფროსმა მამუკა ხვედელიანმა და პოლიციის სხვა მუშაკებმა გადაიყვანეს შსს ბორჯომის რაიონულ სამმართველოში, გადაანაწილეს ისინი სხვადასხვა ოთახებში, რა დროსაც ერთ-ერთი მათგანი აიყვანეს პოლიციის შენობის მეორე სართულზე ე.წ. უბნის ინსპექტორების სამუშაო ოთახში, სადაც სცემეს. მას ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ შსს ბორჯომის რაიონული სამმართველოს უფროსი მამუკა ხვედელიანი, თანამშრომლები: გიორგი ბლიაძე, ალექსანდრე ბლიაძე და სხვა ორი პირი. ალექსანდრე ბლიაძემ დაზარალებულს მარცხენა ყურზე დაადო ანთებული სიგარეტი და აიძულებდა მიეცა ჩვენება ჩხუბთან დაკავშირებით. მამუკა ხვედელიანის ბრძანებით, ორმა პოლიციელმა დაზარალებულს გადაუგრიხა ხელები, გახადეს ტანზე და გააუპატიურეს სკამის ფეხით. მამუკა ხვედელიანის დავალებითვე, პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა თავისი მობილური ტელეფონის მეშვეობით დაზარალებულს გადაუღო რამდენიმე სურათი. ამის შემდეგ პოლიციელები დაემუქრნენ მას, რომ გადაღებულ სურათებს გამოაქვეყნებდნენ დაბა ბაკურიანში სარეკლამო აბრაზე, კვლავ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, გადაიყვანეს სხვა ოთახში და ამყოფეს იქ დილამდე.

მამუკა ხვედელიანი წლების მანძილზე მუშაობდა ბორჯომის შს სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე, იგი გამოირჩეოდა დაკავებული პირებისადმი განსაკუთრებული სისასტიკით. ამ მიმართულებით გამოძიება გრძელდება“.

ბატონ კბილაშვილს, ალბათ, გამორჩა მაშინ იმის შეხსენება, რომ ხვედელიანი, სულ ცოტა ხნის წინ, ბორჯომის რაიონში ნაციონალების მაჟორიტარ კანდიდატს წარმოადგენდა. ის ამჟამინდელ დეპუტატს „ოცნებიდან“, გედევან ფოფხაძეს ეცილებოდა მანდატს. საარჩევნო მარათონის შემდეგ ხვედელიანი, თავის სამ ყოფილ თანამშრომელთან ერთად, გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. ზუსტად რვა თვეში კი 21 წლის ბიჭის მიმართ წამების და ძალადობის მუხლით განსასჯელის სკამზე მყოფი პოლიციელები ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ, გოჩა ჯეირანაშვილმა პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

ეს ის პირველი სკანდალური განაჩენია, რომელმაც საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია. ბორჯომსა და ახალციხეში პერმანენტული აქციები დაიწყო მოძალადეების და მოსამართლის დასჯის მოთხოვნით.

სანამ ჩვენს მკითხველს საქმის დეტალებზე ვუამბობდეთ, მოდით თვალი გადავავლოთ მოსამართლის ბიოგრაფიასაც:

2002-2004 წლებში მუშაობდა ახალციხის შს რაიონული განყოფილების კრიმინალური პოლიციის არასრულწლოვანთა საქმეების უფროს ინსპექტორად. 2004-2005 წლებში მუშაობდა სამცხე-ჯავახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სს სამძებრო სამმართველოს კორუფციასთან ბრძოლის განყოფილების უფროს ინსპექტორად. 2005-2006 წლებში მუშაობდა სამცხე-ჯავახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სს სამძებრო განყოფილების გამომძიებლად. 2006-2007 წლებში მუშაობდა ახალციხის რაიონის შს განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის უფროს გამომძიებლად. 2007-2009 წლებში მუშაობდა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად. 2009 წელს დაინიშნა წალკის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ და მივლინებული იყო ახალციხის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად. 2009 წლის აპრილიდან არის ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2009 წლის დეკემბრიდან არის ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.

ასეა თუ ისე, სანამ სასამართლო განაჩენის სამოტივაციო ნაწილს გაგვაცნობს, „პრაიმტაიმი“ შეეცადა მკითხველისთვის თავად გაეცნო მხარეების პოზიცია.

როგორც მისმა ადვოკატმა, ზაზა მარიდაშვილმა განგვიცხადა, მამუკა ხვედელიანმა სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებისთანავე დატოვა სამცხე-ჯავახეთი და ის ახლა თბილისში იმყოფება, თუმცა ჟურნალისტებისთვის კომენტარის მისაცემად, ამ ეტაპზე, მზად არ გახლავთ:

**ზაზა მარიდაშვილი:**

- ახლა, უამრავ რამეს ამბობენ, რომ თითქოს გათავისუფლების შემდეგ ხვედელიანი ბორჯომში იარაღით და მოტოციკლით დადის და ხალხს ემუქრება. გარწმუნებთ, რომ ის ბორჯომში აღარ იმყოფება.

**- სულ ეს არის, რისი თქმაც შეგიძლიათ? ალბათ, კმაყოფილი ხართ მოსამართლის გადაწყვეტილებით...**

- სხვა გადაწყვეტილებას არც ველოდი. პროკურატურას ძალიან სუსტი არგუმენტები ჰქონდა. ტყუილია, როცა ამბობენ, რომ მან ყველა მტკიცებულება წარმოადგინა. არაფერი ჰქონიათ.

**- პროკურატურას ექსპერტიზის დასკვნა ხომ ჰქონდა, რომელიც გაუპატიურების ფაქტს ადასტურებდა?**



## ვ.გ.: „ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ქალიშვილობა დაგვაკარგვინეთო“

- არა. ეს ჩვენ ჩავატარეთ ალტერნატიული ექსპერტიზა, რომელმაც პროცესზე დაადასტურა, რომ თუ დაზარალებული მართლა გააუპატიურეს რკინის სკამის ფეხით, ის დღეს ცოცხალი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ როგორც თავად აცხადებს, მას ამ ფაქტის შემდეგ 2 კვირის განმავლობაში სისხლდენა ჰქონია. ძალიან საეჭვო იყო ის ფაქტი, რომ მას ამის შესახებ არავისთვის განუცხადებია და არც ექიმისთვის მიუმართავს. სამედიცინო, კონკრეტულად კი ქირურგიული ჩარევის გარეშე, ის ცოცხალი ვერ გადარჩებოდა, რადგან ჯოხით უკანა ტანში შესვლის შემდეგ სწორი ნაწლავი ძალიან დაზიანდებოდა...

**- რატომ ფიქრობთ ასე, მით უმეტეს, როცა ჩვენ უკვე გვაქვს ფაქტები, როცა სხვებსაც აუპატიურებდნენ, ვთქვათ, ბილიარდის კიით. მადლობა ღმერთს, ეს ხალხი დღეს ცოცხალია.**

- კიი იყო ხის. აქ კი რკინის სკამის ფეხზეა საუბარი...

**- ააა, მეტალში ყოფილა საქმე...**

- დიახ.

**- თქვენს ექსპერტს ჰქონდა შესაძლებლობა დაზარალებული შეემოწმებინა და ასეთი კატეგორიული დასკვნა მას შემდეგ გამოიტანა?**

- არა, დაზარალებული არ შეუმოწმებია. ჩვენ ვთხოვდით პროკურატურას, რომ ექსპერტიზაში, რომელსაც ის ატარებდა, ჩაერთო ექიმი პროქტოლოგი, რომელიც ამას დაადასტურებდა, ან უარყოფდა...

**- უკაცრავად, თქვენ ხომ გვითხარით, რომ პროკურატურას ექსპერტიზა არ ჩაუტარებია?**

- მხედველობაში მქონდა, რომ პროქტოლოგი არ მიუწვევიათ...

**- რატომ?**

- დაზარალებულმაც უარი განაცხადა და ბრალდებამაც, იმ მოტივით, რომ თითქოს წლების შემდეგ ძალადობის კვალი სწორ ნაწლავზე ვერ დარჩებოდა, თუმცა, ჩვენი ექსპერტი საპირისპიროს ამტკიცებდა. იყო კიდევ ერთი დეტალი: პირდაპირ პროცესზე ჩვენ მოვითხოვეთ, რომ დაზარალებულს ეჩვენებინა დამწვრობის კვალი ყურზე, რადგან ამტკიცებდა, რომ მას სიგარეტი მიაწვეს. ასეთი კვალი მას არ აღმოაჩნდა, როდესაც ჩვენმა ექსპერტმა დემონსტრაციულად აჩვენა ყველას დაზიანების კვალი საკუთარ ხელზე და განაცხადა, რომ ეს მას სიგარეტის დამწვრობით ჰქონდა მიყენებული, როდესაც ის იყო მეათე კლასში. ახლა კი ის სამოც წელს არის გადაცილებული. გამოძიება რომ ლაპარაკობს, ჩვენ მტკიცებულებები გვქონდაო, მე, მაგალითად, ვიტყოდი, რომ საქმე იყო უსუსურზე უსუსური და რას ერჩიან ამ მოსამართლეს, მაინც ვერ გავიგე.

**- ამბობენ, რომ არსებითი განხილვის დროს სამმა პოლიციელებმა გაუპატიურება აღიარა და მოგვიანებით მოხდა ჩვენების შეცვლა...**

- არა. არსებითი განხილვის დროს არაფერი მომხდარა. ორი პოლიციელი როდესაც მიიყვანეს და დაკითხეს, მაშინ განაცხადეს, რომ ბოთლი მიადეს საჯდომზე და სურათები გადაუღესო. ასეთ დეტალებზე იყო საუბარი. მოგვიანებით, ამ პირებმა პროცესზე იგივე განაცხადეს, რაც მანამდე გენერალურ ინსპექციაში თქვეს - ჩვენება ძალით მიგვაცემინეს, რადგან ხვედელიანის დაჭერა უნდოდათო.

**- როგორც ვიცი, ამ პოლიციელთაგან ერთ-ერთს მიჰყვა პროკურატურაში მამა იოაკიმე, მწვანე მონასტრის მოძღვარი, სადაც ეს პოლიციელი მას შემდეგ წავიდა, რაც სამსახური დატოვა. ამბობენ, რომ მან მოძღვართანაც მოინანია ჩადენილი და პროკურატურაშიც მისი თანდასწრებით მისცა აღიარებითი ჩვენება. მამა იოაკიმეც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პოლიციელს ძალდატანებით მიაცემინეს ჩვენება?**

- არასწორი ინფორმაცია გაქვთ. მწვანე მონასტერში მასთან მივიდნენ ღამის თორმეტ საათზე და წამოიყვანეს. ისინი პოლიციელები არ იყვნენ. სასამართლოზე მათი ვინაობა დასახელდა.

**- პოლიციელის გარდა სხვა სამოქალაქო პირს ჰქონდა მისი დაკავების უფლებამოსილება?**

- საქმეც ეს არის. გამოძიებაში კი წერია, რომ ეს ადამიანი პროკურატურაში საკუთარი ფეხით და საკუთარი სურვილით ჩამოვიდა. ეს ლოგიკური თუა, თავად განსაჯეთ, სულ არ უნდა ამას დიდი იურისტობა, რომ სამართალდამცავ ორგანოებში თავისით არავინ მიდის.

**- აბა, რა იკვეთება, ბატონო ზაზა? მაშინ რასთან გვაქვს საქმე?**

- სამართლებრივი შეფასების იქით ვერ წავალ. სამართლებრივი შეფასება კი დღეს ობიექტურია და აისახა მოსამართლის განაჩენში. არც ერთი მტკიცებულება არ არსებობს იმისათვის, რომ ამ პიროვნებების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოსულიყო. პირადად მე სხვა გადაწყვეტილებას არც ველოდი. პროკურატურას გამოძიება ცუდად აქვს ჩატარებული. არაფერი აქვს გაკეთებული.

**- დაზარალებულის ჩვენება მტკიცებულება არ არის?**

- დაზარალებულის ჩვენება იმის შესახებ, რომ მას 4 წლის წინ ვიღაცამ ყურზე



მამუკა ხვედელიანი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მართლო პროცესი




დაადო სიგარეტი შეიძლებოდა გაეზიარებინა პროკურატურასაც და სასამართლოსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ამის კვალი ყურზე ექნებოდა. გამოძიება იმისთვის არსებობს, რომ დაზარალებულის ჩვენება უნდა გაამყაროს სხვა მტკიცებულებებით. სამართლებრივად ასეა და მხარეების სხვა არგუმენტი ჩემთვის საინტერესო აღარ არის.

ახლა კი „პრაიმტაიმი“ შემოგთავაზებთ ინტერვიუს თავად იმ ადამიანთან, რომელმაც 2009 წლის 1 იანვარს ღამე გაატარა ბორჯომის პოლიციის განყოფილებაში. მისივე ინტერესების დაცვით, მის სახელს და გვარს, ბუნებრივია, ვერ გაგიშიფრავთ.

**გ. ვ. თავად უყვება „პრაიმტაიმს“ ამ ამბავს.**

- იმ დღეს ჩხუბში ვიღებდი მონაწილეობას, მოწმის სახით ვიყავი დაკითხული. ამ ჩხუბში დაიჭრა ჩვენი მეგობარი. მივიყვანეთ საავადმყოფოში. იქიდან რომ ვბრუნდებოდით, წამოგვიყვანა ბაკურიანის პოლიციის უფროსმა. მიგვიყვანა განყოფილებაში. იქ მოვიდა მამუკა ხვედელიანი, თავისი მანქანით, ჩაგვსვა მანქანაში და წაგვიყვანა ბორჯომში. მიგვიყვანა პოლიციაში, პირობითად ეძახიან პატარა გლდანის შენობას.

**- რატომ? გლდანის დაწესებულების გამო?**

- როგორც ჩანს, ასე ჰქონდათ გადაქცეული. ითხოვდნენ სასურველ ჩვენებას. თავიდან ჩვენების მიცემა არც კი მაცადეს ნორმალურად, ხან იქიდან მირტყამდნენ და ხან აქედან. საშინლად მაწამეს. სიგარეტი დამაწვა ყურზე ალექსანდრე ბლიაძემ, სერგო სამსონიძე მიღებდა სურათებს და გიორგი ბლიაძემ გამოიყენა სკამის ფეხი.

**- მამუკა ხვედელიანი ამ ყველაფერს ესწრებოდა?**

- ჩემი წამების დროს ის იქ არ იმყოფებოდა. ხვედელიანი შემოვიდოდა, ნახავდა ფოტოებს, მოეწონებოდა... გააგრძელეთ ბიჭებო, ცემა-ტყეპაო და გადიოდა. თვითონ ხვედელიანი მარტო ცემაში იღებდა მონაწილეობას. მცემა არაერთხელ, სამჯერ-ოთხჯერ მცემა განყოფილებაში, ხელით და ფეხით.

**- ასეთი სახის ძალადობა მარტო თქვენს მიმართ განხორციელდა, თუ დანარჩენი სამი პირის მიმართაც?**

- ისინი საშინლად სცემეს. ამ ყველაფერზე ამდენი წლის შემდეგ იმიტომ ავლაპარაკდი, რომ იქ თანამშრომლები მუშაობდნენ, რომლებიც მაწამებდნენ. მე მაშინ ვიყავი 21 წლის. წარმოვიდგინე, რომ ამ ხალხს ნებისმიერისთვის შეიძლებოდა იგივე გაეკეთებინა. ისინი იქ რომ დარჩენილიყვნენ, ხომ შეიძლებოდა იქ მერე ჩემი მეგობრის შვილი მოხვედრილიყო და მასაც იგივე გადახდენოდა თავს, რაც მე გამიკეთეს. თუნდაც სხვა ნებისმიერს. იცით რა მიქნეს? დამაგდეს ძირს და დამცინოდნენ, მაფურთხებდნენ თავზე. რა აღარ ვიფიქრე... ძალიან ცუდად დამსაჯეს. ეს არანაირად არ მეკუთვნოდა. გამწირეს. რომ მოვეკალი, უფრო კარგი იქნებოდა... ახლა, რაკი ცოცხალი დავრჩი, ახლა მე დავხოცავ მაგათ ყველას, თუ სასამართლო არ მიიღებს სამართლიან განაჩენს. არ მიმიყვანონ იქამდე, რომ ჩემი ხელით გამოვუტანო მათ განაჩენი, არა მარტო მე, არამედ მთელმა ბორჯომმა.

**- გულისხმობთ, რომ საკუთარი ხელით აპირებთ გაუსწორდეთ იმ ადამიანებს?**

- შევხედავ, როგორ წავა ეს ყველაფერი.

**- თქვენგან ითხოვდნენ, რომ გეღიარებინათ ხულიგნობა?**

- დიახ.

**- არ აღიარებდით?**

- რას ამბობთ, ჩვენება მიცემული მაქვს, ვაღიარე ყველაფერი.

**- აბა რატომ გაგისწორდნენ ასე სასტიკად? რისი მიღწევა უნდოდათ?**

- არ ვიცი, ფაქტია, რომ მაინც მცემდნენ და არაადამიანურად მექცეოდნენ. ასე მტერს არ მოექცევიან, როგორც მე მომექცნენ.

**- თქვენს გაუპატიურებაზე ბრძანება მამუკა ხვედელიანმა გასცა?**

- იმ მომენტში ხვედელიანი იქ არ ყოფილა, მაგრამ თუ მასთან შეთანხმებით არ ხდებოდა ეს სისასტიკე, მაშინ როგორც კი შეიტყო, თვითონ დაესაჯა თავისი თანამშრომლები.

**- ვერაფერი გავიგე, თუ გააკეთეთ ყველაფერი, რაც მათ უნდოდათ, აღიარებით ჩვენებას ვგულისხმობ, მაშინ რატომ გაგისწორდნენ ასე? თუ ეს მათი მუშაობის ჩვეულებრივი სტილი იყო? გამოდის, რომ თქვენ არ იყავით მათთვის პირველი, ვისაც ასე მოექცნენ.**

- არ ვიცი სხვას როგორ ექცეოდნენ, იქნებ უარეს მდგომარეობაში ჰყავდათ სხვები და ის ხალხი აქამდე ჯერ კიდევ ჩუმად არის...

**- შეგიძლიათ უფრო დეტალურად გაიხსენოთ, რას ამბობდნენ, როცა ამ ყველაფერს აკეთებდნენ, იქნებ ამ შემთხვევაში მაინც მივიდეთ დასკვნამდე, რეალურად რა უნდოდათ თქვენგან...**

- რა თქმა უნდა, მაგინებდნენ, მაგრამ ეს რა მოსატანია იმ ყველაფერთან, რაც გამიკეთეს? ცხვირ-პირიდან სისხლი თქრიალით მომდიოდა. ორჯერ გამიყვანეს ტუალეტში. თავში მირტყამდნენ. თავი მქონდა ოთხკუთხედი. მერე რაც გამიკეთეს, ის იყო სულში ჩაფურთხება. ერთმა ხარხარით უთხრა მეორეს - შეხედე, ქალიშვილობა დავაკარგვინეთო. იცით როგორ მრცხვენოდა, ეს რა დამემართა-მეთქი? ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ასეთი რამ ბუნებაში ხდებოდა.

**- თქვენ დაზიანებები თვალსაჩინოდ გეტყობათ?**

- სამწუხაროდ, არა...

**- არც სიგარეტით დამწვრობა?**

- იმის მერე 4 წელიწადი გავიდა. ყურზე ნამდვილად აღარ მეტყობა დამწვრობა, მაგრამ მაშინ რომ ჩამეტარებინა ექსპერტიზა, რა მოყვებოდა ამას, ვერ გეტყვით...

**- ამ წამების შემდეგ მოხვდით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში? თქვენს მიმართ განაჩენი დადგა?**

- როდის?

**- ამ დაკავების შემდეგ...**

- არა, გამომიშვეს. ერთადერთი, მოწმის სახით ვიყავი დაკითხული და სულ ეს იყო.

**- მაშინ რატომ არ ჩაიტარეთ ექსპერტიზა, ან ექიმს რატომ არ მიმართეთ?**

- ვერსად ვერ წავედი. მეგონა, რომ... მეგონა კი არა, მართლა ასეც იყო, ყველა ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. დარწმუნებული ვარ, სადმე ვინმესთვის რომ მიმემართა ხვედელიანი ამას გაიგებდა და მერე რას მოიმოქმედებდა, ხომ წარმოგიდგენიათ? მერე უკვე ამას აღარაფერი ეშველებოდა.

**- გეშინოდათ?**

- რა თქმა უნდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მე გამიკეთეს.

**- სასამართლო სხდომაზე დაუსვამთ საკითხი, რომ თქვენ ექიმ პროქტოლოგს გაესინჯეთ. უარი გითქვამთ. რატომ?**

- მე ექსპერტიზა ჩავიტარე ახალციხეში...

**- მერე ამ ექსპერტიზამ დაადგინა, რომ თქვენზე ასეთი სახის ძალადობა მოხდა?**

- რას დაადგენდა, მას მერე ამდენი წელი გავიდა.

**- თქვენ დაგიჭირეს ოთხნი. როგორც ირკვევა, სხვებს თქვენსავით სასტიკად არ მოქცევიან. თქვენ რატომ ამოგიჩემეს? რა დაუშავეთ ასეთი იმ პოლიციელებს?**

- ვერ გეტყვით... არ ვიცი... ალბათ, შეხედეს, რომ უპატრონო ვარ... ჯალათები არიან...

**- იქნებ თანამშრომლობაზე უნდოდათ, რომ დაეთანხმებინეთ?**

- არა, არც ასეთი რამ არ შემოუთავაზებიათ.

**- მაინც გაუგებარია, რატომ გააკეთეს ეს ყველაფერი, როცა მიზანი მიღწეული იყო და აღიარება მიცემული გქონდათ.**

- სიამოვნებდათ, ალბათ. სულ სიცილ-კისკისით აკეთებდნენ ამ საქმეს.

**- იმავე დღეს გამოგიშვეს სახლში?**

- კი, დილით გამომიშვეს.

**- რამდენ ხანს გრძელდებოდა თქვენი წამება?**

- ეს ყველაფერი, დაახლოებით ნახევარი საათი, ცემა კი, ალბათ, 2 საათზე მეტი...

**- ბოლოს და ბოლოს როდის გადაწყვიტეთ, რომ ამის შესახებ გაგეცხადებინათ?**

- არჩევნების მერე. ახალციხის სამართველოში მივედი და ყველაფერი იქ მოვყევი.

**- ელოდით სასამართლოსგან ამ გადაწყვეტილებას?**

- არც ვიცოდი, რომ იმ დღეს პროცესი უნდა ყოფილიყო. მე ყველაფერი სრულიად შემთხვევით გავიგე მერე, რომ გამოუშვეს.

**- ამბობენ, რომ ხვედელიანი ბორჯომში თავისუფლად დადის იარაღით და იმუქრება. თქვენ ხომ არ გქონიათ მისგან რამე შემოთვლა, ან მესიჯი მას შემდეგ, რაც ის სასამართლოდან გაუშვეს?**

- არა, არ მინახავს...

**- ახლა რას აპირებთ?**

- რომც მოვკვდე, მაგათ უნდა ჩავყვე საფლავში, სხვა გზა აღარ დამრჩა. ყველა ზომას მივმართავ, რომ ის ხალხი, როგორც წესი და რიგია, ისე დაისაჯონ, რომ ასეთი რამ აღარასდროს განმეორდეს საქართველოში.




გოჩა ჯეირანაშვილი



**„გამწირეს. რომ მოვეკალი, უფრო კარგი იქნებოდა. რაკი ცოცხალი დავრჩი, ახლა მე დავხოცავ მაგათ ყველას!“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სოჭის ოლიმპიადა ჩაიშლება?



## გიორგი თავდგირიძე: „არ უნდა დავუშვათ რუსეთის სპეცსამსახურების რაიმე ფორმით ან მიზეზით საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედება...“

ქეთი ხატიაშვილი

**რუსული სპეცსამსახურებისთვის საქართველო დახურული ზონა იყო. რუსეთის აგენტები ან სამსახურებიდან დაითხოვეს, ან ციხეებში ისხდნენ. ღია მუშაობა, რასაც ისინი იგივე შევარდნაძის დროს ახერხებდნენ, სააკაშვილის დროს შეუძლებელი იყო. ადრე რუსეთის აგენტურა რამდენჯერმე გამოავლინეს და მათი ექსტრადიციაც კი განახორციელეს. ეს უკვე სიგნალი იყო – ღიად ვერ იმოქმედებდნენ, თუმცა, ზოგიერთებს „იატაკქვეშეთშიც“ არ გაუმართლათ.**

სოჭის ოლიმპიადისთვის პუტინი განსაკუთრებულად ემზადება. მას სურს, მთელ მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ მას და მის ქვეყანასაც შეუძლია, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მსგავსად, ასეთი სერიოზული ივენთების მოწყობა.

თუმცა, ამავე დროს ყოველთვის მიაჩნდა, რომ მიხეილ სააკაშვილი მის გეგმებს ხელს უშლიდა. ოლიმპიადაზე უსაფრთხოებაც დაცული უნდა იყოს. კრემლმა, ერთი მხრივ, აღიარა რომ 2008 წლის ომი სწორედ რუსეთმა დაიწყო – ეს პუტინმაც თქვა და მედვედევმაც, მეორე მხრივ კი, ირწმუნებოდნენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას შესაძლოა, პროვოკაციებიც მოეწყო.

სააკაშვილი იმ დროისთვის ხელისუფლებაში აღარ იქნება. თუმცა, როგორ გააკონტროლებს ჩეჩნეთს რუსეთი, ძნელი სათქმელია. მუქარა უკვე გაისმა. გავრცელდა დოკუ უმაროვის მიმართვა. „კავკასიის იმარატის“ ლიდერი რუსეთში მცხოვრებ მუსლიმანებს ჯიჰადისკენ მოუწოდებს.

ამ განცხადებას საქართველოში მაია ფანჯიკიძე გამოეხმაურა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტებით: „არსებობს საფრთხე სოჭის ოლიმპიადის ჩაშლისა... არ აქვს მნიშვნელობა, ეს სოჭი იქნება თუ რომელიმე სხვა ქვეყნის ქალაქი. ყოველთვის არსებობს საფრთხე იმისა, რომ გარკვეული ჯგუფები ეცდებიან ღონისძიების ჩაშლას ან ტერორისტული აქტის მოწყობას.

ამის მაგალითები, სამწუხაროდ, წარსულში ოლიმპიადებზე იყო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ სათანადო უსაფრთხოების ზომები მიღებული იქნება ორგანიზატორების მხრიდან და ჩვენც, მოგეხსენებათ, გამოვთქვით მზადყოფნა, რომ ყველა ამ საკითხზე ვითანამშრომლოთ...“

ფანჯიკიძემ თქვა და ექსპერტები ახლა ფიქრობენ, რას გულისხმობს და მოიცავს ეს თანამშრომლობა. ზოგიერთებმა იმის ეჭვიც გამოთქვეს, რომ აქ რუსეთს საკუთარი სპეცსამსახურების დაბრუნება სურთ.

ექსპერტი გიორგი თავდგირიძე გაუგებარს უწოდებს ქართველი მინისტრის განცხადებას და აღნიშნავს, რომ უნდა დაზუსტდეს, რა სახის თანამშრომლობაზეა საუბარი.

– არ უნდა დავუშვათ რუსეთის სპეცსამსახურების რაიმე ფორმით ან მიზეზით საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედება, ეს გამორიცხულია. თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის დონეზე, უფრო მეტი უკვე ღალატია.

თავდგირიძის განმარტებით, საქართველო ახლა, შევარდნაძის ხელისუფლებისგან განსხვავებით, საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, რომ თავად გააკონტროლოს ვითარება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და დაიცვას საზღვრები. „საამისოდ, საქართველოს ყველა ბერკეტი აქვს და რუსეთის სპეცსამსახურების შემოსვლის საჭიროება არ დგას“, – აღნიშნავს ექსპერტი.



# სოზარ სუბარი განათლების მინისტრად ინიშნება?




# ვინ შეცვლის გიორგი მარგველაშვილს?

თამარ გორთამაშვილი

**სოზარ სუბარმა შესაძლოა მალე პროფილი რადიკალურად შეიცვალოს და სასჯელაღსრულების მინისტრი, ქვეყნის პირველი „განმანათლებლის“ ამპლუაში მოგვევლინოს. განათლების მინისტრად სუბარის შესაძლო დანიშვნაზე, კულუარული ხმები მას შემდეგ გავრცელდა, რაც ცნობილი გახდა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის ვინაობა. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, როგორც კი განათლების მინისტრის პოსტი ვაკანტური გახდება და გიორგი მარგველაშვილი, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი ოფიციალურად დარეგისტრირდება, ვაკანსიას სწორედ სოზარ სუბარი შეავსებს. განათლების სამინისტროს თანამშრომლები პირად საუბრებში ადასტურებენ გავრცელებულ ინფორმაციას, ასე რომ, სუბარის გამოჩენა მათთვის სიურპრიზი სულაც არ იქნება.**

არაოფიციალური ინფორმაციით, სოზარ სუბარმა პროფილის შეცვლის თხოვნით, თავად პრემიერ ივანიშვილს მიმართა, მას შემდეგ, რაც სასჯელაღსრულების სისტემაში პრობლემები შეიქმნა. ითქვა ისიც, რომ პრემიერმა სუბარის თხოვნა არ დააკმაყოფილა და ისიც იძულებული გახდა ისევ „ციხეების“ მინისტრად დარჩენილიყო. მიუხედავად იმისა, რომ მასშტაბურმა ამნისტიამ ციხე ფაქტობრივად დაცალა, სუბარს უწყება მაინც მძიმე მემკვიდრეობად ერგო. აღმოჩნდა, რომ უფლებადამცველის და შემდეგ პოლიტიკოსის ამპლუაში ამ სისტემასთან ურთიერთობა უფრო მარტივი იყო, ვიდრე შემდეგ, როცა პასუხისმგებლობა დაეკისრა, გაეკონტროლებინა ის კედლები, საიდანაც ძველი ხელისუფლების რღვევა დაიწყო. მინისტრად დანიშვნიდან რამდენიმე თვის თავზე სუბარის უწყებამ თავად აღიარა, რომ სისტემაში პრობლემები იყო და ციხეს ე.წ. მაყურებლები აკონტროლებენ. ამის შემდეგ იყო რამდენიმე გახმაურებული სკანდალი, მათ შორის გეგუთის ციხეში პატიმარ ლევან კორტავას გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალება. თავდაპირველად სასჯელაღსრულების სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ მსჯავრდებული კორპუსიდან კორპუსში გადაყვანის დროს კიბიდან დაგორდა და სასიკვდილო დაზიანებები მიიღო. შემდეგ, თავად მინისტრმაც გააკეთა განცხადება და თქვა, რომ გეგუთის ციხეში მსჯავრდებულის კიბიდან დაგორება დაწესებულებაში პატიმრებს შორის მომხდარ კონფლიქტსა და ფიზიკურ დაპირისპირებას მოჰყვა. ვისთან მოუვიდა დაპირისპირება კორტავას მსჯავრდებულებთან თუ ბადრაგის თანამშრომლებთან, ეს ამ დროისთვის უცნობია, თუმცა გარდაცვლილის ოჯახი დარწმუნებულია, რომ ლევან კორტავა საბადრაგო სამსახურს შემოაკვდა. ჯერჯერობით საბოლოოდ არ გარკვეულა საქმის ვითარება, თუმცა ფაქტია, სუბარის პირად საქმეში ეს შემთხვევა შავად ჩაიწერება. სუბარის დოსიეს ვერც ქალთა კოლონიაში განვითარებული მოვლენები აცდება, როცა პატიმარმა ქალებმა ციხეში შიმშილობა გამოაცხადეს...

ასეა თუ ისე, სუბარს უწყებიდან სუფთა რეპუტაციით წამოსვლა არ უწერია და რამდენად შეძლებს ის ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის წარმატებით მართვას, ამას მომავალი გვიჩვენებს, თუ, რა თქმა უნდა, ის ამ პოსტზე დაინიშნება.

სანამ განათლების სამინისტროში სუბარის გამოჩენას ელოდებიან, კულუარებში მინისტრობის კიდევ ერთ კანდიდატზე დაიწყო საუბარი. ეს არის ვასილ მაღლაფერიძე, რომლის გამინისტრებასაც, ჯერ კიდევ გიორგი მარგველაშვილის დანიშვნამდე ვარაუდობდნენ, თუმცა არასამთავრობოთა ერთი ნაწილის, არც სურვილი და არც პროგნოზი მაშინ არ გამართლდა. სხვათა შორის ვასილ მაღლაფერიძის განათლების მინისტრად დანიშვნის მომხრე იყო სოზარ სუბარიც, როგორც მისი ერთ-ერთი ძველი მეგობარი. საბოლოოდ მაღლაფერიძის კანდიდატურა პრემიერის კარზე ჩავარდა. რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბიძინა ივანიშვილი ამჯერად და გაითვალისწინებს თუ არა ხსენებული პერსონების ჩინოვნიკურ ბექგრაუნდს, ეს აგვისტოში გაირკვევა. მანამდე კი სუბარს ისევ სასჯელაღსრულების არცთუ ისე მარტივი სისტემის მართვა და კონტროლი მოუწევს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა გარიგება შედგა ივანიშვილსა და ბაქრაძეს შორის





# პრემიერის უფლებები ვადამდელი არჩევნების არჩატარებაზე გაიცვალა?

ქეთი ხატიაშვილი

**ბიძინა ივანიშვილი „ნაციონალურ მოძრაობას“ მთავარ ოპოზიციურ ძალად აღიარებს. ამ აღიარებას შესაძლოა, მძიმე განცხადებები მოჰყვეს იმათი მხრიდან, ვისთვისაც კოჰაბიტაციაზე უფრო სერიოზული მტერი არ არსებობს. არასაპარლამენტო ოპოზიცია კრიტიკის ცეცხლს გახსნის როგორც „ქართული ოცნების“, ისე ნაციონალების მიმართულებით. ისინი შიშობენ, რომ პოლიტიკა ორპოლუსიანი გახდება და იგივე ნინო ბურჯანაძისთვის სივრცეს აღარ დატოვებენ.**

დავით ბაქრაძისა და დავით უსუფაშვილის შეხვედრა პრემიერთან სხვა დასკვნების საშუალებასაც იძლევა და ამაზე ღია მინიშნებები შეხვედრის შემდეგ უმცირესობის ლიდერმა გააკეთა. დავით ბაქრაძის შეფასებით, „ძალიან გულახდილი და სასარგებლო დისკუსია და საუბარი იყო. რა თქმა უნდა, ჩვენს შორის არსებობს ფუნდამენტური განსხვავებები მთელ რიგ საკითხთან მიმართებაში და ეს ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, მაგრამ ფაქტი, რომ ასეთი შეხვედრა და დიალოგი შედგა, პოზიტიურად უნდა შეფასდეს. მიმაჩნია, რომ რაც არ უნდა დიდი იყოს განსხვავება ჩვენს შორის, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ევალება, წაიყვანოს ქვეყანა და საზოგადოება შერიგების, დამშვიდების, განვითარების მიმართულებით...“

უნდა ვივარაუდოთ, რომ შერიგებისა და დამშვიდების გზა დაჭერებისა და მასიური დაკითხვებისკენ არ მიდის. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, საპრეზიდენტო მარათონზე ნაციონალების წინააღმდეგ აგორებული შავი პიარკამპანიას გრადუსი დაუწიონ ან ჩაუწიონ.

ვარაუდები, კონკრეტულად რა ითქვა და რა თემებზე იყო საუბარი დახურულ კარს მიღმა, ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციაში კიდევ დიდხანს გაგრძანდელი არჩევნების პერიოდზე. იცით, რომ დეკემბერში ქვეყანამ მიიღო ამნისტიის აქტი წინასაარჩევნო შემოწირულობასა და იქ არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ასეული ადამიანი დაკითხვაზე იყო დაბარებული და მათ მიმართ მიმდინარეობს სამართლებრივი დევნა. მე დავაყენე ეს საკითხი და მოხარული ვარ, რომ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა – პრემიერისა და პარლამენტის პირობა გახლავთ ის, რომ დევნა შეწყდება და პარტიის ფინანსურ შემომწირველთა მიმართ აღარ გატარდება შესაბამისი სამართლებრივი ზომები.

**ექსპერტ ლევან ალაფიშვილის განმარტებით, დავით ბაქრაძის მიერ დასახელებული შეთანხმების საგანი, რაც თუნდაც, წინასაარჩევნოდ შემოწირულებებთან დაკავშირებულ დარღვევებს უკავშირდება, პრემიერისა და უმცირესობის განხილვის კომპეტენციის საგანი ვერ გახდებოდა, იმდენად რამდენადაც ამ საკითხზე პარლამენტმა ამნისტია უკვე გამოაცხადა:**

– დიახ, ამნისტია მიღებულია და ახლა ის ვერ გახდებოდა შეთანხმების საგანი. სხვათა შორის, კანონი უფლებას აძლევდა ხელისუფლებას, ამ დარღვევების გამო „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პარტია, გაეუქმებინა, მაგრამ მიღებულ იქნა ამნისტია და „ქართულმა ოცნებამ“ თავად მოახდინა ამ პარტიის ლეგიტიმაცია.



## „სანაცვლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ მიიღებდა იმის გარანტიას, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნება“



## ლევან ალაფიშვილი: „ქართულ ოცნებას“ არა აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა...“



ძელდება. თავად დავით ბაქრაძის განმარტებით:

– ბევრი საკითხი იქნა განხილული, თუმცა რამდენიმე მათგანზე შეჯერება მოვახერხეთ. პირველი – შევთანხმდით, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. მასში წარმოდგენილი იქნება „ნაციონალური მოძრაობაც“, როგორც ძირითადი ოპოზიციური ძალა, ასევე სხვა პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები. მისი მიზანი იქნება, ყოველგვარი სიჩქარის, ფორსირების გარეშე, დინჯად და მშვიდად, ფართო კონსენსუსის საფუძველზე შეიმუშაოს კონსტიტუციის ის მოდელი, რომელიც საქართველოსთვის 10-15 წლის განმავლობაში იქნება ოპტიმალური.

მეორე საკითხი, რაც ჩემ მიერ იქნა დაყენებული, უკავშირდება „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო დაფინანსების საკითხს. საუბარია შაიყო სურვილი და პოზიცია პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან, რომ კარგი იქნება, თუ პარლამენტში აღდგება ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი და კანონპროექტების განხილვა წარიმართება აქტიური ოპონირებისა და საპარლამენტო უმცირესობის მონაწილეობის პირობებში. მე ვფიქრობ, რომ ეს უკვე შესაძლებელია. უმცირესობისადმი ჩემი რეკომენდაცია იქნება, რომ მომავალი კვირიდან საპარლამენტო მუშაობას დაუბრუნდეს...

ასეთ დროს ექსპერტები განსაკუთრებულად ფრთხილობენ შეფასებებში, პოლიტიკურმა გამოცდილებამ მათ ასწავლა ის, რაც ასე ლაკონურად თქვა ერთხელ სალომე ზურაბიშვილმა: ეშმაკები დეტალებშიაო. ჰოდა, ექსპერტებმაც იმ ეშმაკების ძებნა დაიწყეს, რომელიც შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ღიად არ ჩანს.

განხილვის საგანი ვერ გახდებოდა ვერც კონსტიტუციასთან დაკავშირებით სახელმწიფო კომისიის შექმნა, რადგანაც ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა... ასე რომ, საუბარი შესაძლოა, სხვა საკითხებს შეეხო. „ქართულ ოცნებას“ არა აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა და სავარაუდოდ, გარიგება სწორედ კონკრეტულ ცვლილებებს შეეხო. წარმოდგენილია სამი ჩასწორება, რომელიც ეხება კვორუმის დაწევას, ორმაგ მოქალაქეობას და პრემიერის უფლებამოსილებას... მაგალითად, იგივე პრემიერის უფლებების ეგრეთწოდებულ შეზღუდვას პარლამენტის ხარჯზე, სანაცვლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ მიიღებდა იმის გარანტიას, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საკრებულოს ახალი თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე გახდება?



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**საქართველოს მასშტაბით ნებისმიერი რეგიონალური საკრებულოს ოცნება ერთია - სათავეში „ოცნების“ კანდიდატურა მოიყვანონ. კოალიციის მხარდამჭერებმა ბრძოლა თვითმმართველობებში ორი ოქტომბრიდანვე დაიწყეს. სწორედ ამ დღიდან გროვდება საკრებულოებში, გამგეობებში შევარდნის, კარის აჭედვის, ფანჯრების რკინის სკამებით ჩალეწვის ისტორიები. ჯერი თბილისის საკრებულოზეც მიდგა. თუმცა დაპირება ბევრად ადრეულ პერიოდზე კეთდებოდა.**

ქრისტიან-დემოკრატებიდან გამოქცეული სამუშია-გაბუნია ჯერ კიდევ ხუთი თვის წინ აცხადებდნენ, გაზაფხულზე სამადაშვილს გადავაყენებთო. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიური ჯაბა სამუშია იყო. მისი გათვლებით საკრებულოს ჯერ უმრავლესობა უნდა შეეცვალა, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის ავტომატურ ცვლას გამოიწვევდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებდნენ მოქმედებას მერის მოხსნის საკითხზე. თუმცა გეგმები პირველ ეტაპზე მხოლოდ იმიტომ ჩაეშალათ, რომ არჩეული მერის მიმართ იმპიჩმენტის განხორციელება კანონით, უბრალოდ, შეუძლებელია. მაშინ საკრებულოს ოპოზიციამ ნაციონალების დასაშლელად გეგმა „ბ“ აამუშავა. ირაკლი შიხიაშვილი, ზურაბ გაჩეჩილაძე, იგივე „შონზო“ და კიდევ რამდენიმე წევრი ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებმაც ნაციონალები დატოვეს. მათ ეტაპობრივად მიყვნენ სხვებიც. ბოლო შოკი კოკი იონათამაშვილი იყო. იონათამიშვილს მიჰყვა დავით წერეთელი, რომელიც მანამდე რამდენჯერმე დაიბარეს დაკითხვაზე. სულ ორიოდე კვირის წინ განხორციელებულმა „სერიულმა“ დაპატიმრებებმა მერიაში ნაციონალების ფრაქციას საკრებულოში სერიოზული ზიანი მიაყენა. მისი წასვლით, ნაციონალებმა უმრავლესობაც დაკარგეს.

თუმცა, როგორც ჩანს, ამ „ნახტომმა“ იონათამიშვილის იმიჯიც შელახა. „ოცნებაში“ მასზე უკვე ხუმრობენ კიდეც, ვალებს ჩვენ ნამდვილად არ გადავუხდით, მაგის იმედი ნუ ექნებაო... ვალებზე საუბარი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც სააკაშვილისადმი გაგზავნილი წერილის შესახებ გახდა ცნობილი. საკრებულოს დეპუტატი პრეზიდენტს, უხეშად რომ ვთქვათ, 100 ათასი ლარის ოდენობის დახმარებას სთხოვს. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უკვე გახმაურებულ წერილზე აღნიშნა, რომ პოლიტიკა ვაჭრობა არ არის. კოკის ხმაურში ჩართვა და პასუხის გაცემაც მოუწია.

**კოკი იონათამიშვილი, საკრებულოს ნაციონალური ფრაქციის ყოფილი თავმჯდომარე:**

- მიხეილ სააკაშვილი ვერ ხვდება, რომ ამ პარტიის წევრების უმეტესობა ჩემ მიერ გაკეთებულ განცხადებას თავიდან ბოლომდე სოლიდარობას უცხადებს. მისი მხრიდან ასე პირდაპირ წარმოებული შანტაჟი, რღვევის პროცესს ვერ შეაჩერებს.

ჯაბა სამუშია უკვე აანონსებს, რომ მიმდინარე დღეებში ნაციონალებს კიდევ 6 წევრი დატოვებს და სწორედ ისინი შექმნიან ახალ, ორ ფრაქციას. დღევანდელი საკრებულოს ბალანსი დაახლოებით ასე გამოიყურება. ყველაზე დიდი ფრაქცია მაინც ნაციონალებს ჰყავთ - 23 წევრი. დანარჩენი 24 საკრებულოს წევრი ექვს სხვადასხვა ფრაქციაში არიან გადანაწილებულები: „დამოუკიდებელი დემოკრატები“ - 4 კაცი, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- 3 კაცი, „ქართული ოცნება - თბილისელები“ - 3 კაცი, „თავისუფლება“ - 6 კაცი, „ქართული ოცნება - თბილისი“ - 3 კაცი. დამოუკიდებელ დეპუტატთა ფრაქციაში იონათამიშვილის და დავით წერეთლის ხარჯზე ორი წევრით გაიზარდა და მათი რაოდენობა ექვსს აღწევს. ყოველ შემთხვევაში 24-კაციანი ერთობა საშუალებას იძლევა სამუშიას ოცნება - საკრებულოს თავმჯდომარეობიდან ზაალ სამადაშვილი გადააყენონ, ასრულდეს.

სამადაშვილის გადასაყენებლად საჭიროა საკრებულოს სრული შემადგენლობის, არანაკლებ 17 წევრის ხელმოწერა და თუ ამ საკითხს მხარს 24 წევრი დაუჭერს, ის გადაყენებულად ჩაითვლება. „ოცნებას“ დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად სწორედ ამდენი ხმა აქვს.

**ჯაბა სამუშია:**

- ზაალ სამადაშვილისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი თავისთავად დადგება უახლოეს სხდომაზე. ახალი რეალობა ახალ პოლიტიკურ კონიუნქტურას ითხოვს. უნდა შეგროვდეს 17 კაცის ხელმოწერა, რათა საკითხი დღის წესრიგში შევიდეს და შემდეგ კენჭისყრა ჩატარდეს. საკუთრივ „ოცნებას“ახლა 20-მდე წევრი ჰყავს და ეს თუნდაც დღის წესრიგში საკითხის შესატანადაა საკმარისი.

კახა კუკავას განცხადებით პირადად მისი ფრაქცია მზად არის მხარი იმ კანდიდატს დაუჭიროს, რომელსაც „ოცნება“ შეარჩევს.

**კახა კუკავა, საქართველოს ლიდერი:**

- თბილისის საკრებულოში „ნაციონალების“ უმრავლესობა უკვე დაიშალა. მთავარია თავმჯდომარე „ნაციონალი“ არ იყოს და ვისაც „ქართული ოცნება“ შეარჩევს, იმას დავუჭერთ მხარს. ჩვენ არანაირ კონსულტაციებს არ ვაწარმოებთ საკრებულოს თავმჯდომარესთან დაკავშირებით.

თუმცა საკითხის ჩავარდნის შემთხვევაში სამადაშვილს უკვე მეორედ გაუგრძელდება უფლებამოსილება სამთვიანი ვადით. პარტიები, სავარაუდოდ, შეთანხმდებიან სამადაშვილის გადაყენების საკითხზე, თუმცა მთავარი ეტაპი სწორედ ამის შემდეგ დაიწყება.

ვინ შეიძლება გახდეს სამადაშვილის შემცვლელი. ოფიციალურად ხუთი კანდიდატი დასახელდა: ჯაბა სამუშია, გულიკო ზუმბაძე, ირაკლი შიხიაშვილი, გიორგი ტყემალაძე და გიორგი მუსხელიშვილი. მათგან ღიად საკუთარი სურვილი სამუშიას აქვს დაფიქსირებული.

**ჯაბა სამუშია:**

- თავმჯდომარეობის თემამ ჩემთან დაკავშირებით ერთადერთხელ გაიჟღერა, ისიც ერთ ბრიფინგზე, მაგრამ მე საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის არ მიბრძოლია. თუმცა თუ ჩემი კოლეგები გადაწყვეტენ მე დამასახელონ, ამ შემოთავაზებას მივიღებ.

როგორც კულუარებში ამბობენ, ყველაზე რეალური კანდიდატი ზურაბ ტყემალაძის შვილი, გიორგი ტყემალაძეა. გიორგი საკრებულოში თავმჯდომარის მოადგილე და უმცირესობის ლიდერი იყო. მოადგილის პოსტი მან საგანელიძის პარლამენტში შესვლის შემდეგ ჩაიბარა. ბუნებრივია, საკუთარ გეგმებს ჯერჯერობით არ ამხელს:

**გიორგი ტყემალაძე:**

- ის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ უმრავლესობა აღარ ჰყავს, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ახალი უმრავლესობის არსებობას. მით უმეტეს, შესაძლოა, „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ რამდენიმე დეპუტატმა დატოვოს. ალბათ, ამ თვის განმავლობაში საბოლოო სურათი შეიქმნება, თუ ვინ სად გადავა და როგორ ჩამოყალიბდება ახალი უმრავლესობა. თავმჯდომარეობიდან ზაალ სამადაშვილის გადაყენება, რეგლამენტით, უკვე შესაძლებელია, თუმცა გიდასტურებთ, რომ დეპუტატები ჯერ არ ჩამოყალიბებულან, ვინ უნდა იყოს ახალი თავმჯდომარე. საკრებულოს წევრთა უმრავლესობაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ კოალიციაში შემავალ წევრებს ერთი კანდიდატურა ეყოლება. ვერ გიდასტურებთ იმას, რომ ეს საერთო კანდიდატი მე ვიქნები. მე პირადად, რა მინდა და როგორ მინდა, ეს სხვა თემაა, შემიძლია დავადასტურო, რომ ამ წუთას კოალიციას შეთანხმებული კანდიდატურა არ ჰყავს, მაგრამ ნამდვილად ეყოლება და იგი, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოს დასახელდება.

**გულიკო ზუმბაძე, „ქართული ოცნება - თბილისელების“ თავმჯდომარე:**

- ჩვენ უმრავლესობის ფორმირების პროცესი უკვე განვიხილეთ. კოლეგები სხვადასხვა კანდიდატურებზე საუბრობენ. მეც დამასახელეს, თუმცა ეს უკვე შემდეგი პროცესია, როცა უმრავლესობა შეიკრიბება და ეს თემა დღის წესრიგში დადგება, შემდეგ დაიწყება კანდიდატზე მსჯელობა.



Georgian Service (RFE/RL)

## გიორგი ტყემალაძე: ის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ უმრავლესობა აღარ ჰყავს, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ახალი უმრავლესობის არსებობას“




ზაალ სამადაშვილი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ზურაბ ვაზაგაშვილის ძმა ნარკოტიკებზე დააკავეს?




# რა სთხოვა იური ვაზაგაშვილმა ქალაქის პროკურორს?

**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეში ახალი დეტალები იკვეთება... პროკურატურამ, კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსანი დაკითხა, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალები არ ხმაურდება. რამდენიმე დღის წინ, ზურას მამა, იური ვაზაგაშვილი ქალაქის პროკურორს, მაია მწარიაშვილს პირადად შეხვდა და საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოისმინა. იური ვაზაგაშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას იმედს გამოთქვამს, რომ ძიება მალე დასრულდება და კონკრეტული პირები პასუხისგებაში მიეცემიან. პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცოტა ხნის წინ, სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით ზურაბ ვაზაგაშვილის ძმა, 32 წლის ჯაბა ვაზაგაშვილი დააკავეს, თუმცა ის ამჟამად თავისუფალია. ჯაბას დაკავების შესახებ ინფორმაცია იური ვაზაგაშვილმა დაგვიდასტურა, თუმცა მოტივი არ დაუკონკრეტებია.**

**იური ვაზაგაშვილი:**

– მეკითხებიან, თითქოს ძალოვნების მხრიდან ჩვენს ოჯახზე არის ზეწოლა, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. კი, ჩემი შვილი დაკავებული იყო, პატრულმა გააჩერა და ნამდვილად მოხდა დაკავება, თუმცა ნარკოტიკების რა მოგახსენოთ... მოკვლევა არის დაწყებული და ალბათ, გაირკვევა.

**– რა სიახლეა ზურას გარდაცვალების საქმეზე?**

– როგორც იცით, ჩვენ თავიდანვე, ნოემბერშივე შევიტანეთ პროკურატურაში განცხადება ახალ გარემოებებთან დაკავშირებით. მთავარმა პროკურატურამ მკვლელობის საქმეები, მათ შორის ზურას მკვლელობაც, ორი თვის წინ ქალაქის პროკურატურას გადააბარა. გამოიკვეთა გარკვეული სიახლეები, რომელიც ამ ეტაპზე გასაიდუმლოებულია. ძიება ნამდვილად მიმდინარეობს. ველოდები შედეგებს. ჩვენ გვაქვს ჩვენი ვერსიები, ეს საქმე თითქმის მთლიანად გამოძიებული გვაქვს. არსებობენ მოწმეები, თვითმხილველები. პოლიციის თანამშრომლებიდან დაწყებული სამოქალაქო პირებით დასრულებული. მათ კონკრეტულად დაინახეს ვინ ახორციელებდა სროლას შემთხვევის ადგილზე და რეალურად რა მოხდა.



### იური ვაზაგაშვილი: „ნამდვილად მოხდა დაკავება, თუმცა ნარკოტიკების რა მოგახსენოთ“

**– გასაიდუმლოებული რატომ არის ახალი დეტალები? ამდენად მნიშვნელოვანია გამოძიებისთვის?**





– გასაიდუმლოებულში იმას ვგულისხმობ, რომ პროკურატურას აქვს თავისი ვერსიები, რომლის გახმაურება, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ შეიძლება. აქვე მინდა კიდევ ერთხელ დავაფიქსირო, რომ სამწუხაროდ, პროკურატურაში დღეს კვლავ მოკალათებულნი არიან ისეთი პირები, რომლებიც წლების განმავლობაში ასეთი მკვლელობის ფაქტებს თეთრი ძაფით კერავდნენ. ბოლო შეხვედრების დროს მე ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ძიება არ შეჩერებულა, ჩემთვის საინტერესო კითხვებზე ნამდვილად მივიღე პასუხები.

**– უშუალოდ ვისთან გქონდათ შეხვედრა?**

– ბოლოს ქალაქის პროკურორს ვესაუბრე. მწარიაშვილს შევხვდით, მის მოადგილესთან ერთად. კიდევ ერთხელ ვთხოვეთ გულისყურით მოკიდებოდნენ ამ საქმეს, გავცვალეთ მოსაზრებები და ვერსიები. რამდენიმე პირი უკვე დაიკითხა ამ საქმეზე, თუმცა ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ მინდა რაიმე ისეთი ვთქვა, ხელი რომ შეეშალოთ. ერთს გეტყვით, რომ დაკითხულთა შორის არიან ყოფილი მაღალჩინოსნებიც.

**– დაახლოებით რა დროში შეიძლება გამოცხადდეს ეს საქმე გახსნილად?**

– ჩემი აზრით, ეს საკმაოდ მალე მოხდება, რადგან ამ საქმეს დიდი გამოძიება არ სჭირდება. ვერავინ შეძლებს ზურას საქმის სხვა მიმართულებით წაყვანას. მე მაინტერესებს ერთი – ვინ და რატომ გამოიტყუეს ჩემი შვილი? ვისი ინტერესი იყო ლიკვიდაცია, არა მხოლოდ ჩემი შვილის, არამედ სხვა უამრავი ახალგაზრდის. ყველა მკვლელი უნდა დაჯდეს საბრალდებო სკამზე, სხვა შემთხვევაში სამართლიანობა ვერ აღდგება. დემოკრატია არის მაშინ, როცა ქვეყანაში სამართლიანობა აღდგენილია. საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ ამას ითხოვს. იმიტომ მოვიყვანეთ ეს ხელისუფლება, რომ ეს პრობლემა აღარ ყოფილიყო, თუმცა ახალ ხელისუფლებასთან, ამ მიმართულებით, ჯერჯერობით ბევრი კითხვა გვაქვს. ბევრ ადამიანს, რომლებიც დღეს პროკურატურაში არიან მოკალათებულნი უამრავი სიბინძურე აქვთ გაკეთებული. ეს უწყება, ისევე როგორც შსს, გასაწმენდია.

**– ეს საკითხი დააყენეთ პროკურატურაში?**

– კი, ამაზეც ვესაუბრე ქალაქის პროკურორს, ასევე კბილაშვილს და ნაცვლიშვილს. მათი პასუხი იყო, რომ ესენი ხელს ვერ შეგვიშლიანო. ამას რა მნიშვნელობა აქვს, ხელს ვერ შეგვიშლიან არ არის დამაკმაყოფილებელი პასუხი. დანაშაული აქვს ჩადენილი ადამიანს და უნდა დაისაჯოს. მათ მითხრეს, რომ საქმეში ვინც გამოიკვეთება ყველა დაისჯება, იქნება ეს მოქმედი თუ ყოფილი ჩინოსანიო. ვნახოთ, მოუთმენლად ველოდები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კანონიერი ქურდების ადვოკა

მარიამ ნადირაძე

## ვისი მოკვლა დაავალეს კრიმინალური პოლიციის ყოფილ უფროსს და რა პრემიებს იღებდნენ პოლიციაში ინსცენირებული სპეცოპერაციების დროს ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების ლიკვიდაციისთვის?




**ამბობენ, ტერორი სისტემურ ხასიათს არ ატარებდაო. გარდა იმისა, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რა ხდებოდა ციხეებში, რა ხდებოდა პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორებში, როგორ ექცეოდნენ სამსახურებში, რა ხერხებით იმორჩილებდნენ თანამდებობის პირებს, როგორ სჯიდნენ ურჩებს და რა მეთოდებით მიიღწეოდა ე.წ. „წესრიგი“ სახელმწიფოში, ალბათ, დროა, ვისაუბროთ იმაზეც, რა სახის შანტაჟსა და ტერორს ჰქონდა ადგილი ადვოკატების მისამართითაც.**

**ამ ამბავს ერთი ოჯახის მაგალითზე გიამბობთ. ქმარი თერჯოლის კრიმინალური პოლიციის უფროსი იყო. ცოლი – ადვოკატი... ლედი ტუკვაძე ქუთაისში წლების განმავლობაში მუშაობდა ძალიან გახმაურებულ საქმეებზე. მის კლიენტებს შორის ბევრი იყო ე.წ. კანონიერი ქურდიც. მისი ოჯახის ტერორი სწორედ ამ წრის ადამიანებთან პროფესიულ კავშირს ეხება, სავარაუდოდ.**

**„პრაიმტაიმს“ საკუთარ ისტორიას დღეს სწორედ ეს ქალბატონი უამბობს:**

– დღემდე ამ თემებზე ხმა არ ამომიღია. ამას მაქსიმალურად ვერიდებოდი.

**– რატომ არ საუბრობდით?**

– სხვათა შორის, ახლახან მკითხა ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა იგივე, რატომ არ იყო ეს ისტორიები საჯაროდ გამოტანილი, რადგან ჩემი შემთხვევა ერთადერთია, როდესაც ადვოკატს მანქანა აუფეთქეს. დღემდე მაქვს პრინციპული დამოკიდებულება, რომ არ მინდა, ეს ისტორიები საპიარო თემა გახდეს. ჩემთვის მთავარია, რეალობა გაირკვეს და დამნაშავე დადგინდეს. 2010 წლის შემდეგ დღემდე, როცა მანქანას ვქოქავ, საშინელი განცდა მაქვს, რომ, როგორც კი გასაღებს გადავკრავ, შეიძლება მანქანა ჰაერში აიწიოს. უკვე 3 წელზე მეტია, ამ განცდით ვცხოვრობ და როცა მანქანას ვძრავ, ჩემი შვილი ჩემ გვერდით არასდროს არის. ადვოკატობას რომ თავი დავანებოთ, ქალისთვის ეს ასატანად ძალიან რთულია. მე მქონდა შეხვედრები ძალიან მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან. ყველას ვთხოვდი, რომ ფინანსურადაც დავეხმარებოდი გამოძიებას, ოღონდაც ეს საქმე გამოძიებულიყო. დღემდე გაურკვეველია, როგორ მოხერხდა, რომ ვიღაცამ მოვიდა პოლიციის გვერდით შენობასთან (სწორედ იქ მდებარეობს ჩემი საცხოვრებელი სახლი), დაამზადა ასაფეთქებელი ნივთიერება, გამოიყენა ამისთვის 200 გრამი ტროტილი (სხვათა შორის, ეს ახლახან გახდა ჩემთვის ცნობილი), დაამზადა შემაყოვნებელი, ანუ პულტი, მოიტანა, ამოამაგრა მანქანის ქვემოთ. ეს ყველაფერი კი გააკეთა 2010 წელს, როცა ერთი კრიმინალიც კი არ ჭაჭანებდა ქუთაისის კი არა, მთელი საქართველოს მასშტაბით ქუჩებში. ვინ იყო ასეთი გულადი, ვინც ეს ყველაფერი გააკეთა?

**– თქვენ რას უკავშირებთ ამ ყველაფერს?**

– ძალიან ბევრ რამეს. იმ დროს მქონდა საკმაოდ სკანდალური საქმეები. როდესაც ამ სფეროში მუშაობ, ბუნებრივად ხდები გარკვეული ინფორმაციის მატარებელი, ვიღაც თანამშრომლობს, ვიღაცას რაღაცა ისტორია გადახდენია... ადვოკატი რომ ხარ, კლიენტი ხშირად შენთან იცლება, ყოველ შემთხვევაში, ჩემს შემთხვევაში ასე ხშირად ხდებოდა, მე სიღრმისეულად ვიცოდი კლიენტების პრობლემები. შემდეგ ეს ადამიანი წინაურდება, რაღაც თანამდებობაზე ინიშნება და უკვე აღარ მოსწონს ის ფაქტი, რომ ერთ დროს მის მიერ გამოჩენილი ერთგვარი „სისუსტის“ გამო, მის შესახებ მისთვის არასასურველ ინფორმაციას ვიღაც, თუნდაც მისი ყოფილი ადვოკატი ფლობს. ამას გარდა, არსებობს სხვა მიზეზებიც და იმ აფექტების ფაქტის გარშემო დღემდე უამრავი კითხვა დამიგროვდა. თუ ვინმეს ჩემი გამწარება უნდოდა, ამის გაკეთება აბსოლუტურად მარტივადაც შეიძლებოდა: მოასხამდა ბენზინს გარშემო ჩემს მანქანას და გაჰკრავდა ასანთს. ამდენი ხლაფორთის გარეშე იგივე მიზანს მიაღწევდა.

**– ფიქრობთ, რომ პროფესიონალმა გააკეთა?**

– სიმართლე გითხრათ, რა მესიჯი იყო ეს, დღემდე ვერ გავიგე... მაშინ დაინგრა ჩემი ფსიქიკა. გავნადგურდი. ამის მერე ვზომავდი ჩემს ყველა ნაბიჯს. ამ ამბავს მოჰყვა ის, რომ გადაიკეტა ჩემთვის პროკურატურასთან მისასვლელი ყველა გზა. ქუთაისში იყო ერთ-ერთი პროკურორი, რომელთანაც წლების განმავლობაში არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა. ვერ გეტყვით, რის გამო გააკეთა ეს ყველაფერი, შესაძლოა, პირადი ამბიციების გამოც, მაგრამ შეიძლება ვიღაცის დავალებით, რომ ის თათბირებსაც კი ატარებდა მოთხოვნით, რომ მე პროკურატურის კარი არ უნდა შემეღო და ყველა ის ადამიანი, ვისაც მე დავიცავდი, მაქსიმალურად დაისჯებოდა. პირდაპირ ითხოვდა, არ მოიყვანოთ ტუკვაძე, თორემ დაგხვრეტთო. ამ პერიოდს კიდევ ერთი ისტორია უკავშირდება: არსებობს ასეთი ადამიანი, ვეფხვია კიკნაველიძე, რომელიც არის ჩემი ძმადნაფიცი, ამის შესახებ იცის ყველამ – ჩემმა მტერმაც და მოყვარემაც. მას ჰქონდა გარკვეული პრობლემები, რომელიც მე და ჩემმა კოლეგამ, ნინელი ქოიავამ მოვუწესრიგეთ, გავამართლეთ. ის იყო ჩემი ქმრის ნათესავი. იმ პერიოდში ეყოლა შვილი, რომელსაც ჩემი სახელი დაარქვა. მე უნდა ვყოფილიყავი ბავშვის ნათლია. ამ ადამიანს მეუღლესთან ჰქონდა რაღაც პრობლემები. ერთ დღესაც ვიგებთ, რომ ცოლ-ქმარს შორის მოხდა ჩვეულებრივი კონფლიქტი, რასაც ჩაეძიენ სამართალდამცველები. ვეფხია ჩამოვიდა ქუთაისში, გადაწყვიტა, ცოლს გასცილებოდა და დაეწყო ეს დავა. პირველად გავიგეთ, რომ საქმე სხეულის დაზიანებაზე იყო აღძრული. რამდენიმე ხანში გავიგეთ, რომ თითქოს მან მარილმჟავა შეასხა მეუღლეს. როდესაც ეს გადავამოწმეთ საავადმყოფოში, გვითხრეს, რომ არსებობდა სამედიცინო ფურცელი, სადაც ეწერა, რომ შემოყვანილი იყო გოგონა, რომელიც ამბობდა, რომ მარილმჟავა შეასხა მეუღლემ, მაგრამ დაზიანება არ აღენიშნებოდა. თქვენ წარმოგიდგენიათ, მარილმჟავას რა დაზიანებების გამოწვევა შეუძლია? ამ დროს მკურნალობის ნაწილში წერია, რომ დაალევინეს ვალერიანი და „ბორჯომი“. ვეფხია, რა თქმა უნდა, კატეგორიულად უარყოფდა ამ ფაქტს. აღმოჩნდა, რომ მათ ჰქონდათ რაღაც ოჯახური საიდუმლო და თუ ამას ფარდა აეხდებოდა, ცოლი ყველაფერზე წავიდოდა. ამ ამბავს მოჰყვა ძალიან საინტერესო ფაქტი: ვეფხიას დედასთან მიდის ერთი პოლიციელი ზესტაფონის სამმართველოდან და ეუბნება, ვეფხიამ აუცილებლად მნახოს, რაღაც პრობლემააო. შეხვედრა შედგა და ასეთი დიალოგი წარიმართა მათ შორის: პოლიციელმა უთხრა, – ეს არის ჩემი ხელმძღვანელობის დავალება, რომ შენ ლედი ტუკვაძის სახლში სველი იარაღი უნდა ჩადოო. ამ ბიჭს ჩვენს მოურავსაც ეძახდნენ. ერთადერთი ადამიანი იყო, ვისთვისაც ხელმისაწვდომი იყო ჩვენი სახლის გასაღები. როდესაც ჩვენ ქალაქიდან გავდიოდით, მას შეეძლო სახლში დარჩენა.

**– სველი იარაღი რას ნიშნავს?**

– ანუ, იარაღი, რომელიც რაიმე დანაშაულში ფიგურირებდა. ამ იარაღისთვის ხელი უნდა მოეკიდა ჩემს შვილს, რათა მოგვიანებით დადგენილიყო, რომ ის ნამდვილად ჩვენს ოჯახს ეკუთვნოდა. ბუნებრივია, მე რომ მენახა ის, ხელს ნამდვილად არ მოვკიდებდი. ამის გარდა დაავალეს, რომ სახლიდან გამოეტანა ყველა აუდიო და ვიდეოდისკი. ვეფხია მათ ჰპირდება, რომ ამას გააკეთებს, სამაგიეროდ კი პოლიციელი აღუთქვამს, რომ მას მისცემენ ვიზას და წავა საზღვარგარეთ, იმ ქვეყანაში, სადაც უნდა, და ისინი ამაში მას დაეხმარებიან.

> „იმდენჯერ შემაშინეს, უკვე აღარაფრის მეშინია“

წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაისჯება ძალიან მკაცრად. ვეფხია მათ თანხმდება. რამდენიმე ხანში ის ახერხებს ჩემთვის სხვისი დახმარებით შეტყობინებას, რომ გამოვცვალო საკეტი და გავიდე სახლიდან. გაფრთხილება მივიღე დისკებზეც. ეს იყო ჩემთვის შოკი. ვიბარებ ჩემს ერთ-ერთ თანამშრომელს. ძალიან ვიწრო წრეს ვანდობ ამ ყველაფერს და მაფრთხილებენ, რომ შევწყვიტო ამაზე საუბარი. ვეფხიამ გაქცევა გადაწყვიტა. მე დავურეკე ჩემს მეუღლეს, რომელიც უკვე საზღვარგარეთ იყო და ვუთხარი ამ ყველაფრის შესახებ და ვკითხე, რა აუდიოჩანაწერს შეიძლება ეძებდნენ და სად შეიძლება ის იყოს... რაკი ვეფხია პოლიციის მოთხოვნას არ დაჰყვა, ძალიან ცოტა ხანში მის საქმეზე იცვლება კვალიფიკაცია და კვალიფიცირდება მკვლელობის მცდელობით. განმეორებით რამდენჯერმე იკითხება დაზარალებული. ის ყვება, თითქოს, მას ქმარმა ძალით გააღებინა პირი, უნდოდა მარილჟავას ჩასხმა. გასაკვირია, რომ ორასკილოიანი კაცი ამ კაფანდარა, სიმპათიურ გოგონას ვერ მოერია. ის ყვებოდა, რომ თითქოს ქმარი მას დაეწია, პირი გააღებინა, ის გაექცა, მისი ხალათი შერჩა ვეფხიას და მარილმჟავა შეესხა ხალათს და ამით გადარჩა. ახლა ვნახოთ, რა მტკიცებულებები დევს საქმეში: ამოღებულია ქილა, სადაც ესხა ეს მჟავა, რომელიც ეკუთვნოდა ამ გოგონას მამას, რომელიც ხელოსანია, ჩატარებულია დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა და თითის კვალი საერთოდ არ აღინიშნება. ამოღებულია ხალათი, ჩატარებულია ექსპერტიზა და არც მასზეა თითის კვალი. ამოღებულია ნიადაგი და მასზეც მჟავის კვალი საერთოდ არ არის. დაზიანებების შესახებ უკვე მოგახსენეთ. ეს ის თემაა, რომლის გამოც ხარვეზების დადგენის კომისიას ველოდებით და ეს აუცილებლად გახდება დავის საგანი.

**– საბოლოოდ ვეფხია დაიჭირეს?**

– კი, მკვლელობის მცდელობით მას 8 წლით აღუკვეთეს თავისუფლება. ის დაიჭირეს აეროპორტში. რამდენჯერმე სცადეს მისი ლიკვიდაცია. მისი აყვანის ოპერაციას ის პოლიციელიც ესწრებოდა, ვინც უშუალოდ შესთავაზა ვეფხიას ჩემს სახლში იარაღის ჩადება. ზუსტად იმ ადამიანმა გზაში, როცა ის უკვე ხელბორკილდადებული მანქანით მოჰყავდათ, რამდენჯერმე შესთავაზა ვეფხიას საპირფარეშოში წასვლა. უარი უთხრა. მერე შესთავაზა, მანქანაში ხატები გვაქვს და აქ ვერ მოგაწევინებთ, თუ გინდა, გადადი მანქანიდან და იქ მოწიეო. ვეფხია ამ შეთავაზებებმა დააეჭვა. მიხვდა, რომ გაქცევის სცენა უნდოდათ გაეთამაშებინათ, რა დროსაც მას მოკლავდნენ. 21 თებერვალს იხსნებოდა მისი პროცესი. წინა დღეს ჩემი მანქანა აფეთქდა.

**– აფეთქების დეტალები მომიყევით...**

– ეს მოხდა ღამის 3-4 საათზე. იმ დღეს მე თბილისში ვიყავი წამოსული, რადგან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ერთ-ერთი პატიმარი უნდა მომენახულებინა „რეზბალნიცაზე“. იქ დავეცი. იმ საღამოს ყველამ იცოდა, რომ უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ იმდენად ცუდად ვგრძნობდი თავს, რომ „მარშრუტკიდან“ ჩამოვედი. ერთ-ერთი კლიენტის მეუღლე მახლდა, ჩემი მეგობარი, მითხრა, რომ მასთან დავრჩენილიყავი და დილით წავსულიყავი. დილის 6 საათზე მირეკავენ და მეუბნებიან, რომ ჩემი მანქანა აფეთქდა. ბოლო მომენტამდე მეგონა, რომ თვითონ მანქანას დაუზიანდა რამე და იმიტომ მოხდა ეს ყველაფერი. მაგრამ ის, რომ ვინმემ ეს სპეციალურად გააკეთა, ვერაფრით წარმომედგინა. დღემდე ეს საქმე გამოუძიებელია. ერთი ფურცელიც კი არ აქვს გამოძიებას საქმეში ჩადებული და ერთი კაციც არ დაუკითხავს. როცა ხელისუფლება შეიცვალა და რეგიონის პოლიციის უფროსად დაინიშნა კაცი, რომელიც ჩემზე ათასჯერ მეტად იყო ნატანჯი ნაციონალებისგან, გამეზარდაშვილი, შევხვდი მას და მისივე დავალებით, ამდენი წლის შემდეგ მონახეს ეს დამტვერილი საქმე და განახლდა გამოძიება. დაიწყო დაკითხვები, მაგრამ ძალიან დიდი დროა გაშვებული... თქვენ რომ არ გამოგეჩინათ ინიციატივა, ამ თემაზე ბოლომდე არ დავილაპარაკებდი. ახლა ძალიან სერიოზულ პასუხებს ველოდები.

**– რა მანქანა გყავდათ?**

– ჩვეულებრივი „ბეემვე“. დაზღვეული არ იყო. ძალიან საეჭვო იყო წინა ავარიაც. მაშინ „იქს 5“-ით მოვყევი ავარიაში. დაძვრისთანავე მომენტალურად აკრიფა სიჩქარე და დაკარგა მართვა. მე ვიჯექი საჭესთან. სახლიდან გამოვდიოდი, დღისით, მზისით... ეს ის პერიოდი იყო, როცა საქართველოში წუნიანი მანქანები შემოიყვანეს. იმ პერიოდში ეს ძალიან აქტუალური თემა იყო. ტურბო გამოვიდა მწყობრიდან. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ 1 წლის შემდეგ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. მანქანაში იყო არანორმალური ხმა.

**– მოდით, ისევ იარაღის თემას დავუბრუნდეთ. თქვით, რომ ეჭვი გქონდათ, რომ აუდიოჩანაწერები თქვენს მეუღლეს უკავშირდებოდა, რომელიც იმ დროისთვის საქართველოში აღარ იყო ...**

– ჩემი მეუღლე თავის დროზე იყო თერჯოლის კრიმინალური პოლიციის უფროსი. მას დაავალეს ერთ-ერთი კრიმინალური ავტორიტეტის ლიკვიდაცია. იმ კაცის ინტერესებიდან გამომდინარე, მის გვარსა და სახელს ვერ გაგიმხელთ. ეს იყო ადამიანი, რომელსაც ძალიან გავლენიანი წრე ჰყავდა. იმ პერიოდში სპეცოპერაციებზე სამინისტრომ ძალიან მაღალი თანხები გამოყო კრიმინალური ავტორიტეტების ლიკვიდაციაზე. ეს იყო 5-10 ათასი ლარი. ამ პერიოდში პრემიებს იღებდნენ პირველი და მეორე პირები.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ტის სკანდალური ისტორიები

USIVE



„ჩემი მეუღლე თავის დროზე იყო თერჯოლის კრიმინალური პოლიციის უფროსი. მას დაავალეს ერთ-ერთი კრიმინალური ავტორიტეტის ლიკვიდაცია“

## ...ე მირეკავენ და ...ი მანქანა აფეთქდა



## ლედი ტუკვაძე: „აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ახალი ხელმძღვანელობა სპეცოპერაციების თემით, რომლისთვისაც კოლოსალური თანხებს იხდიდნენ მერაბიშვილის უწყებაში“

ადამიანები, რომლებიც ასეთ დაკვეთებს ასრულებდნენ, დღესაც თანამდებობებზე არიან. ამ განცხადების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, მათ კიდევ ერთხელ ექნებათ მცდელობა, რომ ისევ დამიბრუნდნენ და ისევ დაიწყოს ანალოგიური შევიწროება ჩემი მისამართით. რადგან ეს ის თემაა, რაც მათ საბოლოოდ დაასამარებს.

**– მაგრამ თქვენ თავს იკავებთ მათი ვინაობის დასახელებისგან. პროკურატურაში განაცხადეთ ამის შესახებ?**

– მე ოფიციალურად ვარ დაკითხული და ჩვენებაც მიცემული მაქვს. მაგრამ ამ ნაწილში – არა, ეს ჩემი მეუღლის თემაა და რამდენად გადაწყვეტს ჩვენების მიცემას, ეს მთლიანად მასზეა დამოკიდებული. მთავარია, რომ ეს ყველაფერი ტრაგედიით არ დამთავრდა. იმ კრიმინალური ავტორიტეტისთვის ცნობილი გახდა, რომ ის შეიძლებოდა მოეკლათ და მან დატოვა საქართველო იმ პერიოდში.

**– თქვენი დამსახურებით?**

– რა მნიშვნელობა აქვს, ვისი დამსახურებით... ეს კაცი რატომღაც სიკვდილს გადაურჩა და ჩემს ოჯახს დიდი ცოდვა არ აეკიდა. მისი დაკავება საბოლოოდ მაინც მოხერხდა. ბოლომდე აწამებდნენ მას. ლიკვიდაციას კი გადაურჩა, მაგრამ ძალიან დიდი ხანი ჰყავდათ გამოკეტილი. ამ ყველაფრის შემდეგ დაპირისპირება მოხდა ჩემს მეუღლესა და გარკვეული თანამდებობის პირებს შორის. რაკი ჩემმა მეუღლემ ეს დავალება არ შეასრულა, მის წინააღმდეგ საქმე აღძრეს, თითქოს მან შეურაცხყოფა მიაყენა ვიღაცას, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით დაიწყეს ძიება. მერე ეს რომ არ გამოდიოდა, ხულიგნობის პირველი ნაწილით გადაკვალიფიცირდა და კეთილი ადამიანების დამსახურებით 1 დღეც არ მჯდარა. რომ არა იმ პერიოდის სამხარეო პროკურორი, გონიერი ადამიანი, ეს ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდებოდა. ის არ აჰყვა გარკვეულ დავალებებს და ასეთი გამოსავალი ნახა, ვინაიდან საქმეს მთლიანად ვერ შეწყვეტდნენ...

**– ამ დაკვეთას ეხებოდა ეს აუდიოჩანაწერი?**

– რა თქმა უნდა. ჩემმა მეუღლემ ერთ-ერთ პროკურორს ჩაუწერა ეს ამბავი, სადაც ამ ყველაფრის შესახებ ერთმანეთში ილაპარაკეს. ის მაშინ სტაჟიორი პროკურორი იყო. ჩემი ქმარი ეუბნებოდა, ჩემით გინდა კარიერის გაკეთება და ვინ დაგავალა, ჩემთვის ეს შეკვეთა გადმოგეცაო. მოგვიანებით ზუსტად ეს პროკურორი შედის ვეფხია კიკნაველიძესთან. ის იყო მისი საქმის ზედამხედველი პროკურორი. ის დღესაც პროკურატურაში რჩება, ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზეა. შესაძლოა, ამ ყველაფერს საერთოდ კავშირი არ ჰქონდა ჩემი მანქანის აფეთქებასთან, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ხდებოდა? რაღაცისთვის ხომ ვიყავით გამზადებული, განწირული? ვიღაცა ხომ ავალებდა ვეფხვიას იმის გაკეთებას, რაც მე საბოლოოდ დამძირავდა. ეს ჩემი მეგობარი დღეს ჩემ გამო იხდის სასჯელს. ის ამ გარიგებაზე არ წავიდა, როგორც ღირსეული ადამიანი და მე მთელი ცხოვრება ადამიანური ვალდებულება მექნება მის მიმართ. ზესტაფონის სამართალდამცველები მარტო იმაზე მუშაობდნენ, როგორ დაეჭირათ ვეფხია. როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, ვეფხიამ სათანადო ორგანოებს გაუგზავნა თავისი განცხადებები, მაგრამ, როცა მას შეხვდნენ ჩვენების მისაცემად, მან თავი შეიკავა და ადვოკატის თანდასწრებით დაკითხვა მოითხოვა. იმ დროს ზესტაფონის პოლიციის უფროსი იყო ვინმე ობოლაძე, ეს ის ობოლაძეა, წინასაარჩევნო პერიოდში კალაძეს რომ დაუპირისპირდა. მოადგილე იყო და შემდეგ ენაცვლება დავით ცირეკიძე. სხვათა შორის, ის ოპერი, რომელმაც ვეფხიას ჩემთვის იარაღის ჩადება მოსთხოვა, მოგვიანებით ნარკოტიკულ დანაშაულზე დაიჭირეს.

**– ის აუდიოჩანაწერი არსებობს?**

– ამის შესახებ, ალბათ, ჩემი მეუღლე იტყვის მოგვიანებით, რა თქმა უნდა, თუ ამას გადაწყვეტს.

**– ბოლოს და ბოლოს, მთელი ეს კამპანია თქვენი საქმიანობის წინააღმდეგ იყო მიმართული, თუ თქვენი მეუღლის?**

– ვერ გეტყვით. ეს არ არის ის თემა, რომლითაც შეიძლება პიარი გაიკეთოს ადამიანმა. ეს ჩემი ოჯახის უსაფრთხოებას ეხება. ამიტომ გამოძიების დასრულებამდე ვარაუდების მტკიცებით წარმოდგენა გამიჭირდება. თუმცა, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდები, რომ ეს საქმეები ძალიან მაღალი თანამდებობის პირების მიერ დაიგეგმა. მე მქონდა ათასი შემოთავაზება, რომ მიმემართა საელჩოებისთვის და მეთხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი დამპირდა, რომ შეატყობინებდა საერთაშორისო ორგანიზაციებს...

**– იციან მათ ამ ისტორიების შესახებ?**

– დიახ და მოითხოვდნენ, რომ გამეკეთებინა განცხადებები... მაგრამ არ ვაკეთებდი. არც ეს არის რადიკალური განცხადება. ეს უფრო მეტად ჩვენი საუბარია, რომელსაც, ალბათ, ძალიან მალე სკანდალური და ფართო მასშტაბები მიეცემა...

**– თქვენ დღესაც აგრძელებთ საადვოკატო საქმიანობას და საკმაოდ გახმაურებული საქმეები გაქვთ კვლავ. იყო რამე მოძრაობა, რომ კვლავაც შეიძლებოდა რამე საფრთხე შეგქმნოდათ?**

– ომში როცა ხარ, იმის განსჯის თავი აღარ გაქვს, გაიმარჯვებ, თუ წააგებ... იმდენჯერ შემაშინეს, უკვე აღარაფრის მეშინია. უკვე ძალიან რადიკალურ ტალღაზე გადავედი... ჩემს უკან ყოველთვის ვიღაც თავის სამსახურს იკეთებდა, ახლა უკვე აბსოლუტურად სხვა პოზიცია მაქვს. ერთხელ შემეშინდა, უკვე აღარ შემეშინდება... ის ადამიანები დღემდე მუშაობენ გარკვეულ თანამდებობებზე. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ერთი სიკვდილით ყველა კვდება. მეტი რა უნდა მოხდეს ჩემს თავს, რაც უკვე მოხდა? ჩემი შვილი 4 წელი მამის გარეშე ცხოვრობდა და ეს მისთვის ძალიან დიდი ტრაგედია იყო... დღეს შედარებით მშვიდად ვარ, რადგან როგორი მინისტრიც არ უნდა იყოს ღარიბაშვილი, და როგორი პროკურორიც არ უნდა იყოს კბილაშვილი, მათ უწყებებთან, რა თქმა უნდა, ხშირად ვიქნები კამათის რეჟიმში, მაგრამ მთავარია, რომ ამათ უკან სისხლი არ არის და ღმერთმა ნუ ქნას, რომ გაჩნდეს... რეგიონშიც ხომ მოხდა ცვლილებები? ეს სისხლიანი ხალხი არ არის, მაგრამ ბევრი ის ადამიანი რჩება თანამდებობებზე... ვისთანაც მე პრობლემა მქონდა იმერეთში და რომლებმაც იმერეთს გადაუარეს და იმერეთში არანაკლებნი იყვნენ, ვიდრე ახალაიები. იმ პოლიციელებმა, ვინც დააბინძურეს ნაციონალები, დღეს გადაინაცვლეს სხვა თანამდებობებზე, ამ სისტემაში დარჩნენ. ეს ყველაფერი კი იმ დროს, როდესაც რეგიონს კადრების სიმწირე არ უნდა ჰქონდეს, იმდენი პროფესიონალი ზის სახლში... ეტყობა, იმერეთისთვის ჯერ არ სცალიათ... აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ახალი ხელმძღვანელობა სპეცოპერაციების თემით, რომლისთვისაც კოლოსალურ თანხებს იხდიდნენ მერაბიშვილის უწყებაში.

**– ინსცენირებულ სპეცოპერაციებზე საუბრობ?**

– რა თქმა უნდა... იმედია, ამ კადრებისგან ნელ-ნელა გაიწმინდება პროკურატურა და პოლიცია, ათასობით მართალი ბიჭის სისხლი რომ აქვთ დაღვრილი...

**– მოდით, ახლა იმ გახმაურებულ საქმეებზე გადავიდეთ, რომლებზეც ახლა მუშაობთ. თქვენ გარდაცვლილი პატიმრის, ლევან კორტავას ოჯახის ადვოკატი ხართ. რა ეტაპზეა გამოძიება?**

– კორტავას საქმეზე ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო პატიმარმა ცხადაძემ.

**– იმის გამო, რომ ადმინისტრაცია გადაარჩინოს?**

– არ ვიცი, ვის შეკვეთას ასრულებს. მაგრამ ფაქტია, რომ უმეტესი სამართლებრივი ტვირთი უნდა მივიდეს ადმინისტრაციაზე. დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, პატიმრები მას პრობლემას არ შეუქმნიდნენ და ასე სასტიკად არ მოექცეოდნენ. ეს ჩემი სუბიექტური აზრია, თუმცა, გამოძიება იმისთვის არის გამოძიება, რომ ყველაფერი დაადგინოს. რასაც ვუყურებ, ოლქის პროკურატურა ამ დრომდე მაქსიმუმს აკეთებს. აუცილებლად უნდა დადგეს ციხის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხი. უკვე დროა, რომ საბოლოოდ ყველაფერს ფარდა აეხადოს.

**– თქვენ კანონიერი ქურდის, ტარიელ ფოცხვერიას ადვოკატიც ხართ, რომელიც ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ერთ კვირაში შეაბრუნეს უკან...**

– ამ ეტაპზე ერთადერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ ის უმძიმესი ავადმყოფია. მე მისი შვილიშვილის ნათლია ვარ და წლებია, მისი ადვოკატი ვარ. ის ძალიან მძიმეა. დაავადებულია ონკოლოგიური დაავადებით. შესაძლებელია, ეს სტატია მისთვის ხელმისაწვდომი გახდეს და მე არ მინდა დეტალებზე საუბარი, რომ არ დავარღვიო მისი უფლებები. არაფრით არ შეიძლება მისი იმ პირობებში ყოფნა. ეს იქნება მომაკვდინებელი მისთვის. ახლა ველოდებით, რა პასუხს დადებს ექსპერტიზა.

**– თქვენი კლიენტები იყვნენ კანონიერი ქურდები – ჭურაძე, კვიჟინაძე, ჟორჟიკიჩი... ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ამბობენ, რომ მათ სამართალდამცველებმა პირობა წაუყენეს, რომ მათ სამი დღის ვადაში უნდა დაეტოვებინათ საქართველო. ვიცი, რომ მათ ეს პირობა შეასრულეს. არ შეასრულა მხოლოდ ტარიელ ფოცხვერიამ. ეს ხომ არ გახდა მისი ხელახალი დაკავების მიზეზი?**

– ეს მან განა არ გააკეთა, ვერ გააკეთა, რადგან მას აუცილებლად სჭირდებოდა მკურნალობის კურსის გავლა. მისმა მეუღლემ მისი მთელი სამედიცინო დოკუმენტაცია თარგმნა, რათა საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ იქ მოეხერხებინა მკურნალობა. ამას ხომ დრო სჭირდებოდა? მან 3 დღეში დატოვა ქუთაისი, ისე, რომ შვილიშვილს არც კი დამშვიდობებია, ელემენტარულად პასპორტი ხომ სჭირდებოდა? იუსტიციაში მოთხოვნა შესული იყო. ასეთი მძიმე ავადმყოფის წაყვანა საზღვარგარეთ ასე ადვილად ვერ ხერხდება.

**– ანუ, წასვლა დააგვიანა და იმიტომ მოხდა, რაც მოხდა?**

– ეს ის თემაა, რომლის შესახებაც ადვოკატები კომენტარს მოგვიანებით გავაკეთებთ. ჩვენ გვაქვს მტკიცებულებებიც, მაგრამ ამ ეტაპზე, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გარდა, ვერაფერზე ვისაუბრებ. უბრალოდ, მინდა ვკითხო დღევანდელ სასჯელაღსრულებას და სამართალდამცველებს: ბატონებო, თქვენთვისაც სულერთია ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა? იგივე უნდა განმეორდეს, რაც ნაციონალური ხელისუფლების დროს ხდებოდა?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ვფიქრობ, ბედუკაძეს სასჯელ



## დავით ზურაბიშვილი: „ბიძინა ივანიშვილი არ აპირებს ქვეყნიდან წასვლას და არც ბერად აღიკვეცება“

EXCLUSIVE

ქეთი ხატიაშვილი

„რესპუბლიკური პარტია“ ოპოზიციურ პარტიად პირველად გია ხუხაშვილმა მონათლა. „ქართული ოცნების“ შიგნითაც აკრიტიკებენ მათ და პარლამენტსგარეთაც. გარეთ იმიტომ, რომ კოაბიტაციას უჭერენ მხარს, შიგნით იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილთან პოლიტიკური გავლენები აქვთ. რესპუბლიკელები საკუთარ პოზიციებს არ თმობენ.

შესაძლოა, კულუარებში ბევრი ინტრიგაც არის, თუმცა გარეგნულად „რესპუბლიკურ პარტიასა“ და პრემიერს შორის რაიმე დაძაბულობა ურთიერთობებში ჯერ არ შეიმჩნევა.

თუმცა, პრემიერი ისევ ამბობს, რომ ოპოზიცია სწორედ ქართული კოალიციის შიგნით გამოჩნდება. რესპუბლიკები ამ ძალაში საკუთარ თავს ვერ ხედავენ, ისინი შესაძლოა, ზოგჯერ განსხვავებულ მოსაზრებებს აფიქსირებენ იგივე აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ეს არ ნიშნავს ოპოზიციონერობას, პოლიტიკური პასუხისმგებლობაა და მეტი არაფერი.

არასაპარლამენტო პარტიებსაც საკმაოდ სერიოზული შავი პიარი აქვთ აგორებული რესპუბლიკელების წინააღმდეგ, მათ პოლიტიკურ ანგარიშზე წერენ კოაბიტაციის პროცესსაც და ამჟამინდელი პარლამენტის არსებობასაც კი. როგორც ჩანს, რესპუბლიკელების გავლენების აღიარება უჭირთ, განსაკუთრებით პარლამენტსგარეთ დარჩენილ პარტიებს, ამიტომაც ვადამდელ არჩევნებზე ლაპარაკობენ და ფიქრობენ, რომ ახალი არჩევნები არა მხოლოდ ნაციონალებს, გარეთ რესპუბლიკელებსაც დატოვებს. შემთხვევით არ უწოდებენ მათ ერთპროცენტიან პარტიას. თუმცა, ყველა კვლევაში დავით უსუფაშვილის რეიტინგი საკმაოდ მაღალია.

ბიძინა ივანიშვილის წასვლა-დარჩენის თემაც კითხვებს იწვევს და აქაც პასუხებია განსხვავებული. როგორი მოსაზრება აქვთ ამ საკითხზე რესპუბლიკელებს? „პრაიმტაიმს“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, განათლების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილი ესაუბრა.

**– ბატონო დავით, პრემიერ-მინისტრი საზღვარგარეთ მიცემულ ინტერვიუებში ამბობს, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოსტს დატოვებს, ქართულ მედიაში კი ამბობს, რომ, თუ კითხვები იქნება, ის დარჩება პოლიტიკაში. თქვენი აზრით, რას ნიშნავს მსგავსი განცხადებები წინასაარჩევნო პროცესში?**

– ბიძინა ივანიშვილს არასდროს დაუმალავს, რომ პრემიერმინისტრობა მისთვის არის დროებითი. ეს იქნება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თუ უფრო გვიან, არ ვიცი, მაგრამ ის არ აპირებს ამ პოსტზე ხანგრძლივად დარჩენას. არ აპირებს მთელი ცხოვრება იყოს პოლიტიკაში. აპირებს, გახდეს სამოქალაქო საზოგადოების წევრი. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო პრეცედენტია, რადგან ასეთი შემთხვევა ჩვენ არ გვახსოვს.

**– ეს ხომ არ არის მეორე რადიკალიზმი?**

**„რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ მიერ დადებული ყველა პირობა ჯერ არ შესრულებულა“**

– ეს არ არის მეორე რადიკალიზმი. ბიძინა ივანიშვილი უარს არ ამბობს იმ დაპირებებზე, რაც მან ამომრჩეველს მისცა. ის, სადაც არ უნდა წავიდეს, ყველანაირად შეეცდება თავისი დაპირებების შესრულებას. მან თავიდანვე თქვა, რომ პოლიტიკურ ლიდერად დიდხანს არ გაჩერდებოდა. ასე რომ, აქ არაფერია მოულოდნელი.

**– მოულოდნელია იმიტომ, რომ თავის წინასაარჩევნო წერილებში ის წერდა, რომ პოლიტიკას ორ-სამ წელიწადში დატოვებდა, ახლა კი პირველად გაიჟღერა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიდის...**

– 2011 წელს გამოჩნდა პოლიტიკაში და 2 წელი რომ გამოვთვალოთ, კი უწევს ახლა...

**– ივანიშვილის წასვლა რა პროცესებს გამოიწვევს, თქვენი აზრით, ხომ არ იქნება ქაოსი?..**

– ბიძინა ივანიშვილი არ აპირებს ქვეყნიდან წასვლას და ბერად არ აღიკვეცება. ის მიიღებს მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ის იქნება სერიოზული მორალური ავტორიტეტიც კი ამ ქვეყანაში.

**– ექსპერტების გარკვეულმა ნაწილმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ წასვლის შესახებ ფრაზა ივანიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში თქვა, ზოგიერთებმა ჩათვალეს, რომ ამით ბიძინა ივანიშვილმა სიგნალი გაუგზავნა საზოგადოებას, რომ თქვენ თავისუფალი ხართ არჩევნებში და არ არის აუცილებელი, ხმა მარგველაშვილს მისცეთო. არის აქ ლოგიკა?**

– მე მგონი, თავისუფალი არჩევანის საშუალება საზოგადოებას ისედაც აქვს. ის, რომ „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი მარგველაშვილს უჭერენ მხარს, ეს ცალსახაა.

**– რამდენიმე დღის წინ სესიაშვილმა განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველა თავისი დაპირება თითქმის შეასრულა. რა ჰქონდა მას მხედველობაში?**

– რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ მიერ დადებული ყველა პირობა ჯერ არ შესრულებულა. არის დაპირებები, რაც მოკლე ვადაზეა გათვლილი და არის დაპირებები, რომელთა შესრულებაც გრძელვადიან დროს მოითხოვს. ბევრი რამ, რაც დაპირებულია, იმის ვადა ამოწურული არ არის და ვმუშაობთ ამ მიმართულებით. ყოველ შემთხვევაში ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ რამეს დავპირდით მოსახლეობას და ამას შეგნებულად არ ვასრულებთ. რაც

**„ბიძინა ივანიშვილი უარს არ ამბობს იმ დაპირებებზე, რაც მან ამომრჩეველს მისცა. ის, სადაც არ უნდა წავიდეს, ყველანაირად შეეცდება თავისი დაპირებების შესრულებას“**

ამ მოკლე ხანში იყო შესაძლებელი, შესრულდა. წინ გაქვს კიდევ ბევრი. პრემიერისგან თავიდანვე ითქვა, რომ პირველი წელი იქნებოდა რთული. ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილია პრეზიდენტი. ასეთი ტიპის რეჟიმის ცვლილება არჩევნებით არ არის იოლი ამბავი. ბევრი რაღაცის გადახედვას მოითხოვს, რასაც დრო სჭირდება

**– თუმცა ერთ-ერთი დაპირება იყო სამართლიანობის აღდგენა. ის, რა ფორმითაც ხდება სამართლიანობის აღდგენა...**

– პროცესია მთავარი, რომელიც, ასე თუ ისე, მიმდინარეობს. დარწმუნებული ვარ, დაუსჯელი არ დარჩება არც ერთი დამნაშავე. ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ დამნაშავეები დაისჯებიან, მაგრამ ასევე ვამბობდით, რომ არ დავუშვებდით რევანშს და პოლიტიკური ნიშნით დევნას. როდესაც პრემიერ-მინისტრი ლაპარაკობს, ორივე მომენტს ხაზს უსვამს. იმდენი დაზარალებულია კიდევ, ვერ ხდება იმ ტემპით დამნაშავეების დასჯა, რა ტემპითაც უნდა ხდებოდეს. მთავარია, პროცესი მიდის და ეს პროცესი გაგრძელდება. შეიძლება რაღაც პროცედურული დარღვევებიც ხდება ხანდახან, მაგრამ ეს პროცესია და ამ პროცესზეც ვლაპარაკობთ და არაფერს ვმალავთ.

**– აქ საუბარია ასევე ფორმებზე, „ფეისბუკის“ თქვენს კედელზე დაწერეთ, ახალი ხელისუფლება ფორმებით „ნაციონალურ მოძრაობას“ ხომ არ ემსგავსებაო?**

– არ დამიწერია, რომ ემსგავსება. მე ვამბობ, რომ, თუ პროცედურების დარღვევით აპირებ სამართლიანობ-

## „პრემიერმა თავიდანვე თქვა, რომ პირველი წელი იქნებოდა რთული. ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილია პრეზიდენტი“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „არის რაღაც, რაც შიგნით ითქმება და გარეთ არ გამოდის, ასეთი კამათი ხშირადაა ხოლმე“

ის აღდგენას, მაშინ დაემსგავსები „ნაციონალურ მოძრობას“. ამიტომ რეაგირება უნდა მოვახდინოთ თითოეულ შემთხვევაზე. თავის დროზე, როდესაც სულხან მოლაშვილი დაიჭირეს, არავის ეჭვი არ ეპარებოდა მის კორუმპირებულობაში. თუმცა შემდეგ ბოდიშები გაუხდა მოსახდელი ხელისუფლებასაც და მოსახლეობასაც, რადგან ის ბრალი, რაც მას წაუყენეს, დამაჯერებელი არ იყო და არ არსებობდა მტკიცებულებები. ამიტომ, როდესაც ვიღაცას ვაპატიმრებთ, აუცილებელია, ბრალი დასაბუთებული და ყველა საპროცესო ნორმა დაცული იყოს. ამით უნდა გავემიჯნოთ „ნაციონალური მოძრაობის“ მემკვიდრეობას.

**– რამდენად სამართლიანია ის, რომ ადამიანები, ვინც წამებაში არიან ბრალდებულნი, განთავისუფლდნენ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან. საუბარია ბედუკაძესა და ბასტი-ბუბუზე...**

– ბედუკაძის შემთხვევა ცალკე უნდა განვიხილოთ და დანარჩენების – ცალკე. ბედუკაძე მთლიანად განთავისუფლდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ვფიქრობ, მან კადრების გამოტანით სერიოზული რისკი გაწია და დიდი როლი შეასრულა რეჟიმის მხილებაში. ამ დანაშაულის მამხილებელი ადამიანი შეღავათებს ყველა ქვეყანაში იღებს. ეს საკამათო არ არის. საკამათო აქ არის ის, რომ ის საერთოდ განთავისუფლდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და არანაირი სასჯელი არ დაეკისრა.

**– ბრალდება მოეხსნა.**

– ბრალდება რომ მოეხსნა, ეს არ არის მთლად სწორი და ეს ითქვა...

**– როგორ ითქვა, ეკა ბესელიამ თქვა, რომ ეს სასამართლოს ბრალია.**

– თინა ხიდაშელს ჰქონდა იგივე მოსაზრება, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად არ უნდა განთავისუფლებულიყო. ის, რომ ადამიანი იმსახურებდა შეღავათს სახელმწიფოსგან, ამაზე არ ვდაობთ. მან უდიდესი მნიშვნელობის ფაქტები გამოიტანა სააშკარაოზე. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მიუხედავად ამისა, მას უნდა დაკისრებოდა თუ არა სასჯელი? მე ვფიქრობ, რომ მას სასჯელი მაინც უნდა დაკისრებოდა. მაგრამ არა მძიმე. ვიღაცები ფიქრობენ, რომ მან იმდენად დიდი სამსახური გაუწია სახელმწიფოს, რომ ის პასუხისმგებლობისგან უნდა განთავისუფლებულიყო. სხვა შემთხვევები სხვაა. იქ სასჯელი ყველამ მიიღო. ზოგს ცხრა თვე მიესაჯა, ზოგს – ერთი წელი. შეიძლება ამაზეც ვიდაოთ, რომ ერთი წელი ცოტა იყო, მაგრამ ისინი სასჯელისგან არ განთავისუფლდნენ.

**– მარგველაშვილი უკვე მოხსნის თავის კანდიდატურას განათლების მინისტრის თანამდებობიდან. ხომ არ იცით, ვინ იქნება მისი შემცვლელი?**

– ეს არ არის ჩვენი გადასაწყვეტი. შესაბამისად, ამაზე საუბარი ჩვენთან არ არის.

**– ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ შეასრულებს ოპოზიციის როლს, მაშინ კოალიცია ჩამოიშლება და შიგნით შეიქმნება ოპოზიცია...**

– ძალიან ხშირად მის ამ ნათქვამს იგებენ ისე, თითქოს ბიძინა ივანიშვილს ხელოვნური ოპოზიციის შექმნა სურს. მსგავსი არაფერი უთქვამს. ის, უბრალოდ, მსჯელობს, რომ ქვეყანაში უოპოზიციოდ პოლიტიკური სივრცე ვერ იქნება. ამიტომ, თუ ვერ ივარგებს ის, ვინც არის, მაშინ, ბუნებრივია, ადგილი ცარიელი ვერ დარჩება და გაჩნდება ახალი ოპოზიცია. ეს არის წმინდა თეორიული კონსტრუქცია. არასდროს არ რჩება პოლიტიკური სივრცე ოპოზიციის გარეშე. რეალურად როგორ განხორციელდება ეს, გარედან იქნება თუ შიგნიდან, ეს მეორე საკითხია.

**„იმდენი დაზარალებულია კიდევ, ვერ ხდება იმ ტემპით დამნაშავეების დასჯა, რა ტემპითაც უნდა ხდებოდეს. მთავარია, პროცესი მიდის და ეს პროცესი გაგრძელდება“**

**– მთავარი საკითხია, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ ძალებს ხედავს კოალიციის შიგნით. თუ არის გამოკვეთილი ასეთი ძალები?**

– არავინ არ აპირებს ოპოზიციაში წასვლას. შემიძლია, გითხრათ ჩემი დამოკიდებულება, მე არ მიმაჩნია სწორად, რომ ოპოზიციაში უნდა წავიდე იმის გამო, რომ არ მოგწონს კონკრეტული შემთხვევები. თუ სისტემურად დაუპირისპირდები ხელისუფლებას და მიგაჩნია, რომ ხელისუფლებამ პოზიტიური ძვრები ამოწურა, ან მალე ამოწურავს, მაშინ ღირს წასვლა. ჯერჯერობით ვფიქრობთ, რომ ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნით ბევრი სასიკეთო გავუკეთოთ ქვეყანას.

**– საპრეზიდენტო არჩევნები მოდის. თქვენი აზრით, რა არის საზოგადოების დაკვეთა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები?**

– არა მგონია, რომ საზოგადოება ვადამდელ არჩევებზე ფიქრობდეს. ამაზე უფრო ის პოლიტიკური პარტიები ფიქრობენ, რომლებიც პარლამენტსგარეთ არიან და უნდათ, რომ შიგნით იყვნენ. საზოგადოება ელოდება სასიკეთო ცვლილებებს, ისეთს, ჯიბეზე და პირად ცხოვრებაში რომ იგრძნოს. შიშის ფაქტორი გამქრალია და გამქრალია წნეხი.

**– ბატონო დავით, საერთოდ, თქვენ განსხვავებულ მოსაზრებებს აფიქსირებთ ხოლმე, იგივე მერიის მაღალჩინოსნების დაკავებასთან დაკავშირებით...**

– არ ვთვლი, რომ განსხვავებულ მოსაზრებებს ვაფიქსირებ. შეიძლება ვიღაცებისთვის ხელისუფლებაში ყოფნა კომფორტია, ჩემთვის კი ეს პასუხისმგებლობაა. მათ შორის დაჭერებზეც.

მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტროში ან საგადასახადოში არ ვმუშაობ, მაგრამ ხელისუფლების ნებისმიერ ქმედებაზე ჩვენ, პოლიტიკური გუნდი, რომლებმაც არჩევნებში ვიბრძოლეთ და მოვედით რაღაც განაცხადით, ყველაფერზე პასუხისმგებელი ვართ. ბუნებრივია, თუ რაიმე კონკრეტული შემთხვევა არ მოგეწონა, ეს სისტემურ ოპოზიციონერობას არ ნიშნავს. არის რაღაც, რაც შიგნით ითქმება და გარეთ არ გამოდის, ასეთი კამათი ხშირადაა ხოლმე და მერე ყველა ერთნაირად ლაპარაკობს. თუმცა, არის ისეთი რაღაცებიც, რაზეც ვთვლით, რომ საჯაროდ უნდა ითქვას. არა მგონია, ამით ცუდს ვაკეთებდეთ. მით უმეტეს, როდესაც დარღვევა იმდენად აშკარაა, რომ შეუძლებელია მისი სხვანაირად ჩვენება. ძალიან ცუდი იქნება, ხელისუფლებამ შავზე თქვას, თეთრიაო. ეს ხელისუფლებას გარყვნის... გარყვნისგან ვიცავ საკუთარ თავსაც.

**– ბატონო დავით, კოალიციაში შემავალი პარტიები გაითვალისწინებთ „ნაციონალური მოძრაობის“ შეცდომებს? ადრე ისინიც ამართლებდნენ ხოლმე ძალოვნების ქმედებებს...**

– ეს არის ერთ-ერთი დიდი შეცდომა, რამაც „ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივი რეჟიმის ჩამოყალიბებამდე მიიყვანა. მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს რეჟიმი თავიდანვე ასეთი იყო და თავიდანვე კიით აუპატიურებდა ხალხს. ეს მოიტანა იმ პოლიტიკამ, რაც მათ ჰქონდათ. ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ თვითკრიტიკულობა ჰქონდათ ნულზე. არც შიგნით არ უსმენდნენ ვინმეს და მით უმეტეს გარედან.

**– ამ მხრივ, ბიძინა ივანიშვილი განსხვავებული ფიგურაა?**

– ძალიან განსხვავებული. პირადად მე ძალიან ხშირად მიკამათია მასთან. მას უყვარს კამათი და უყვარს, როდესაც ვიღაც ეკამათება. ის, რომ სხვანაირად ფიქრობ, არ ნიშნავს, რომ მისთვის მიუღებელი ხარ.

**– ერთადერთხელ მქონდა მასთან კამათის შემთხვევა, ძალიან გაბრაზდა და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის საერთოდ ვერ იტანს კამათს...**

– გახსოვთ, ძველი ხელისუფლების დროს როგორ იყო? ვიღაცას თუ გაუბრაზდებოდი, სამსახურს კარგავდი. აქ ასეთი რაღაცები არ ხდება. შეიძლება ადამიანი კამათის დროს გაცხარდე. ეს სულ სხვა რაღაცაა. ამას შედეგი არ მოჰყვება.

**„ძალიან ხშირად მის ამ ნათქვამს იგებენ ისე, თითქოს ბიძინა ივანიშვილს ხელოვნური ოპოზიციის შექმნა სურს. მსგავსი არაფერი უთქვამს“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პრეზიდენტობი

# სლოგანები და ხმაურიანი განცხადებები

ქეთი ხატიაშვილი

**ამ კვირას საპრეზიდენტო რინგზე უკვე გაირკვევა, რა უნდა პაატა ბურჭულაძეს, რა სტატუსით გააგრძელებს ის მოღვაწეობას – შეეცდება, პოლიტიკას შეეჭიდოს თუ დარჩება წარმატებულ ქველმოქმედად. ეს შეიძლება დღესაც მოხდეს ან ხვალ. ბურჭულაძე ვაჭრობს თუ რეალური გეგმები აქვს, უკვე მალე გახდება ცხადი.**

**სერიოზული ექსპერტების გათვლებით, ის პოლიტიკაში არ უნდა ჩაერთოს. ლოგიკურიც არის. პაატასგან მაღალპროფესიულ ხარისხს ვართ მიჩვეული, ის სცენაზე უნიკალური ბანია, პოლიტიკაში კი მხოლოდ ექო გახდება, რაც მის საერთაშორისო იმიჯსაც დააზარალებს.**



**რაც შეეხება პოლიტიკოსებს, ისინი შეფასებებში ფრთხილობენ, ბიძინა ივანიშვილი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ პაატა კოალიცია „ქართული ოცნების" გამარჯვების გეგმებს ვერ შეცვლის.**

– ხმები ჩვენს კანდიდატს ნებისმიერმა შეიძლება წაართვას. თუ ბურჭულაძე გადაწყვეტს, პრეზიდენტად კენჭი იყაროს, ძალიან კარგია, მაგრამ მარგველაშვილი, როგორც პიროვნება და პოლიტიკოსი, უფრო მისაღებია პრეზიდენტად და ვერც პაატა მოახერხებს, მას ღირსეული კონკურენცია გაუწიოს. კოალიციამ ძალიან კარგი კანდიდატი დაასახელა და ბედნიერი ვარ, რომ მარგველაშვილისნაირ ღირსეულ ადამიანს ვიცნობ... – განაცხადა ივანიშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობა" პრაიმერისს ატარებს და ბურჭულაძის პოლიტიკაში ჩართულობით შესაძლოა, დაინტერესებულიცაა, თუმცა, საყოველთაო მკითხაობაში – მოვა თუ არა ის პოლიტიკაში – არ ერთვებიან. ჯერჯერობით ყველა მაინც მის ოფიციალურ გადაწყვეტილებას ელოდება.

საპარლამენტო პარტიები კომენტარების გაკეთებას არ ჩქარობენ, ჯერ თავად გადაწყვიტოსო. პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიციის პოზიციები ორადაა გაყოფილი – ბალათურია და კუკავა ახალ მესიას მოუთმენლად ელოდებიან, ნინო ბურჯანაძე კი ბანს ურჩევს, პოლიტიკისგან თავი შორს დაიჭიროს:

– ბატონ პაატაზე არ ვისაუბრებ. მე ვფიქრობ, რომ ის დიდი პროფესიონალია საოპერო ხელოვნებაში. მას ჯერ პოზიცია არ დაუფიქსირებია და მგონია, რომ თავის თავს კანდიდატად არ წამოაყენებს. ის არის ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავისა და ხელოვნების ფასი იცის. პირადად მე საოპერო ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელი ვარ, ბევრი რამ მომისმენია და ალბათ, შემიძლია, წავიმღერო კიდეც, თუმცა ამის მიუხედავად, არ მგონია, რომ ბატონმა პაატამ მირჩიოს, სცენაზე გამოვიდე და ვიმღერო...

ისე, ამ კომენტარის შემდეგ გულწრფელად დავინტერესდი იმ არიებით, რომლის წამღერებაც ბურჯანაძეს შეუძლია, თუმცა, ეს სულ სხვა „ოპერიდანაა".

ბურჭულაძის არიის პირველი გამხმოვანებელი პოლიტიკაში – ბალათურია (ის ამით თუ შევა თავად პოლიტიკაში) ირწმუნება, რომ მისი გმირი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ბიძინა ივანიშვილს ის უნდა გამოეგონებინა, რეალური რომ არ ყოფილიყო.

**ჯონდი ბაღათურია:**

– თუ პაატა ბურჭულაძე მონაწილეობას მიიღებს საპრეზიდენტო არჩევნებში, გახდება კიდეც მაღალი ალბათობით საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს ისტორიაში ქართველ ხალხს პირველად ეყოლება ისეთი პრეზიდენტი, რომელიც გარედან არ იქნება შემოთავაზებული და დანიშნული, არამედ ხალხის წიაღიდან იქნება არჩეული და ხალხთან ანგარიშვალდებული.




ბალათურია და კუკავა ამ კვირაში პოლიტიკურად ან გამდიდრდებიან ან გაკოტრდებიან. დიდი ალბათობით გამდიდრება არ ელოდებათ, თუმცა, ვნახოთ, როგორი ფინალი ექნება 9 ივლისს პაატა ბურჭულაძის კონცერტს.

## „მე აუცილებლად გავიმარჯვებ!"

ეს ნინო ბურჯანაძის სლოგანია. ამ კონცერტს ისიც ელოდება. მიზეზი მარტივია: გაკოტრების სიაში ჩაეწერება ნინო ბურჯანაძეც, თუმცა, უკვე იმ შემთხვევაში, თუკი ბანი პოლიტიკაში მაინც გამოჩნდება. ბურჯანაძეს, რომელიც საკმაოდ პრინციპულად აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე აუცილებლად გაიმარჯვებს, იმავდროულად პაატა მის ქართულ ოცნებებს პოლიტიკაში წერტილს ნამდვილად დაუსვამს.

**ნინო ბურჯანაძე, საპრეზიდენტო კანდიდატი:**

– ჩვენი ქვეყნისთვის ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარებულიყო განუზომლად უფრო ადრე – 2009-2010 წელს. არაერთგზის მითქვამს, რომ „ნაციონალური მოძრაობისა" და სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი დღე არის საქართველოსთვის, ჩვენი სამშობლოსთვის მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანი. რაც შეეხება ახლა უკვე არსებულ რეალობას, რომ პრეზიდენტმა დანიშნა საპრეზიდენტო არჩევნები ოქტომბრის ბოლო კვირა დღეს, ჩემთვის ეს აბსოლუტურად არ ყოფილა მოულოდნელი, ვიცი რა, როგორ ებღაუჭება პირადად სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებას. ბუნებრივია, დარწმუნებულნი ვიყავით იმაში, რომ სააკაშვილი გამოიყენებდა ყველა შესაძლებლობას იმისთვის, რომ ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო საათებიც გაეხანგრძლივებინა. „დემოკრატიული მოძრაობა" უკვე კარგა ხანია, ემზადება ამ არჩევნებისთვის. ჩვენი პარტიის ყველა სტრუქტურა, ჩვენი აქტივისტები, მხარდამჭერები, რომლებიც ძალიან ბევრი გვყავს და დღითი დღე სულ უფრო მეტი ხდება, მზად ვართ, ყველანი საპრეზიდენტო არჩევნებში არა მარტო მონაწილეობის მისაღებად, არამედ გამარჯვების მოსაპოვებლად და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ არჩევნებში აუცილებლად გავიმარჯვებ!

დარწმუნებულია თავად, თუმცა, იქვე ამ გამარჯვების დაზღვევას ბიძინა ივანიშვილს სთხოვს. გაიმარჯვებს, თუკი „ნაციონალური მოძრაობა" აიკრძალება და გიორგი მარგველაშვილს პრემიერი მხარს არ დაუჭერს. ანუ, ის ითხოვს, რომ ყველა კონკურენტი გზიდან ჩამოაშორონ – ნაციონალები პოლიტიკური ველიდან გააძევონ; ან უბრალოდ გვერდით გაიწიონ. მაგალითად, ბიძინა ივანიშვილი გაიწიოს და მარტო დატოვოს ნინო მარათონზე მისივე ყოფილ თანაპარტიელთან. საუბარია, რა თქმა უნდა, გიორგი მარგველაშვილზე. ამ ორი დათქმის შესრულების პირობებში შეძლებს ის თამამად გაიმეოროს, რომ გაიმარჯვებს. ცალკე აღებული მარგველაშვილის მას, როგორც ჩანს, არ ეშინია.

– გიორგი მარგველაშვილს კარგად ვიცნობ და ადამიანურად პატივს ვცემ. მიმაჩნია, რომ ძალიან ბევრ ადგილზე ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია, მაგრამ არა პრეზიდენტის რანგში... წესით, ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება" თავად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი იმით, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მე და ჩემმა მომხრეებმა გავიმარჯვოთ... – აცხადებს ბურჯანაძე ერთ-ერთ მედიასაშუალებასთან საუბარში.

რა უნდა ნინო ბურჯანაძეს? საერთოდ, მან ქართულ პოლიტიკაში აგრესიული და რადიკალური ქალის სახე შექმნა. პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაშიც აცხადებს, რომ იგივე ხელწერას შეინარჩუნებს – ყირამალა დააყენებს პოლიტიკას: დანიშნავს ვადამდელ არჩევნებს, აკრძალავს „ნაციონალურ მოძრაობას", დააპატიმრებს მის ყველა ლიდერს. ისე ერჩის კოჰაბიტაციას, რომ ამ პროცესსაც მიაყოლებს ზედ.

ვინ არიან მისი პარტნიორები? ქართულ პოლიტიკაში მას პარტნიორი არ ჰყავს. რუსულ პოლიტიკაში, ამბობს, რომ მეგობრებიც ბლომად ჰყავს. აქ ვერც კუკავასთან მოილაპარაკა და ვერც თარგამაძესთან. არასაპარლამენტო პარტიათა გაერთიანება არ შედგა და ბურჯანაძე ლიდერად არ დასახელდა.

## „შალვა, ან პრეზიდენტი არ გელირსოთ"

ეს სლოგანი უკვე ლეიბორისტების ლიდერს შალვა ნათელაშვილს ეკუთვნის. ეს თავისებური პარტიაა, პოლიტიკაში ორიგინალურები უფრო არიან, ვიდრე პოლიტიკოსები. შალვა ნათელაშვილის ფრაზები პოლიტიკურ კომენტარებზე მეტად პოლიტიკური აფორიზმები ხდება. ახლაც, ასეთი ორიგინალური სლოგანი შეარჩიეს, მართალია, ნახევრად ხუმრობით, მაგრამ რასაც ნახევრად სერიოზულად შეარჩევენ, არც ის იქნება ორიგინალურობას მოკლებული.

საპრეზიდენტო მარათონზე მათ უკვე დაამახსოვრეს თავი ამომრჩევლებს საკუთარი იუმორით. მაგალითად, პრემ-



**შალვა ნათელაშვილის ფრაზები პოლიტიკურ კომენტარებზე მეტად პოლიტიკური აფორიზმები ხდება...**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ს კანდიდატები

იერის პრესკონფერენციის შემდეგ სრულიად საქართველო ეძებდა სიტყვა „ხელოვნურად მიჯირყვნის“ მნიშვნელობას და მხოლოდ ლეიბორისტებმა მიაგნეს შესატყვისს.

ყველაფერი კი დავით საგანელიძის უცნაური განცხადებით დაიწყო. გიორგი მარგველაშვილის შტაბის უფროსმა მოსახლეობას მოუწოდა, კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატს საარჩევნოდ ფინანსები შესწიროს, დავით საგანელიძემ დასძინა: მე თავად მივცემ მათ მაგალითს და პირველი შევიტან საარჩევნო ფონდში ფულსო. ამ მაგალითით, ალბათ, სურს, დაგვარწმუნოს, რომ ეს – ფულის შეწირვა – სრულებითაც არ არის მტკივნეული.

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა გიორგი გუგავამ დავით საგანელიძის მოწოდებას უწოდა მიჯირყვნა: მილიარდერის პარტია გაღატაკებული ქვეყნის ხალხს სთხოვდეს დაფინანსებას, დაცინვაზე მეტია... ეს უკვე „მიჯირყვნააააა“.

„გაჭირვებულ“ კონკურენტს ლეიბორისტების ოფისიდან ერთი ლარი გაუგზავნეს. „ქართული ოცნების“ შტაბში დახმარებაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, სამაგიეროდ ლეიბორისტებმა საკუთარ ლარიანს რეპლიკებიც მიაყოლეს.

**გიორგი გუგავა:**

– მეოცნებეთა პარტიამ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად ფული არ გააჩნიათ და მოსახლეობას სთხოვენ ფულის შეგროვებას. ვეხმაურებით ამ განცხადებას და „გაღლეტილებს“ ჩვენი პარტიიდან 1 ლარს ვუგზავნით დასახმარებლად... ეს არის მოსახლეობის დაცინვა და აბუჩად აგდება. ეს ის ხალხია, ვინც სამი თვის განმავლობაში 20 მილიონამდე პრემია მიიღო, პარტიული დაფინანსება გაიორმაგა, რამდენიმე მილიონამდე გაიზარდა და დღეს მათგან დაჩაგრულ, გამათხოვრებულ მოსახლეობას სთხოვს ფულს საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად. ქვეყანაში ნახევარ მილიონამდე ადამიანი შიმშილობს და წუწუნს, თამაშს და ხალხისთვის ფულის თხოვნას, სჯობია, ივანიშვილმა იმდენი ფინანსური რესურსი მაინც გამოყოს, რომ ადამიანები შიმშილით არ იხოცებოდნენ.

შეიძლება ლეიბორისტებს ძველებური რეიტინგი არ აქვთ, მაგრამ იუმორის გრძნობა ნამდვილად არ ღალატობთ.

## „ქართული ოცნება“ უცვლელია

სლოგანი არ სჭირდებათ, არც იდეა, სიახლე ან განსაკუთრებულობა. ჯერჯერობით ბიძინა ივანიშვილი თავად არის პოლიტიკური ბრენდი. ის მხარს უჭერს გიორგი მარგველაშვილს, თავისივე სიტყვებით, ყველაზე ღირსეულ ფიგურას და დაბეჯითებით ირწმუნება, რომ გაიმარჯვებს. კრიტიკის მიუხედავად, ეგრეთწოდებული მესამე ზონის პოლიტიკოსები სწორედ მას ეზომებიან. ჯერ ბურჯანაძემ უთხრა ივანიშვილის ღირსეულ კანდიდატს, კარგი ბიჭი ხარ, ოღონდ პრეზიდენტად მაინც ჩემზე უკეთესი ვერ იქნებიო და შემდეგ სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, მარგველაშვილის კონკურენტი ნინო ბურჯანაძე კი არა, მე ვარო, არჩევნებს მე მოვიგებო, თუმცა, დათქმები, ნინოს მსგავსად, სალომესაც აქვს.

**სალომე ზურაბიშვილი:**

– თუ საქართველოში არჩევნები კიდევ ერთხელ ფულით არ გადაწყდება და პოლიტიკოსები ერთმანეთს ქვეყნის სიყვარულში შევეჯიბრებით, ამ მარათონში საკუთარ თავს არა მხოლოდ კანდიდატის, არამედ გამარჯვებულის პოზიციაში ვხედავ.

ისე, იუმორის გრძნობაში არც საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ჭედავს. მისი იუმორისტულ-მუსიკალური სკეჩებიც გვახსოვს ყველას მიტინგების დროს და ახლაც საინტერესო მოსაზრებებს გვიზიარებს ხოლმე. მაგალითად, ამბობს, რომ მარგველაშვილიც და ბურჯანაძეც შევარდნაძის მემკვიდრეები არიან:

– მე მგონია, რომ გიორგი მარგველაშვილისა და ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო კანდიდატებად დასახელება წარსულის თამაშს ჰგავს. ორივე შევარდნაძის მემკვიდრეა. დარწმუნებული ვარ, ამ თამაშს ამომრჩეველი საკადრის პასუხს გასცემს! – ასეთი კომენტარი ქალბატონმა სალომემ „ვერსიასთან“ საუბრისას გააკეთა.

**მისი ამბიციები კიდევ უფრო გასაგებია, თუნდაც იმიტომ, რომ იგივე NDI-ის კვლევებში მესამე ადგილი სწორედ ზურაბიშვილმა აიღო და არა ბურჯანაძემ. ეს ფაქტი მან ყველას შეახსენა:**

– ჯერჯერობით, იმ მესამე ადგილით ვარ კმაყოფილი, რომელიც ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად დაფიქსირდა. ალბათ, მსოფლიო ისტორიაში პირველად ხდება, რომ კანდიდატი „ფეისბუკის“ მეშვეობით აღწევს მსგავს შედეგებს. ეს იმედისმომცემია და იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ხელისუფლებისა და ერთი პიროვნების მიერ დანიშნული ადამიანების დრო მთავრდება.

თუმცა, ეს რეიტინგი საკმაოდ მყიფეა. კახა კუკავამ, საერთოდ, მეორე პოზიცია აიღო ნაძალადევის რაიონში, თუმცა, ის ახლა ცდილობს, პაატა ბურჭულაძის სახელს ჩამოეკიდოს, რომ პოლიტიკას შერჩეს.



## პრაიმერისი

„ნაციონალური მოძრაობა“, მოსწონს ეს დღეს ვინმეს თუ არა, ფაქტია, ერთადერთი პოლიტიკური ძალაა, რომელიც ყოველ არჩევნებზე გარკვეული სიახლითა და ნოვაციით გამოდის. ამჯერად პარტია მისთვის რთულ ვითარებაში პრაიმერისს ატარებს. ის ყოველთვის ჩართულია პოლიტიკურ პროცესებში და არ შორდება პოლიტიკურ ველს.

თავის დროზე პოლიტიკურ პროცესს „გაერთიანებული ოპოზიცია“ გამოეთიშა, როცა უარი თქვა პარლამენტში შესვლაზე, მოგვიანებით ნინო ბურჯანაძე გაემიჯნა პოლიტიკას, როცა 26 მაისს პროვოკაცია მოაწყო... ასე რომ, პარტიისთვის აუცილებელია, იგრძნოს ის ხაზი, სადაც პოლიტიკური პროცესები გადის და საკუთარი ძალებიც იქ მოსინჯოს.

ნაციონალები ერთადერთი რეალური ოპოზიციაა დღეს. პრაიმერისში გამარჯვებული კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილს აიღებს, ესეც რეალობაა და სხვა საქმეა, აღიარებს ამას ვინმე თუ არა.

ბიძინა ივანიშვილი, მაგალითად, აღიარებს და ამბობს, რომ, როგორც კი ნაციონალები ვერ შეძლებენ ოპოზიციის როლის შესრულებას, მაშინვე გაჩნდება ახალი ოპოზიცია, ოღონდ ჩვენს წიაღშიო.

ანუ, ამჯერად ყოფილი ხელისუფლება ოპოზიციაა. ვარაუდობენ, რომ პრაიმერისში გამარჯვებულად დავით ბაქრაძე გამოვლინდება. თუმცა, გოგა ხაჩიძე საკმაოდ წარმატებულად ცდილობს, მხარდაჭერა ზურაბ ჯაფარიძისთვის მოიპოვოს და პარტიის მხარდამჭერებს სთხოვს, სიახლეებსა და ცვლილებებს დაუჭირონ მხარი.

დავით ბაქრაძის შემდეგ ლიდერად სწორედ ზურაბ ჯაფარიძე ყალიბდება. ეს იმდენად შესამჩნევია, რომ ზოგიერთებმა ისიც თქვეს, პარტია ორად გაიყოფა – ერთი დავით ბაქრაძის ლიდერობით და მეორე ზურაბ ჯაფარიძისო.

თავად პრაიმერისი საკმაოდ საინტერესო იდეა აღმოჩნდა პარტიის შიგნით. „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი თავად ირჩევს კანდიდატს, რომელსაც შემდეგ მხარს საპრეზიდენტო არჩევნებშიც დაუჭერს. გარკვეულწილად, ის პასუხისმგებლობასაც კი გრძნობს საკუთარი არჩევანის გამო.

მართალია, პრაიმერისი ნაციონალების ნოვაციაა, მაგრამ პარტიის შიგნით ლიდერის, ანუ პარტიის თავმჯდომარის არჩევა პირველად სწორედ რესპუბლიკელებმა შემოიტანეს ქართულ პოლიტიკაში.

და მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, კოჰაბიტაციაც პოლიტიკური პროცესია. პარლამენტსგარეთ დარჩენილი პარტიები კი ამ პროცესს მხოლოდ იმიტომ ერჩიან, რომ თავად ხდებიან აუტსაიდერები. ამიტომაც ცდილობენ, ორპოლუსიანი პოლიტიკა დაანგრიონ და ის ბევრ და პატარა ნაწილაკებად დაშალონ. თუმცა, ეს სულ სხვა ისტორიაა.

# მთავარი ინტრიგა ჯერ ისევ პაატა ბურჭულაძეა





# მთავარი რადიკალი - ნინო ბურჯანაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ არ შეცვალა კოალიცია „ქარ



**my View**

**ხათუნა მგალობლიშვილი**

დღევანდელ ხელისუფლებას ოპოზიციაში ყოფნის დროს ერთადერთი უმთავრესი მოთხოვნა ჰქონდა – საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. ეს იყო საკითხი, რომელსაც ყოველთვის ყველგან აყენებდნენ და თემა, რომელზეც უცხოელ დიპლომატებს გამუდმებით ეწუწუნებოდნენ. ალბათ, არ ყოფილა შემთხვევა, საქართველო რომელიმე ელჩს, ან დიპლომატს, ან საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მხარდაჭერის გარეშე დაეტოვებინოს. სწორედ ამავე მიზნით შეიქმნა თავის დროზე „რვიანი“. ანუ რვა პარტიისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ხელისუფლებასთან ერთად საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებაზე იმუშავებდა. „რვიანი“ გარკვეული პერიოდი საკმაოდ წარმატებით მართავდა კონსულტაციებს. თითქოს შედეგებიც დადგა, მაგრამ ეს შედეგები რატომღაც მხოლოდ ორ ოპოზიციურ პარტიას მოეწონა და, შესაბამისად, ახლებისა და ქრისტიან-დემოკრატების გარდა, ყველა დანარჩენი მეორე მხარეს აღმოჩნდა. „რვიანის“ შემდეგ ავტომატურად ჩამოყალიბდა „ექვსიანი“. ანუ ერთად დარჩნენ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც „რვიანის“ პირობებში გატარებულ ცვლილებებს ფასადური უწოდეს და ბრძოლა უმჯობესი საარჩევნო გარემოს ჩამოსაყალიბებლად განაგრძეს. მათი შემართება იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ ერთ დღესაც ირაკლი ალასანია გამოვიდა და განაცხადა, არანაირი „ექვსიანი“ აღარ არსებობსო. შემდეგ იყო საკმაოდ გრძელი პერიოდი ურთიერთგადაბრალებების – ვინ დაშალა „ექვსიანი“. თუმცა ფაქტია, რომ შედეგის მიღება არავის უცდია.

დღეს „რვიანისა“ და უფრო მოგვიანებით მთელი „ექვსიანის“ შემადგენლობა ხელისუფლებაშია. თანაც უკვე თითქმის ერთი წელიწადია და მათი სალაპარაკო თემა, სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად, იგივეა – არაჯანსაღი საარჩევნო გარემო. ამბობენ, რომ ამისთვის ყველაფერს აკეთებენ. მეტიც, ძიძიგური აცხადებს, რომ გარემო შეცვლილია, უბრალოდ, კანონის სახე არ აქვს ჯერ მიღებული... ოპოზიციაში მყოფი ახლების ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა კაციტაძე კი კვლავ გვერდიდან ადევნებს თვალყურს მოვლენებს და დასკვნა ასეთია: როცა ოპოზიციაში ხარ, ყველაფერს სხვაგვარად უყურებ...

**მამუკა კაციტაძე, ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი:**

– როცა ოპოზიციაში ხარ, ერთია და როცა ხელისუფლებაში მოდიხარ, როგორც ჩანს, რაღაც-რაღაცები გავიწყდება. ჩვენი ფუნქცია სწორედ ის არის, რომ შევახსენოთ მათ ჩვენი ერთობლივი ძველი მოთხოვნები. ინტერფრაქციული ჯგუფი მართლაც ძალიან ნელი ტემპებით მუშაობდა. საკითხთა გადაწყვეტის თვალსაზრისით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან. თუმცა ბოლოს შეხვედრაზე რვა თემიდან ოთხი თემის ირგვლივ მოხდა პოზიციონირება. ჩვენი წინადადებები გადავეცით და მიმდინარე კვირის ბოლოს იმედია, მმართველი კოალიცია არასაპარლამენტო პარტიების შეთავაზებულ პაკეტთან დაკავშირებით საბოლოო პასუხს გაგვცემს. პროცესი მიდის, თუმცა ტემპი სასურველია, ბევრად სწრაფი იყოს.

**– რაც შეეხება სიებს, თავის დროზე სერიოზული უკმაყოფილება იყო თქვენი კომისიის მიმართ, თუმცა საპრეზიდენტო არჩევნები სწორედ თქვენ მიერ გადამოწმებული სიებით ტარდება.**

– თავის დროზე ვამბობდი, რომ ოქტომბრის არჩევნების წინ კრიტიკა წმინდა პოლიტიკური კუთხით მიდიოდა. ეს არჩევნების შემდეგაც დადასტურდა. საზოგადოების მხრიდან დაფიქსირდა ნდობა არსებული სიების მიმართ, თვითონ არჩევნების დღეს მხოლოდ სამი საჩივარი დაიწერა უშუალოდ სიებთან





## საარჩევნო სიებისა მიმართ ხელისუ ოპოზიციას პრობ



დაკავშირებით. გადაწყდა, რომ ახალი ხელისუფლება საპრეზიდენტო არჩევნებს ზუსტად იმ სიებით ჩაატარებს, რომელიც სიების დაზუსტების კომისიამ შექმნა. ასევე, შუალედური არჩევნებიც ამავე სიებით ჩატარდა, პრეცედენტი უკვე შემდგარია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ამომრჩეველთა სიებზე არსებული უარყოფითი და ნეგატიური კამპანია წმინდა პოლიტიკური პიარი იყო. არ შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატარო იმ სიით, რომელსაც უვარგისს ეძახდი, თუკი ის მართლაც უვარგისია. შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად სწრაფად და კარგად არის შედგენილი ამომრჩეველთა სია.

**– თუმცა მათი პოზიციაა, რომ ისინი არ ენდობიან ამ სიას, უბრალოდ, ვერ ასწრებენ მის გადამოწმებას...**

– ჩვენმა კომისიამ სიების ჩასწორებას, განახლებასა და აღრიცხვას 9 თვე მოანდომა. აქედან წმინდა საველე სამუშაოები ოთხ თვეს არ გასცდენია. გასული ოქტომბრიდან მომავალ ოქტომბრამდე ერთი წელია და შესაბამისად, თუკი მიიჩნევდნენ, რომ სია არ ვარგოდა, მაშინ მათ უნდა მოეძებნათ მისი შეცვლის გზები. მით უფრო, რომ მათ ამის დროც ჰქონდათ, ფულიც და ყველანაირი რესურსიც. თუმცა მათ უჭირთ, თქვან იმაზე კარგი, რაზეც ადრე ამბობდნენ, რომ ცუდი იყო...

**– ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობის დაგვიანებით დაწყების მიზეზი რა არის?**

– არასაპარლამენტო ოპოზიცია საერთოდ არ არის ინტერფრაქციული ჯგუფის წევრი, რომელსაც გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. როგორ შეიძლება, ხელი შეუშალო პროცესს, რომლის წევრიც არ ხარ? თუ ვინმემ დადო წინადადებათა პაკეტი ინტერფრაქციულ ჯგუფში, ეს სწორედ არასაპარლამენტო ოპოზიცია იყო.

ოპოზიცია, რომელიც სააკაშვილის დროსაც ოპოზიციაში იყო და ივანიშვილის ხელისუფლების პირობებშიც ოპოზიციაშია, ძველ მოთხოვნებს ახსენებს „რვიანისა“ და „ექვსიანის“ წევრებს. მით უფრო, რომ ამომრჩეველთა სიების გადამოწმების კომისიას კაციტაძე ხელმძღვანელობდა და მაშინდელი ოპოზიცია კრიტიკას არ იშურებდა „სახელისუფლებო ოპოზიციის“ მისამართით. სიების ხელახალი გადამოწმების მოთხოვნასთან ერთად, ცესკოს თავმჯდომარის, მისი შემადგენლობის სრული შეცვლისა და ხელახალი კოდექსის შემუშავების მომხრეები იყვნენ. უკვე დღეს ეს სურვილები შემცირებულია და აღმოჩნდა, რომ არც ზურაბ ხარატიშვილთან აქვთ პრობლემა და მით უფრო არც ამომრჩეველთა სიასთან. მათი ერთადერთი თანამედროვე პრობლემა პრეზიდენტის მიერ ორჯერ შეცვლილი არჩევნების დღე გახდა. ხელისუფლების სრული შემადგენლობა იმას აანალიზებს, რატომ შეცვალა საак-

## მამუკა კაციტაძე: „არ შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატარო იმ სიით, რომელსაც უვარგისს ეძახდი, თუკი ის მართლაც უვარგისია“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თულმა ოცნებამ“ კანონმდებლობა



## და კანონმდებლობის ფლებაში მოსულ ლემები აღარ აქვს

აშვილმა 27 ოქტომბერი 31 ოქტომბრით და შემდეგ ისევ 27 ოქტომბრით...

**ზვიად ძიძიგური, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:**

– მიზეზი იყო სამიტზე დასწრების სურვილი. სააკაშვილი ითვლიდა არა კონკრეტულად ორ-სამ დღეს, არამედ ინაუგურაციის დღეს. მას სურვილი აქვს, რაც შეიძლება მაქსიმალურად გაიხანგრძლივოს უფლებამოსილება. საარჩევნო კანონმდებლობაში ჩახედვისას ჩნდება განცდა, რომ მარტო კვირა დღეს უნდა გაიმართოს არჩევნები, მაგრამ, თუ კანონებთან და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში განიხილავ, ასეთი ტიპის შეზღუდვა არ არის, რადგან იურიდიულად ძალიან დახლართულია, სწორედ ამიტომ გადაიტანა არჩევნები 31 ოქტომბერს. თუმცა იმ პოლიტიკური სკანდალის შემდეგ, რომელიც მის ინიციატივას მოჰყვა, იძულებული გახდა, შეეცვალა და არჩევნების დღედ ისევ 27 ოქტომბერი დაენიშნა. აქ არის ერთი მთავარი დეტალი, არჩევნების გამოცხადების დღედ პრეზიდენტის განკარგულებას რომელი რიცხვი აქვს მითითებული, პირველი ივლისი თუ სამი ივლისი?

**– ამას რატომ აქვს ასეთი დატვირთვა?**

– დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო კომისიების, საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტების საკითხში, რადგან მიბმულია არჩევნების გამოცხადების თარიღზე. ასევე, თარიღის დანიშვნის დღეს მეტწილად მნიშვნელობა ჰქონდა იქიდან გამომდინარე, რომ სააკაშვილს სურდა, სამიტში მონაწილეობა მიეღო პრეზიდენტის რანგში. ამას თავადაც ამბობდა და არც მალავდა. ამითაც ჩანს, როგორი გაუწონასწორებელი პრეზიდენტი მართავდა საქართველოს ცხრა წლის განმავლობაში. თუ კიდევ ვინმე შემორჩა სააკაშვილს მხარდამჭერი, წარმომიდგენია, რა დღეში ჩააყენა ეს ადამიანები სააკაშვილმა თავისი გაუწონასწორებლობით. აქედან გამომდინარე, უცხოელებისთვის მარტივი გასაგებია, რატომ ვერ მიმდინარეობს ამ ადამიანთან ისეთი ტიპის კოაბიტაცია, როგორსაც ჩვენი უცხოელი პარტნიორები ითხოვენ ახალი ხელისუფლებისგან. ნათელზე ნათელი ხდება, რომ ასეთი ტიპის პოლიტიკოსთან თანამშრომლობა პრაქტიკულად შეუძლებელია.

## ზვიად ძიძიგური: „კონკრეტული დეტალების შეჯერებამ იმდენი დრო წაიღო, რომ საპრეზიდენტო არჩევნებს ისევ ძველი სიებით ვატარებთ“



**– ვილნიუსის სამიტში მონაწილეობას სააკაშვილი ვეღარ მიიღებს?**

– მიიღებს თუ არა მონაწილეობას სააკაშვილი სამიტში პრეზიდენტის რანგში, დამოკიდებულია იმაზე, როგორ წარიმართება არჩევნები, რამდენ ხანს გაგრძელდება საარჩევნო დავები, როდის დადებს ცესკო შემაჯამებელ ოქმს. ეს ყველაფერი არის თემები, რომელიც ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული. ამიტომ პირდაპირ და გადაჭრით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

**– თავის დროზე, როცა ოპოზიციაში იყავით, გამუდმებით ითხოვდით საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, რატომ არ დააყენეთ ეს საკითხი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ?**

– ჯერ ერთი, გარემო შეიცვალა. მართალია, საკანონმდებლო ცვლილებები არ შესულა, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ, ნახოთ შუალედური არჩევნების პროცესი, ჩვენს ხელისუფლებას არც უფიქრია ადმინისტრაციული და სახელმწიფო რესურსის გამოყენება, არც ძალოვანი უწყება ჩაგვირთავს არჩევნებში და ყველაფერმა ძალიან მშვიდად ჩაიარა. რაც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებებს, მინდა გითხრათ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე კვირას შეიქმნა ინტერფრაქციული ჯგუფი, სადაც საპარლამენტო და არასაპარლამენტო ძალები არიან ჩართულნი და კომისია მუშაობს ინტენსიურად. თემები, რომელიც არის განსჯის საგანი, შეჯერების პროცესშია. და ეს ლოგიკურია. როდესაც ოცი პარტია ერთდროულად მუშაობს, საკითხების გაჭიანურება ბუნებრივია. მაგალითად, საარჩევნო სიების საკითხზე პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია, თუმცა კონკრეტული დეტალების შეჯერებამ იმდენი დრო წაიღო, რომ საპრეზიდენტო არჩევნებს ისევ ძველი სიებით ვატარებთ. იმედი მაქვს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ეს ხარვეზები გამოსწორდება.

„კონკრეტული დეტალების შეჯერებამ იმდენი დრო წაიღო, რომ საპრეზიდენტო არჩევნებს ისევ ძველი სიებით ვატარებთ“

**– ასევე, გვახსოვს თქვენი დამოკიდებულება კაციტაძის ეგრეთწოდებული ხმისდამთვლელი კომისიის მიმართ... არ ფიქრობთ, რომ ამომრჩეველთა ეს სია პრობლემებს შექმნის საპრეზიდენტო არჩევნებზე?**

– ბუნებრივია, უნდა იმსახურებდეს ნდობას. ფაქტია, რომ ვერ მოესწრო მისი შესწორება. მთავარი პრობლემა ისაა, რომ მილიონზე მეტი ადამიანი, რომელიც 15-20 წელია საზღვარგარეთ არის წასული, საარჩევნო სიებში მაინცაა და მათი სიიდან ამოღება კონსტიტუციით შეუძლებელია. პრაქტიკულად თავიდან უნდა მომხდარიყო სიების შედგენა, ადგილზე მისვლით და შემოწმებით. ამით მივიღებდით რეალურ სურათს, რა რაოდენობის ამომრჩეველი გვყავს საქართველოში. ეს ნამდვილად არის გასაკეთებელი და მე ვიმედოვნებ, რომ ადგილობრივი არჩევნებისთვის ამის გაკეთება მოესწრება. არჩევნები უკვე გამოცხადებულია და ახლა სიების ფორმირებამ შეიძლება ძალიან არაჯანსაღი შედეგი გამოიღოს. ამიტომ მთავარია, ძალიან გამჭვირვალედ ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები.

**– ანუ დღეს არსებული ამომრჩეველთა სია თქვენს ნდობას არ იმსახურებს, თუმცა სხვა არჩევანი არ გაქვთ?**

– რეალობა არის ის, რაც არის, ჩვენ დაგვხვდა ასეთი ტიპის მოცემულობა. საარჩევნო კოდექსი დიდი ბედნიერება არ არის, მაგრამ დაგვხვდა ასეთი კოდექსი. შეცვლა ვერ მოესწრო, მის გაუმჯობესებაზე მუშაობა მიმდინარეობს. მთავარი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

**– თუმცა არასამთავრობოებიდანაც და არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდანაც მთავარი ბრალდება სწორედ ის არის, რომ კომისია ძალიან ნელი ტემპით მუშაობს და მისი შექმნაც დაგვიანდა...**

– მათი მხრიდან ბრალდებები არ მომისმენია, თუმცა, თუ შეკრება ვერ მოახერხეს დიდხანს, მარტო კოალიციის წევრებს ნუ დაადანაშაულებენ, რადგან კომისიაში კოალიციიდან მხოლოდ 6 პარტია შედის, დანარჩენები არიან „ნაციონალური მოძრაობა“ და კიდევ დაახლოებით თორმეტი პარტია. ამიტომ ხელისუფლების დადანაშაულების საფუძველი არასწორია.

ოპოზიციასთან ერთად, მთავრობის პასუხის მოლოდინში არასამთავრობოებიც არიან. ისინი აღიარებენ, რომ ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მუშაობა დაგვიანებით დაიწყო. საარჩევნო გარემოს სრულად გამოჯანმრთელების იმედი ნაკლებად აქვს ვინმეს, მით უფრო საპრეზიდენტო არჩევნებამდე, თუმცა რამდენიმე ცვლილების შეტანას მაინც ვარაუდობენ.

**ნინო ლომჯარია, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორი:**



– ვფიქრობ, გარკვეულ საკითხებზე ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ ადრე დაიწყებოდა მუშაობა. არასამთავრობოები ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ვითხოვდით, რომ ინტენსიურად დაწყებულიყო ამ მიმართულებით მუშაობა, თუმცა გაზაფხულამდე ინტერფრაქციული ჯგუფის შეკრება ვერ მოხერხდა. ძირითადი და არსებითი საკითხების განხილვა სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო, ამიტომ ვფიქრობ, პროცესი ცოტა დაგვიანებულია, თუმცა იმდენად მნიშვნელოვან დეტალებზეა საუბარი, რომ, ჩემი აზრით, სჯობს, მოხდეს მათი საფუძვლიანად გატარება, ვიდრე დაჩქარებულად.

**– საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვერ მოესწრება ცვლილებების შეტანა?**

– ვფიქრობ, არის საკითხები, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებამდე აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ეს ეხება რესურსების გამოყენებას, მედიარეგულაციებსა და პარტიების დაფინანსების საკითხს. ჩვენ კონკრეტული რეკომენდაციები უკვე შევთავაზეთ ინტერფრაქციულ ჯგუფს და გვპირდებიან, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ეს ცვლილებები შევა. ვფიქრობ, ჩვენი მოლოდინი რეალურია, რადგან არჩევნებამდე ოთხი თვე დაგვრჩა, თუ პარლამენტი უახლოეს დღეებში დაიწყებს საკითხებზე მსჯელობას.

**– თუმცა პარლამენტი უკვე რიგგარეშე სხდომებს მართავს...**

– შესაძლებელია, ეს საკითხები სწორედ რიგგარეშე სხდომებზეც გადაწყდეს. ეს მთლიანად პარლამენტზეა დამოკიდებული.

რამდენად მოესწრება ცვლილებების შეტანა კოდექსში, მით უფრო რიგგარეშე სხდომების პერიოდში, ეს მთლიანად პარლამენტის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ინტერნეტსივრცეში ახალი

**my View**
თამარ გორთამაშვილი

**ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი, ბესიკ ალადაშვილი უახლოეს პერიოდში ინტერნეტსივრცეში ახალი ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებას არ გამორიცხავს. ამის თქმის საფუძველს ექსპერტს ის ვითარება აძლევს, რომელიც ბოლო პერიოდში საიდუმლო სამალავებში იარაღთან ერთად აღმოჩენილ ვიდეოკადრებთან დაკავშირებით შეიქმნა. ალადაშვილი დასაშვებად მიიჩნევს ვერსიას, რომ შესაძლოა, ამ ჩანაწერებით უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებიც მანიპულირებდნენ, უპირველესად კი რუსეთის, რომელსაც საქართველოში შიდა პოლიტიკური დაპირისპირება დღეს ყველაზე მეტად აწყობს. ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში აქცენტს საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩენილ რამდენიმე საკითხზეც აკეთებს, მათ შორის აღმოჩენილ აღურიცხავ იარაღზე, რომლის მიზნობრიობაც აუცილებლად უნდა იყოს გამოძიებული.**

ბესიკ ალადაშვილი: „თავდაპირველად საზოგადოების ყურადღება იარაღის სამალავების აღმოჩენამ მიიპყრო. ეს ფარული ჩანაწერები მეორე პლანზე იყო, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ უფრო მნიშვნელოვანი რატომღაც ეს ფარული ჩანაწერები გახდა. ჩემი აზრით, უყურადღებოდ არის ამ ეტაპზე ის პირველხარისხოვანი საკითხი, რაც ამ იარაღის წარმომავლობაა, რისთვის იყო, ვინ ჩადო... მე თავიდანვე ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი ამ იარაღის აღმოჩენის ოპერაციის ჩატარების იურიდიულ მხარეზე. იყო დარღვევები, ყველგან ვამბობდი და ახლაც გეტყვით, რომ ეს არის ანბანი - იქ ჯერ გამნაღმველთა ჯგუფი უნდა მისულიყო და თავისი საქმე გაეკეთებინა, შემდეგ კრიმინალისტურ სამსახურს უნდა ამოეღო და თითის ანაბეჭდები დაედგინა, რაც ჩვენ გვაჩვენეს, იქ შიშველი ხელებით ხდებოდა ამ იარაღის ამოღება და დაფიქსირება. ამის გარდა მე მქონდა კითხვები. იარაღის სამალავის აღმოჩენა სავსებით შესაძლებელია, მაგრამ მეორე საკითხია რამდენად შეიძლებოდა იქ ყოფილიყო ისეთი არაპირველხარისხოვანი საკითხები - დასაჭერთა სია, ვიდეოკადრები, ნარკოტიკები და არა უშუალოდ ამ იარაღთან დაკავშირებული ნივთმტკიცებები. მე არ გამიკვირდებოდა, რომ იქ პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები ყოფილიყო, რაც საბრძოლო ვითარებისთვის აუცილებელია, ნარკოტიკული ნივთიერებებიც შეიძლება ამ კუთხით გავიდეს, მაგრამ სავსებით კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო დასაჭერთა სია და ვიდეოკადრები. ჩემი ვარაუდით ეს ვიდეოკადრები იმ ცნობილი კარტოთეკიდანაა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიპოვა, თავდაპირველადვე, როცა ეს გაცხადდა, რამდენიმე თვით ადრე. შემდეგ ითქვა, რომ ეს უნდა განადგურებულიყო. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აღმოჩენილი იარაღის სამალავთან ეს ფარული ჩანაწერები ხელოვნურად არის მიბმული. ეს ფარული ჩანაწერები ბუნებრივია არსებობდა, მაგრამ იყო იმ კარტოთეკაში, სადაც კიდევ ბევრი ჩანაწერი იქნება. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ნაციონალები 9 წლის მანძილზე მეტს არაფერს აკეთებდნენ. სპეცსამსახურები მთლიანად გადართული იყო შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებაზე. ეს ჩემთვის გასაკვირი არ არის, მაგრამ ახალ ხელისუფლებას ეს არ უნდა დასჭირვებოდა, რაც უფრო მეტი სიმართლე იქნება, არ გამოებმება კუდები, არ იქნება ვერსიები და ექსპერტებისთვის ბევრი კითხვის ნიშანი აღარ იქნებოდა, რომ თავიდანვე გაცხადებული ყოფილიყო, ვთქვათ, ფარული ჩანაწერების აღმოჩენა იყო აქა და აქ... მე, რამდენიმე თვის წინაც განვაცხადე, რომ ამის ასე ხელაღებით განადგურება არ შეიძლება, ეს იქნებოდა დანაშაული. ჩვენ შეიძლება აქ მორალურ საკითხს გამოვეკიდეთ, მაგრამ აქ იურიდიული საკითხია მთავარი. ეს ფარული ჩანაწერები თუ კანონდარღვევით იყო ჩატარებული, როგორც ოპერატიულ სამძებრო ღონისძიება, მაშინ უნდა დაისაჯოს ის პირი ვინც ამას აკეთებდა, ისიც, ვისი ბრძანებითაც ხდებოდა. უნდა გაირკვეს, რატომ ხდებოდა ამის შენახვა და იყო თუ არა ეს ამ ფარულ კადრებში



**„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აღმოჩენილი იარაღის სამალავთან ეს ფარული ჩანაწერები ხელოვნურად არის მიბმული“**

დაფიქსირებული პიროვნებების შანტაჟის საფუძველი, პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა გადაწყვეტილებების მიღების, ან არ მიღების საშუალება, ხომ არ იყო ეს ბერკეტად გამოყენებული. გამოძიება სწორედ აქეთკენ უნდა წავიდეს და თუ ჩვენ გავანადგურებთ ამ ნივთმტკიცებას, მაშინ მოგებული დარჩება ის, ვინც ეს უკანონობა ჩაიდინა. კი, ადამიანის უფლებები გასაგებია, მაგრამ, ჩემი აზრით, არსებობს საშუალება, რომ ადამიანის უფლებებიც არ შეილახოს და ამავე დროს დამნაშავეც დაისაჯოს.

**- რამდენ უწყებას ჰქონდა უფლება კანონიერად განეხორციელებინა ფარული მიყურადება?**

- ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მიხედვით, რომელიც არეგულირებს მიყურადებას, ინფორმაციის მოხსნას ელექტრონული წყაროებიდან თუ სატელეფონო ქსელებიდან, ჩამონათვალში არის შვიდი სახელმწიფო სტრუქტურა, დაწყებული ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან, დამთავრებული სამხედრო პოლიციით, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტრო. თავად შინაგან საქმეთა სამინისტროში სულ მინიმუმ შვიდ სამსახურს ჰქონდა ასეთი საქმიანობის უფლება. ანუ სულ მინიმიმ საქართველოში თოთხმეტ უწყებას და ქვეუწყებას ჰქონდა კანონის ძალით ოპერატიული სამძებრო საქმიანობის განხორციელების უფლება. ამას დავუმატოთ ისიც, რომ არებობდა ძალიან დასაბუთებული ეჭვი, რომ უშიშროების საბჭოს აპარატიც, რაც კანონში არსად არ წერია, მაგრამ მასაც ჰქონდა ტექნიკური საშუალებები ინფორმაციის მოხსნისა. ამის გარდა, ნაციონალების ხელისუფლების დროს ძალიან ხშირი იყო ე.წ. სამოქალაქო უწყებებს შორის მსგავსი შემთხვევები... ავიღოთ თუნდაც ქალაქის მერია. გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე წლის წინ მერიასთან დაკავშირებული სკანდალი, როცა ფარული ჩანაწერები ამოვარდა და იყო კლანური დაპირისპირება პარტიის შიგნით... გარდა სახელმწიფო სტრუქტურებისა, დღეს ტექნოლოგიები ისე განვითარდა, რომ ნებისმიერ ფინანსურად ძლიერ ორგანიზაციას შეუძლია ფარული ჩანაწერების გაკეთება, ასევე კერძო დეტექტიურ ფირმებს, კერძო პირებსაც, რაც, ბუნებრივია, კანონდარღვევაა. სამწუხაროდ, დღეს მოქალაქე არ არის დაცული ამისგან.

**- კანონი ხომ არეგულირებს ამას?**

- რა თქმა უნდა და იქ არის მუხლი, რომელიც საზღვრავს ეს კომერციული საიდუმლოებაა, სახელმწიფო საიდუმლოებაა თუ პიროვნების საიდუმლოებაა. მისი უკანონოდ მოპოვება, რა თქმა უნდა, ისჯება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით, მაგრამ ამას ხომ უნდა გამოძიება და ამის ერთადერთი ნივთმტკიცება ეს ფარული ჩანაწერია.

**- შესაძლოა, ეს ფარული ჩანაწერები გარკვეულ ინდივიდებს გაეკეთებინათ და არ ყოფილიყო ეს დავალება?**

- გამორიცხულია, თუმცა რაღაც უმნიშვნელო ნაწილი შეიძლება ყოფილიყო, რომელსაც რაიმე ბიზნესინტერესი, ან პიროვნული ინტერესი ჰქონოდა, შეიძლება მათ ჰქონოდათ ცდუნება და გამოეყენებინათ საკუთარი მიზნებისთვის. მაგრამ, ჩემი აზრით, ძირითადად, ეს სიტყვიერი ბრძანების მიხედვით კეთდებოდა, ზემოდან ქვემოთ. როდესაც არჩევნები დამთავრდა და „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, მაშინ გაიჟღერა რამდენიმე ფაქტმა და დაკავებულებიც იყვნენ მაღალჩინოსნები, თუ არ ვცდები, ივანიშვილის კომპიუტერში შეღწევის თემა იყო. როგორც ვიცი, დღეს ეს ხალხი ამნისტიით გათავისუფლებულები არიან და ყველა გარეთაა. აი, ეს იყო საგანგაშო. ეს იყო იმის პირველი ნიშანი, რომ წერილობითი ბრძანების გარეშე ხდებოდა ვთქვათ, კომპიუტერში შეღწევა და აქედან გამომდინარე კანონის დარღვევა.

**- რამდენად არის დღეს საზოგადოება დაცული ფარული მიყურადებისგან?**

- თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ 14 ძალოვანი სტრუქტურის, ვისაც კანონით ჰქონდა ამის უფლება და დღესაც აქვს, ამ სტრუქტურებში უმეტესობა, 60-70 % კვლავ ძველი თანამშრომლები არიან... არ არის გამორიცხული, რომ მათზეც არსებობს ასეთი ჩანაწერები, იმიტომ რომ ყველა მოკვდავი ვართ და გვაქვს ჩვენი ცოდვები, ამიტომ შესაძლოა, მათზეც არსებობს ეს კომპრომატები, ჯერ ისევ სკივრში შენახული. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ დღესაც ხდებოდეს პოლიტიკური ოპონენტების ფარული ჩაწერა.

**- რა არის გამოსავალი, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს აღიკვეთოს?**

- ეს ძალიან რთული საკითხია. ამას სისტემური მიდგომა სჭირდება. ამისთვის საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები. გასატარებელია უფრო მეტი დემოკრატიული კონტროლი. ძალოვან სამინისტროებს უფრო მეტი გამჭვირვალობა სჭირდება. ეს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას ნიშნავს. თუნდაც, რაც მიღებულია მსოფლიო პრაქტიკაში - თვით რუსეთის საერთო სასამართლოებიც კი აკეთებენ ხოლმე წლის ბოლოს ანგარიშს, თუ რამდენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე შემოვიდა განაცხადი და რამდენი დაკმაყოფილდა, მათ შორის ხდება გაშიფვრა, რამდენი მოსმენაა, რამდენი თვალთვალია და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ხდება კონკრეტული პიროვნებების ვინაობის დასახელების გარეშე. აი, ეს არის პირველადი, რაც ჩვენ შემთხვევაში უნდა გაკეთდეს და შემდეგ, რაც მთავარია, რაც არც დაძრულა ჯერ, თითოეულ პიროვნებას, ჩვენ, უნდა შეგვეძლოს დავწეროთ განცხადება და მოვითხოვოთ, გაგვცეს პასუხი ნებისმიერმა უწყებამ, იყო თუ არა ჩვენზე თვალთვალი, ანუ ჩვენი პირადი





**„კომპრომატები ისევ ნაციონალების ხელში რჩება და ისინი, თუ აკვირდებით, ამას პორცია-პორცია იყენებენ. და მე არ გამოვრიცხავ, რომ ისევ შიდა კლანური მიზნებისთვისაც“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კომპრომატები დაიდება?

## რა კავშირი აქვს რუსეთის სპეცსამსახურებს ფარულ ვიდეოკადრებთან?




## საიდან შეიძლება ატვირთულიყო ჯიჰადის კადრები და რატომ ფერხდება გამოძიება?

დოსიეები უნდა იყოს ხელმისაწვდომი ჩვენთვის. თუ ჩვენზე არ არის სისხლის სამართლის საქმე აღძრული და ჩვენ რაიმე სტატუსით არ ვიყავით ექვმიტანილი, ან არ გვქონდა შეხება ოპერატიულ სამსახურებთან და არსებობს ჩვენზე ფარული ჩანაწერები, მოსმენა ან თვალთვალის ოქმები, ეს კვლავ კანონის დარღვევაა. თუ ის პიროვნებები მკაცრად და საჯაროდ არ დაისაჯნენ, მაშინ სხვას ხელფეხი ეხსნება კვლავ ჩაიდინოს ეს უკანონობა.

**- თქვენ განაცხადეთ, რომ ფარულმა ჩანაწერებმა განსაზღვრა იუსტიციის საბჭოს წევრთა არჩევნების შედეგი. გაქვთ კონკრეტული ფაქტი? დღესაც ხდება მათი გამოყენება?**

- ეს ჩემი ვარაუდია, რომ არ არის გამორიცხული, იმ სამსახურებში, რომლებიც ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებებს ახორციელებდნენ, თანამშრომლებზე, რომლებიც აქ მუშაობენ, შესაძლოა, მათზეც იყოს კომპრომატები და ამ კომპრომატების გამოყენება ხდებოდეს. არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება ჩანაწერები ბიზნესთემაზე, თუ პირად ცხოვრებაზე. ჩვენ ვნახეთ წერილი, რომელიც გამოაქვეყნა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, რომელიც იონათამიშვილს ეკუთვნოდა. ჩვენ დავინახეთ, რომ ფარული ჩანაწერების გარდა არსებობს ზემოქმედების სხვა ბერკეტებიც. ასეთი ბერკეტები, მე ვვარაუდობ, რომ არსებობს სასამართლოს წევრებზე. და არც ის არის გამოსარიცხი, რომ ეს იყო გამოყენებული იმ არჩევნების ისე ჩასატარებლად, როგორც ჩატარდა. ეს არის ჩემი ვარაუდი და მე არ მინდა ვინმეს უდანაშაულობის პრეზუმპცია დავარღვიო, მაგრამ ფაქტია, რომ ყველასთვის მოულოდნელად, არჩევნების ეს შედეგი მივიღეთ. ყველა გაკვირვებული დარჩა და ამას თუ ჩავუკვირდებით და მიზეზს მოვძებნით, აქ შეიძლება კვლავ ის ერთი გუნდი რჩება და მათ რაღაც ურთიერთკავშირები აქვთ და არ არის გამორიცხული, ეს იყოს ძველი ფინანსური კავშირები, ასევე, გარკვეული ვალდებულებები და არც ის არის გამორიცხული, რომ ასევე გარკვეული კომპრომატები არსებობდეს ვინმეზე. ეს კომპრომატები ისევ ნაციონალების ხელში რჩება და ისინი, თუ აკვირდებით, ამას პორცია-პორცია იყენებენ. და მე არ გამოვრიცხავ, რომ ისევ შიდა კლანური მიზნებისთვისაც. ჩვენ ვიცით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არც ადრე და არც ახლა, არ არის ერთგვაროვანი, იქ ყველას თავისი ამბიციები აქვს, გარკვეულწილად თავის გადარჩენის მომენტებიც მუშაობს. ამ რამდენიმე კლანშია ეს კომპრომატები, ჩვენ ხომ გვახსოვს, როგორი დაპირისპირება იყო პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის, საფინანსო პოლიციას, თავდაცვის სამინისტროს შორის... ეს კომპრომატები არსებობს ამ უწყებების ყოფილი მაღალჩინოსნების ხელში და ისინი, რა თქმა უნდა, ამის გამოყენებას შეეცდებიან.

**- თუმცა ეს ჩანაწერები ახალ ხელისუფლებასაც აქვს. მათი მხრიდან თუ არის ამის გამოყენების საშიშროება. თქვენ თავად თქვით, რომ შესაძლოა, ეს ფარული ჩანაწერები ხელოვნურად იყოს მიბმული იარაღის სამალავებთან... რაში დასჭირდათ მაშინ ამის გაკეთება?**

- რომ ითქვა, ვანადგურებთ და ჩვენ ამას არ გამოვიყენებთ, ეს, ჩემი აზრით, წმინდა პოლიტიკური შიში იყო, რომ საზოგადოებამ არ გაიგოს ისე, რომ ჩვენ ამას გამოვიყენებთ რაღაც მიზნებისთვის. ცოტა წინმსწრები იყო პირველი განცხადება, რომ ეს ჩანაწერები განადგურდება. მერე, უკვე ცოტა უკან დახევა მოხდა, იმიტომ რომ, როგორც იქნა, ძალიან ბევრი ექსპერტი ხმამაღლა ამბობდა, რომ ასე ხელაღებით განადგურება იმ კვალს შლის, რომელმაც დამნაშავემდე უნდა მიგვიყვანოსო. დღეს ხშირია, როცა ჩვენი ძალოვანები არაკოორდინირებულად მოქმედებენ, ხან ჩქარობენ, ხან პირიქით, ნელა მოქმედებენ და ესეც იყო, ალბათ, უფრო მუნდირის ღირსების საკითხი. მე ამას ამით ვხსნი, იმიტომ რომ იქ, ამ ფარული ჩანაწერების მიბმა ცოტა ხელოვნურად გამოუვიდათ. თუმცა ამით დანაშაულის სიმძიმე არ მსუბუქდება. თუ სამალავი უკანონოდ იყო გაკეთებული, ეს საკმაოდ დამაფიქრებელი ფაქტია, ხომ არ იყო ეს ან სახელმწიფო გადატრიალებისთვის, ან ტერორისტული აქტისთვის მზადება, რაც გამოსაძიებელია. მაგრამ თუ იყო ბრძანება და არ შეიძლება, რომ ბრძანება არ არსებობდეს (მით უმეტეს, როცა ასეთი არაპროგნოზირებადი მეზობელი გყავს), აუცილებელიც არის, რომ ასეთი თავდაცვითი სამალავები გქონდეს, მაგრამ ამას შესაბამისი ბრძანება, აღრიცხვა სჭირდება და ეს ყველაფერი უნდა ყოფილიყო დოკუმენტურად დადასტურებული. თუ უკანონოდ იყო, მაშინ აუცილებელია მოხდეს მისი გამოძიება.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ფარულ ჩანაწერებს კავშირი აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ რიგების შემცირებასთან, ბოლო პერიოდში რამდენიმე ნაციონალი განუდგა პარტიას?**

- მათ, ვინც დატოვეს პარტია, თავიანთი გადაწყვეტილება პირდაპირ დაუკავშირეს ამ პროცესებს, რომ იყო არაადამიანური ქმედებები და ამან გარკვეულწილად თვალი აგვიხილაო, ეს თავად განაცხადეს.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ რაიმე კუთხით მათი დაშანტაჟება მოხდა?**

- ვერაფერს გეტყვით. მეორე კუთხით შევხედოთ, მაშინ ნაციონალებსაც შეეძლოთ მათზე ზემოქმედება, რომ - თუ დატოვებთ პარტიას, მაშინ ამ კომპრომატებს ჩვენ ინტერნეტში შევაგდებთ.

**- ანუ, ორმხრივი შანტაჟის ობიექტები შეიძლება გახდნენ ესა თუ ის პოლიტიკური ფიგურები?**

- რა თქმა უნდა, მე ძალიან მეცოდება ის ადამიანები, რომლებიც ამ პოლიტიკურ სიბინძურეში გაებნენ. რა თქმა უნდა, ორივე მხარეს შეეძლო ამ კომპრომატების გამოყენება. ზოგადად, ეს ძალიან რთული პრობლემაა. თეორიულად რომ შევხედოთ, არაფერი არ არის გამორიცხული და იმის გამო, რომ ეს ჯინი ამოვუშვით ბოთლიდან, რომელსაც ფარული ჩანაწერები ჰქვია და რომელმაც საზოგადოებაში უკვე გამოიწვია საკმაოდ მძაფრი რეაქცია, მაშინ ჩვენ, სამწუხაროდ, კიდევ უნდა ველოდეთ ამ ფარული ჩანაწერების გამოჩენას ინტერნეტსივრცეში, ალბათ, ეს იქნება უფრო კონკრეტულ პიროვნებებზე არსებული მასალა, რომელიც კონკრეტულად მათზე იმოქმედებს.

როდესაც ამ თემებზე ვსაუბრობთ, ჩვენ ერთი საკითხი გვრჩება უყურადღებოდ. ეს არის მესამე მხარე - სხვა ქვეყნის სპეცსამსახურები, რომლებსაც ყველაზე მეტად აწყობთ არეულობა საქართველოში, პოლიტიკური დაძაბულობა და ბაქანალია, საზოგადოების გახლეჩვა რამდენიმე ნაწილად. თუ 90-იანი წლებიდან შევხედავთ, ჩვენი მტერი ყოველთვის ამას აკეთებდა და აღწევდა მიზანს. ეს ფარული ჩანაწერები სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებსაც აქვთ და უკვე ძნელი ხდება ახლა იმის დადგენა, ინტერნეტსივრცეში ვინ შეაგდებს ამ ჩანაწერს. ანუ მესამე მხარესაც შეუძლია ეს გამოიყენოს, როგორც ბერკეტი შანტაჟისთვის. ეს არის ერთ-ერთი მთავარი და ჩვენი სპეცსამსახურები, სამწუხაროდ, კვლავ ძალიან სუსტად მუშაობენ ამ მესამე მხარის, უცხო ქვეყნის აგენტურის წინააღმდეგ. ქვეყანას იმისთვის სჭირდება ძლიერი კონტრდაზვერვა, რომ გამოვრიცხოთ, მთელი ეს პროცესი ხომ არ არის ინიცირებული ზუსტად უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის მიერ, რათა ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდეს. უპირველესად, ეს არის რუსული სპეცსამსახურები, თუმცა საკმაოდ ძლიერია აქ ირანის, თურქეთის, ისრაელის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და აშშ-ს სპეცსამსახურები. რუსეთის უპირველესია, რომელსაც ყველაზე ძლიერი პოზიციები ჰქონდათ და აქვთ. ნებისმიერი მესამე მხარე უნდა იყოს განეიტრალებული, მისი ზეგავლენა უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი.

**- საზოგადოებაში არ მინელებულა ინტერესი ჯიჰადის ვიდეოსთან დაკავშირებით, თქვენ რას ფიქრობთ, საიდან მოდის ეს ვიდეო, რა ინტერესს ემსახურებოდა მისი გავრცელება და რატომ ფერხდება გამოძიება?**

- ეს ისეთი საკითხია, როგორც ქათამი და კვერცხი. თითქოს მივალთ ახსნამდე, რომ დადგენილია რაღაც, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ სხვა მისამართებია. მეც და საზოგადოებასაც, ალბათ, ის აიმედებს, რომ ეს საკითხი ასე არ მიფუჩეჩდება, რადგან საქმეში ჩართულია აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო სააგენტო. კონკრეტულ პიროვნებაზე გასვლა შეიძლება საკმაოდ რთული იყოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ინტერნეტსივრცემდე მისვლა საკმაოდ გაიოლებულია. შესაძლოა აქ გამოყენებული იყოს რომელიმე ინტერნეტკაფე. იქ უკვე ძალიან ძნელია დაადგინო, ვინ როდის იჯდა და ვინ შეაგდო ეს მასალა ინტერნეტში. გარდა ამისა, სპეცსამსახურებს და ძლიერ ჰაკერებს შეუძლიათ თქვენი ან ჩემი კომპიუტერი ისე გამოიყენონ ჩვენს გარეშე, რომ ვერაფერს მივხვდეთ. ანუ ის იყოს ინფორმაციის გამტარი, როგორც წესი, ამის გამოყენება ხდება ვირუსების მასიური გავრცელების დროს. ჩვენი კომპიუტერი ხდება გამტარი და ამას ვერ ვგრძნობთ. ეს ვარაუდიც დასაშვებია.

**„ქვეყანას იმისთვის სჭირდება ძლიერი კონტრდაზვერვა, რომ გამოვრიცხოთ, მთელი ეს პროცესი ხომ არ არის ინიცირებული ზუსტად უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის მიერ, რათა ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდეს“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საკონსტიტუციო ცვლი



**my View**

**ხათუნა მგალობლიშვილი**

**უმრავლესობას პრეტენზია აქვს, მათ მიერ მიღებულმა კონსტიტუციამ მინიმუმ რამდენიმე ათწლეული ხელუხლებლად იმოქმედოს. ბუნებრივია, ამ პირობას ისინი კონსტიტუციაშივე ვერ ჩაწერენ, თუმცა ამისთვის ყველაფერს აკეთებენ. მოქმედი კონსტიტუციის საბოლოო შეცვლა, სავარაუდოდ, ერთ წელიწადში მოხდება. მაგრამ ამ ერთი წლის ათვლა როდის დაიწყება, ეს ჯერჯერობით დავის**



## ვახტანგ ხმალაძე: „თუ პარლამენტი ბიუჯეტს ვერ მიიღებს, ამ შემთხვევაში პასუხი უნდა აგოს ან პარლამენტმა, ან მთავრობამ“

**საგანია. ცნობილია მხოლოდ ერთი დეტალი – უნდა შეიქმნას საკონსტიტუციო ცვლილებების სახელმწიფო კომისია, რომელიც ზუსტად ერთი წელი იმუშავებს. ერთწლიანი მუშაობის პერიოდში პროცესში ჩაერთვებიან კონსტიტუციონალისტები, არასამთავრობოები, კვალიფიციური სუბიექტები და თავად საპარლამენტო პოზიცია-ოპოზიცია. სწორედ მათ შორის მოხდება მოსაზრებების შეჯერება, საზოგადოებასთან შეთანხმება და უკვე ამის შემდეგ დოკუმენტი წარედგინება პარლამენტს. ყველაფერი ლოგიკურად დალაგდა, მაგრამ პრობლემა მაინც არის – უმრავლესობაში ვერ პასუხობენ, როდის შეიქმნება კომისია. ვახტანგ ხმალაძე დაინტერესებულ პირებს კონტრკითხვას უსვამს: ადევნებთ თვალყურს პარლამენტის მუშაობას, ხედავთ, რა რეჟიმში გვიწევს მოღვაწეობა? კითხვიდან გამომდინარე უთქმელად ხდება მთავარი დამნაშავის დასახელება. უმრავლესობა თითს ნაციონალებისკენ იშვერს. რეალურად შეთანხმება ვერ ხერხდება, როგორ უნდა მოხდეს კომისიის დაკომპლექტება, რა ფორმით და როგორ უნდა იმოქმედოს მან. ყველა ეს კითხვა ჰაერშია გამოკიდებული, შესაბამისად, ყველა ცდილობს, დეტალებზე საუბარს თავი აარიდოს.**

**ზურაბ აბაშიძე, უმრავლესობის წევრი:**

– საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისია დაკომპლექტდება იმ წესით, როგორც აქამდე დაკომპლექტებულა, წარმოდგენილი იქნება ფართო სპექტრი. თავმჯდომარეზე საუბარი ჯერ არ არის, ამ დეტალებზე საუბარი ჯერ არ მიმდინარეობს.

როგორც ხმალაძემ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში ის ერთ-ერთი ძლიერი კონსტიტუციონალისტია, კომისიის ხელმძღვანელი თავად არ იქნება. რაც არ უნდა უცნაური იყოს, მიზეზად ხმალაძემ მოუცლელობა დაასახელა. თუმცა პირობა დადო, რომ მაქსიმალურად შეეცდებიან, კომისია ივლისში ჩამოაყალიბონ.

კომისიის თემა გახდა არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილისთვის ბოიკოტის მიზეზი. ბურჯანაძის გუნდის წევრი, გიორგი კობახიძე საერთო სახალხო განხილვებს სწორედ კომისიის შექმნის გაჭიანურების გამო გამოეთიშა.

**გიორგი კობახიძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი:**

– „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა მოლოდინი, რომ არსებული რეალობა შეიცვლებოდა, თუმცა ჯერ არაფერს აკეთებს ამისთვის. ისინი ცდილობენ, კონსტიტუციის თავის თავზე მორგებას და დაპირებებით ხალხის კვებას. მაშინ გაკეთდეს ასეთი ჩანაწერი ხელისუფლებაში, რომ ყველა ახალ მთავრობას აქვს უფლება, მოირგოს კონსტიტუცია საკუთარ თავზე. ჩვენ არ გავხდებით ხელისუფლების „გამპრავებლები“ კონსტიტუციური დებულებების წუწაობაში.

**– თქვენი აზრით, აქამდე რატომ არ შექმნეს კომისია?**

– იმიტომ, რომ საკუთარი ინტერესებით მოქმედებენ. პარტიები, რომლებიც კოალიციაში არიან გაერთიანებულები, ფიქრობენ, როგორ გაიმაგრონ პოზიციები ამ ოთხი წლის განმავლობაში, სანამ გარანტირებულად არიან ხელისუფლებაში. ბევრჯერ თქვეს, რომ აუცილებლად და გადაუდებლად შექმნიდნენ კომისიას. ჯერ წლის ბოლოს გვითხრეს, რომ ნოემბერში შეიქმნებოდა, შემდეგ თქვეს, რომ თებერვალში შექმნიდნენ კომისიას, თავად პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, რომ მაისის ბოლომდე შეიქმნებოდა და დღეს უკვე ივლისია. უნდა ვიბრძოლო იმისთვის, რომ შედეგს თავად მივაღწიო...

ხელისუფლებაში მოსვლამდე ივანიშვილის ოპოზიციის საფირმო წინადადება კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებას უკავშირდებოდა. ნებისმიერი ოპოზიციონერი ნებისმიერი კრიტიკისა თუ დებატების დროს საკუთარ გამოსვლას იწყებდა და ასრულებდა სწორედ იმ სიტყვებით, რომ სააკაშვილი უკვე ამდენი წელია, სხვას არაფერს აკეთებს, თუ არა კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებას. ბედის ირონიით დღევანდელ ხელისუფლებას სწორედ იგივეში ადანაშაულებს უკვე ახალი ოპოზიცია. მიზეზი ბევრია. თუნდაც იგივე ორმაგი მოქალაქეობის საკითხი, რომლის ირგვლივაც



## „რუსეთი, რა თქ... მაგრამ არამხოლო...



აზრთა სხვადასხვაობა თვითონ უმრავლესობაშია. მაგალითად, ვახტანგ ხმალაძე მიიჩნევს, რომ მაღალი თანამდებობის პირებს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობა უნდა ჰქონდეთ. უმრავლესობის წევრის მოსაზრება მისაღებია არასაპარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილისთვისაც. თუმცა ორმაგი მოქალაქეობის მთავარ უარყოფით მხარედ მაინც უსაფრთხოება რჩება. უმრავლესობის წევრების განცხადებით, ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა თანამდებობის პირებისთვის. გამონაკლისი მხოლოდ ლატვიაა. ლატვიის პრეზიდენტი ვერასოდეს გახდება ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი. არასამთავრობოებისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი საერთოდ ითხოვს, რომ აიკრძალოს ორმაგი მოქალაქის თანამდებობაზე დანიშვნა. ბუნებრივია, მთავარ მიზეზად აქაც საფრთხეები, უფრო კონკრეტულად კი რუსეთი სახელდება.

საფრთხეების გარდა, ორმაგ მოქალაქეობაზე საუბრისას საინტერესო დეტალები პოლიტიკური თვალსაზრისითაც იკვეთება. გარდა იმისა, რომ ცვლილების შეტანით ივანიშვილი ავტომატურად გამოცხადდება უკანონო პრემიერ-მინისტრად, რადგან მას მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეობა აქვს ამ მომენტისთვის, კითხვის ნიშნები ჩნდება თუნდაც ლევან ვასაძის გააქტიურების მიმართაც. არ არის გამორიცხული, ვასაძემ, როგორც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა, კიდევ უფრო აქტიური ნაბიჯები გადადგას პოლიტიკაში. ვასაძის გარდა, მოქმედების არეალი უფართოვდება კიდევ ბევრ დაინტერესებულ პირს. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, იდეა ჩავარდეს. ამით ივანიშვილსაც შეუნარჩუნებენ პოსტს და ვასაძეს ან კიდევ ბევრ სხვას მოუჭრიან ქართულ პოლიტიკაში გააქტიურების საშუალებას.

**ირინა იმერლიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი:**

– ამ მომენტისთვის ბიძინა ივანიშვილს აქვს მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეობა, ყველას გვახსოვს, რომ პრეზიდენტმა ჩამოართვა მოქალაქეობა და დიდი იმედი გვაქვს, რომ ახალი პრეზიდენტი მიანიჭებს ივანიშვილს მოქალაქეობას.

**– უმრავლესობაში არის ამაზე საუბარი?**

– ამ „ქეისზე“ საუბარი ნამდვილად არ არის. პრეზიდენტმა თავად უნდა მიანიჭოს ორმაგი მოქალაქეობა.

**– პრემიერი აპირებს, მიმართოს პრეზიდენტს?**

– არ სჭირდება მიმართვა. მაგალითად, სააკაშვილმა ივანა მელაის მამას თავისი ინიციატივით მიანიჭა.

**– პრემიერი პოლიტიკიდან წასვლაზე სა-**

## ირინა იმერლიშვილი: „ლატვიის კონსტიტუციაში ჩანაწერი არსებობს, რომ პრეზიდენტს ეკრძალება ორმაგი მოქალაქეობა“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლებები ხმაურს იწვევს



## გიორგი კობახიძე: „ჩვენ არ გავხდებით ხელისუფლების „გამპრავებლები" კონსტიტუციური დებულებების წუწაობაში"



ჰქონდა, მისთვის პარლამენტის ნდობის საკითხიც მიება. ანუ თუ პარლამენტი მთავრობის მიერ შეთავაზებულ კანონს არ დაამტკიცებდა, გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ პრეზიდენტს უფლება ეძლეოდა, პარლამენტი დაეთხოვა. საპარლამენტო უმრავლესობა ასეთ მექანიზმს მხოლოდ ერთ გამონაკლისში უშვებს – თუ პარლამენტი ვერ ან არ დაამტკიცებს ქვეყნის ბიუჯეტს. უფრო დეტალურად რომ ავხსნათ, ეს პროცედურა ასე განვითარდება: როდესაც ხელისუფლება პარლამენტს ბიუჯეტს წარუდგენს, თუ საკანონმდებლო ორგანო მას დაამტკიცებს, მაშინ ყველაფერი „ჰეფი ენდით" დასრულდება. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი უარს იტყვის ბიუჯეტის დამტკიცებაზე ნებისმიერი მიზეზით და თანაც ვერ მოახერხებს მასში ცვლილებების შეტანას მთავრობასთან შეთანხმებით, მას თვითგადარჩენისთვის დარჩება ერთი გზა – დაამტკიცოს ახალი მთავრობა. ანუ ამ ნაბიჯით პარლამენტს თითქოს საშუალება ეძლევა, დასაჯოს მთავრობა ცუდი ბიუჯეტის წარდგენისთვის. თუმცა ყველაფერი ასეთი მარტივი არ არის. პარლამენტმა ახალი მთავრობა 60%-იანი ნდობით უნდა დაამტკიცოს. უმრავლესობაში წინასწარვე ამბობენ, რომ 60%-ის შეგროვება პრაქტიკულად შეუძლებელია. პროცესის გაგრძელება კიდევ უფრო საინტერესოა. თუ პარლამენტი ბიუჯეტსაც დაუბლოკავს მთავრობას და ვერც ახლით ჩაანაცვლებს მოქმედ სახელისუფლებო გუნდს, პრეზიდენტი საკანონმდებლო ორგანოს დაითხოვს და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს. ასეთ შემთხვევაში კანონიც, ანუ ბიუჯეტიც დამტკიცდება და მთავრობაც იგივე დარჩება. ანუ დაისჯება პარლამენტი. მართალია, დავით უსუფაშვილი აცხადებს, ვადამდელი არჩევნები ხელის გადაწევის პრინციპზე არ უნდა ინიშნებოდესო და უმრავლესობის წევრებიც ადასტურებენ, რომ ახალი ცვლილების შესვლით ყველანაირი გზა ეჭრება მთავრობას, იმოქმედოს პარლამენტზე, თუმცა არის განსხვავებული მოსაზრებებიც და ეს სწორედ იმ 60%-იან ნდობას უკავშირდება.

**ვახტანგ ხმალაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:**

– თუ ცვლილებები არ შევა იმ პუნქტებში, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედდეს, მაშინ მთავრობას უფლება ექნება, აიძულოს პარლამენტი, მიიღოს ნებისმიერი კანონი. ჩვენ ამ ნორმას ვაუქმებთ და გამონაკლისის სახით ვტოვებთ ბიუჯეტს. ანუ მთავრობას ექნება უფლება, მხოლოდ და მხოლოდ ბიუჯეტს მიაბას პარლამენტის ნდობის საკითხი. თუ პარლამენტმა არ მიიღო მთავრობის მიერ წარდგენილი ბიუჯეტი და ვერც ახალი მთავრობა ვერ შექმნა 60%-იანი კვორუმით, მაშინ პარლამენტს პრეზიდენტი დაითხოვს. გამონაკლისი რჩება იმიტომ, რომ ქვეყანამ არ შეიძლება იცოცხლოს ბიუჯეტის გარეშე. თუ პარლამენტი ბიუჯეტს ვერ მიიღებს, ამ შემთხვევაში პასუხი უნდა აგოს ან პარლამენტმა, ან მთავრობამ. თუ პარლამენტმა ვერც ბიუჯეტი დაამტკიცა და ვერც ახალი მთავრობა, მაშინ გამოდის, რომ ის უუნაროა და ასეთი პარლამენტი არ არის საჭირო.

უმრავლესობის წევრების განცხადებით, მთავრობას არ უნდა ჰქონდეს მისი შემქმნელის შანტაჟის უფლება. ბიუჯეტის სახით გამონაკლისის დატოვებას კი ისინი იმით ხსნიან, რომ ქვეყანა ვერ იცოცხლებს ფინანსური დოკუმენტის გარეშე. თანაც ბიუჯეტის ჩავარდნაზე ვიღაცამ აუცილებლად უნდა აგოს პასუხი...

**გიორგი კახიანი, უმრავლესობის წარმომადგენელი:**

– ნორმა, რომელიც, წესით, უნდა ამოქმედდეს, არ ითვალისწინებს ბიუჯეტის მიუღებლობის შემთხვევაში პარლამენტის ან მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. ანუ ნონსენსია იმ თვალსაზრისით, რომ შეიძლება ქვეყანამ ბიუჯეტი ვერ მიიღოს და ამაზე არავინ აგებს პასუხს. სანქციას ვადებთ იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტის მიღება ვერ მოხერხდება.

## მა უნდა, საფრთხეა, დ ეს ერთი ქვეყანა"



**უბრობდა და ეს განცხადება ხომ არ არის კავშირში კონსტიტუციის ამ ცვლილებასთან?**

– არა, არანაირ კავშირში არ არის. პრემიერმა თავიდანვე განაცხადა, პოლიტიკაში დარჩება მანამ, სანამ ამის საჭიროება იქნება. სანამ ივანიშვილი არ დარწმუნდება, რომ პარლამენტი, ხელისუფლება მის გარეშე იმოქმედებს, არსად წასვლას არ აპირებს. პრემიერი არ აპირებს, გარედან მართოს ხელისუფლება.

**– არის მოსაზრება, რომ ორმაგი მოქალაქეობა უნდა აიკრძალოს მაღალი თანამდებობის პირებისთვის, თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

– დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ამ მხრივ, ძალიან არათანაბარ მდგომარეობაში არიან სხვადასხვა პოლიტიკოსები. დღეის ჩანაწერით შინაგან საქმეთა მინისტრად შეიძლება დაინიშნოს პიროვნება, რომელსაც, ვთქვათ, რუსეთის მოქალაქეობა აქვს, თუმცა იგივე პიროვნება არ შეიძლება გახდეს პრემიერ-მინისტრი. მე დეტალური კვლევა მაქვს ჩატარებული, როგორ არის სხვადასხვა ქვეყნებში. ევროკავშირის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში შეიძლება თანამდებობის პირი იყოს ორმაგი მოქალაქე... ამ საკითხს მართლაც სერიოზული აწონდაწონა და განხილვა სჭირდება. ეს ის საკითხია, რომელიც სრული კონსენსუსით უნდა გადაიჭრას, არა მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობით, არამედ საზოგადოებისა და ქვეყნის შეთანხმებით. უნდა გაანალიზდეს, რა საფრთხეები შეიძლება იყოს ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაში, ან რა დადებითი მხარეები ექნება ამას.

**– თუმცა გამონაკლისია ლატვია. ხომ არ იცით, იქ რა მიზეზით მოხდა ორმაგი მოქალაქეობის აკრძალვა?**

– ლატვიის კონსტიტუციაში ჩანაწერი არსებობს, რომ პრეზიდენტს ეკრძალება ორმაგი მოქალაქეობა. ვფიქრობ, ლატვიას, ისევე როგორც ლიტვას, ესტონეთს პრობლემები ყოველთვის ჰქონდათ რუსეთთან ურთიერთობაში. ალბათ, სწორედ ეს არის მიზეზი.

**– ამ საკითხზე მსჯელობისას რუსეთი ერთ-ერთ მთავარ საფრთხედაა განხილული?**

– რუსეთი, რა თქმა უნდა, საფრთხეა, მაგრამ არამხოლოდ ეს ერთი ქვეყანა. მეზობელი სახელმწიფოები, მაგალითად, თურქეთი... დეტალურად უნდა მოხდეს საფრთხეების განხილვა.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, კონსტიტუციის გაუმჯობესების სამი ეტაპიდან მეორე ეტაპი პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის კონტროლს ეხება, უფრო კონკრეტულად კი პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობას. იმ ცვლილებების მიხედვით, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა შესულიყო, პარლამენტის დათხოვნის მარტივი მექანიზმი არსებობდა. ნებისმიერი კანონის წარდგენისას მთავრობას უფლება

## ზურაბ აბაშიძე: „თავმჯდომარეზე საუბარი ჯერ არ არის, ამ დეტალებზე საუბარი ჯერ არ მიმდინარეობს"

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ არ ჩქარობს ხელისუფლება სკ

ნინო დათაშვილი

**ახალი ხელისუფლება არ ჩქარობს იმ სკანდალური კადრების განადგურებას, რომელიც წინა ხელისუფლების დროს უკანონოდ განხორციელდა. მეტიც, საგანგებო კომისია უკვე დიდი ხანია არ შეკრებილა. რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული საბოლოოდ და დაცვის რა მექანიზმებს სთავაზობს ხელისუფლებას კომისიის წევრები. „პრაიმტაიმს“ ექსპერტი კახი კახიშვილი ესაუბრა:**



„შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ გამანადგურებელი როლი კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ, ჩვენ უნდა შევიმუშავოთ მეთოდები, რომ ასეთი ტიპის მასალები, რომელიც შესაძლებელია გამოძიებას წაადგეს, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, ბრალის დასამტკიცებლად, იმ თანამდებობის პირების საქმეში, რომლებიც წლების განმავლობაში უკანონობას ახორციელებდნენ“

**- პირველ რიგში, იმ კომისიასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიკრიბა და მუშაობს ე.წ. კომპრომატებზე და ფირებზე, რომელშიც ასახულია პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. საბოლოოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება თუ რა სახის კომპრომატები გაუქმდება?**

- პირველ რიგში, ჩვენ დავთქვით, რომ შევიკრიბებოდით უახლოეს მომავალში. თქვენ იცით, რომ ჩვენ მოვუწოდეთ საქართველოს პრეზიდენტს, როდესაც მან მასალების შესახებ გაკვირვება გამოთქვა, რომ თუ არ იცი, მოდი და ნახე მასალებიო. ის არ მოსულა... ამიტომ დრო დაიკარგა. ახლა, ალბათ, შევიკრიბებით. მანამდე მე არ ვიყავი საქართველოში, შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი არ იყო აქ და ალბათ, მინისტრი მოიწვევს ამ კომისიის სხდომას. კონკრეტული თარიღი ჩემთვის ცნობილი არ არის.

**- პრეზიდენტი მოიწვიეთ ფირების საჩვენებლად?**

- მან გაკვირვება გამოთქვა და განაცხადა, რომ მე არ ვიცოდი რა ხდებოდაო. ჩვენ ვუთხარით, რომ მობრძანდით და ნახეთ რასთან გქონდათ საქმე თქვენი მმართველობის პერიოდშიო. თუმცა გამოხმაურება არ ყოფილა.

**- თქვენ იყავით პირველი, ვინც გაახმოვანა, რომ აუცილებელია ამ კადრების შენახვა გამოძიების გამო. მეორე მხრივ, თქვენ იღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ეს კადრები შეიძლება გამოყენებული იყოს შანტაჟისთვის იმათ მიმართ, ვისზეც ეს კადრებია გადაღებული?**

- თუ მე, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს მაკისრებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ვიღაცამ, „ნაცმოძრაობის“ თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, არ გამოიყენოს ეს ფირები შანტაჟის მიზნით, მაშინ მეც იგივეს გეკითხებით, თქვენ იყავით პასუხისმგებელი, რომ ეს ფირები არ დამზადებულიყო ცხრა წლის განმავლობაში. ვფიქრობ, არასწორი შეკითხვაა.

**- რატომ არის არასწორი? მე გკითხეთ, რომ რაიმე გარანტიები თუ არსებობს, რომ ახალი ხელისუფლება ამ კადრებს შანტაჟისთვის არ გამოიყენებს?**

- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით გეტყვით: როდესაც ჩადენილია დანაშაული, პროკურატურა ვალდებულია დანაშაულის ნიშნის არსებობის შემთხვევაში აღძრას სისხლის სამართლის საქმე და ჩაატაროს სრულყოფილი გამოძიება. სრულყოფილი გამოძიების ჩატარებას ნივთიერი მტკიცებულებები სჭირდება. ჩემი აზრით, ეს ფირები ნივთიერ მტკიცებულებებს წარმოადგენს არა იმ ადამიანების მიმართ ვინც ასახულია კადრებში, არამედ იმათ მიმართ, ვინც ცხრა წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და შეგნებულად არღვევდა კანონს. ისინი ახორციელებდნენ პირადი ცხოვრების ასახვას, უკანონო მოსმენებს და ფარულ თვალთვალს ერთი მიზნით, რომ შემდგომში ამ ფირების მეშვეობით მოეხდინათ მათზე ზეწოლა. ეს არის ჩემი პოზიცია და არ ვიცი რა გადაწყვეტილებას მიიღებს კომისია. საუბარია იმაზე, რომ ფირები უნდა განადგურდეს და მე, როგორც ერთმა ჩეულებრივმა მოქალაქემ აღვნიშნე, რომ საჭიროა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა იმ პოლიციელების მიმართ, რომლებიც სისტემურ დანაშაულს სჩადიოდნენ. სწორედ სისტემურ დანაშაულზე მეტყველებს ამ კადრების რაოდენობა, სულ 12 ათასზე მეტი ფირია. მეორე საკითხია თუ როგორ უნდა შეინახოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს ფირები ისე, რომ ვინმემ ის პირადი მიზნებისთვის არ გამოიყენოს. ძალიან მარტივი საკანონმდებლო რეგულაციები შეიძლება შემუშავდეს იმისთვის, რომ დაცული იყოს ასეთი ტიპის ინფორმაცია იმდენად მკაცრად, რომ არც ერთი თანამდებობის პირს ამ ფირების გაცნობის და გასაჯაროების უფლება არ მიეცეს. იმის შიშით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ვინმემ დაუდევრობის და განზრახვის გამო ფირი გაჩვენოს, მასალის გამოძიებაზე უარის თქმა არასწორია. ნივთმტკიცებების შენახვის და განადგურების წესებს არეგულირებს სისხლის სამართლის კოდექსი. ჩემი აზრით, ეს ფირები უნდა იყოს ნივთიერ მტკიცებულებად გამოყენებული იმ პირების მიმართ, ვინც შანტაჟს აწარმოებდა. თუმცა, ვინაიდან საზოგადოება ფიქრობს, რომ ამ ფირებით ვინმე შეიძლება დაზარალდეს და პრეცედენტიც არსებობს, ხვედელიძის მაგალითს ვგულისხმობ, მე ვარ ერთი ადამიანი და უმრავლესობას დავემორჩილები.

**- გამოითქვა მოსაზრება ვახტანგ ხმალაძისგან, რომ იმისთვის, რომ ეს ფირები არ იყოს გამოყენებული შანტაჟისთვის, ხომ არ შეიძლება, რომ რაღაც რაოდენობის ფირი დარჩეს გამოძიებისთვის და დანარჩენი განადგურდეს. ეთანხმებით ასეთ მოსაზრებას?**

- როგორც იურისტი არ ვეთანხმები, რადგან საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს, რომ ნაწილი ნივთიერი მტკიცებულება განადგურდეს და ნაწილი - არა. ვინ იქნება ის ადამიანი, ვინც შეარჩევს ვისი მასალა უნდა განადგურდეს და ვისი დარჩეს. ვერ ვხედავ იურიდულ საფუძველს, რომ ვთქვათ, ჩემი მასალა გავანადგურო და სხვისი გამოყენებული იქნეს ნივთიერ მტკიცებულებად. კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს იმის შესაძლებლობა, რომ ნივთიერი მტკიცებულებების განაჩენამდე გაუქმება დაოქმების საფუძველზე მოხდეს, ანუ გამოძიების სტადიაზე მოხდეს მათი დაოქმება და შემდგომში განადგურდეს ეს ნივთიერი მტკიცებულებები. თუმცა ოქმი უნდა წარმოადგენდეს სრულყოფილ მტკიცებულებას დანაშაულის ჩადენის შესახებ სასამართლოში არსებითი განხილვის დროს. ფრაგმენტულად იმის შერჩევა თუ ვისი ფირი განადგურდეს და ვისი არა, არასწორია.

**- რამდენად შესაძლებელია, რომ გარკვეული ვადები დაწესდეს? მაგალითად, რაფალიანცის და სხვების საქმეები, რომელზეც ძალოვანი ინსტრუქტორები მუდმივად ამბობენ: გამოძიება მიმდინარეობსო, რამდენად შესაძლებელია, რომ დაწესდეს ძიების გარკვეული ვადები...**

- ეს იმ უწყების წარმომადგენელს უნდა ვკითხოთ, ვინც გამოძიებას აწ-





„ვმუშაობთ კომისიაში, რომ შევქმნათ ანალიტიკური დოკუმენტი, რომლის შესაბამისად მოვახდინოთ ფოკუსირება თუ ვის მიმართ ხორციელდებოდა თვალთვალი, რა ჯგუფების მიმართ იჩენდა განსაკუთრებულ ყურადღებას ყოფილი ხელისუფლება და ვის მიმართ გაჩნდა მეტი ინტერესი სამართალდამცავ სტრუქტურებს“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ანდალური კადრების განადგურებას

**„ჯერჯერობით კომისიის არც ერთ წევრს მასალა არ უნახავს, მხოლოდ დოკუმენტებით ვმუშაობთ“**



**კახი კახიშვილი: „12 888 ფაილიდან მცირე ნაწილი მოიცავს სექსუალური ცხოვრების ამსახველ მასალას. დიდი ნაწილი მოიცავს ჟურნალისტების და პოლიტიკოსების ჩვეულებრივ საქმიანობას“**

არმოებს. როგორც საგამოძიებო ისე საპატიმრო ვადებს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. დღეს, რამე ზედმეტი ვადების დაწესება, რომელსაც კანონი არ ითვალისწინებს, შესაძლებელია უბრალოდ სამოქალაქო ინიციატივა იყოს. თუმცა ყველა ჩინოვნიკი გაიმართლებს თავს, რომ კანონის თანახმად მე ისედაც მაქვს ვადები და ამ ვადებში ვიმუშავებო. თუმცა, როდესაც საქმე გვაქვს ძალიან სენსიტიურ თემასთან, ჩვენი, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის ინტერესებშია, რომ რაც შეიძლება მალე იქნეს გამოძიებული საქმე და გამოტანილი იქნას განაჩენი იმ პირების მიმართ, რომლებიც სისტემურად ახორციელებდნენ ადამიანების მიყურადებას და თვალთვალს. ვადებზე თვითონ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა.

**- როგორც გავრცელდა ინფორმაცია, კომისიის წევრებს აქვთ გარკვეული შემხებლობა ამ კადრებთან, თქვენ იცით რა შინაარსის მატარებელია ეს ფირები?**

- ფირების რაოდენოდა და ფირების დაახლოებითი შინაარსი ვიცი, მაგალითად, პოლიტიკური მიყურადების შესახებ. სხვათა შორის, 12 888 ფაილიდან მცირე ნაწილი მოიცავს სექსუალური ცხოვრების ამსახველ მასალას. დიდი ნაწილი მოიცავს ჟურნალისტების და პოლიტიკოსების საქმიანობის ჩვეულებრივ საქმიანობას. ჩვენ საშუალება გვაქვს დაშტრიხული სახით გავეცნოთ, არა მასალას და შინაარსს, არამედ მხოლოდ ანალიტიკურ ცნობას და ამაზე ვმუშაობთ კომისიაში, რომ შევქმნათ ანალიტიკური დოკუმენტი, რომლის შესაბამისად მოვახდინოთ ფოკუსირება თუ ვის მიმართ ხორციელდებოდა თვალთვალი, რა ჯგუფების მიმართ იჩენდა განსაკუთრებულ ყურადღებას ყოფილი ხელისუფლება და ვის მიმართ გააჩნდა მეტი ინტერესი სამართალდამცავ სტრუქტურებს და ასე შემდეგ. თუმცა, როდესაც საკითხი მასალების განადგურებაზე დადგება, ბუნებრივია, კომისიის წევრებს, რომლებმაც ხელი უნდა მოვაწეროთ დოკუმენტზე, რომ ნამდვილად განადგურდა ის ფირები - რომელიც მოიცავს პირადი ცხოვრების ამსახველ მასალას - სურვილის შემთხვევაში ექნებათ საშუალება, მთელი დისკებიდან ამოარჩიონ რამდენიმე დისკი და მოითხოვონ მათი ფრაგმენტული ჩვენება. რაც ნიშნავს, რომ ფირს ნახავენ დაშტრიხული სახით. ჯერჯერობით კომისიის არც ერთ წევრს მასალა არ უნახავს, მხოლოდ დოკუმენტებით ვმუშაობთ. ეს არის ცნობები და რეესტრი მასალების შესახებ.

კიდევ ერთხელ განვმარტავ: საუბარია, კომისიის წევრებისთვის ჩვენებაზე, ისიც დაშტრიხული სახით. ესეც უნდა მოხდეს შერჩევით. რომელიმე კომისიის წევრს ეჭვი რომ არ შეეპაროს, მართლა ის მასალა გაანადგურა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თუ უბრალოდ, ჩვეულებრივი დისკები მოიტანა ჩვენს წინ და გაანადგურა. ამიტომ წინადადებაა ასეთი: 12 ათასზე მეტი დისკიდან რომელსაც გინდათ ხელი დაადეთ და ნახეთ დაშტრიხულად ისე, რომ სახეების ცნობა ვერ მოხდეს. ეს იქნება სურვილის შემთხვევაში. თუ ვინმე, კომისიის წევრი, ეჭვს შეიტანს, რომ ნამდვილად ის მასალაა, რომელიც ნადგურდება, მაშინ შეგიძლია შერჩევით ნახო. თუ ენდობი, ხელი მოაწერე განადგურებას. კომისიამ უნდა იცოდეს რას ანადგურებს, რადგან სხვანაირად კომისიის წევრობა აზრს კარგავს.

**- როგორ ფიქრობთ, მაინც არსებობს საფრთხე, რომ ეს ფირები გამოყენებული იქნეს ძალოვანი უწყებების მხრიდან?**

- საფრთხე არსებობს, მაგრამ გამოსავალი მხოლოდ განადგურება არ არის, რადგან შეიძლება დღეს ეს მასალა განადგურდეს და ხვალ რომელიმე სამალავში სხვა მასალა იყოს აღმოჩენილი. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ გამანადგურებელი როლი კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ ჩვენ უნდა შევიმუშავოთ მეთოდები, რომ ასეთი ტიპის მასალები, რომელიც შესაძლებელია გამოძიებას წაადგეს, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, ბრალის დასამტკიცებლად იმ თანამდებობის პირების საქმეში, რომლებიც წლების განმავლობაში უკანონობას ახორციელებდნენ. შემუშავებული უნდა იქნას სპეციალური საცავები. მაგალითად, როგორც არის ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, სადაც არის სპეციალური საცავები, რომლებიც დაცულია ბრონირებული კარით, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ვიდეოკამერებით კონტროლდება, სადაც, ფაქტობრივად, შესვლა შესაძლებელია თვალის დუკი ანაბეჭდით და მხოლოდ მინისტრის წერილობითი რეზოლუციის საფუძველზე. ასევე, შეგვიძლია ვიფიქროთ ისეთ საცავზე, სადაც ბრონირებული კარი დაცული იქნება სამი გასაღებით, რომელთა გაღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთდროულად, სამი გასაღების გაღებით და ეს სამი გასაღები შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელებს და ამავდროულად ერთი გასაღები სამოქალაქო სექტორს. ასე რომ, ბევრი დაცულობის მექანიზმი შეიძლება შევთავაზოთ ხელისუფლებას. ამავდროულად საკანონმდებლო დონეზეც იქნება გარკვეული ცვლილებების შეტანა საჭირო იმისთვის, რომ მომავალში თავიდან ავიცილოთ ის, რომ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გაუჩნდეთ სურვილი იმ აპარატურით, რომელიც მემკვიდრეობით ერგოთ, ისარგებლონ. ჩვენ უნდა შევქმნათ საკანონმდებლო ბერკეტები, რომელიც მოახდენს პრევენციას, ერთი მხრივ, მასალების საკუთარი მიზნებით გამოყენებაზე და ამავდროულად, ასეთი ტიპის მასალების შემდგომში გადაღებაზე.

**- როგორ ფიქრობთ, დღეს ხორციელდება უკანონო მიყურადებები?**

- არ ვიცი. ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ აპარატურა არსებობს. რამდენჯერაც ვკითხე ამის თაობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელს, იმდენჯერ მიპასუხა - არაო. თუმცა არა და კიზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული ეს, არამედ მკაცრ საკანონმდებლო რეგულაციებზე. მაგალითად, წინა ხელისუფლების პირობებში ეს თემა იმდენად მიშვებული იყო, რომ განყოფილების უფროსს სასამართლოს ნებართვის გარეშე შეეძლო ნებისმიერი ტელეფონის მოსმენა, ან ვიდეო კამერის დამონტაჟება. ამიტომაც ვამბობ, რომ საჭიროა ძალიან მკაცრი რეგულაციები, როგორც პრევენციის განვითარების კუთხით, ისე ამ მოქმედებების ნებართვის გაცემის კუთხით. ასევე უნდა გამკაცრდეს სანქციები. მიუხედავად ყველაფრისა, თუ ვინმე კიდევ განახორციელებს მსგავს საქციელს, უნდა იცოდეს, რომ ის იქნება მკაცრად დასჯილი. დღევანდელი მოქმედი რეგულაციებით ეს არ არის მძიმე დანაშაული და ამიტომაც არ ეშინოდათ პოლიციელებს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ თუ ამას გააკეთებს ის მკაცრად დაისჯება.

**- დაბოლოს, ერთი პოლიტიკური შეკითხვა: თქვენი აზრი მაინტერესებს, უნდა დაინიშნოს თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?**

- ჩემი აზრით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს, რადგან 1 ოქტომბერს კონტრასტული არჩევნები იყო და არჩენებს ერქვა „მე მინდა მიშა“ და „მე არ მინდა მიშა“. სხვათა შორის, ეს არჩევნები სერიოზული გაყალბებებით მიმდინარეობდა და სპეცრაზმიც იყო ჩართული არჩევნების შედეგების შეჯამებაში და არაერთი დაუბალანსებელი ოქმი ვნახეთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე. მე ვფიქრობ, რომ ეს არჩევნები სერიოზულად იყო გაყალბებული, ის არ ასახავს მოსახლეობის განწყობებს, იყო ხელოვნური და იმისთვის, რომ დღეს საქართველო ნორმალურად და სტაბილურად განვავითაროთ, ვფიქრობ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. მხოლოდ იმ პირობებში თუ კანონი იქნება გაუმჯობესებული, კერძოდ საარჩევნო კოდექსი, სადაც ყველა სუბიექტს თანაბარი მონაწილეობის საშუალება მიეცემა. არ უნდა მოხდეს ისე, რომ საარჩევნო ადმინისტრაციები და მთელი ბერკეტები ორი პარტიის ხელში იყოს.

**„ჯერჯერობით, კომისიის არც ერთ წევრს მასალა არ უნახავს“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ალიარებს თუ არა მარცხს იუსტიციის მინისტრი

## წულუკიანის მონსტრი ახალაია და გაიმპიჩმენტებული კუბლაშვილი



ნინო დათაშვილი

**ვერც ბაჩო ახალაიას დაუმტკიცა, რომ მონსტრია და ვერც კოტე კუბლაშვილის გაიმპიჩმენტება შეძლო. არადა ეს თითქოს მისი ქართული ოცნება იყო. და კიდევ მისიაც ჰქონდა. ჰო, იყო მასში რაღაც მესიანისტური – ნაციონალების განადგურება. ესეც დააანონსა. და ეს ყველაფერი მაშინ, როცა იუსტიციის მინისტრი გახდა. თეა წულუკიანის შესახებ ძალიან ბევრი კარგი რამ გამიგია, მის განათლებაზეც და შესაძლებლობებზეც, თუმცა, როგორც ჩანს, შურისძიებამ პოლიტიკაში მაინც გაიტაცა. შურისძიებას კი პოლიტიკაში ჯერ არ გაუმარჯვია.**

**ახალაიას საქმეზე მოწმეების დაკითხვა დასრულდა, ეს არა მხოლოდ ხანგრძლივი პროცესი იყო, არამედ სკანდალურიც. პროკურატურის მოწმეები ძალიან ხშირად აცხადებდნენ, რომ მათ თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ ჩვენება ზეწოლის შედეგად მიაცემინეს. სოციალურ ქსელებში ხშირად ქვეყნდებოდა დაკითხვების მოკლე ნაწყვეტები. ეს ამონარიდები მისი მეუღლის ანი ნადარეიშვილის facebook-დან ავიღეთ:**

ბაჩო ახალაია: „თქვენ თქვით, რომ 90-100 მეტრის მანძილიდან გესმოდათ ყვირილის ხმა, მაგრამ ვერ არჩევდით სიტყვებს, საერთოდ, მაშინ რა იცით, რომ ეს იყო გინება?“

მოწმე თემურ ხორბალაძე: „გინების ხმა იყო!“

ბაჩო ახალაია: „თქვენი აზრით, ტროტილის აფეთქების ხმა უფრო აუტანელია თუ ადამიანის ყვირილის ხმა?“

მოწმე ხორბალაძე: „გააჩნია, რა შემთხვევაში!“

პროკურატურის მოწმე ალექსანდრე გურისაშვილმა სასამართლოში დაადასტურა, რომ მას გამომძიებელი გიორგი მარკოზაშვილი სთხოვდა, ჩვენებაში დაეწერა პროკურატურისეული ვერსია.

მოწმე ალექსანდრე გურისაშვილი: „მათ აკეთებინებდნენ ატჟიმანიებს და ეს ატჟიმანიები შეიცავდა ხოხვას“.

მოწმე ზურა პავლიაშვილი: „როდესაც პროკურატურაში გამომძიებელი მკითხავდა, ჩვენებაში ჩაწერა ის, რაც მე არ მითქვამს, კერძოდ ჩაწერა, რომ ბაჩო ახალაიამ თათბირზე სამხედრო მოსამსახურეებს უწოდა ნაბიჭვრები, მე რა თქმა უნდა, ვუთხარი, რომ ამაზე ხელს არ მოვაწერდი და ეს ჩემი სიტყვები არ იყო, რაზედაც გამომძიებელმა მითხრა, რადგან ჩავწერე, ესე იგი ასეა საჭიროო“.

დღეს, მას შემდეგ, რაც მოწმე სუთიძემ სასამართლოში განაცხადა, რომ ის ტყეში გაიტაცეს შავი ჯიპით, წაართვეს და გადაუგდეს მობილური და დაემუქრნენ, რომ მიეცა მათთვის სასურველი ჩვენება, პროკურორმა სასამართლოში განაცხადა: „რა მოხდა მერე, ვინ არ წაუყვანიათ მანქანით და ვისთვის არ წაურთმევიათ მობილური?!“

პროკურატურის მოწმე ლევან სუთიძეს ჩვენების შემდეგ ახალაიას ადვოკატი გიორგი ონიანი მიმართავს:

„ბატონო ლევან, გახსოვთ თუ არა, რომ 10 ივნისს თქვენი ინიციატივით დაგვიკავშირდით და მობრძანდით ჩვენთან ოფისში, სადაც, თქვენი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა მოგეყოლათ. გაფრთხილებთ, რომ უარყოფას აზრი არ აქვს, ვინაიდან ოფისის კამერები ყველაფერს იწერენ“.

მოწმე: „დიახ, მახსოვს“.

ადვოკატი: „ადასტურებთ თუ არა იმ ფაქტს, რაც თქვენ მოგვიყევით ოფისში და თუ კი, იქნებ სასამართლოსაც განუმარტოთ, რა მოხდა“.

მოწმე: „დიახ, მე რამდენიმე დღის განმავლობაში დამდევდა ოპერატიული მანქანა „შკოდა“, რამდენიმე დღის მერე ღამით გამიტაცეს შავი ჯიპით, წამიყვანეს წყნეთში, შემიყვანეს ტრასიდან 200 მეტრზე მეტი მოშორებით ტყეში, წამართვეს მობილური და მითხრეს, რომ ისინი გამახსენებდნენ, რა უნდა მეთქვა ჩემს ჩვენებაში, დამემუქრნენ და დამტოვეს ტყეში!!! ეს პირები არ ჰგავდნენ პროკურატურის თანამშრომლებს, უფრო ჰგავდნენ სამხედრო პოლიციელებს!“

მოწმე სპეცრაზმელი შავაძე: „მე იქ არ უნდა მერბინა და ძალით მარბენინეს!“

ადვოკატი: „რატომ არ უნდა გერბინა?“

მოწმე: „ხელის კუნთი მქონდა დაჭიმული“.

მოწმე კამო კალუსტიანი: „მე რეინჯერის კურსზე არ ვყოფილვარ, იმის გამო, რომ იმ ზამთარს წვრთნების დროს მოვიტეხე ფეხი და ვიყავი ბიულეტენზე, მხოლოდ გადმოცემით ვიცი, რომ მათ იქ აწამებდნენ“.

ბაჩო ახალაია: „ანუ თქვენ ადასტურებთ იმას, რომ ნებისმიერ კურსზე შეიძლება ადამიანმა მიიღოს დაზიანება, ტრავმა იქნება ეს, მოტეხილობა თუ რამე სხვა?“





ანი ნადარეიშვილი

მოწმე: „დიახ, რა თქმა უნდა“.

ბაჩო ახალაია: „თქვენ თქვით, რომ მე 15-20-წუთიანი თათბირი ჩავატარე და იქ ვიღაცას ვუწოდე პინგვინი და ვიღაცას მოღალატე, კიდევ რა ვთქვი იმ თათბირზე?“

მოწმე შსს-ს სპეცრაზმელი სერგო ქესანაშვილი: „არ მახსოვს“.

ბაჩო ახალაია: „რატომ ხდება ისე, რომ, რაც ბრალში წერია, მარტო ის გახსოვთ, რაც პროკურატურას არ აწყობს, ყველაფერზე, არ მახსოვსო, გაიძახით?!“

მოწმე ჩალიგავა (შსს-ს სპეცრაზმელი): „მოგვაწყვეს და ამის მერე დაიწყო ხოხვა, ატჟიმანია და ათასი უბედურება“.

ბაჩო ახალაია: „თქვენ ხართ მოწმე, თქვენი ვალდებულებაა, მოყვეთ ყველაფერი ის, რაც იცით, რატომ ყვებით მხოლოდ ცუდს? ესე არ არის? ყვებით მხოლოდ ცუდს ხო?“

მოწმე შალვა სიმონიშვილი: „დიახ, მხოლოდ ცუდს“.

ბრალდებული ჩუბინიძე: „თქვენ რომ თქვით, იმ შვიდ ადამიანს წრე შემოვარტყითო, რამდენი იყავით?“

მოწმე ზურაბიშვილი: „არ ვიცი“.

ბრალდებული ჩუბინიძე: „მაინც? დაახლოებით? ორზე მეტი იყავით?“

მოწმე: „ნუ, არ მახსოვს, მაგრამ სადღაც ეგრე“.

მოწმე კობა ჩალიგავას ადვოკატმა ჰკითხა, რამდენჯერ იყო ის დაკითხული გამომძიებლის მიერ წინასწარი გამოძიების დროს, რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ მხოლოდ ერთხელ დაკითხა გამომძიებელმა. მაგრამ საქმეში აღმოჩნდა ორი დაკითხვის ოქმი, ერთხელ მისი დაკითხვა აწარმოა გამომძიებელმა 2012 წლის დეკემბერში, ხოლო მეორე 2013 წლის თებერვალში!!! როდესაც მოწმე ჩალიგავას წარუდგინეს დაკითხვის ოქმები და ისევ ჰკითხეს, რამდენჯერ ხარ დაკითხულიო, უპასუხა: „არ მახსოვს“.

მოწმე ზვიად მამულაშვილს ადვოკატმა მიმართა, რომ, ნუ აღიზიანებდა ბრალდებულებს და კითხვებზე პასუხის გაცემისას მოეხსნა სახიდან ცინიკური და გამაღიზიანებელი ღიმილი, რაზეც წამოხტა პროკურორი შაქრო და განაცხადა: „მაგას სახე აქვს ასეთი!“

„მერამდენე შემთხვევაა, მოწმე ამოცნობაზე ბადრაგს ადებს ხელს, თან დარწმუნებულია, რომ ბრალდებული ესაა“, – ანი ნადარეიშვილი.

მეუღლის გარდა, ბაჩო ახალაიას პროცესს მედიასაშუალებებიც აშუქებდნენ:

(politiko.ge) ბაჩო ახალაიას პროცესზე საქმის მოწმეებმა მთავარი პროკურატურა და თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები ზეწოლაში დაადანაშაულეს. საქმის ერთ-ერთი მოწმის, კაკაშვილის განცხადებით, მას პროკურორმა სხვა მოწმეების – გეგიასა და კალატოზის ჩვენებები წააკითხა და აიძულებდა, გამოძიებისთვის იდენტური ჩვენება მიეცა. სენაკის სამხედრო ნაწილის ჯარისკაცმა ზვიად გაგუამ სხდომაზე ბრალდებები თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანს ვლადიმერ ჩაჩიბაიას წაუყენა. „მე დაკითხვის დროს ჩაჩიბაიამ მითხრა, დაადე ხელი ახალაიას და კალანდაძეს და მოწმე იქნები, თუ არა და, ბრალდებულიო, რაც შემისრულეს კიდეც და დამაკავეს, გირაოთი გამომიშვეს, შემდეგ პროკურორმა ლორიამ მითხრა, თუ ბაჩოსა და გიგის დავადებდი ხელს, გირაოს თანხაც დამიბრუნდებოდა და სამსახურშიც დამაბრუნებდნენ“.

პროკურატურა ჩვენების გაყალბებაში დაადანაშაულა კიდევ ერთმა ჯარისკაცმა, მოწმე რომან ჯანჯულიამ: „როდესაც მე მკითხავდნენ და ხელმოსაწერად მომცეს ჩვენება, აღმოჩნდა, რომ სულ სხვა რაღაცები ჰქონდა ჩაწერილი გამომძიებელს და არა ის, რასაც მე ვკარნახობდი. უნდოდათ, რომ ახალაიას წინააღმდეგ მიმეცა ჩვენება, მაგრამ ხელი არ მოვუწერე და ჩვენება გადავხიე“.

ასეთი მონსტრია თავდაცვის ყოფილი მინისტრი. თეა წულუკიანი ჯერჯერობით ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს. ადვოკატები კი საბოლოო შემაჯამებელი სიტყვისთვის ემზადებიან. სასამართლო პროცესზე არც ერთ მოწმესა და დაზარალებულს ჯერ ბაჩო ახალაიასთვის ხელი არ დაუდია – ამის თაობაზე „პრაიმტაიმთან“ საუბარში ანი ნადარეიშვილმა აღნიშნა.

თავად თავდაცვის ყოფილი მინისტრის განმარტებით, ყველაფერი ირაკლი ალასანიასგან დაიწყო:

– მოწმეების დიდ ნაწილზე იყო ზეწოლა, ყველაფერი კი ალასანიამ დაიწყო, როცა გიგი კალანდაძეს უთხრა, რომ ჩემს წინააღმდეგ ჩვენება მიეცა და ამ შემთხვევაში ყველაფერი კარგად იქნებოდა...

საინტერესოა, როგორ დამთავრდება ეს ისტორია.

კოტე კუბლაშვილი აცხადებს, რომ სასამართლო დამოუკიდებელია და ეს შანსი ახლა რეალურია. თუმცა, თეა წულუკიანი მასაც ერჩოდა და პრინციპული ტონით აცხადებდა: მე გავათავისუფლებ სასამართლოს კუბლაშვილის მარწუხებისგანო. თუმცა, აქაც დამარცხდა.

ხმებიც მისი შესაძლო გადაყენების, უფრო სწორად პოსტის დატოვების შესახებ, მაშინ აგორდა. მისი მთავარი მისია, ნაციონალების განადგურებაც, ჯერ შორს არის რეალობისგან. ბიძინა ივანიშვილი სწორედ დავით ბაქრაძეს ხვდება და არა ვინმე სხვას, რაც გარკვეულწილად იმასაც ნიშნავს, რომ პრემიერი ოპოზიციად სწორედ ნაციონალებს აღიარებს. ჯერჯერობით ასეა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ




- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.

## დარეკეთ 114-ზე!



- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

**კატეგორიულად აკრძალულია!**



- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;
- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.



**გახსოვდეთ, რომ:**

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ქუთაისის მერი სკანდალში გაეხვია

**my View**

**ხათუნა მგალობლიშვილი**



ქუთაისის მერი ინტერნეტში ბევრად უფრო პოპულარული გახდა, ვიდრე თავის დროზე „კოხორა“ იყო. მისი პირველი სიტყვა, რომლითაც მერმა ქუთაისელებს მიმართა, „facebook“-ის გვერდიდან გვერდზე ვრცელდებოდა და სრულიად ვირტუალური სამყარო მოიარა. ამერიკიდან სპეციალურად ჩამოყვანილმა პოლიტიკოსმა მოსახლეობის პირველი დაცინვა მაშინ დაიმსახურა, როდესაც წინასწარ დაწერილი ტექსტი ბრიფინგზე ვერ წაიკითხა. თავადაც დაიტანჯა და მსმენელიც დატანჯა. როგორც ჩანს, ეს ყველაზე მსუბუქი ვარიანტი ყოფილა. დიმიტრი კოპალიანს საკუთარი თანამშრომლები უჩივიან, იმპიჩმენტით ემუქრებიან და რაც მთავარია, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარებას სთხოვენ. ეს, ალბათ, პირველი შემთხვევაა, როცა მოქმედ მერს უწევს იმის დამტკიცება, რომ მშობლიურ ენაზე წერა და მით უფრო კითხვა შეუძლია. როგორც ამბობენ, ის მისთვის წინასწარ დაწერილ ტექსტს ჯერ სხვას აკითხებს ხმამაღლა და ამის შემდეგაც დაძაბვისა და ექსცესების გარეშე ვერ ახერხებს მის თავისუფლად გამოთქმას. კითხვის გარდა, როგორც ირკვევა, კოპალიანს წერის პრობლემაც აქვს. განთავისუფლებული თანამშრომლის განცხადებით, კოპალიანის მიერ შედგენილი განცხადების წაკითხვა პრაქტიკულად შეუძლებელია. გამოსავალი ამ რთული სიტუაციიდან მოქმედმა მერმა ისევ თვითონ იპოვა. დოკუმენტის შედგენის შემდეგ ის ითხოვს, ხმამაღლა წაუკითხონ, რომ ტექსტის გამართულობაში დარწმუნდეს... რამდენად ჩააბარებს კოპალიანი ქართულის გამოცდას, ეს, ალბათ, უფრო სახალისო გარჩევების საგანი შეიძლება გახდეს, თუმცა ბიძინა ივანიშვილს რომ ქუთაისში მიმდინარე მოვლენების გამო თავის მართლება უკვე მოუწია, ეს ნამდვილად არ არის სახარბიელო. 8 თვის ხელისუფლებას უკვე ჰყავს უწიგნურები...



„ჩვენ სტრუქტურაც შევქმენით კანცელარიაში, რომელიც ცდილობს, მონაწილეობა მიიღოს კოორდინაციაში. დაველოდოთ მოვლენებს“



დიმიტრი კოპალიანი

## დატოვებს თუ არა ქუთაისის მერი თანამდებობას

**ბიძინა ივანიშვილი, პრემიერ-მინისტრი:**

– კოპალიანისთვის რეკომენდაცია მე არ გამიწევია. მე პირადად არ ვიცნობდი და თუ პირს კარგად არ ვიცნობ, რეკომენდაციას არ ვუწევ. შესაბამისად, რეკომენდაციას ვერც მას გავუწევდი. სასურველი იქნებოდა, რომ ქუთაისში პროცესები უკეთესად განვითარებულიყო. სამწუხაროა, რომ ქუთაისში ასე მძიმედ მიმდინარეობს პროცესები. პრობლემები სხვა რეგიონებშიც არის. მე საქმის კურსში ვარ, თუმცა ამ პროცესებში არ ვერევი. მაგრამ კოალიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობს ჩარევას, ჩვენ სტრუქტურაც შევქმენით კანცელარიაში, რომელიც ცდილობს, მონაწილეობა მიიღოს კოორდინაციაში. დაველოდოთ მოვლენებს.

მოვლენები კი ნელ-ნელა უფრო და უფრო იძაბება. კოპალიანმა ამასობაში მოახერხა და მერიის 87 თანამშრომელი უკვე გაათავისუფლა. პირველ რიგში კი, ორი ვიცე-მერი. ამირან ძოწენიძისა და კოტე რატიანის თანამდებობიდან განთავისუფლების ოფიციალურ მიზეზად სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევები დასახელდა. თუმცა, თავის მხრივ, ორივე მათგანი პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორების კვალს უფრო ხედავს.

„ჩვენ ვიყავით და ვრჩებით „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებად, ამიტომ მოხდა ჩვენი განთავისუფლება, მერს კი სასამართლოში ვუჩივლებთ“

**ამირან ძოწენიძე:**

– ჩვენ ვიყავით და ვრჩებით „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებად, ამიტომ მოხდა ჩვენი განთავისუფლება, მერს კი სასამართლოში ვუჩივლებთ.

ძოწენიძეს უხეშ დარღვევად ჩაუთვალეს დასუფთავების სამსახურის ბიუჯეტის 400 ათასი ლარის ოდენობით დაგეგმვა და ასევე, მიწის იჯარის შემცირებაზე უარის თქმა, კოტე რატიანს კი – ქუთაისის რამდენიმე ქუჩაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის თანხების გადაუხდელობა.



ამირან ძოწენიძე

ორივე მათგანის განთავისუფლების ინიციატორი მერიის აუდიტისა და და კონტროლის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ხათუნა ხურციძე გახდა. ანუ განცხადება სწორედ ხურციძის მიერ დაიწერა, ხოლო ხელი, ბუნებრივია, მერმა, ანუ კოპალიანმა მოაწერა.

სხვათა შორის, მერიის კულუარებში დეტალურად იხსენებენ ხათუნა ხურციძის წარსულს. როგორც ირკვევა, ის მერიის ერთ-ერთი თანამშრომლის შვილია. ზურაბ ხურციძე ამირან ძოწენიძეს საკუთარი შვილის დასაქმებას დიდი ხნის განმავლობაში სთხოვდა. ამას თავად ძოწენიძეც ადასტურებს. ლოგიკურია, რომ ზურაბ ხურციძემ ძოწენიძეზე პირველი შესაძლებლობისთანავე იძია შური...

ძოწენიძეც და რატიანიც აცხადებენ, რომ სამსახურში აღდგენას სასამართლოს გზით შეეცდებიან. თავად კოპალიანმა ბესიკ ბრეგაძე ჩაანაცვლა. ის საკონკურსო წესით შეირჩა სამოცდაცხრა კანდიდატს შორის. მისი არჩევა არავის გაუპროტესტებია. ერთადერთი პარტია, რომელმაც მხარი არ დაუჭირა, ეს „ნაციონალური მოძრაობა“ იყო. ნაციონალების წევრის, ირმა ნადირაშვილის განცხადებით, ქუთაისის მერიაში ადამიანების განთავისუფლება პირადი ინტერესებით ხდება.

**ირმა ნადირაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

– სამსახურიდან განთავისუფლების ერთადერთი კრიტერიუმი ქუთაისის ახალი მერის დიმიტრი კოპალიანის განცხადებითვე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრობაა. რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქის ახალი ხელმძღვანელობა ახორციელებდა ზეწოლას ორ ვიცე-მერზე, რათა მათ საკუთარი სურვილით დაეტოვებინათ თანამდებობა. ზეწოლისადმი არდამორჩილების შემთხვევაში კი იყო სისხლის სამართლებრივი დევნისა და დაპატიმრების მუქარები. განთავისუფლებულ ვიცე-მერებს არ უფიქსირდებათ არც ერთი გადაცდომა. არ მიუღიათ არც ერთი გაფრთხილება და მათ მიმართ არ წარმოებს არანაირი ოფიციალური დევნა. ქუთაისში ნეპოტიზმის არნახული მაგალითები ფიქსირდება. მაგალითად, აპრილის მონაცემებით, 50 მუნიციპალიტეტიდან დათხოვნილი 2000 ადამიანის სანაცვლოდ სამსახურში აყვანისას მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტში ჩატარდა კონკურსი. იმ დროს, როცა ეკონომიკა განიცდის შენელებას და ხალხი ყოველდღიურად კარგავს სამსახურს, ბიუროკრატიის ზრდა ეკონომიკას კიდევ უფრო შეანელებს. ეს ეკონომიკის ზოგადი კანონია.

„განთავისუფლებულ ვიცე-მერებს არ უფიქსირდებათ არც ერთი გადაცდომა. არ მიუღიათ არც ერთი გაფრთხილება და მათ მიმართ არ წარმოებს არანაირი ოფიციალური დევნა“



კოტე რატიანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სიღნაღელი ფერმერი „ლიბე

ნანა შონია

„საქაგრომრეწვ ბანკის“ ყოფილი აქციონერი ხვთისო გოგინაშვილი კუთვნილი აქციების დაბრუნებას ითხოვს. სიღნაღის რაიონში მცხოვრებმა ფერმერმა აქციების შესყიდვის მიზნით ბანკში შენატანის გაკეთება 1990 წელს დაიწყო და საკმაოდ სოლიდური თანხა დააგროვა. მოგვიანებით „საქაგრომრეწვ ბანკის“ სამართალმემკვიდრე „სახალხო ბანკი“ გახდა, დღეს კი მის ბაზაზე „ლიბერთი ბანკი“ ფუნქციონირებს. ფერმერის არაერთ მცდელობას, დაებრუნებინა კუთვნილი თანხა, წლების მანძილზე შედეგი არ გამოუღია. მეტიც, საკუთარი აქციების მოსაკითხად „სახალხო ბანკში“ მისულ გოგინაშვილს, დაემუქრნენ და გაჩუმება ურჩიეს. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ დღეს ღვთისო გოგინაშვილი საკუთარი აქციების დაბრუნებას „ლიბერთი ბანკისგან“ მოითხოვს. რას ამბობს „ლიბერთი ბანკის“ ადმინისტრაცია და რატომ არ იძებნება გოგინაშვილის მონაცემები ბანკის ბაზაში? „პრაიმტაიმმა“ სცადა, სიტუაციაში გარკვეულიყო.




მოწმობა

№ 26

„ 8 “ ივნისი 1992 წ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული აგროსამრეწველო

ბანკის სიღნაღის განყოფილება ადასტურებს, რის საწესდებო

ფონდში შეიტანა

/აქციონერის დასახელება/

თანხა

/ ციფრებით და სიტყვებით მანეთებში/




სააქციო საზოგადოება
კავკასრეესტრი

საქართველო 0162, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის 74ა
ტელ: 220718 ფაქსი: 251876
ელ-ფოსტა: kavkasreestri@gse.ge

J.S.C.
KAVKASREESTRI

Chavchavadze ave. #74a, Tbilisi 0162, Georgia
Phone: 220718, Fax: 251876
E-mail: kavkasreestri@gse.ge

01 ივლისი 2013 წ.
№ 037 - 13

მოქალაქე ხვთისო გოგინაშვილის
უფლებამოსილ წარმომადგენელს
ბატონ ნიკოლოზ მჟავანაძეს

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2013 წლის 01 ივლისის მოთხოვნის პასუხად გაცნობებთ, რომ ხვთისო გოგინაშვილი (პირადი ნომერი: 40001025448) არ გახლავთ სს ლიბერთი ბანკის აქციათა რეგისტრირებული მესაკუთრე.

პატივისცემით,
დირექტორი მერაბ ვარდიაშვილი

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2013 წლის 01 ივლისის მოთხოვნის პასუხად გაცნობებთ, რომ ხვთისო გოგინაშვილი (პირადი ნომერი: 40001025448) არ გახლავთ სს ლიბერთი ბანკის აქციათა რეგისტრირებული მესაკუთრე.

**ხვთისო გოგინაშვილი:**

– ყველაფერი დაიწყო 1990 წლიდან. მაშინ დღევანდელი „ლიბერთი ბანკის“ ბაზაზე ჯერ კიდევ „საქაგრომრეწვბანკი“ არსებობდა. მოგვიანებით „აგრობანკი“ „სახალხო ბანკმა“ შეისყიდა და ახლა ამ ბანკის სამართალმემკვიდრე არის „ლიბერთი ბანკი“. მე ჩემი დანაზოგით და ჩემი ოჯახის შემოსავლებით დავიწყე მაშინდელი „საქაგრომრეწვ ბანკის“ აქციების შესყიდვა. პირველადი შენატანი 25 ათასი მანეთი დავაფიქსირე, მერე მითხრეს, რომ პროცენტი გაგეზარდაო და კიდევ შევიტანე დამატებით თანხა. მთლიანობაში 400 ათასამდე მანეთი და შემდეგ მილიონობით კუპონი მაქვს შეტანილი. სოფლის მეურნეობის სფეროთი ვიყავი დაკავებული და ყველაფერი, რასაც ვშოულობდი, იქ შემქონდა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ჩემს წინაშე ბანკს არავითარი ვალდებულება არ გააჩნდა და მე აქციონერთა შორის არ ვიძებნებოდი.

**– ახლა რა მდგომარეობაში ხართ და დღეს რა მოთხოვნა გაქვთ აგროსამრეწველო ბანკის სამართალმემკვიდრეებთან?**

– თავის დროზე, როდესაც ფული შევიტანე, ბანკის ადმინისტრაცია მარწმუნებდა, რომ, რაც არ უნდა მომხდარიყო, ბანკი ვალდებულებას იღებდა, რომ კაპიკი არ გამიუქმდებოდა. ჰოდა, გამიუქმდა კი არა, საერთოდ დავკარგე ყველაფერი. ახლა კი იმ კუთვნილი თანხის დაბრუნებას ვითხოვ, რომელიც თავის დროზე დავკარგე.


საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia
2-13/1794-13
24.05.2013

უფლებადამცველთა გაერთიანების
თავმჯდომარეს
ბატონ ნიკოლოზ მჟავანაძეს

თქვენს 2013 წლის 17 მაისის
N1-01-002 განცხადებაზე

ბატონო ნიკოლოზ,

გაცნობებთ, რომ ყოფილ საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზირებული სახელმწიფო – კომერციული აგროსამრეწველო ბანკი – „საქაგრომრეწვბანკის“ სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს სს „ლიბერთი ბანკი“.

პატივისცემით,

ოთარ ნადარაია

ვიცე-პრეზიდენტი

# რატომ დაიკარგა „ლიბერთი ბანკის“ აქციონერთა ბაზიდან ძველი აქციონერის მონაცემები?

თქვენს 2013 წლის 17 მაისის
N1-01-002 განცხადებაზე

ბატონო ნიკოლოზ,

გაცნობებთ, რომ ყოფილ საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზირებული სახელმწიფო – კომერციული აგროსამრეწველო ბანკი – „საქაგრომრეწვბანკის“ სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს სს „ლიბერთი ბანკი“.

**ნიკოლოზ მჟავანაძე, უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე:**

– ხვთისო გოგინაშვილი არის ფერმერი და მას „საქაგრომრეწვბანკში“ შეჰქონდა თანხები, რადგანაც ფიქრობდა, რომ ის ამ თანხებით მომავალში წყნარ ცხოვრებას უზრუნველყოფდა. მსხვილი შენატანებით ის „საქაგრომრეწვბანკის“ აქციონერი გახდა, რომლის სამართალმემკვიდრეც არის დღევანდელი „ლიბერთი ბანკი“. ჩვენ ამ ყველაფრის ამსახველი რეალური დოკუმენტაცია ხელთ გვაქვს – ეს არის ბანკის მიერ გაცემული აქციები. ამ ადამიანმა შენატანების კეთება დაიწყო 1990 წელს, მაშინდელი რუსული მანეთით, და ეს ყველაფერი გაგრძელდა 1992 წლამდე, ღვთისო გოგინაშვილს სოლიდური თანხა აქვს თავის ანგარიშზეც. გარკვეული პერიოდის შემდეგ მან ბანკისგან საკუთარი აქციები მოითხოვა . თუმცა მაშინდელი „სახალხო ბანკის“ სიღნაღის ადმინისტრაციისგან უარი მიიღო, რასაც ცოტა ხანში მუქარა და ზეწოლა მოჰყვა.

**„ფაქტია, რომ ამ ადამიანმა კუთვნილი აქციები ისე დაკარგა, რომ მას ის არ გაუსხვისებია. მის წინაშე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს იმ ბანკმა, რომელიც „საქაგრომრეწვბანკის“ აქტივებსა და პასივებს ფლობს“**


ნიკოლოზ მჟავანაძე

**– რა სახის იყო ეს ზეწოლა და თუ გაქვთ ინფორმაცია, ვისი მხრიდან ხორციელდებოდა ის?**

– მუქარა იყო ოჯახის მისამართით, მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა, რომ უარი ეთქვა კუთვნილი აქციების მიღებაზე. მოგეხსენებათ, სააკაშვილის პირობებში ეს ყველაფერი საკმაოდ რეალური იყო და ეს ადამიანიც გაჩერდა. დღეს, არჩევნების შემდეგ, ხელისუფლება შეიცვალა და მოგვმართა ჩვენ. მას შემდეგ კი, რაც ღვთისო გოგინაშვილმა უფლებადამცველთა გაერთიანებას მომართა, ჩვენ დავინტერესდით, დავიწყეთ ამ თემაზე მუშაობა და პირველ რიგში, მივმართეთ „ეროვნულ ბანკს“, რათა ჩვენთვის მოეწოდებინა ოფიციალური ინფორმაცია, ვინ იყო „საქაგრომრეწვ ბანკის“ სამართალმემკვიდრე. იქიდან მიღებული ინფორმაციით, დგინდება რომ „აგრობანკის“ სამართალმემკვიდრე დღეს ბაზარზე მოქმედი „ლიბერთი ბანკია“. გაირკვა ისიც, რომ „ლიბერთი ბანკს“ აქციონერებთან დაკავშირებით ემსახურება „კავკასრეესტრი“ და ბანკის აქციონერების შესახებ ყველა ინფორმაცია სწორედ იქ ინახება. „კავკასრეესტრიდან“ მიღებული დოკუმენტით დგინდება, რომ ღვთისო გოგინაშვილს არ გააჩნია ბანკის არც ერთი აქცია, ეს მონაცემები კი არ არსებობს. ამიტომაც იძულებული ვართ, მივმართოთ შესაბამის ორგანოებს. ვგულისხმობ სასამართლოსა და მთავარ პროკურატურას, რომ მოხდეს ამ ფაქტების სრულფასოვანი მოკვლევა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




# ყოფილი აქციონერი „ლიბერთი ბანკისგან“ კუთვნილი შენატანის დაბრუნებას ითხოვს...


Госбанк ф. № 101.
к/о/а Госбанка в
Квитанция № 3   8 „ 1992 г.
(в приеме наличными)
Принято
для зачисления на счет № 210
За что
25000
Сумма цифрами
Ст. бухгалтер (бухгалтер)
М. П.   Указанную в квитанции сумму принял
Кассир
Квитанция действительна при наличии подписей: ст. бухгалтера (бухгалтера) и кассира и оттиска печати кассы или одной подписи кассира с оттиском штампа контрольного кассового аппарата на обороте квитанции.

სიტუაციაში გასარკვევად „პრაიმტაიმი“ „ლიბერთი ბანკს“ დაუკავშირდა. ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა განგვიცხადა, რომ გოგინაშვილს მათთვის არ მიუმართავს, ამ ფაქტის თაობაზე ინფორმაცია ჩვენგან შეიტყვეს და ბანკის იურიდიული განყოფილების დეპარტამენტი უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარეს ამ საკითხის გასარკვევად ორშაბათს შეხვდება. უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე კი აცხადებს რომ მან ბანკის ადმინისტრაციას არაერთი წერილით მიმართა.

**დოდო ბოჭორიშვილი, „ლიბერთი ბაკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური:**

– ამ ადამიანს არავითარი დოკუმენტაცია არ აქვს წარდგენილი „ლიბერთი ბანკში“. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ განვიხილოთ ეს ყველაფერი. ამიტომაც ორშაბათამდე ვერაფერს გეტყვით. ერთი კვირა გვაცადეთ და ყველა ინფორმაციას აუცილებლად მოგაწვდით, ჩვენ ვესაუბრეთ ამ ადამიანის ადვოკატს და მას ბანკის წარმომადგენლები ორშაბათს შეხვდებიან.

**– თქვენ რას უკავშირებთ იმას, რომ დღეს გოგინაშვილის მონაცემები ბაზაში არ იძებნება. შესაძლებელია, რომ მისი მონაცემები წაეშალათ?**

– არ ვიცი, ამაზე საუბარი არ შემიძლია, ეს უკვე გამოძიების პრეროგატივაა. ამაზე პასუხი სწორედ მან უნდა გასცეს, რადგანაც ფაქტია, რომ ამ ადამიანმა კუთვნილი აქციები ისე დაკარგა, რომ მას ის არ გაუსხვისებია. მის წინაშე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს იმ ბანკმა, რომელიც „საქაგრომრეწვბანკის“ აქტივებსა და პასივებს ფლობს.

> **„უმჯობესი იქნებოდა, ბანკის ადმინისტრაციას დაინტერესება ცოტა ადრეც გამოეჩინა, რადგანაც მათ ჩვენ მსგავსი თხოვნით არაერთხელ მივმართეთ. თვეზე მეტია, წერილები შეტანილი გვაქვს და მასზე რეაგირება არ ყოფილა“**

**ნიკოლოზ მჟავანაძე, უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე:**

– მას შემდეგ, რაც თქვენ „ლიბერთი ბანკს“ დაუკავშირდით, ჩვენ დაგვიკავშირდნენ და გვთხოვეს, წარგვედგინა მათთვის ოფიციალური დოკუმენტაცია. ჩვენ მათ ამ დოკუმენტაციას, რა თქმა უნდა, წარვუდგენთ, მაგრამ ფაქტია, რომ გოგინაშვილი მათს ბაზაში არ იძებნება, რაც ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. ასეთი დაინტერესება კი უმჯობესი იქნებოდა, ბანკის ადმინისტრაციას ცოტა ადრეც გამოეჩინა, რადგანაც მათ ჩვენ მსგავსი თხოვნით არაერთხელ მივმართეთ. თვეზე მეტია, წერილები შეტანილი გვაქვს და მასზე რეაგირება არ ყოფილა. სამწუხაროდ, როცა ნახეს, რომ საგაზეთო მასალა გადის, მერე დაინტერესდნენ ამ ყველაფრით. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ყველაფერს არაერთი გამოხმაურება მოჰყვება, რადგანაც ამ ადამიანის მსგავსი პრობლემები სხვა ადამიანებსაც აქვთ.

**– სხვები ახსენეთ და ყველას „ლიბერთი ბანკთან“ აქვს პრობლემა?**

– „საქაგრომრეწვბანკი“ იმ პერიოდში იყო მსხვილი ბანკი და ამიტომაც ყველას იქ შეჰქონდა ეს თანხები. ასე რომ, ყველა ეს ადამიანი დღეს „ლიბერთი ბანკთანაა“ დაკავშირებული.


Госбанк ф. № 101.
к/о/а Госбанка в
Квитанция № 2   „31“ 1992 г.
(в приеме наличными)
Принято
для зачисления на счет № 010
наименование получателя
За что
40000
Сумма цифрами
Ст. бухгалтер (бухгалтер)
М. П.   Указанную в квитанции сумму принял
Кассир
Квитанция действительна при наличии подписей: ст. бухгалтера (бухгалтера) и кассира и оттиска печати кассы или одной подписи кассира с оттиском штампа контрольного кассового аппарата на обороте квитанции.


Госбанк ф. №
к/о/а Госбанка в
Квитанция №   21 1992
(в приеме наличными)
Принято
для зачисления на счет № 010
наименование получателя
За что
35000
Сумма цифрами
Ст. бухгалтер (бухгалтер)
М. П.   Указанную в квитанции сумму принял
Кассир
Квитанция действительна при наличии подписей: ст. бухгалтера (бухгалтера) и кассира и оттиска печати кассы или одной подписи кассира с оттиском штампа контрольного кассового аппарата на обороте квитанции.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ არ აწყობთ საგამოძიებო ორგანოებს

მარიამ ნადირაძე

**ამ ბოლო დროს, ალბათ, ხშირად გაიგებთ, რომ გამოძიების პროცესში ამა თუ იმ მხარემ მიმართა ალტერნატიულ ექსპერტიზას. ეს ფრაზა ყურში იმდენად მოსახვედრი გახდა, რომ „პრაიმტაიმმა“ გადაწყვიტა, გაეგო, რა გახდა ამ ყველაფრის მიზეზი და რა წინააღმდეგობებს აწყდება ექსპერტიზა დღევანდელი საკანონმდებლო ბაზის პირობებში.**

**გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილთან:**

– წინა ხელისუფლების პირობებში გამოძიებას არ ჰქონდა დროის დაკარგვის სურვილი მტკიცებულებებზე სამუშაოდ. დღეს რომ გადავხედე იმ პერიოდის საქმეებს, გაოგნებული ვარ. სიმართლე გითხრათ, ველოდი, მაგრამ ამდენ ლაფსუსს არ ველოდი საქმეებში. აბსოლუტურად ცხადად ჩანს გამოძიების მარტივი მიდგომა – მე მინდა, რომ დაგიჭირო, დასაჭერი ხარ და მე გიჭერ.



**– თქვენთან ჯერჯერობით ძველი საქმეები შემოდის?**

– ძველიც და ახალიც... აქ წყვეტა არ არის... გამოძიების ორგანოებში არაფერი მომხდარა ისეთი, რაც მათ გამოძიებულ საქმეებს დაეტყობოდა. რა თქმა უნდა, მე გამომძიებლებს პერსონალურად არ ვიცნობ, ზედამხედველი პროკურორებიც არ ვიცი და არ მაინტერესებს, ვინ არიან, მაგრამ გამოძიების სტილი, დანამდვილებით გეტყვით, არ შეცვლილა. მე საპროკურორო ზედამხედველობის ხარისხის გაზრდას, რაც მტკიცებულებებზე აისახებოდა, ჯერჯერობით ვერ ვხედავ. სიმართლე რომ გითხრათ, ძველი საქმეები ნაკლებია. ახალი საქმეების ხვედრითი წილი უფრო მეტია. ამასთან დაკავშირებით მე ჩემი ვარაუდი მაქვს. ძველი საქმეების არაობიექტურ გამოძიებაზე პროკურატურაში უკვე შეტანილია განცხადებები, რომლებიც უკვე 8-9 თვეა დევს. ამ განცხადებების ავტორებს, როგორც ჩანს, მაინც იმედი აქვთ, რომ პროკურატურა მათ საქმეში რაღაცას გადაწყვეტს და ამ მიზეზით არ მოდის ჩემთან ასეთი სახის საქმეები დიდი რაოდენობით. მოდის ძირითადად ახალი საქმეები.

**– რამდენადაც ვიცი, დღევანდელი საპროცესო კანონმდებლობის წყალობით ალტერნატიულ ექსპერტიზას პრობლემები ექმნება. რაში გამოიხატება ეს?**

– 1999 წლის კოდექსი მიმაჩნია საუკეთესოდ, ე.წ. მეფარიშვილის კოდექსზე ვსაუბრობ. მაშინ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად მოხდა ალტერნატიული ექსპერტიზის დაშვება. თამამად ვიტყვი, რომ ეს მოხდა ჩემი ძალიან დიდი წვალების შედეგად. ამის ანალოგი არ არსებობდა, არავითარი მოდელი არ გადმომითარგმნია. ეს იყო იდეა, რომელიც მომივიდა თავში და განვახორციელე. რომელმაც ნამდვილად გაამართლა.

**– რით იყო საუკეთესო?**

– ადამიანის უფლების დაცვისა და შეჯიბრებითობის უზრუნველყოფის კუთხით. იქ დაზარალებული მხარე იყო. დღეს ამ საოცარი კოდექსით დაზარალებული მხარე არ არის და ითვლება, რომ მისი ინტერესები უნდა გაატაროს პროკურატურამ. მითხარით, რომელიმე ჭკუათმყოფელი იტყვის, რომ ფეხს ფეხზე გადაიდებს, სანამ პროკურატურა მის ინტერესებს დაიცავს? დაზარალებული ყველაზე მეტს ჭიდაობს პროკურატურასთან, რადგან ის მტკიცებულებებზე არ მუშაობს კვალიფიციურად, რადგან 9 წლის განმავლობაში ის ამას გადაეჩვია. დაზარალებული დღეს ყველაზე ცოდოა, რადგან მის ინტერესებს დღეს არ, ან ვერ იცავს გამოძიება, ის დგება ბრალდებულის წინაშე აბსოლუტურად გაშიშვლებული, რადგან პროცესით მხარე არ არის და თავის დაცვას ვერ ახორციელებს, ბრალდებულს კი კანონით გარანტირებული უფლება აქვს დაცვის, მით უმეტეს, რომ დაცვას დღეს გაეზარდა უფლებები. ამგვარად, ხელფეხშეკრული დაზარალებული, გამოძიების იმედად მყოფი და ისე, რომ მხარეც არ არის, უყურებს, როგორ იცავს თავს ბრალდებული, რომელიც აიყვანს ჭკვიან ადვოკატს, ექსპერტიზებს ჩაატარებს და გარწმუნებთ, რომ 100 საქმიდან, თუ სასამართლოში ობიექტური განსჯადობა იქნება, 95 დაინგრევა ბრალდებულის სასარგებლოდ.

## „მე გამომძიებლებს პერსონალურად არ ვიცნობ, მაგრამ გამოძიების სტილი, დანამდვილებით გეტყვით, არ შეცვლილა“

**– და ამას ის საკანონმდებლო რეალობა უწყობს ხელს, რაც დღეს გვაქვს?**

– რა თქმა უნდა. როცა ვსაუბრობთ მხარეთა შეჯიბრებითობაზე, საუბარია პროკურატურასა და ბრალდებულის დაცვაზე და აქ დაზარალებული აბსოლუტურად იკარგება. ახლა კი იმის შესახებ, რაც უშუალოდ ექსპერტიზას ეხება. მე ამის შესახებ თეზისების სახით მივწერე პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს, ვახტანგ ხმალაძეს და მივიღე დასტური, რომ ის წერილი ნამდვილად მიიღეს და გადაეცა ბატონ ვახტანგს. ოღონდ მას მერე არავითარი რეაგირება არ მინახავს. საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ვაყალიბებდი ჩემს მოსაზრებებს. დღეს ათასი კომისიაა შექმნილი იმისთვის, რომ წამებაზე და სხვა საშინელ ფაქტებზე მონიტორინგი განახორციელოს. სააკაშვილის დროსაც იყო ასეთი კომისიები, მაგრამ ეს ხომ ფიქციაა? თამამად შემიძლია გითხრათ, რომ თავის დროზე ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობა და ჩემი, ერთი ადამიანის სირბილი საქართველოს მასშტაბით, აბსოლუტურად ჰყოფნიდა იმას, რომ, თუ სადმე რამე იქნებოდა წამების, ან ცემისმაგვარი, აღმოფხვრილიყო. არ სჭირდებოდა ამ ყველაფერს 20 შემმოწმებელი და ამ 20 კაცს კიდევ – 40 მაკონტროლებელი. მაშინ ასეთ ფაქტებზე ერთი ამბავი იყო ატეხილი, რის გამოც პოლიცია უკან იხევდა და საბოლოოდ შედეგიც მიიღწეოდა. მაგრამ უკვე 2005 წელს, როცა სააკაშვილის ხელისუფლებამ ციხე ჩაკეტა, საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო, რითაც ჩემმა მუშაობამ, უბრალოდ, აზრი დაკარგა. ერთ მაგალითს გეტყვით: სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში იყვნენ ადამიანები ჯანმრთელობის ისეთი მძიმე მდგომარეობით, რომ მათი დახურულ სივრცეში ყოფნა კატეგორიულად არ შეიძლებოდა. მე ვაკეთებდი ექსპერტიზებს და პასუხისმგებლობას ვაკისრებდი მოსამართლეს. ვაღწევდი კიდეც იმას, რომ ასეთ ადამიანებს გადავადებოდათ სასჯელი. სააკაშვილის ხელისუფლებამ ამ მუხლში შეიტანა ცვლილება კონკრეტულად ჩემი, ანუ ერთი ადამიანის გამო, რომ მე ეს ყველაფერი არ გამეკეთებინა.

# ტრადიცია გრძელდება



გიორგი ხაჩიძე და ნინი არჩვაძე





ზუსტად 34 წლის წინ, ერთ-ერთ გაზეთში, სრულიად უცნობი ახალდაქორწინებული წყვილის ქორწილის ფოტო დაიბეჭდა – წარწერით, „ლამაზი წყვილი“. წლების შემდეგ კი „პრაიმტაიმის“ ფურცლებზე მათი ვაჟის, გიორგი ხაჩიძის ქორწილის ფოტოები იბეჭდება, ასევე შემთხვევითა და სასიამოვნო სიურპრიზად. გიორგი ხაჩიძე და ნინი არჩვაძე მალე მშობლები გახდებიან. წლების შემდეგ კი, ალბათ, მათი შვილის ბედნიერების ამსახველი ფოტოებიც გააგრძელებს ტრადიციას და რომელიმე იმ დროისთვის პოპულარული გამოცემის ფურცლებზე აღმოჩნდება.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ალტერნატიული ექსპერტიზის გაძლიერება?

**„დღეს ათასი კომისიაა შექმნილი იმისთვის, რომ წამებასა და სხვა საშინელ ფაქტებზე მონიტორინგი განახორციელოს. სააკაშვილის დროსაც იყო ასეთი კომისიები, მაგრამ ეს ხომ ფიქციაა?“**



**„გარწმუნებთ, რომ, 100 საქმიდან, თუ სასამართლოში ობიექტური განსჯადობა იქნება, 95 დაინგრევა ბრალდებულის სასარგებლოდ“**

**– და ეს შეცვლილი კანონი დღემდე ძალაშია?**

– დღეისთვის რაღაც ცვლილებები შევიდა, მაგრამ ექსპერტიზასთან მიმართებაში ეს ცვლილებები იმდენად ეპიზოდურია, იმდენად არათანმიმდევრული, რომ დღეს უკვე მთელი პაკეტი მიდევს იმ წინააღმდეგობების, რასაც ადამიანები გამოძიების პროცესში აწყდებიან. სააკაშვილის პარლამენტმა ექსპერტი გაუთანაბრა მოწმეს. ეს დაუშვებელია. რადგან ექსპერტი პირადი პასუხისმგებლობით დადის. კანონში წერია ექსჰუმაცია, მაგრამ ექსჰუმირებული გვამის ექსპერტიზა სად და როგორ უნდა ჩატარდეს, ამაზე არაფერია ნათქვამი. დღეს საპროცესო კანონმდებლობა არ ცნობს კომპლექსური, განმეორებითი, დამატებითი ექსპერტიზის ცნებას. მათი არსებობის შემთხვევაში გამოძიება გაცილებით ეფექტური იქნება. ამას წინათ სამხარაულის ექსპერტიზის ცენტრში მივიღე მონაწილეობა ერთ-ერთ ექსპერტიზაში. ერთმანეთში არანაირი წინააღმდეგობა არ გვქონია. ამის მერე ძალიან მალე დაამთავრა დასკვნა, მიკროპრეპარატებიც უცებ დამზადდა. რაც ექსპერტიზის დასკვნის შედგენას დასჭირდა, იმაზე მეტ დროს მოუნდა ადმინისტრაცია დასკვნის შემოწმებას – ხუთმა ადამიანმა შეამოწმა, სამმა ტექნიკურად და ორმა ადმინისტრაციულად. ეს არის ძალიან დიდი ხარვეზი. გამოძიებას ხომ სჭირდება გარკვეული მიმართულების მიცემა? გვამის გაკვეთის პირველადი მონაცემი გამოძიებას თავიდანვე უნდა ჰქონდეს, რომ მან იცოდეს, რა მიმართულებით იმუშაოს. ოჯახმაც უნდა იცოდეს, რა მტკიცებულება მოაგროვოს. თვე-ნახევრის მერე რომ დაუდებენ დასკვნას, ცალი თვალით წააკითხებენ და იმაზე ავაჭრებენ, რომ ქსეროასლი გარდაცვლილის პატრონმა შეიძლება მიიღოს თუ არა, ამაზე მიდის ომი. ვთქვათ, მოწამვლის ფაქტია. სანამ თვე-ნახევრის განმავლობაში ამ დასკვნას ექსპერტიზა დადებს, გამოძიება ხომ კარგავს ბოთლს, ჭიქას, რომელიც თავის დროზე არ ამოიღო? გამოდის, რომ ეს ადამიანი თავის უფლებას ვეღარ იცავს. შესაბამისად, ეს დასკვნაც აზრს კარგავს. გამოძიებას ეს თემა არ აწუხებს, რადგან ექსპერტიზის დასკვნა ყოველთვის ისეთი იყო, როგორიც პროკურატურას უნდოდა და ამ ხალხმა ვერ გაიგო, რომ დრო შეიცვალა. სამწუხაროდ, დღეს მარტო სიტყვებით ითქმება, რომ „აღიარებითი სამართალი“ ჩაანაცვლა „მტკიცებულებითმა სამართალმა“, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი საპროცესო კანონმდებლობას არ ეტყობა.


# თიბისი სტატუსი წარმოგიდგენთ შავი ზღვის ჯაზ ფესტივალს




**თიბისი სტატუსისა და Eastern Promotions-ის საჩუქარი ჯაზის მოყვარულებს!**

18 ივლისიდან, ბათუმში, თქვენ გელით შავი ზღვის რიგით მე-7 ჯაზ ფესტივალი, რომელსაც წელსაც, ტრადიციულად, **თიბისი ბანკის პერსონალური საბანკო მომსახურება, TBC Status წარმოგიდგენთ.**

ბათუმის ტენისის კორტებზე წელს 4 დაუვიწყარი საღამო შედგება. თითოეულ ამ კონცერტზე TBC Status-ის მომხმარებლებს ელით ექსკლუზიური ფასები: **მათ, ვინც ჯაზ-ფესტივალის ბილეთებს შეიძენს PrimeCard, TBC Status და TBC Platinum ბარათებით, მიიღებს 15-20%-იან ფასდაკლებას.** ეს კი მხოლოდ იმიტომ, რომ ხართ TBC Status-ის მომხმარებელი და გიყვართ ჯაზი!

18 ივლისს ქართველი მსმენელი შეხვდება ჯაზის ლეგენდას, 8 გრემის მფლობელ უნივერსალურ ჯაზ-შემსრულებელს, Al Jarreau-ს... ის დღემდე რჩება ერთადერთ მუსიკოსად მსოფლიოში, რომელსაც გრემი აღებული აქვს სამ სხვადასხვა კატეგორიაში: ჯაზი, პოპი და არენბი.

19 ივლისს, შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალს გააგრძელებს მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი გიტარისტი Mike Stern-ი და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბასისტი Victor Wooten. როგორც საუკეთესო ბას-გიტარისტი, Mike Stern-ი სამჯერ იყო ნომინირებული გრემიზე....

20 ივლისს, ჯაზ-ფესტივალის პროგრამას გააგრძელებს კარმენ სოუზა, 27 წლის პორტუგალიელი ვოკალისტი, ლათინური ჯაზისა და ფუჟენის უბადლო შემსრულებელი...

21 ივლისს, ჯაზის მოყვარულებს ელით დაუვიწყარი საღამო Jose James-ის მონაწილეობით. ეს არის New Urban Jazz-ის, ჰიპ-ჰოპისა და ვოკალური ჯაზის საუკეთესო შემსრულებელი, რომელიც ცნობილია თავისი მუსიკალური პერფორმანსებითა და მუსიკისა და პოეზიის სინთეზის საოცარი უნარით.

კონცერტები შედგება ბათუმის ტენისის კორტებზე, (დასაწყისი 20:00 სთ). ოთხივე კონცერტს კლუბ Take Five”- ში დაასრულებს BIG JOHN & Vienna Soul Society.

არ გამოტოვოთ წლევანდელი შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი! გაითვალისწინეთ, რომ TBC Status-ის მომხმარებლებისთვის მოქმედებს ექსკლუზიური პირობები - **შეიძინეთ ბილეთები TBC PrimeCard, TBC Status და TBC Platinum ბარათებით და მიიღეთ 15-20%-იანი ფასდაკლება!**

Ⓐ


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დავით უსუფაშვილი ნოემბერში თანამდებობას დატოვებს

# ვის აირჩევენ რესპუბლიკელები თავმჯდომარედ



my View
ხათუნა მგალობლიშვილი

**„რესპუბლიკური პარტია" რიგით მეხუთე თავმჯდომარეს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აირჩევს. მორიგი ყრილობა, სავარაუდოდ, მარგველაშვილის გამარჯვების შემდეგ, ნოემბერში ჩატარდება და უსუფაშვილის შემცვლელსაც იქ შეარჩევენ.**

**მანამდე დავით უსუფაშვილმა განცხადება გააკეთა, რომ პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას შეიჩერებდა, რადგან ორი მნიშვნელოვანი პოსტისთვის დრო არ ჰყოფნიდა და ამით მხოლოდ პარტია დაზარალდებოდა. თუმცა, როგორც პარტიის ოფისში განმარტეს, უსუფაშვილის სურვილი მიუღწეველი დარჩა, რადგან უფლებამოსილების შეჩერება ოფიციალური განაცხადის საფუძველზე უნდა მომხდარიყო. უსუფაშვილს, როგორც პარტიაში ამბობენ, ამ თხოვნით არ მიუმართავს პარტიისთვის. თუმცა, როგორც კულუარებში ამბობენ, დავით უსუფაშვილს თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვებაზე უარი პარტიის წევრებმა უთხრეს.**

## რატომ ვერ შეიჩერა უსუფაშვილმა უფლებამოსილება

**ირაკლი ხორბალაძე, „რესპუბლიკური პარტიის" საპარლამენტო მდივანი:**

– ყრილობის ჩატარებას შემოდგომის ბოლოს ვგეგმავთ, სადაც ეს ყველაფერი მოხდება ისე, როგორც გვაქვს დაგეგმილი. ანუ დავით უსუფაშვილი აღარ იყრის კენჭს პარტიის თავმჯდომარის თანამდებობაზე, მისი უფლებამოსილება სწორედ შემოდგომისთვის იწურება. ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და პარტიას ეყოლება ახალი თავმჯდომარე. მიგვაჩნია, რომ დღეს არანაირი განსაკუთრებული ვითარება არ გვაქვს, არც პარტიას ექმნება რაიმე პრობლემა და მით უმეტეს, არც პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის უფლებამოსილების განხორციელებას, ამიტომ არ ვთვლით, რომ მიზანშეწონილი იყოს უსუფაშვილის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეჩერება. რადგან ასეთ გადაწყვეტილებას შემდეგ დასჭირდებოდა რიგგარეშე ყრილობის ჩატარება და სხვა დამატებითი მოქმედებები. არანაირი ვალდებულება არ გვაქვს, რომ ვადაზე ადრე ავირჩიოთ ახალი თავმჯდომარე. დავით უსუფაშვილი დღესაც არის პარტიის თავმჯდომარე და ლიდერი. ცხადია, იცით, რომ ამას კანონი არ კრძალავს.

**– ნოემბერში ჩატარებული ყრილობა რიგგარეშე არ იქნება?**

– არა, ყრილობა არ იქნება რიგგარეშე, ეს იქნება მორიგი ყრილობა.

საჭიროება არ იყო, მისი მოვალეობის შემსრულებელი რომ დაგვენიშნა. არის პარტიაში ექვსი სხვა მდივანი, ასევე ვარ მეც, რომლებიც ჩვენ-ჩვენს მოვალეობებს ვასრულებთ. შესაბამისად, პარტიული ფუნქციონირება გრძელდება უპრობლემოდ. ვითარება, რომელიც აუცილებელს გახდიდა, დროებითი მოვალეობის შემსრულებელი აგვერჩია, არ გვაქვს.

**– დავით უსუფაშვილმა თუ მოგმართათ პარტიას ამ საკითხზე და თუ იყო საუბარი?**

– არ მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია. მე ეს თქვენგან მესმის. ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას, რომ დავით უსუფაშვილი აღარ მიიღებს მონაწილეობას პარტიულ არჩევნებში.

პრინციპში, უსუფაშვილის გარდა, პარტიის ისტორიაში არც ერთ თავმჯდომარეს უფლებამოსილება საკუთარი სურვილით არ შეუჩერებია. ამის სურვილიც არ გასჩენია არც ვახტანგ ძაბირაძეს, როგორც პარტიის პირველ თავმჯდომარეს და არც რიგით მომდევნოებს...

ძაბირაძე რესპუბლიკელების თავმჯდომარედ 1978 წელს, პარტიის აღდგენის შემდეგ დაინიშნა. თავის დროზე პარტიის ლიდერები იყვნენ ივლიანე ხაინდრავა, დავით ბერძენიშვილი და ბოლოს უსუფაშვილი. ბოლო ორი ლიდერი ორ-ორი ვადით იქნა არჩეული. მეთოთხმეტე ყრილობის მსვლელობისას იყო განცდა, თითქოს უსუფაშვილის კანდიდატურა გარანტირებულად არ იმარჯვებდა... ისიც კი ითქვა, რომ მომდევნო თავმჯდომარე უსუფაშვილის მეუღლე, თინა ხიდაშელი გახდებოდა, მაგრამ ხიდაშელი საკუთარი პარტიის რიგით მეთოთხმეტე ყრილობას საერთოდ არ დასწრებია, რადგან ის ოფიციალური მივლინებით ჰააგაში იმყოფებოდა. ყრილობის დღეს სპეციალურად ამ დღისთვის დარბაზში სპეციალური ელექტრონული არჩევნები მოეწყო. არჩევნებისას საქართველოს მასშტაბით მოწვეული დელეგატები ხმას ფარულად აძლევდნენ როგორც საბჭოს წევრებს, ასევე თავმჯდომარესაც. სხვათა შორის, ეს არის ერთადერთი პარტია, რომელსაც პრეტენზია აქვს ყველაზე ხანდაზმულობაზე და დემოკრატიულობაზე. დემოკრატიულობაში ისინი ლიდერის არჩევის წესსაც გულისხმობენ. თუ დანარჩენ პარტიებში თავმჯდომარე უალტერნატივოა და მას მარტივად ამტკიცებენ, რესპუბლიკელები ჯერ კიდევ ივლიანე ხაინდრავას პერიოდიდან არჩევნების წესით აცხადებდნენ გამარჯვებულ ლიდერს.

35 წლის ისტორიის მქონე პოლიტიკური ძალა არც ერთ ეტაპზე არ დამდგარა დაშლის წინაშე. მართალია, ბევრჯერ სხვადასხვა პოლიტიკური ალიანსის მონაწილე იყო, თუმცა ხელისუფლებაში მოსვლა მხოლოდ ივანიშვილთან კოალიციის შედეგად შეძლეს. ახლა ამბობენ, რომ ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვთ, რაც კი ოდესმე ჰქონიათ. თუმცა არც იმის აღიარებას ერიდებიან, რომ „ოცნების" ლიდერის გარეშე, დამოუკიდებლად არჩევნებში გამარჯვებას ჯერ კიდევ ვერ შეძლებენ. მათი მიმდინარე რეიტინგი უცნობია. ამბობენ, რომ კოალიცია საკუთარ რეიტინგს მთლიანობაში ზომავს და არა დამოუკიდებლად. ეს ჯერჯერობით მათ ინტერესში არ შედის.

ვინ დაიკავებს ლიდერის თანამდებობას? ამაზე პარტიაში ჯერ არ საუბრობენ. დავით ზურაბიშვილის განცხადებით, უსუფაშვილს თავმჯდომარის უფლებამოსილება შეჩერებული აქვს, ხოლო ახალი თავმჯდომარის ვინაობა ყრილობაზე გაირკვევა... მანამდე კი პარტიულ ვალდებულებებს სხვადასხვა თანამდებობებზე დანიშნული რესპუბლიკელები ინაწილებენ...

**დავით უსუფაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე:**

– მე კანონი არ მავალდებულებს პარტიული თანამდებობის დატოვებას, მაგრამ თავისთავად ეს ორი თანამდებობა რეალურად შეუთავსებელია ერთმანეთთან. ვინაიდან შეუძლებელია იმ რეჟიმში, რომელშიც პარლამენტის თავმჯდომარეს უწევს მუშაობა, ვინმემ პარტიული საქმიანობის გაძღოლა შეძლოს. ამიტომ მე არ ვიქნები „რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე, მაგრამ ეს არ იქნება ორ-სამ დღეში. რესპუბლიკელებს არჩევნების შემდეგ რიგგარეშე ყრილობის ჩატარება გვქონდა დაგეგმილი. ასე რომ, მოვამზადებთ ამ ყრილობას და არა მხოლოდ პარტიის თავმჯდომარეს, არამედ პარტიულ ბიუროკრატთა სხვა წარმომადგენლებსაც, ალბათ, მოუწევთ პარტიული თანამდებობების დატოვება.

უსუფაშვილს საუბარი აქვს განათლების მინისტრის მოადგილეზე. დავით ზურაბიშვილი პარტიის მდივანი იყო. მინისტრის მოადგილე, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს ორი მნიშვნელოვანი თანამდებობის შეთავსებას. სავარაუდოდ, ზურაბიშვილიც დატოვებს მდივნის პოსტს. რაც შეეხება პაატა ზაქარეიშვილს, ის „რესპუბლიკური პარტიის" ეროვნული კომიტეტის წევრია. კომიტეტი ორ თვეში ერთხელ იკრიბება. უსუფაშვილის გათვლებით, ზაქარეიშვილი პარტიისთვის ორ თვეში ერთხელ დროს მარტივად გამონახავს. შესაბამისად, ის პარტიაშიც შეინარჩუნებს თანამდებობას.

რაც შეეხება ახალ თავმჯდომარეს, არ არის გამორიცხული, პარტია სრულიად ახალ სახეს ჩააბარონ. როგორც ყოფილი ლიდერები ამბობენ, ძველი თავმჯდომარეების ხელახლა დანიშვნა გამორიცხულია, გარდა ამისა, პარტიაში ახალი სისხლის გადასხმის საჭიროებას ადასტურებენ. შესაბამისად, დიდი ალბათობით უსუფაშვილი პარტიის თავმჯდომარის არჩევნებში გამარჯვებას ისეთ ადამიანს მიულოცავს, რომელიც აუცილებლად დასავლური ღირებულებების მიმდევარი იქნება.




**„ყრილობის ჩატარებას შემოდგომის ბოლოს ვგეგმავთ, სადაც ეს ყველაფერი მოხდება ისე, როგორც გვაქვს დაგეგმილი"**

**„ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას, რომ დავით უსუფაშვილი აღარ მიიღებს მონაწილეობას პარტიულ არჩევნებში"**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჟოლო NEWS

ინტერნეტსი... ლი ვებგვერდი შეემატა. „ჟოლო“, კულტურულ-საზოგადოებრივ თემებზეა ორიენტირებული. გაზეთი „პრა... ების მცირე ნაწილს გთავაზობთ, ვრცლად კი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე www.jolo.ge




## აჩიკო ნიჟარაძე „სლავიანსკი ბაზარზე“

**საქართველოს სახელით წელს საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალ „სლავიანსკი ბაზარ 2013“-ზე აჩიკო ნიჟარაძე წარსდგება. მომღერალი ბელორუსში გუშინ გაემგზავრა. კონკურსი, რომელშიც 21 ქვეყანა მონაწილეობს, დღეს იწყება.**

გამგზავრებამდე აჩიკო ნიჟარაძე უწმინდესმა მიიღო და გზა დაულოცა.

„ვეცდები ისე გამოვიდე, როგორც ჩვენ ქვეყანას შეეფერება. იმედი მაქვს, ჩემს მონდომებასთან ერთად ცოტა გამართლებაც იქნება, რომ წარმატებას მივაღწიოთ. დიდი მადლობა წინასწარ, გულშემატკივრობისთვის“, - წერს „ფეისბუქის“ პირად გვერდზე მომღერალი.

ფესტივალი „სლავიანსკი ბაზარ 2013“ ბელორუსის ქალაქ ვიტებსკში 15 ივლისის ჩათვლით გაიმართება.

ცნობილია, რომ კონკურსის საბავშვო ნაწილის „ვიტებსკ-2013“-ის ჟიურის თავმჯდომარე მანანა თოდაძე იქნება. გალა კონცერტს ქართული სიმღერებით სწორედ მანანა თოდაძე დახურავს.

კონკურსში სულ 21 ქვეყანა მონაწილეობს. ბელორუსიდან ღონისძიების პირდაპირ ტრანსლაციას ტელეკომპანია „მეცხრე არხი“ განახორციელებს.

## ანუკი არეშიძე 24 წლის გახდა



**1 ივლისს ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძის მეუღლეს, დიზაინერ ანუკი არეშიძეს, მეგობრებმა სიურპრიზი მოუწყვეს. ამის შესახებ ანუკიმ საზოგადოებას „ფეისბუქით“ აცნობა. როგორც არეშიძე ამბობს, დაბადების დღის გადახდას არ აპირებდა, ამიტომ უკრაინიდან და იტალიიდან ჩამოსული სტუმრების პატივსაცემად წვეულება 12 საათში დაიგეგმა.**

**ანუკი არეშიძე:** „ბევრი დამრჩა ნაწყენი, დაბადების დღის გადახდას არც ვაპირებდი და მხოლოდ 12 საათით ადრე გადაწყდა. მხოლოდ იმიტომ, რომ იტალიიდან და უკრაინიდან ჩამოვიდნენ სტუმრები, რომლებსაც არ ველოდი. ასე რომ, ვინმე თუ გამომრჩა, მომიტევეთ. 25 მრგვალი თარიღია და მომავალ წელს ერთი კვირით ადრე დავგეგმავ“.

ანუკის დაბადების დღეს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მომღერალი შვილი, ბერა ივანიშვილი და ახლო მეგობრები დაესწრნენ.

## ნუკი კოშკელიშვილი კომედი არხზე გადაცემას წაიყვანს



ცნობილ ტელეწამყვანს ნუკი კოშკელიშვილს საზოგადოება მალე ახალი გადაცემის წამყვანის ამპლუაში იხილავს. მას შემდეგ, რაც ნუკი „იმედზე“ გადაცემის გარეშე დარჩა, გადაწყვიტა ბედი სხვა არხზე ეცადა და კომედი არხის ხელმძღვანელობის წინადადებას დასთანხმდა. როდის გავა ეთერში ახალი გადაცემა და რა ფორმატი ექნება, ამის შესახებ კოშკელიშვილი „ჟოლოს“ ესაუბრა.

**ნუკი კოშკელიშვილი:** „სექტემბერში ახალი გადაცემა გავა კომედი არხზე, უბრალოდ, ზაფხულში ამ გადაცემაზე ვიწყებთ მუშაობას. გადაცემა, რა თქმა უნდა, იუმორისტული იქნება. მეყოლება სტუმარი. ეს გადაცემა ყველა ტიპის ადამიანისთვის იქნება გათვლილი. გადაცემა იქნება სახალისო. პირველ სტუმრად ვის მოვიწვევთ ჯერ არ გადაგვიწყვეტია. გადაცემის სახელიც ჯერ არ მოგვიფიქრებია... მოფიქრების ეტაპზე ვართ.

**– ამ ზაფხულს სად აპირებ დასვენებას?**

– ბათუმში წავალ ჩემს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნუკა გვალია: „მე აქ გამჩერებელი არა ვარ. არ ვაპირებ, ჩავლპე აქ, ჭორის და ბოღმის ბუდეში“





**„საქართველოს ვარსკვლავის“ ფინალისტების მიმართ საზოგადოების ინტერესი და მითქმა-მოთქმა არ ცხრება. ნუკა გვალიამ სოციალურ ქსელში გაკეთებულ არაერთგვაროვან კომენტარებს, რამდენიმე დღის წინ „ფეისბუქით“ უპასუხა:**

**ნუკა გვალია:**

„ბევრის კომენტარი და pm მოწერილი წავიკითხე. უსამართლობა არის თუ უსამართლობა არ არის, ეგ უკვე მე მაგრად არ მაინტერესებს ჩემო მეგობრებო:)) ყველაზე ყველაფერი 100%-ით კარგად ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ თბილისია პატარა. ჰოდა, რას ვამბობდი, მე მიხარია ის, რაც მოხდა, თან ძალიან, არც დაბოღმილი ვარ, არც არსად ცუდს ვწერ და არც დავწერ, იმიტომ რომ არა ვარ ეგეთი ადამიანი.

რაც შეეხება დისკის ჩაწერას, მაგას მაინც ვაპირებ, კლიპსაც ვაპირებ. ლონდონში მე წამსვლელი არ ვიყავი, ალბათ, იმიტომ, რომ ქმარი მყავს და ორსულად ვარ... თან ნამდვილად არ მინდა ხმის დამუშავება... მეზარება :)) ისევ ჩემით მირჩევნია... ჰოდა, კიდევ ვინ ვისი ვარსკვლავია, მე არ მიკითხია და საერთოდ ეგეთი წინადადება არ დამიწერია, თქვენს აზრებს რო მიფრქვევთ. მე მადლობას ვუხდიდი „ჩემს გულშემატკივრებს“ და ვინც არ იყავით ჩემი გულშემატკივრები, საერთოდ რა გინდათ ჩემს wall-ზე? : ))

იცით რა არის? მე მაინც აქ გამჩერებელი არა ვარ : ))) რაის საქართველო ... აქ შოუბიზნესი ჯერ არც დაბადებულა, სამწუხაროდ : ) და არ ვაპირებ, ჩავლპე აქ, ჭორის და ბოღმის ბუდეში : )) მე ეგეთი არა ვარ და ვერც ეგეთ ადგილზე ვერ ვჩერდები. ახლა მივმართავ ჩემებს. მიყვარხართ და კიდევ ბევრჯერ უღრმესი მადლობა სუყველას. თითოეული ზარისთვის, თითოეული თბილი სიტყვისთვის. მიყვარხართ ძალიან და ახლა იმ ბოღმებმა მითხარით აბა? როდესაც ენ-რაოდენობა ადამიანები მწერენ და წერენ გინდა პირადში, გინდა კომენტარებში, რომ „ნუკ, შენ ვარსკვლავზე მეტი ხარ“, ამის მერე არ მახატია პირველობის სტატუსი? : ))))))))))))))

და გადახედეთ ჩემს ინტერვიუებს, სადაც მეკითხება ჟურნალისტი, „რატომ გადაწყვიტე „საქართველოს ვარსკვლავში“ მონაწილეობის მიღება? „მე ვპასუხობ, „მაინტერესებდა, ხალხი როგორ მიმიღებდა და თუ მოეწონებოდათ ჩემი ნამღერი. როდესაც უამრავი გალიარებს, მანდ უკვე ნებისმიერი პირველობის სტატუსი კარგავს ფასს ჩემთვის“ და ახლა თამამად ვამბობ, მე ის მივიღე, რის გამოც მონაწილეობა მივიღე „საქ. ვარსკვლავში“ : )

მე მაქვს უამრავი ადამიანის სიყვარული, სითბო, პატივისცემა, აღიარება და ამაზე მაგარი არაფერი არ არის. ხო, ისე, კიდევ იტყვით, კვალიაშვილი საქმეს უწყობდაო? : )) its fucking funny you know? : ))

# ქეთა თოფურია საქორწინო კაბას იკერავს





**რუსეთში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა და ანსამბლ „ა სტუდიოს“ სოლისტმა ქეთა თოფურიამ საქორწინო კაბაში გადაღებული ფოტო Instagram-ის გვერდზე გამოაქვეყნა. უკვე ცნობილია, რომ მომღერალი ქეთა თოფურია და მისი რჩეული, ლევ გეიხმანი ქორწილს სექტემბერში გეგმავენ.**

რაც შეეხება საქორწინო კაბას, როგორც მისი თაყვანისმცემლები აცხადებენ, კაბა ცნობილი დიზაინერის ვერა ვონგის კოლექციიდანაა.

საქორწინო კაბაში გადაღებული ქეთა თოფურია ფოტოზე სრულად არ ჩანს, ეს კი იმის მანიშნებელია, როგორც მისი მეგობრები აცხადებენ, რომ მას საბოლოოდ არ აქვს გადაწყვეტილი, რომელი დიზაინერის კაბას მოირგებს ჯვრისწერაზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნუკა კაციტაძე და შოთა ქრი

**my View**
**თამარ გონგაძე**

**30 ივნისს, პეტრე-პავლობის მარხვის წინა დღეს, ორი ცნობილი ქართული ოჯახი დანათესავდა. მსახიობის - შოთა ქრისტესაშვილის ვაჟმა ცოლად ასევე მსახიობისა და საქართველოს პირველი „მისის“- ნუკა კაციტაძის ქალიშვილი შეირთო ცოლად. წყვილმა თერთმეტთვიანი სამსახურებრივი რომანის შემდეგ ერთად ცხოვრება გადაწყვიტა. 36 წლის ონკოლოგმა, გიორგი ქრისტესაშვილმა, ათი წლით უმცროს ქეთი დაუშვილზე ჯვარი ანჩისხატის ეკლესიაში დაიწერა. წყვილს ჯვარი მამა აკაკიმ დაწერა. ეს იყო მხოლოდ ჯვრისწერის დღე, 250-კაციანი ქორწილი კი ახლადშექმნილმა ოჯახმა ერთი კვირის შემდეგ, 6 ივლისს, თბილისის ზღვის კლუბში გადაიხადა.**

გიორგი ქრისტესაშვილი მსახიობის უმცროსი ვაჟი გახლავთ. როგორც ბატონი შოთა ამბობს, არ სურდა, რომ შვილი მის პროფესიას გაჰყოლოდა. გიორგიმაც ექიმობა გადაწყვიტა, საამისოდ დიდხანს ისწავლა და დღეს უკვე ისე უყვარს თავისი საქმე, რომ ის ყველაფერზე პრიორიტეტულია მისთვის. გიორგი ონკოლოგიური საავადმყოფოს ქირურგი გახლავთ. ქეთი დაუშვილი ნუკა კაციტაძის უფროსი ქალიშვილია. დედამ ქალიშვილის რჩეულის შესახებ „ფეისბუქის“ მეშვეობით შეიტყო.

**ნუკა კაციტაძე:** - მე თვითონ გამოვძებნე, ვის ხვდებოდა ჩემი შვილი. ქეთის გარშემო სულ ექიმების ჯგუფი ჰყავს. ონკოლოგიურში მუშაობს. ერთხელაც მის „ფეისბუქის“ გვერდზე შევედი და ვნახე მათ შორის ღიად, ყველას დასანახად მიდიოდა მიმოწერა. რაღაცას გეგმავდნენ, შაბათს წავიდეთ სადღაც, მერე წამოვიდეთო... ჩემი შვილი ხასიათის გოგოა და უცებ ვიღაც ბიჭი უწერს - არსად არ წახვალო. დამაინტერესა, ვინ წერდა ამას. გავყევი, გავყევი და ასე აღმოვაჩინე გიორგი.

დღეს უკვე „აღმოჩენილი“ სიძით ახლადგამომცხვარი სიდედრი ძალიან კმაყოფილია, ისევე როგორც მამამთილი - თავისი მშვენიერი რძლით.

**შოთა ქრისტესაშვილი:** -მიყვარს ჩვენი პატარძალი. შესანიშნავი ოჯახის შვილია. ძალიან თბილი ხალხი, გემრიელი ქართველები არიან.

პატარძალი ჯვრისწერაზე იმ დღეს სახელდახელოდ შეძენილი თეთრი სადა კაბითა და ნამზეურით იყო. როგორც ის, ასევე სიძეც უბედნიერესი ჩანდა.

**ქეთი დაუშვილი:** -ერთმანეთი ონკოლიგიურ კლინიკაში გავიცანით. მე ექიმი არა ვარ. კლინიკის მენეჯმენტში ვმუშაობ. აგვისტოში ერთი წელი იქნება, რაც ერთმანეთი გვიყვარს. ძალიან გვინდოდა ჯვარი ანჩისხატში დაგვეწერა. ერთ-ერთი ყველაზე ძველი ტაძარია თბილისში.

**- რას გვეტყვი მსახიობ მამამთილზე?**

- ძალიან მიყვარს ჩემი მამამთილი, ძალიან საყვარელი კაცია. რაც მე და გიორგიმ ურთიერთობა დავიწყეთ, მისი ოჯახის წევრები მალევე გავიცანი. ყველა მათგანი მიყვარს.

ნეფემ ჯვრისწერის შემდეგ მილოცვები მიიღო თუ არა, ემოციები გაგვიზიარა.

**გიორგი ქრისტესაშვილი:** -შეყვარებული ვარ! უკვე ახალი ეტაპი დადგა ჩვენს ცხოვრებაში. ძალიან ბედნიერი ვარ.

**- საკურთხეველზე მამაოს მოცემული დარიგებებიდან რა ჩაგებეჭდათ ყველაზე მეტად?**

- ის, რომ ცოლი უნდა იყოს ქმრის მორჩილი. ჩემი მეუღლე ისე უნდა მიყვარდეს, როგორც იესოს - ეკლესია.

**- და ქეთიზე მითხარით ორი სიტყვა.**

- არანორმალურად მიყვარს.

ნუკა კაციტაძე ქალიშვილის ჯვრისწერის დღეს, როგორც ყოველთვის, ლამაზი და ეფექტური იყო, საფირმო, უიტნი ჰიუსტონისეული ღიმილითა და ნამზეურით.

**ნუკა კაციტაძე:** - ძალიან აფორიაქებული ვარ. არ მეგონა ამ დღეს ასე თუ ვიღელვებდი. ჯერ კიდევ არ მაქვს გრძნობა, რომ ქეთი თხოვდება. ეს გრძნობა მაშინ დამეუფლება, სახლში რომ არ მეყოლება. ოჯახში ყველა ექიმი მყავს, მამა, ძმები, რძლები... სიძეც ქირურგი შემოგვემატა. გიორგის დის ქმარიც ექიმია. მსახიობები მე და ჩემი მძახალი ვართ.

**- როგორ შეაფასებთ სიძეს?**

- უსაყვარლესი ბიჭია. ქეთის ვეუბნებოდი, პატარა მინუსი რომ ჰქონოდა, რაღაცას მაინც ვიტყოდი-მეთქი. ჯერ ვერაფრეს ვამბობ. ქეთიზე უფროსია, ონკოლოგიურში წამყვანი ქირურგია. შემდგარი და სერიოზული ბიჭია.

ნუკას უმცროსმა ვაჟმა მოსკოვში თეატრის მხატვრობის ფაკულტეტი დაამთავრა. ბუნებრივია, დის ბედნიერებას ისიც იზიარებს.

**ლადუკა დაუშვილი:** -ძალიან ბედნიერი ვარ და მიხარია, ქეთისა და გიორგის ბედნიერება. დიდ ბედნიერებას ვუსურვებ.

ნუკას მამა, ზურა კაციტაძე, წლების განმავლობაში ნორმალური ანატომიის კათედრის გამგე გახლდათ. მედიკოსები მისი წიგნით ეუფლებიან ნორმალური ანატომიის საფუძვლებს.

**ზურა კაციტაძე:** - ჩემს შვილიშვილს გამრავლებას ვუსურვებ. ის რომ გამრავლდება, მე რანგი მომემატება, დიდი ბაბუა გავხდები და ერის წინაშე ვალი მოხდილი მექნება. სიძე ჩემი კოლეგაა. არ შეიძლება ექიმი კეთილი რომ არ იყოს, ეს არ არსებობს. გიორგის რომ დავუახლოვდი, დავრწმუნდი, რომ ძალიან კეთილია. გახარებული ვარ, რომ ჩემს შვილიშვილს ასეთი კარგი იღბალი შეხვდა.

## ნუკა კაციტაძე: „გიორგი ქეთიზე უფროსია, ონკოლოგიურში წამყვანი ქირურგია. შემდგარი და სერიოზული ბიჭია“


შოთა ქრისტესაშვილი და ნუკა კაციტაძე



## ქეთი დაუშვილი: „ერთმანეთი ონკოლოგიურ კლინიკაში გავიცანით“






ნეფე-პატარძალი მშობლებთან ერთად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სტესაშვილი დანათესავდნენ



**გიორგი ქრისტესაშვილი: „არანორმალურად მიყვარს... უკვე ახალი ეტაპი დადგა ჩვენს ცხოვრებაში“**



**ზურა კაციტაძე: „არ შეიძლება ექიმი კეთილი რომ არ იყოს“**

## გიორგი ქრისტესაშვილისა და ქეთი დაუშვილის სამსახურებრივი რომანის თერთმეტთვიანი ისტორია

## EXCLUSIVE







ნუკას ძმა, გიორგი კაციტაძე, მეუღლესთან ერთად ატლანტიდან სპეციალურად დისშვილის ჯვრისწერისთვის ჩამოვიდა.

**გიორგი კაციტაძე:** - ძალიან მიხარია, რომ ჩვენი სიძე მედიკოსია. იმედი მაქვს, მომავალში ბევრი საერთო გვექნება. ქეთი ჩემს თვალწინ გაიზარდა და დიდ ბედნიერებას ვუსურვებ. მიხარია, რომ ასეთი კარგი ქმარი ჰყავს.

**ნათია სილაგაძე:** -გიორგის და ქეთის ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. სამაგალითო ოჯახი და დიდი სიხარული ჰქონოდეთ. მიხარია, რომ ამ დღეს ვიზიარებ...

შვილის ჯვრისწერის ცერემონიალს მსახიობი შოთა ქრისტესაშვილი ტელეფონით იღებდა.

**შოთა ქრისტესაშვილი:** -ჩემი დიდი ხნის ოცნება ასრულდა. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ თავი სიზმარში მგონია, სიტყვებს ვერ ვპოულობ. გაუთავებლად სულ ამ დღეზე ვფიქრობდი. დაემთხვა, რომ ყველა წმინდანთა ხსენების საოცარ დღეს დაიწერეს ჯვარი. უზენაესის ნებით ხდება ყველაფერი... უკვე მომავალზე ვფიქრობ და იმაზე, როდის მოვნათლავთ შვილიშვილს. ასე გრძელდება წუთისოფელი...

**- ვაჟზე გვითხარით რამე...**

- მსახიობი რომ გამხდარიყო, არ მინდოდა. დიდი განთქმული მსახიობები ისე არ დააფასეს, როგორც ეკადრებოდათ. მხოლოდ მადლიერმა ქართველმა ხალხმა დააფასა. გიორგიმ ბევრი იღვაწა და ისწავლა, რომ პროფესიას დაუფლებოდა. მოსკოვში ცნობილ ქირურგებთან და აკადემიკოსებთან ქირურგიის აკადემიაში დაეუფლა პროფესიას. შემდეგ უკრაინაში. ვფიქრობ, ერთი კარგი და გემრიელი ქართველი დასტაქარი უნდა დადგეს. ძალიან უყვარს თავისი პროფესია. ოპერაციის მერე ავადმყოფს თავს დაჰკანკალებს. ცხოვრებისეული რაღაცები იმდენად უინტერესოა მისთვის, განვიცდი მის ნაცვლად ვინ მოაგვარებს-მეთქი. და ნერვებმოშლილი ვეკითხები, ოჯახს რომ დასჭირდება, რა უნდა ქნა-მეთქი?

**ეკა ქრისტესაშვილი:** -გიორგი, ჩემი ძმა, ჩემი გაზრდილია, შვიდი წლით უმცროსია ჩემზე. ემოციური დღეა და ვღელავ. ქორწილზე მეტად მნიშვნელოვანი ჯვრისწერაა. უფლის წინაშე დიდი მოვალეობა აკისრიათ. დავლოცავ, მინდა ბედნიერები იყვნენ.

**თინა გელაშვილი (გიორგის დედა): -** სიტყვები არ მყოფნის. დიდხანს ველოდი ამ დღეს. ყველაფერი სიყვარულით მოხდა. შეხვდნენ ერთმანეთს, მოეწონათ, შეუყვარდათ... იმარხულეს, ემზადებოდნენ ამ დღისთვის. ალბათ, ღვთისაგან ხელდასმულები იქნებიან.

ნეფის მეჯვარე ქეთი ფარესაშვილის ქმარი, ლაშა თურქიაშვილი გახლავთ.

**ქეთი ფარესაშვილი:** - ჩემი მეუღლე და გიორგი თანამშრომლები და მეგობრები არიან. ერთმანეთი უყვართ და დანათესავდნენ კიდეც. წყვილს გამრავლებას და ლამაზ ცხოვრებას ვუსურვებ.

წყვილს თაფლობის თვის გატარება მონტენეგროში აქვს გადაწყვეტილი, სადაც 11 ივლისს გაემგზავრებიან.



გიორგი კაციტაძე მეუღლესთან ერთად



პატარძლის ბაბუა - ზურა კაციტაძე



ქეთი ფარესაშვილი



ლადუკა დაუშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გოჩა ქურდაძე - არქიტექ

**my View**

**თამარ გონგაძე**

**არქიტექტორებთან ნაკლები შეხება მაქვს, თუმცა ვიცი, რომ საინტერესო ხალხია. ლაღები არიან, შინაგანი სილაღე კი მნიშვნელოვანია. თუ საინტერესო არ ხარ, ვერც ახალ შენობას აჩუქებ სიცოცხლეს. სახლი ციხესიმაგრეაო, ნათქვამია; ალბათ, ყველას აქვს თავისი საოცნებო სახლი. მის აშენებას კი ისეთ ადამიანს მიანდობ, ვისი ხელწერაც იცი, ნამუშევრები გინახავს, ყოველივე ამის გამო კი მისი პროფესიონალიზმისადმი ნდობა გაქვს გამოცხადებული. გამოვტყდები, გოჩა ქურდაძეზე ბევრი არაფერი ვიცოდი. მასზე პირველი შთაბეჭდილება რომ შეგიქმნათ, გეტყვით, რომ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის რეკონსტრუქციის პროექტი, დიზაინი, სამხატვრო გაფორმება მას ეკუთვნის. ვინც ბოლო რამდენიმე წელია ამ თეატრში ნამყოფი ხართ, არქიტექტორზე წარმოდგენა ნათლად შეგექმნებათ. გარდა ამისა, აღმაშენებლის გამზირის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის დიზაინ-პროგრამის პროექტში საავტორო ჯგუფის წევრი გახლდათ. ასევე ქუთაისის ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტის თანაავტორია. მის პროექტებს შორის არის - სასამართლოები, კომპანიების შენობები, ცნობილი ქართველების აგარაკები, სასტუმრო-მოტელები, პანსიონატები, ქარხნები, კლინიკები... ამჟამად,**

გოჩა ქურდაძე, „K&G Studio"-ს დამფუძნებელია. სტუდია არქიტექტურით, დიზაინით, მშენებლობითა და ლანდშაფტის დიზაინით ემსახურება მსურველს. აქვს ხის ნამუშევრები, სამშვენისები, ნახატები სხვადასხვა გამომსახველობითი ფორმით - ტემპერათი, აკვარელით, ტუშითა და გუაშით. ხეზე რელაქსისთვის მუშაობს და არა კომერციული თვალსაზრისით.

ჰყავს მეუღლე, ქეთევან აკობაშვილი და ორი შვილი, რომლებიც ამერიკაში ჩოგბურთს თამაშობენ. მოკლედ, გოჩა ქურდაძის პორტრეტი პირველად „პრაიმტაიმში".

**კომუნისტური არქიტექტურა**

**გოჩა ქურდაძე:** „არქიტექტურა კომპლექსური ხელოვნებაა, რომელიც მოიცავს საინჟინრო დარგს და ხელოვნებაა. თუ გინდა, რომ სრულყოფილი არქიტექტორი იყო, უნდა ერკვეოდე სანტექნიკაში, ელექტროგაყვანილობაში, გათბობასა და ვენტილაციაში, ფუძე-საძირკვლები, მასალათა გამძლეობა უნდა იცოდე... თუ ეს არქიტექტორმა არ იცის, ის შენობას ვერ შექმნის და ისეთი სისულელე მოგვივა, როგორც ბაგრატის ტაძარზე მოგვივიდა. ათი საუკუნის წინ, ქართველების მიერ აშენებული ტაძრის რესტავრაციისთვის 21-ე საუკუნეში იტალიელების ჩამოყვანა მოგვიხდა. ათი საუკუნის წინ ქართველმა არქიტექტორებმა უფრო მეტი და კარგად იცოდნენ, ვიდრე დღეს ჩვენ შეგვიძლია. არქიტექტორი აუცილებლად უნდა ხატავდეს, ქანდაკებას აკეთებდეს, აუცილებლად უნდა ფიქრობდეს მოცულობაში და მერე მის სიბრტყეზე გადატანაზე. თუ არქიტექტორი ფურცელზე არ მუშაობს, ესკიზს არ აკეთებს, ვერ იქნება სრულყოფილი არქიტექტორი. დღეს შემოიტანეს კომპიუტერი. არაჩვეულებრივი ინსტრუმენტია, მაგრამ კომპიუტერი გამომხატველობის ხერხია. ამან გამოიწვია პლაგიატიზმი, რომელიც მიღებული ცნებაა მსოფლიოში. არ შეიძლება ზუსტად აიღო ფასადი, გადმოიტანო და იმას მოარგო შენი გეგმარება. ძალიან ცუდი რამაა. ამიტომ ვღებულობთ მდარე ხარისხის არქიტექტურას. არქიტექტურა კონსტრუქციულად და ფუნქციურად გამართული უნდა იყოს და სინთეზურად შერწყმული ლანდშაფტთან. ეს სამი რამ არ არის დღეს იმ არქიტექტურაში გათვალისწინებული, რომელიც კეთდება. ეს მხოლოდ თბილისის პრობლემა არ არის. იუსტიციის სახლი ფუნქციურად არაჩვეულებრივად გამართულია, კონსტრუქციულად მეტ-ნაკლებად პრობლემები გაუჩნდა. თბილისის მეხუთე ფასადიდან თუ შეხედავ, სახურავებიდან ან ფუნიკულიორიდან, ეს წარმოუდგენლად არამასშტაბური ლაქაა ქალაქის ლანდშაფტში. არ შეიძლება ყველაფერს მინა ავაფაროთ და ამ მინით გავამართლოთ ის კონცეფცია, რომელიც კაცმა არ იცის, რამდენად მართალია. კედელი კაცობრიობის არაჩვეულებრივი გამოგონებაა. არ შეიძლება ყველაფერი მინის უკან მოათავსო".

**- როგორია 21-ე საუკუნის არქიტექტურა?**

- დღეს დაიწყო ტენდენცია, რასაც ჰქვია მინიმალიზმი. ეს იაპონელების მოგონილი თემაა; იმ გარემოში მიიღეს, სადაც ისინი ცხოვრობენ. მათი გადმოტანა არასწორად მიმაჩნია. საქართველო ევროპული კუთხით ვითარდებოდა, რომელიც თბილისის რელიეფს ასე კარგად შეეწყო. ძველი თბილისი ამიტომ მოგვწონს. მოდერნის და კლასიციზმის საფუძველს იტალიიდან და საფრანგეთიდან იღებს.

საბჭოთა კავშირი უცნაური სისტემა იყო. რაც კეთდებოდა, ფუნქციურად და ტექნოლოგიურად არაჩვეულებრივად გამართული იყო. მაგრამ საშინელი შეზღუდვა ჰქონდა. ადამიანზე ოცი კვადრატული მოდიოდა, ე.წ. „ხრუშოვკები"... სტალინის დროინდელი არქიტექტურა მოგვწონს, ის სახლი, ფილმში - „ჩვენი ეზო" რომ არის გადაღებული, კალაშნიკოვების სახლი... იმ დროს შენი შესაძლებლობის განვითარების საშუალებას არ გაძლევდნენ. მაგრამ რასაც აკეთებდნენ, რა მოთხოვნებიც ჰქონდათ, კარგად აკეთებდნენ. პროექტს ბევრი საბჭოს გავლა უწევდა. დიდი პროექტი საბოლოო ჯამში მოსკოვში უნდა დამტკიცებულიყო. ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ საბჭოთა კავშირში არქიტექტურა განვითარდა არა როგორც ხელოვნება, არამედ როგორც საინჟინრო დარგი.

**პროექტების ნუსხა**

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ გოჩამ მუშაობა ზნიიეპის (ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი) არქიტექტურულ სახელოსნოში დაიწყო, სადაც ტიპური პროექტების გარდა, რამდენიმე საინტერესო პროექტზე იმუშავა. „თემქაზე „არაშენდას" სახელით ცნობილი ექსპერიმენტული საცხოვრებელი სახლის - „თევზის" ერთ-ერთი ავტორი მეც ვარ. რა ბედიც ეწია, იცით. ეს იყო ძალიან საინტერესო, მცოცავი ხარაჩოთი ასაშენებელი კომპლექსი... მალევე, კეთილმოწყობის საპროექტო კანტორაში, გივი ჯაფარიძესთან წამყვან არქიტექტორად მივედი. სასტუმროებიდან და დიდი კომპლექსებიდან მცირე მოცულობაში გადავედი. ვმუშაობდი ავტობუსის გაჩერებაზე, სკამზე, ქოლგაზე... „სამაიას" ბაღში ფოტოატელიე „გურგენას ფოტო" ჩემი დაპროექტებული იყო. ერთი წლის შემდეგ გადავედი „საქინტურისტმშენში", სადაც მალევე სახელოსნოს ხელმძღვანელი გავხდი".



**„უბედურება ისაა, რომ ვერც ერთი დამკვეთი თითქმის ბოლომდე ვერ მოგყვება. ან მატერიალური პრობლემებია, ან რაღაც სურვილები აქვთ. რაც მინდოდა ბოლომდე არასდროს გამიკეთებია"**



**„მე, პარიზის არქიტექტურა მომწონს. ჩვენ მენტალობასთან და ჩვენ თბილისთან ყველაზე ახლოს პარიზია"**

„საქინტურისტმშენის" გარდა იყო „ქსილო-ჯორჯიას", „ბრიტიშ-ჰოლდინგის", სამშენებლო საპროექტო ბიურო „K.G"-ს ხელმძღვანელის თანამდებობებზე...

გოჩა ქურდაძის ხელმძღვანელობით, ავტორობითა და თანაავტორობით აშენდა შემდეგი ობიექტები: გაგრაში პანსიონატი „ხალოდნაია რეჩკა", საცხოვრებელი სახლი აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებისთვის, 200 ადგილზე საბავშვო ბაღი, კაფე კონდიცირების ჰელიო სისტემით 200 ადგილზე, დიდი დიღმის დაგეგმარების პროექტი, რეპროდუქციული ჯანმრთელობის და ინვიტრო განაყოფიერების კლინიკა, „GAMA"-ს ფარმაცევტული ფაბრიკა, საქართველოს მინისა და მინერალური წყლების რეზიდენციის პროექტი ქალაქ ბორჯომში, მაგისტრატი სასამართლოების რეკონსტრუქციის პროექტები თიანეთში, დუშეთში, ქობულეთში, ლანჩხუთში, წალენჯიხაში, მარტვილში, ჩხოროწყუში, ბაღდადში, მარნეულში, გურჯაანში, ონში, ასპინძასა და სენაკში... თვითონ არქიტექტორი გამოარჩევს სასტუმრო „კრასნაიას", ლვოვის „ინტურისტებს". „ბათუმის დღევანდელი „ინტურისტების" რეკონსტრუქცია ჩვენი გაკეთებულია. ერეკლეს ქუჩის რეკონსტრუქციაც ჩვენია. „პლეხანოვი", სამწუხაროდ, მერე ისე გააკეთეს, არაფერი გაითვალისწინეს. აღდგენისას, როგორც ძეგლს ისე უნდა მოექცე და ისე აღადგინო, როგორც ადრე იყო. როცა ცვლი, ეს უკვე დეკორაციაა. დეკორაცია არასოდეს მართალი არ არის. დეკორაცია მუშაობს თეატრში და არა - ქალაქში. ხელოვნურად შექმნილი ძეგლების უბედურება დღემდე გრძელდება.

**- საზღვარგარეთ გაკეთებულ შენობებს მერე მოინახულებთ ხოლმე?**

- როსტოვში მოტელის პროექტი გავაკეთე. ქართველებს დაგვიკვეთეს. პროექტი უნდა დამეცვა გალიზიანებული როსტოველების წინ. ბოლოს როსტოვის მთავარმა არქიტექტორმა თქვა, მოვიდა ახალგაზრდა ქართველი არქიტექტორი და გვაჩვენა - როგორ უნდა გაკეთდეს პროექტიო. სასიამოვნო მომენტი იყო. არ ვიცი, ეს პროექტი რამდენად შესრულდა... გაგრაში „ხალოდნაია რეჩკა" გავაკეთე, ხეობაში ლამაზი პანსიონატი. ერთ-ერთი ჩემი პირველი პროექტი იყო და მომწონდა. მთელი სულითა და გულით შევასრულე. რა ბედი ეწია, არც ამ შემთხვევაში ვიცი.

**სახლები**

**- თქვენი ხელწერა და სავიზიტო ბარათი რომელი ნაგებობაა?**

- ძალიან მომწონს ირაკლი მეტრეველის (ბავშვთა კარდიოლოგიის დამაარსებელი) სახლი. ჩემეულია. ის ყველაზე მეტად წამომყვა. ასევე ძალიან კარგი სახლი გავუკეთე დათო ლეკიშვილს. უბედურება ისაა, რომ ვერც ერთი დამკვეთი თითქმის ბოლომდე ვერ მოგყვება. ან მატერიალური პრობლემებია, ან რაღაც სურვილები აქვთ. რაც მინდოდა, ბოლომდე არასდროს გამიკეთებია. მოსკოვში მაროზოვმა თავისი სასახლის ასაშენებლად იტალიიდან ჩამოიყვანა არქიტექტორი, რომელიც მასთან ცხოვრობდა ორი წელი. მაროზოვი კოჭლობდა. მაროზოვების სასახლეში კიბის ერთი საფეხური მეორეზე დაბალია. პიროვნებას მოურგო სასახლე. თუ იმდენად ჩაწვდები იმ ადამიანის ბუნებას, გარემოს, ლანდშაფტს, მაშინ საინტერესო პროექტი გამოგივა.

**- მეწაღეს ფეხსაცმელი არ აქვსო, ამბობენ... ამდენ სახლს აშენებთ და თვითონ აიშენეთ საკუთარი სახლი?**

- სურამში, აგარაკზე სახლი მე გავაკეთე, დიდი ტერასით. წყნეთის შემდეგ იქ დავდიოდით ბავშვებით. ბოლოს გავაკეთე ძალიან საინტერესო დაკვეთა, ძალიან მომწონს. ზემო ვეძისში პანორამული ლანდშაფტით. სიამოვნება მივიღე მისი კეთების დროს.

**თეატრები**

სამ თეატრზე მოუხდა მუშაობა. რკინიგზელთა სახლზე, კინომსახიობთაზე და ერთი მსახიობის თეატრზე.

„შალვა გაწერელიასთან მომიწია მუშაობა, ნიჭიერ ადამიანთან. მასთან ერთად დავიწყე რკინიგზელთა სახლის კეთება, მოზარდმაყურებელთა თეატრი მაშინ იქ იყო განთავსებული. შენობა ფუნქციურად კარგად იყო გამართული. ეს ის დროა, ეროვნული







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ტორი დიდი ბექგრაუნდით

მოძრაობა რომ იწყებოდა. გული მწყდება, რომ ეს პროექტი არ შესრულდა.

მერე კოტე მახარაძესთან ერთად ვიმუშავე პროექტზე - ერთი მსახიობის თეატრი. პლეხანოვზე უნდოდა... კოტე ნიჭიერი კაცი იყო, ზუსტად იცოდა რა უნდოდა. სასტუმრო „საქართველოში" კაზინოს (ჩემი გაკეთებულია) მარცხენა მხარესაც გვინდოდა ამ ტიპის თეატრის გაკეთება. სამწუხაროდ, ესეც ფურცელზე დარჩა.

კინომსახიობთა თეატრის არქიტექტურა - ვიტრაჟები, სცენა, დარბაზი, ბუფეტი, ავეჯი, კარი, აფიშების ვიტრინები - ჩემია. მთლიანად მე გავაკეთე. თეატრს უკან გარაჟი ჰქონდა მოდგმული, რომლისგანაც სარეპეტიციო დარბაზი, საგრიმიოროები გავაკეთეთ. შენობა 1800 კვადრატული მეტრით გაიზარდა. გაჩნდა ორი სარეპეტიციო დარბაზი, გაიზარდა დარბაზის სივრცე. აიწია ბალკონი, გაკეთდა ფუნქციურად ახალი შენობა. სცენა, თავისი ორმოთი, შევცვალე. ორ წელზე მეტ დროში „ქართუსთან" ერთად სრულყოფილი ევროპული დონის თეატრი გავაკეთე. თანაც 5 მილიონიანი პროექტი მილიონზე ცოტა მეტი თანხით. პირველი სპექტაკლი, რაც ახლადგაკეთებულ თეატრში ვნახე „ჩემი პატარა ქალაქი" იყო".

**„ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია"**

„სასტუმრო „ინტურისტი" სტალინის ეპოქაშია აშენებული. არ ჰქონდა დრენაჟი, კედლები სველდებოდა და ტექნიკურად გასამართი იყო. თავისი მოცულობიდან გამომდინარე ძალიან საინტერესო შენობაა. მის რეკონსტრუქციას კარგად გავართვით თავი. მერე თურქები მოიყვანეს და აუზები მიაშენეს. ბათუმის დიდ ნაწილს რომ შეხედავ, ვერ მიხვდები თურქეთში ხარ, თუ საქართველოში. ამ დროს ბათუმს არაჩვეულებრივი ბრიტანული იერი ჰქონდა. ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია. სერიოზული თემაა. რამდენ სართულიანი სად უნდა აშენდეს და ასე შემდეგ. არამხოლოდ ბათუმი, ბევრი ქალაქი არასწორი მიმართულებით შენდება. ძველი ვაკე, თავისი ფალიაშვილის ქუჩით, უფრო მომწონდა, ვიდრე - დღევანდელი. თბილისი ლანდშაფტს, მდინარეს მიყვება. არ უნდა ჰქონოდა იზოლაციისა და განიავების პრობლემა, მაგრამ შეუქმნეს... რატომ დაინგრა ნახევარი ქალაქი? ქალაქი ხეობებზე აწყობილი იყო. წყალს შენ ჭკუაზე ვერ წაიყვან... არქიტექტურა ეპოქის გონიაო. რა ეპოქაშიც ხარ, ისეთი არქიტექტურა გაქვს და როგორი არქიტექტურაც, ისეთი ხალხი ცხოვრობს. ჩვენი მენტალობა და დამოკიდებულებაა ის, რასაც გვინდა იმას რომ ვაკეთებთ. ქვემო ქართლში რამდენიმე გერმანული სოფელი იყო. მოკირწყლული გზით, ყვავილებით, ნაკვეთებით. გერმანელი გლეხი კოსტიუმითა და ჰალსტუხით მიდიოდა ყანაში. იქ სამუშაო ტანსაცმელს ჩაიცვამდა და ისე მუშაობდა, უკან დაბრუნებისას ისევ გამოიცვლიდა, გამოივლიდა ეკლესიაში, დაანთებდა სანთელს და სახლში ბრუნდებოდა. ქართველებმა ამას უყურეს და ვერაფერი ისწავლეს.

**- რომელი ქალაქის არქიტექტურა მოგწონთ?**

- კი, ამბობენ, ყველა გზა რომში მიდისო, მაგრამ მე პარიზის არქიტექტურა მომწონს. ჩვენ მენტალობასთან და ჩვენ თბილისთან ყველაზე ახლოს პარიზია. ხანდახან პარიზში სეირნობისას მგონია, რომ თბილისში ვარ. ფრანგებს ქუჩაში რაღაცის დაყრაც შეუძლიათ.



## „არ შეიძლება ქალაქის ცენტრში ასეთი რამ გააკეთო და თბილისს გულში დანა ჩაარჭო"

**„არამხოლოდ ბათუმი, ბევრი ქალაქი არასწორი მიმართულებით შენდება. ძველი ვაკე, თავისი ფალიაშვილის ქუჩით, უფრო მომწონდა, ვიდრე - დღევანდელი"**

**„არქიტექტურის ფაკულტეტზე, სამწუხაროდ, ხატვას აღარ ასწავლიან. ახლანდელმა არქიტექტორებმა არც იციან ფურცელზე ხატვა"**

## „ხრუშჩოვის რვასართულიან პროსპექტებს ავიღებდი. ისე, მთავარია ჩვენ მენტალობას ეშველოს..."

## EXCLUSIVE

**„მთავარია, ჩვენ მენტალობას ეშველოს"**

**- რა შენობას ამოიღებდით თბილისის ლანდშაფტიდან?**

- ხრუშჩოვის რვასართულიან პროსპექტებს. ისე, მთავარია ჩვენ მენტალობას ეშველოს... როცა რაღაც შენობა უნდა გაკეთდეს, აუცილებლად კონკურსი უნდა გამოცხადდეს. ეს მხოლოდ ერთი კაცის სურვილით არ უნდა ხდებოდეს. ის, რომ რაღაც ესპანელების გაკეთებულია, არაფერს ნიშნავს, ესპანელები ბრენდი არ არის.

**- თავისუფლების ხიდზე რა აზრის ხართ?**

- მისი გეომეტრია არ მომწონს. არც იმ ადგილას უნდა იყოს, კონსტრუქციულად კი იდეალურად შესრულებულია. ძეგლთა საბჭოში ცხრა პირ ტყავს გაგაძრობდნენ, სამ კვადრატულ მეტრზე თუ გქონდა მინის ზედაპირი, დისონანში მოდის უკანა ფონურ განაშენიანებასთანო, უკან მდგომ ძეგლებთანო. იმ ძეგლებს ამ მინებით ამახინჯებ. ის რაც ჩემთვის, არქიტექტორისთვის არ შეიძლება, არც ვილაცისთვის იქნება კარგი. ოპერის უკან რომ პოლიციის შენობა ააშენეს, არ შეიძლება. უსახურ ტერასაზე შენობას მინებში ეჯახები. არ შეიძლება ქალაქის ცენტრში ასეთი რამ გააკეთო და თბილისს გულში დანა ჩაარჭო.

**- პრემიერის სახლი, როგორც არქიტექტორს მოგწონთ?**

- პრემიერის სახლი ძალიან კარგად არის შესრულებული, მაგრამ ლანდშაფტთან არ არის ორგანულად შერწყმული. პრემიერი განათლებული კაცია, მაგრამ მრჩეველი უნდა ჰყოლოდა... მე ვთვლი, მაგ შენობამ სოლოლაკი მოკლა.







**„არ შეიძლება 21 წლის არქიტექტორმა სახლი ააშენოს"**

„მინდა ჩემ სფეროზე ჩემი დამოკიდებულებაც გაგიმხილოთ. ისე ხშირად ცვლიან, პროექტი როგორ და რა ფორმატით მიიტანო, გაგიჟებენ. არქიტექტურის ფაკულტეტზე, სამწუხაროდ, ხატვას აღარ ასწავლიან. ახლანდელმა არქიტექტორებმა არც იციან ფურცელზე ხატვა. გარდა ამისა, უნდა იცოდნენ ბევრი რამ. ვოვა ქურთიშვილი - ჩემი პედაგოგი პროფესიონალი არქიტექტორი იყო. ერთხელ მითხრა, გააზრებულად უნდა იცოდე, სად ჭრილი უნდა გაკეთდეს, როგორ გააკეთო, წყალი სად წავიდეს, აგური როგორ ლაგდება, რა სისქის ბათქაში უნდა გააკეთოო. როდესაც ინსტიტუტს ამთავრებდი, მერე საპროექტოში მიდიოდი. უყურებდი, ხატავდი ელემენტებს, მერე ნელ-ნელა ხდებოდი ავტორი. სწავლობდი - სამზარეულო სად უნდა იყოს, სანტექნიკა როგორ დააყენო. უამრავი რამაა. დღეს ეს არავინ იცის, ან სად უნდა ისწავლონ? არც სთხოვენ ამას არქიტექტორებს. არავის სჭირდება არქიტექტორთა კავშირი. წელიწადში ორჯერ შეიკრიბებიან და ალაფურშეტზე მოიკითხავენ ამბავს. არც ერთ ახალგაზრდას არ სურს არქიტექტორთა კავშირის წევრი გახდეს. არც არანაირი ურთიერთობა არ აქვთ ძველ თაობასთან. ადრე მისი წევრი რომ გამხდარიყავი, მთელი რიტუალი იყო. დღეს უკვე, ეს კავშირი მოძველებული თემაა. თუმცა რაღაც უნდა არსებობდეს, თაობებს შორის კოჰაბიტაცია უნდა იყოს. არ შეიძლება 21 წლის არქიტექტორმა პირდაპირ სახლი ააშენოს, ვერ ააშენებს. ადრე, თბილისში, სულ თხუთმეტი სახელოსნო იყო. თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა. დანარჩენი ტექნიკური პერსონალი იყო. დღეს კაცმა არ იცის, რა ხდება.

კომპიუტერი იმდენად გიმარტივებს ცხოვრებას, რომ არაჩვეულებრივია, მაგრამ კომპიუტერში რანაირი შენობაც არ უნდა გააკეთო, ყოველთვის ისეთ რაკურსს მიუყენებ და ვიზუალურად ისე დაალაგებ, რომ ვილაცას მოეწონება. ამიტომ ისევ განვმეორდები, არქიტექტორებმა ფურცელზე ხატვა უნდა ისწავლონ. ეს კი დღეს პრობლემაა".





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მხატვარი, რომელსაც უბრალოდ „ძია ჭოლას" ეძახდნენ

**my View**
**დეა თავბერიძე**

**„მე ჭოლა ძიას სახელოსნოში გავიზარდე" „ჭოლამ კაცობას და ნაღდ ურთიერთობას მაზიარა", „ჭოლა ძია ჩემი გამზრდელი იყო" „მეამაყება, რომ ასე ახლოს ვიცნობდი ჭოლა ძიას"... გამოფენაზე ნახატებთან ერთად ამ ფრაზებმაც მოახდინა ჩემზე გავლენა, რადგან ყველა რესპონდენტი ამ სიტყვებით იწყებდა ჩემთან საუბარს... „ურთიერთობების დიდოსტატი იყოო", - დაამატა ერთ-ერთმა და ამას თქმა არ სჭირდებოდა, სწორედ ამ დიდოსტატის კვალი აჩნდათ ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეკრებილ სოხუმელებს... ისინი სიამაყით საუბრობდნენ თავიანთ დიდ მეგობარზე, ჭოლა ძიაზე და ასე ახასიათებდნენ მას, საქმეში და მეგობრობაში ულალატო იყო, მეგობრობის ნიჭით დაჯილდოებული დახვეწილი იუმორით გამოირჩეოდა... ხელოვანის სახლი ხელოვნების კერა იყო აფხაზეთში. ამ მხატვრის სახელოსნოში იზრდებოდნენ თაობები, რომელთა სულიერებაზეც თავად ზრუნავდა...**

სოხუმში მხატვარს ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი სტუმრობდა, მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის გალაკტიონი, ნოდარ დუმბაძე, სიმონოვი, კარლო კალაძე, აპოლონ ქუთათელაძე, ურთიერთობის შემდეგ ისინი მისივე ნახატებში გადაინაცვლებდნენ...

**გია გვაზავა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:** „დღეს ჩვენ ვიხსენებთ ლეგენდა ადამიანს, აფხაზეთისა და კერძოდ, სოხუმის კოლორიტს. ადამიანს, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, აფხაზეთი, სოხუმი და უსაზღვროდ უყვარდა ხელოვნება... ამ ადამიანის ისტორია იმით არის საინტერესო, რომ ომამდე აპირებდა მხატვრობაში მოსულიყო და ომში მოხვდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, სამხატვრო აკადემიაზე მეოცნებე ბიჭი, მოულოდნელად, ფრონტის ხაზზე აღმოჩნდა. მერე, ორჯერ დახვრეტასაც გადაურჩა, გაქცევა მოახერხა, ბელორუსიის ტყეებში პარტიზანებს შეუერთდა... იქ კი, თურმე ხატავდა და თავის ნახატებს ფუღუროში მალავდა. ომის მერე აკადემიაში მოეწყო და რეპინის სტიპენდიას იღებდა. მრავალი პრემიის ლაურეატი იყო და ასევე ძალიან დიდი საზოგადო მოღვაწე. მასზე ბელორუსიაში ფილმიც არის შექმნილი... ეს ადამიანი ომის გმირია. მისი მხატვრობა კი საოცრებაა. დაწყებული გრაფიკიდან დამთავრებული ქანდაკებით, ავანგარდი მონუმენტალისტი, ყველაფერი ერთნაირად კარგად გამოსდიოდა. ომის პერიოდში სოხუმში იყო, მერე კი თბილისში მოხვდა, მაგრამ ვერ მოისვენა და სოხუმში დაბრუნდა, ერთ დღესაც, აიღო საქართველოს დროშა და სოხუმის ქუჩებში გამოვიდა, ამბობდა, მე საქართველოში ვარ. სოხუმი და თბილისი რამ გაყოო... დღეს მისი მოგონების დღეა, ყველა სოხუმელი აქა ვართ...

**მერაბ ემხვარი:** „როდესაც პიონერებში უნდა მიველე მკითხეს, ვინ გინდა გახდეო. პარტიზანი-მეთქი, ვუპასუხე. რატომო, იმიტომ რომ მატარებლები და ხიდები ავაფეთქო-მეთქი. იმ დღეს პიონერად არ მიმიღეს. უფრო მეტიც, მამაჩემი ქალაქკომში გამოიძახეს და შვილის პასუხი მოახსენეს. მამას გაეღიმა - ეს ბავშვი უმეტეს დროს არა სახლსა და სკოლაში, არამედ ჭოლას სახელოსნოში ატარებსო... მე ძალიან მეამაყება, რომ ასე ახლოს ვიცნობდი ჭოლა ძიას. კარგი რაც კი მაქვს, მისი დამსახურებაა. მე არ გავმხდარვარ დიდი მხატვარი და ხელოვანი, მაგრამ მისი წყალობით ძალიან მიყვარს ხელოვნება. არც საზოგადო მოღვაწე ვარ, მაგრამ იდეალები იმდროიდან მომყვება... კაცთმოყვარეობა, ზრდილობა, ურთიერთობები... ეს ჩემთვის ბევრ რამეს ნიშნავს. მთავარი ის ურთიერთობაა, რომელიც სოხუმში იყო. ჭოლამ დათესა ეს... პირველად ჭოლასთან ვნახე მედეა ჩახავა, კოტე მახარაძე, ეროსი მანჯგალაძე, ევტუშენკო, მაია პლისეცკაია, ის ადამიანები, რომლებმაც ეპოქა შექმნეს.

სოხუმში დღეს ძველ ქუჩებს სახელები გადარქმეული აქვთ... მაგრამ, ჩვენი ქუჩა, რომელიც ჭოლას გაკეთებულია, და რომელსაც სახელიც თავადვე დაარქვა, ისევ იმ სახელს ატარებს. ეს არის ძალიან პატარა და კოხტა ქუჩა, ბოტანიკური ბაღის უკან, მას ჭოლა ძიამ გასტელო დაარქვა... გასტელო ბელორუსიის გმირი იყო, რომელიც ბრძოლის დროს დაიღუპა. სოხუმში ძალიან დიდ პატივს სცემენ ჭოლას. მისი ორი ნახატი აფხაზეთის მუზეუმშია. მე ძალიან მეამაყება, რომ ეს ადამიანი იყო ჩემი გამზრდელი, რომელმაც ბევრ ღირებულებას მაზიარა. ჩვენი ოჯახების ურთიერთობა მეზობლობით დაიწყო და ნათესაობით დასრულდა. ჭოლა ძიას შვილი ჩემი ნათლია გახდა. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი მას ამ გამოფენისთვის, ამ გამოფენამ დღეს მე ბავშვობაში დამაბრუნა...

**ქეთევან ფხაკაძე, ხელოვნებათმცოდნე:** „ბატონი ჭოლა აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ბევრი ათეული წელი იყო. ის არაჩვეულებრივი პიროვნება და ქართულ-აფხაზური მეგობრობისა და ურთიერთობის სიმბოლო გახლდათ. ეს გამოფენა კი ერთი წვეთია იმ უზარმაზარი შრომისა, რასაც ბატონი ჭოლას შემოქმედება ჰქვია. ამ ნიჭიერ მხატვარს საინტერესო ფერწერა აქვს. ამ გრაფიკით კი იმდენად ვარ აღფრთოვანებული, რომ ამის გადმოსაცემად სიტყვები არ მყოფნის... კარგი იქნება თუ დადგება ის დრო, რომ ჩვენ და აფხაზები ერთად მოვიძიებთ მის ნაშრომებს და ერთად გავიხარებთ მისი შემოქმედებით. ჭოლა ძიას უაღრესად დიდ პატივს ვცემდი სიცოცხლეში. მე ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც სოხუმში ჩამიყვანეს. ჩემი ბიძაშვილის მეზობლები იყვნენ. მახსოვს, როგორ იკრიბებოდნენ საღამოობით ჭოლასთან ან ემხვარებთან და როგორ სვამდნენ ერთად ჩაის... ეს ჩემი ბავშვური მოგონებების საუკეთესიო დღეებია. იმდენად დიდი სითბო მომდგამს იმ ოჯახებიდან, რომ მერე, სანამ არ დახოცეს ერთმანეთი, არც ვიცოდი რომ აფხაზები და ქართველები სხვადასხვანი იყვნენ. დიდი მადლობა და დიდი პატივისცემა ლადოს, ჭოლა ძიას შვილს, რომ მოიძია და შეძლო ამ ყველაფრის ორგანიზება და გაკეთება".



„ერთ დღესაც აიღო საქართველოს დროშა და სოხუმის ქუჩებში გამოვიდა, ამბობდა, მე საქართველოში ვარ... სოხუმი და თბილისი რამ გაყო, ორივე საქართველოაო"...

exclusive









„მომავალში ვაპირებთ გავაფართოვოთ მისი გამოფენა და პოპულარიზაცია გავუწიოთ ქართული კულტურის ერთ მხატვარ ჯარისკაცს, რომელიც ამ მიმართულებით ომობდა"

**ლადო კუკულაძე:** „აღტაცებული ვარ ამ გამოფენით. აქ ბევრი ისეთი ადამიანი მოგროვდა, რომელიც მას იცნობდა, არიან ისინიც, ვინც არ იცნობდა, მაგრამ დღეს გაიცნო ამ ხელოვნებით. აფხაზეთის კულტურის სამინისტრომ ძალიან დიდი მუშაობა გასწია, რომ წიგნი გამოეცა. ბევრმა შეგვიწყო ხელი, რომ ეჩვენებინათ აფხაზეთში მოღვაწე პიროვნების ხელოვნება და მისი ინტელექტი. მომავალში ვაპირებთ გავაფართოვოთ მისი გამოფენა და პოპულარიზაცია გავუწიოთ ქართული კულტურის ერთ მხატვარ ჯარისკაცს, რომელიც ამ მიმართულებით ომობდა. ეს ნახატები ყოველთვის მახსენებს ხოლმე ჩემს ბავშვობას, სოხუმს, სახელოსნოს, რომელშიც მეგობრებთან ერთად გავიზარდე, ჩემს სამეზობლოს, აქ მეზობლების ავტოპორტრეტიც არის"...

**ანდრო ფაჩულია:** „ომის შემდეგ არ ვყოფილვარ სოხუმში, ამიტომ ძალიან ემოციებში ვარ ახლა... 20 წლის უნახავი ხალხი ვნახე... ჭოლა ძიამ მისი სიკეთე ახლაც გამოავლინა და სხვადასხვა მხარეს მიმობნეულები ასე შეგვახვედრა ერთმანეთს... ჭოლა ძიასგან კაცობის, ადამიანობის, კეთილი საქმეების კეთების სწავლა შეიძლებოდა. მისი მეუღლე, ქალბატონი ნათელაც ძალიან კეთილშობილი ადამიანი გახლდათ. მახსოვს, როცა დედა ავად იყო, ნათელა დეიდა გზაზე დაგვხვდებოდა, სახლში შეგვიყვანდა, გაგვიმასპინძლდებოდა, მოგვივლიდა და მერე გაგვიშვებდა სახლში. იშვიათი ოჯახი იყო კუკულაძეების ოჯახი. ასევე იყო ემხვარების ოჯახიც. კოლია ძია, თათული დეიდა...

ჭოლა ძია ყველაზე დიდი პარტიზანული ბრიგადის ერთ-ერთი მებრძოლი იყო, ამიტომ მასთან ხშირად ჩამოდიოდნენ სოხუმში მებრძოლი მეგობრები. თუ სანატორიუმში ვერ მოეწყობოდნენ მასთან სახლში რჩებოდნენ. ხშირად მისი სტუმრები ჩემი სტუმრებიც გახდებოდნენ ხოლმე, ჩვენ ერთად ვუმასპინძლდებოდით მათ. ერთი ოჯახივით ვიყავით...

ერთხელ, ჭოლა ძიას სტუმრებმა ჩანთა დაკარგეს, რომელიც შემთხვევით მე ვიპოვე ქუჩაში. ჩანთაში ბელორუსიის პასპორტები, ფული - დაახლოებით 700 მანეთი და თვითმფრინავის 2 ბილეთი იყო. ბელორუსია როგორც კი ვნახე, იმ წამსვე გავიფიქრე, რომ ჭოლა ბიძიას სტუმრები იქნებოდნენ და ჩანთა ჭოლას მივუტანე, სტუმრები გაგიჟდნენ - ვინ არის ეს კაცი, ამდენი ფული იპოვა და სახლში მოგიტანაო.... ვერ იჯერებდნენ... ჭოლა ძიამ კი უთხრა - თქვენთან ერთად რომ ვიბრძოდი, ეს მთელმა სოხუმმა იცის და ჩემთან მოსული ბელორუსი მეგობარი ყველა სოხუმელის მეგობარიაო... ეს მართლაც ასე იყო... მიშა, შვილო, როგორი პატივი მეციო, მეტყოდა წლების მერეც... არ ავიწყდებოდა... ჩვეულებრივი ამბავი იყო, არადა, თვითონ ამით ძალიან ამაყობდა. სწორედ იმ დღეს მითხრა ჭოლა ძიამ უნდა დაგხატოო და დამხატა კიდეც"...



### ჭოლა კუკულაძის ნამუშევრების გამოფენა და ალბომის პრეზენტაცია

ჭოლა კუკულაძის ფერწერული ტილოები არაერთხელ გამოიფინა თბილისში, მოსკოვში, კიევში, მინსკში, სანკტ-პეტერბურგში, პრაღაში. მათი ნაწილი დაცულია მოსკოვის, მინსკის, სანკტ-პეტერბურგის, შვეიცარიისა და გერმანიის კერძო კოლექციებში. ამჟამად ორი ფერწერული ტილო ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის გალერეის ფერწერის ფონდში. სამწუხაროდ, ჭოლა კუკულაძის საკმაოდ მრავალფეროვანი შემოქმედების დიდი ნაწილი აფხაზეთის ომს ემსხვერპლა, გადარჩენილი ნამუშევრების უმეტესობა კი სოხუმშია. ჭოლა კუკულაძის ოჯახს ამ დიდი შემოქმედების მხოლოდ ერთი ნაწილი დარჩა მემკვიდრეობად. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ ახლახან გამოსცა ამ ნამუშევრების ალბომი, რომელსაც თანამედროვეთა მოგონებებიც ერთვის.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ელდრაინის“ პირველი CD ალბომი და კონცერტი მებრძოლებისთვის



**my View**
**დეა თავბერიძე**

**„ჯარისკაცებით გადავსებული უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი და „ელდრაინის“ კონცერტი, რომელსაც ასე ძალიან ელოდნენ ავღანეთში მებრძოლი ქართველები... კონცერტსა და დისკის პრეზენტაციაზე მოწვეულები იყვნენ მოქმედი სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის ავღანეთიდან დაბრუნებული ჯარისკაცები. როკ ჯგუფის გამოსვლით ისინი კმაყოფილები დარჩნენ. კონცერტის ბოლოს თითოეულს სახეზე ღიმილი დასთამაშებდა... კონცერტის დაწყებამდე კი დარბაზში გამოფენილ იმ ფოტოებს ათვალიერებდნენ, რომლებიც ფოტოგრაფს ავღანეთში გადაეღო. ჯარისკაცები ერთმანეთს ეკითხებოდნენ ფოტოში შენი თავი ხომ არ აღმოგიჩენიაო... კონცერტზე „ელდრაინის“ პირველი CD ალბომის პრეზენტაცია მოეწყო. ალბომი ანტიტერორისტული თემატიკისაა და Till The End („ბოლომდე“) ჰქვია... Till The End ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილე საქართველოს და ყველა სხვა ქვეყნის ჯარისკაცს ეძღვნება და მათ მხარდასაჭერად ხორციელდება. ეს ჯგუფ „ელდრაინისა“ და „ბრავო რექორდსის“ ერთობლივი პროექტია... სტუდიური ჩაწერა და დიზაინზე მუშაობაც „ბრავო რექორდს“-ში მიმდინარეობდა.**

ალბომში 12 ინგლისურენოვანი მუსიკალური ნაწარმოები შედის. ჯგუფის წევრები თავად არიან სიმღერების მუსიკისა და ტექსტის ავტორები. ალბომზე მუშაობის პერიოდში, ისინი მუდმივად ხვდებოდნენ ავღანეთის ომის ვეტერანებს და მათთან საუბრისა და კონსულტაციების შედეგად ქმნიდნენ რეპერტუარს თავიანთი პირველი ალბომისთვის.

**სოფო ტოროშელიძე:** „ტექსტებზე მუშაობა საკმაოდ სერიოზულად მოგვიხდა. შევხვდით ავღანეთში მებრძოლ ვეტერანებს, მოვისმინეთ რა გადაიტანეს და ეს ყველაფერი ტექსტებში ჩავდეთ. ძალიან იმოქმედა ჩემზე და ჯგუფის წევრებზე მათთან შეხვედრამ... „ჩვენ ვართ მუსიკოსები, ჩვენ შეიძლება იარაღის დაჭერა არ შეგვიძლია, მაგრამ შეგვიძლია მუსიკით გამოვხატოთ მათი მხარდაჭერა“.

**ზაზა შენგელია:** - ყველა მუსიკალური კომპოზიცია იქმნებოდა ნამდვილ ვეტერანებთან შეხვედრებისა და კონსულტაციების შემდეგ და ის ემოცია, ის მუხტი, რომელიც მათ მიიღეს, სწორედ ამ სიმღერებში აისახა... ეს უნიკალური პროექტია იმ თვალსაზრისით, რომ ჯერჯერობით ასეთი მიძღვნები იმ სამხედრო მოსამსახურეებისადმი, რომლებიც ავღანეთში მსახურობენ, არ განხორციელებულა, ეს არის პირველი... ასეთი პროექტის განხორციელება ჯგუფის წევრების იდეა იყო, „ბრავო რექორდსმა“ კი მხარდაჭერა აღმოუჩინა და მათთან ერთად განახორციელა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და არაკომერციული პროექტი. დისკები არ გაიყიდება.

შოუ ბიზნესი, მოგეხსენებათ, არ არის დღეს მომგებიანი ინდუსტრია საქართველოში, მაგრამ „ბრავო რექორდსი“ მაინც არ ჩერდება და ცდილობს მომგებიანი გახდეს. მაგრამ პარალელურად ასეთი სოციალური ხასიათის პროექტები სჭირდება ჩვენ ქვეყანას, რადგან რეალურად, ამ ბიჭებს გამხნევების გარდა ჩვენ სხვა არაფერი შეგვიძლია გავუკეთოთ... ყველაზე მეტად ამ ახალგაზრდებს სჭირდებათ გამხნევება.

**ვახტანგ კაპანაძე, გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე:** „ძალიან ლამაზი საღამო აჩუქეს მებრძოლებს ჩვენმა ახალგაზრდა მუსიკოსებმა. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ამ სახის გვერდში დგომა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ საერთო ხედვასა და გაგებას თუ რა არის ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ქვეყნის ინტერესები, რომლის დაცვაც შესაძლებელია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც... დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ნაბიჯისთვის რასაც ჩვენი მებრძოლებისთვის აკეთებენ, ჩემთვის უდიდესი პატივია აქ ყოფნა, მინდა მადლობა გადავუხადო იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც გულთან მიიტანეს ქართველი მებრძოლების ბედ-იღბალი, მათი მომავალი. ისინი არაფერს არ ითხოვენ, ისინი ითხოვენ მხოლოდ გვერდში დგომას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია ამისთვის“...

**ლევან ყიფიანი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი**: „მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს აქ ვარ. მე ვამაყობ იმ ბიჭებით, რომლებიც დარბაზში სხედან და რომლებიც ავღანეთში არიან ჩვენი შვილებისთვის. ეს არ არის ლიტონი სიტყვები. ისინი იქ, პირველ რიგში, თავისი ქვეყნისთვის არიან. ის ბიჭები კი, რომლებიც დაიღუპნენ, თავისი ქვეყნისთვის დაიღუპნენ... ჩვენ ცოტათი მაინც უნდა შევუმსუბუქოთ მათ ოჯახებს ეს უბედურება. ეს არ არის მარტო თავდაცვის საქმიანობა. ეს თითოეული ჩვენთაგანის ვალია. ეს ნიჭიერი ახალგაზრდებიც სცენაზე ამ ერთიანობის მაგალითია. ასე უნდა ვიყოთ ყველაგან და ყველაფერში, როგორც გასაჭირში ასევე სიხარულში და ამ ერთიანობით ჩვენ ნამდვილად დიდი მომავალი გვექნება... ქედს ვიხრი ყველა იმ მებრძოლის წინაშე, რომელიც თავისი ქვეყნის სადარაჯოზე დგას და მადლობა ყველას, ვინც დღევანდელი დღე გვაჩუქა“.

**ალექსანდრე მარგიშვილი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მოადგილე:** „კულტურის სამინისტრო ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ მისიას, რასაც ჩვენი სამხედროები ასრულებენ, იმედი მაქვს, რომ ყველანი ჯანმრთელები დაბრუნდებიან სამშობლოში. მე ვფიქრობ, თითოეული საქართველოს მოქალაქის ვალია, ის ძაფები, რაც ჩვენსა და ქართველ მებრძოლებს შორის არის, გავაძლიეროთ და გავამყაროთ. ასევე, ჩვენს მებრძოლებს ვაგრძნობინოთ ის, რომ ჩვენ გვესმის, ისინი ჩვენი შვილების მომავლისთვის იბრძვიან და ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენს შვილებს მშვიდად სძინავთ, სწორედ მათი დამსახურებაა“.

ახლო მომავალში ჯგუფის გასვლითი კონცერტი ავღანეთში იგეგმება, „ელდრაინი“ თავის პირველ ალბომს, საკონცერტო პრეზენტაციის სახით, ISAF-ის მისიაში მონაწილე საქართველოს და სხვა ქვეყნის ჯარისკაცების წინაშე წარადგენს. ჯგუფის ავღანეთში გამგზავრება თავდაცვის სამინისტროს მიერ იქნება უზრუნველყოფილი. ჯგუფის წევრები იქ მყოფ, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ჯარისკაცებს შეხვდებიან და მათ იმ კომპაქტდისკებს გადასცემენ, რომელიც მათ მიუძღვნეს...














© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალური დაპირისპი



**my View**
**დეა თავზერიძე**

**დაპირისპირება ქართულ კინოში, თანამდებობიდან მოხსნილი „ქართული ფილმის“ დირექტორი მერაბ თავაძე, ახალი კადრი გელა ენდრიუ სული, პასუხგაუცემელი კითხვები და ფაქტები, რაზეც სოსო ჯაჭვლიანს პასუხს სთხოვენ... ქართული ფილმის დრამატული ისტორია პირადი „შეხლა-შემოხლით“ გრძელდება. ერთმანეთს სოსო ჯაჭვლიანი და მაია არეშიძე დაუპირისპირდნენ... როგორც ქალბატონი მაია ამბობს, დეპუტატი, სკანდალური განცხადებისა და ცილისწამების გამო პასუხს სასამართლოში აგებს. დაპირისპირების გამწვავება „ქართული ფილმის“ ამბოხებული აქციონერების მოთხოვნას მოჰყვა, რომელიც მაია არეშიძემ რამდენიმე დღის წინ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გააჟღერა. აქციონერები აცხადებენ, რომ თაღლითურად მითვისებული საკუთარი წილის დაბრუნებისთვის ბოლომდე იბრძოლებენ. გაჩუმებას არც ენდრიუ სულის მიერ მოხსნილი მერაბ თავაძე აპირებს, არც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი შენგელაია, არც შპს „ქართული კინოს“ განვითარების ცენტრის ყოფილი დირექტორი მაია არეშიძე და არც თამაზ ორაშვილი და სხვა აქციონერები, ისინი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვენ...**

**მოთხოვნა ს.ს. „ქართული ფილმის თანამშრომლებ“-ის აქციონერთა სახელით**

1. დაუყოვნებლივ!!! ბატონმა მინისტრმა კვირიკაშვილმა გამოიჩინოს კეთილი ნება და წინა მთავრობის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოასწოროს. უზრუნველყოს 2 868 აქციონერის უკანონოდ წართმეული წილის დაბრუნება.

2. პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა უსუფაშვილმა, უზრუნველყოს ფრაქციის დეპუტატების, კერძოდ, ბატონ ჯაჭვლიანის ინფორმირება, რომ მას არ აქვს უფლება ჩაერიოს და მით უმეტეს ზეწოლა მოახდინოს მინისტრებზე, მათ მოადგილეებზე და ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე, მათ არჩევაზე და დირექტორების დანიშვნაზე.

3. სასწრაფოდ გადაიხედოს შპს „ქართული კინოს“ განვითარების ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საკითხი. კერძოდ, ვინ შეიყვანა შეცდომაში მინისტრი და მისი მოადგილე, რომ ამ შემადგენლობით ყოფილიყო დანიშნული სამეთვალყურეო საბჭო.

**მაია არეშიძე:** „მე დანიშნული ვიყავი ეკონომიკის მინისტრის მოადგილის დიმიტრი ქუმსიშვილის ბრძანებით, შესაბამისად, განთავისუფლებაც მის მიერ უნდა ყოფილიყო, მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარი ფორმით მოხდა, პირველ აპრილს ჯერ სამეთვალყურეო საბჭოს დანიშვნა, მერე კი ამ სხდომის ოქმის საფუძველზე დაუსაბუთებელი მიზეზით ჩემი გათავისუფლება. ამისთვის მათ არანაირი საბაბი და არანაირი საფუძველი არ ჰქონიათ. გათავისუფლების ოქმში უბრალოდ წერია ორი ფრაზა, გათავისუფლდეს მაია არეშიძე და დაინიშნოს გელა ენდრიუ სული. ამით შემოიფარგლა ჩემი გათავისუფლება. ბატონმა ენდრიუ სულმა როგორც კი „ქართული კინოს“ განვითარების ცენტრის დირექტორის სავარძელი დაიკავა და ამ ფაქტის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში მოახდინა, გადაწყვიტა სხვა ცვლილებებიც განეხორციელებინა“...

**მერაბ თავაძე:** „თვე-ნახევრის წინ დაარსებულმა სამეთვალყურეო საბჭომ, ქართული კინო ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მიუხედავად მსურველთა არაერთი განცხადებისა, სამეთვალყურეო საბჭო გარკვეული პიროვნებების მიერ კი არ აირჩა, არამედ ვიღაცების მიერ დაინიშნა... მათი მიზანი იყო სასწრაფოდ და აუცილებლად მოეხსნათ კინოს განვითარების ცენტრის დირექტორი მაია არეშიძე, შემდეგ კი სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ დირექტორი მერაბ თავაძე. ეს იმდენად სწრაფად და მიზანმიმართულად განახორციელეს, რომ გაოცებული ვარ“...

**მაია არეშიძე:** „ეს ყველაფერი შემდეგ გავიგეთ. ეს ფაქტი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში იქნა ნანახი... ბატონი გელა ენდრიუ სული ამერიკის მოქალაქეა, როგორც თავად აღნიშნავს მთავრობის მიერ არის მოწვეული. რატომ მიანიჭეს ამხელა უფლებები ამ ადამიანს? ვისი ინტერესი იყო ბატონი სულის 22-წლიანი პაუზის შემდეგ საქართველოში დაბრუნება? რა ნიშნით ჩამოიყვანეს და რატომ გადაწყვიტეს ამ უმუშევრობის პერიოდში საქართველოს ორი მოქალაქის გათავისუფლება და ამერიკის ერთი მოქალაქის დანიშვნა ორ სხვადასხვა თანამდებობაზე? ამის დაზუსტებას ჟურნალისტებს გთხოვთ... ასევე გთხოვთ, გაარკვიოთ ვისი ინიციატივით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო... როცა ეს იდეა ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოში გაჟღერდა, ბევრმა შეიტანა განცხადება, მაგრამ არცერთის კანდიდატურა არ განიხილეს. პასუხის ღირსადაც არ გახადეს ისინი, მათ შორის იყვნენ ქეთი დოლიძე, ზაზა კოლელიშვილი, ნათია გოგოჭური, გელა კანდელაკი, დათო ევგენიძე... კინოს სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები... როგორც თვითონ ამბობენ, მათ მიერ დასახელებული 9 რეჟისორი პატიოსნების ნიშნით შეირჩა. რა დაუწუნეს ქალბატონ ქეთი დოლიძეს პატიოსნების ნაწილში, ვერ ვხვდები“...

**მერაბ თავაძე:** „მთელი კომიქსი იმაშია, რომ მე პირადად, „ქართული კინოს“ დირექტორს არც შევხვედრივარ, არც ვიცნობ, არც არანაირი კავშირი არ მქონია, მის მიერ მიღებული ბრძანების საფუძველზე ის მე მხსნის თანამდებობიდან და თავის თავს ნიშნავს დირექტორის პოსტზე. როდესაც ეს იურისტებს ვაჩვენე მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. სახელმწიფო რეესტრმა ამ განცხადებით ის ვერ გაატარა რეესტრში და უთხრა, რომ ამის გაკეთება შეუძლებელია. მაგრამ ჩაერთო ეკონომიკის სამინისტრო და ქუმსიშვილმა განაცხადა, მე არა ვარ წინააღმდეგი, რომ მერაბ თავაძე მოიხსნას და ეს ადამიანი დაინიშნოს. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მისი რეგისტრაცია. დღევანდელ დღეს მე ვარ „ქართული კინოს“ თანამშრომლების დირექტორი. ეს ჩემი ოფიციალური სტატუსია“.

**მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე დიპირისპირების რეალური მიზეზი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და 22 წლის შემდეგ უცხოეთიდან დაბრუნებული გელა სულია ქართული კინოს დაჩაჩანაკების ისტორია ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში დაიწყო... მაშინ კინოსტუდია „ქართული ფილმი“ საქართველოს მასშტაბით უზარმაზარ ქონებას ფლობდა, მათ შორის მიწებს, სხვადასხვა ინფრასტრუქტურას და 3 600 კინოთეატრს... როცა საქართველო საბჭოთა კავშირს გაემიჯნა კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ სააქციო საზოგადოება ჩამოაყალიბა და აქციები თანამშრომლებს საჩუქრად გადასცა.**

**მაია არეშიძე:** „ასე გახდა 2 868 აქციონერი 1/3 წილის მფლობელი, ხოლო ამ ქონების 2/3 ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. ეს ორი უწყება ერთმანეთთან თანამშრომლობდა და გარკვეულ გადაწყვეტილებებს ერთობლივად იღებდა. წინა მთავრობის პირობებში კი მოხდა ამ 1/3 უკანონოდ და თაღლითური გზით წართმევა. ამაში ეკონომიკის სამინისტრო პირდაპირ იყო ჩარეული, მათი უშუალო გადაწყვეტილებით აქციონერებს ქონება წაართვეს“.

**გიორგი შენგელია:** „წინა ხელისუფლებამ წლების განმავლობაში სულ გაანიავა კინოსტუდიის ქონება. როდესაც ოქტომბერში „ოცნებამ“ გაიმარჯვა, მხოლოდ მაშინ შევძელით მიგვეღწია რაღაცისთვის. შეიცვალა თუ არა სიტუაცია, ჩვენ დავიწყეთ სამართლიანობის აღდგენა. ეკონომიკის სამინისტრო მთლიანად ნაციონალების ხელში იყო, სქემა ჰქონდათ ასეთი, ყველაფერი უნდა გაეყიდათ. მერე ის ფული მთავრობაში, სააკაშვილის საარჩევნო ღონისძიებზე მიდიოდა... მოკლედ, ძალიან აქტიურად დავიწყეთ მოქმედება მე, მერაბ თავაძემ, მაია არეშიძემ და კიდევ ჩვენმა სხვა თანამშრომლებმა. მოვიყვანეთ აუდიტი, რამაც ძალიან ააღელვა ჩვენი ერთი კოლეგა, მეთვალყურეობის საბჭოს თავმჯდომარე, ის, ვინც ჩემამდე იყო და რომლის გათავისუფლებაც ხალხმა მოითხოვა, ეს სოსო ჯაჭვლიანია. არაკომპენტენტური და ძალიან ცუდი წარსულის მქონე. ერთი პერიოდი მკლავჭიდელთა ფედერაციის თავმჯდომარე იყო, იქ ფულები გაფლანგა და მკლავჭიდელებს სადღაც გამგზავრებაც ჩაუშალა. ბოლოს სამსახურიდან გამოაგდეს. საიდან გამოჩნდა ჩვენთან ეს ჯაჭვლიანი არ ვიცი, არც ერთი წესიერი ფილმი არა აქვს გადაღებული. მერე პოლიტიკური აქტიურობაც დაიწყო და ახლა პარლამენტშია, ეს მდგომარეობაც გამოიყენა და დაიწყო ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. ყველაფერი იმისთვის იყო გამიზნული, რომ მაია არეშიძე და მერაბ თავაძე მოეხსნა. მერაბ თავაძემ, იმ მოკლე დროში, ბევრი რამ მოახერხა, ხოლო როცა ჯაჭვლიანი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობიდან მოხსნეს, ჩვენი აქციები მთლიანად აუქციონზე გაიყიდა, ეს ისე მოხდა, რომ ჩვენ, აქციონერებმა, არაფერი ვიცოდით... რაღაც 300 000 გამოგზავნეს აქ, კომპენსაციისთვის. მაგრამ ამ თანხაზე ხელის ხლება არ შეიძლებოდა. საწარმოო საშუალებები უნდა გვეყიდა, შენობები უნდა აგვეშენებინა. ჯაჭვლიანს კი ფულის მეტი არაფერი აინტერესებს. ბუღალტერი აბურჯანია მომიგზავნა, ბატონო გიორგი, მოდით ეს ფული ყველამ ერთად მოვიხმაროთო... მე უარი ვუთხარი და გავაგდე ის ჯიბგირი... აი, ასეთი პიროვნებაა ეს ჯაჭვლიანი და საზოგადოებამ უნდა იცოდეს ამის შესახებ“!

**მერაბ თავაძე:** „ჩვენ მიერ შემოყვანილმა აუდიტმა იმ ადამიანების აღშფოთება გამოიწვია, რომლებსაც რაღაცები მანამდე ცუდად ჰქონდათ გაკეთებული. მათ შორის სოსო ჯაჭვლიანისაც. აქ მაქვს სოსო ჯაჭვლიანის ხელშეკრულება, რომელიც მან ჩვენთვის უცნობ ადამიანს ჯოხაძეს დაუდო... პრაქტიკულად, ეს იყო ფინანსური გარიგება. რის საფუძველზეც აქციონერებისგან დაუკითხავად გასხვისდა აქციები. ფაქტის წინაშე დავდექით, როდესაც მათ ჩვენი წილი აუქციონზე გაიტანეს. 5 მლნ 500 000 ლარად შეფასებული ერთი მესამედი წილი 321 ათასად შეისყიდა ეკონომიკის სამინისტროში არსებულმა შპს-მ და ეს ქონება მთლიანად, საქართველოს მასშტაბით, ეკონომიკის სამინისტროს გადასცა. რომ ეკონომიკის სამინისტროს თამამად შეძლებოდა ყოველგვარი დაკითხვის გარეშე იმ ქონების გაყიდვა, რომელიც ქართულ ფილმს ეკუთვნოდა. ჯაჭვლიანმა ეს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო და ჩვენი თანამშრომლების ბედი სასწორზე დადო... აქციების გასხვისება მის ინტერესებში იყო... დღეს მე ვიბრძვი იმისთვის, რომ ეს 1/3 წილი, რომელიც უკანონოდ და უსინდისოდ არის გასხვისებული „ქართულ ფილმს“ დაუბრუნდეს“...

**მაია არეშიძე:** „ჩვენ აბსოლუტურ ინფორმაციას ვფლობთ იმის თაობაზე, რომ სოსო ჯაჭვლიანი ზემოქმედებას ახდენდა მინისტრის მოადგილე ქუმსიშვილზე, რომელმაც შექმნა სამეთვალყურეო საბჭო. ინფორმაციებიდან გამომდინარე, სოსო ჯაჭვლიანი ბატონი სულის ჩამოყვანასაც ლობირებს. ეს კი იყო მხოლოდ და მხოლოდ გამიზნული იქითკენ, რომ დეპუტატობის მანდატის ამოწურვის შემდეგ ბატონი სოსოს ინტერესები ყოფილიყო „ქართულ ფილმში“. ეს მან ჩემთან პირად საუბარში დააფიქსირა. რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ეს რეალობაა... როგორც კი გაჟღერდა, რომ „ქართულ ფილმში“ აუდიტია შესული კატასტროფული ტემპით დაიწყო გათავისუფლებების სერია... დადგა საკითხი აუდიტის ხელშეკრულების გადახედვის თაობაზე, აუდიტებს მოსთხოვეს ოთახის დაცლა და მათი დოკუმენტაციის გატანა დაკავებული ფართიდან. ბატონმა გელა ენდრიუ სულმა კი, არ ვიცი ვისი დავალებითა და ვისთან შეთანხმებით, საერთაშორისო აუდიტის შემოყვანა გადაწყვიტა. არავინ არ არის ამის წინააღმდეგი, მთავარია, მოხდეს შემოწმება, დადგინდეს სიმართლე და აღდგეს სამართლიანობა“.

მაია არეშიძესთან, გიორგი შენგელაიასთან და მერაბ თავაძესთან გასაუბრების შემდეგ „პრაიმტაიმი“ ამ ხმაურიანი საქმის მთავარ გმირს, გელა ენდრიუ სულს(სულიკაშვილი) დაუკავშირდა.

**- ბატონო გელა, ვინ მოგიწვიათ საქართველოში?**

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მომიწვიეს, საბჭოს 8 წევრმა, ბატონი გიორგი შენგელაიას გარდა. საბჭო კი საქართველოს მთავრობამ შექმნა. აბსოლუტურად ყველა მათგანი რეჟისორია და მე მესმის ქართული საზოგადოებისთვის ძალიან ცნობილი და საყვარელი სახეებიც, რამდენადაც ვიცი იყო სხვადასხვა კანდიდატურები, მე სკაიპით დამიკავშირდნენ, გავისაუბრეთ, რის შემდეგაც ჩამოვედი და შევხვდი რამდენიმე ადამიანს. ერთი კვირის შემდეგ კი საბჭო მთლიანი შემადგენლობით გამესაუბრა. დაახლოებით საათ-ნახევარი გაგრძელდა მათთან შეხვედრა. ისევ ვიმეორებ, მე აბსოლუტურად არავის არ ვიცნობდი და წარმოდგენაც კი არ მქონდა ეს ხალხი რა გადაწყვეტილებას მიიღებდა. მე მოვუყევი ვინა ვარ და დაახლოებით რისი გაკეთება შეიძლება ამ სიტუაციაში. მართალი გითხრათ გამიკვირდა კიდეც, როდესაც შეხვედრის დამთავრებისთანავე მითხრეს, მოგვეწონეო და თითქმის ადგილზევე შემომთავაზეს თანამდებობა, რომელზეც უკვე მეორე კვირაა ვარ.

**- როგორც ვიცი, მანამდე კინოცენტრის დირექტორობაზეც იყრიდით კენჭს...**

- საბჭოს წევრებმა მთხოვეს შეგიძლია შენი კანდიდატურა წამოაყენოო; ცოტა დრო მქონდა, ჩემი ხედვა ჩამოვაყალიბე და ფაქტობრივად ამ ხედვით გავაცანი თავი, მაგრამ ის, რომ მათ ქალბატონი ნანა ჯანელიძე აირჩიეს, ფანტასტიკური გადაწყვეტილებაა.

**- რამდენად გაქვთ ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება?**

- ფაქტობრივად, ბოლო 17 წელი ამ სფეროების გადაკვეთაში ვარ. მე არა ვარ რეჟისორი და რამდენადაც მესმის ჩემი ჩამოყვანის ერთ-ერთი კრიტერიუმი ის იყო, რომ მათ უნდოდათ მენეჯერი, ადამიანი, ვისაც შეეძლო ორგანიზება და საქმის გაძღოლა. საკმაოდ კარგი განათლება მაქვს ამ მხრივ მიღებული. სხვადასხვა უნივერსიტეტებში ვსწავლობდი. თბილისშიც, ამერიკაშიც... ბოლო 17 წელი ვმუშაობდი სარეკლამოსა და კინოს სფეროში. ძირითადად ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

**- თუ გაეცანით „ქართული ფილმის“ აქციონერების მოთხოვნებს?**

- რამდენადაც ვიცი, ეს საკითხი ერთი წლის წინ გადაწყდა. მთავრობის მხრიდან მოხდა 1/3 აქციების გამოსყიდვა.

**- თუმცა აქციონერები ამბობენ, რომ მათი აქციების მითვისება თაღლითურად მოხდა.**

- მე როგორ შემიძლია ამაზე კომენტარი გავაკეთო; ცხადია, ყველა ადამიანს აქვს გარკვეული დამოკიდებულება, სწორედ ესაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, თუ რატომ გადავწყვიტე იურიდიული აუდიტის ჩატარე-



„თუ აპირებს ჩივილს, მიჩივლოს. მართლა გულწრფელად ვამბობ, უნამუსო ადამიანი ვიყო მერაბი და მაია მართლა ცოლ-ქმარი მეგონა...“



გელა ენდრიუ სული



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...რება „ქართულ ფილმში“

## მაია არეშიძე: „ვინ ჩამოიყვანა ბატონი გელა ამერიკიდან საქართველოში და ვის მიერ მოხდა მისი დანიშვნა?! ამის დაზუსტებას ჟურნალისტებს ვთხოვთ“

ბა ამ ორგანიზაციაში, რაშიც მთავრობაც დავითანხმე. ეს აუდიტი აბსოლუტურად მთლიანად გამოიკვლევს იმ იურიდიულ და ფინანსურ დარღვევებს, რაც ამ ორგანიზაციაში ბოლო წლებში მოხდა და დადებს დასკვნას. ამ დასკვნას საზოგადოება აუცილებლად გაეცნობა. ჩემთვის სამართლებრივი მხარეა მთავარი.

**- ბატონო გელა,როგორც ვიცი აუდიტი იყო შემოყვანილი...**

- ის აუდიტი, რომელიც წინა ადმინისტრაციამ მოიწვია იმ ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო აუდიტის წარმომადგენლებს შევახვედრეთ, ვისთანაც მოლაპარაკება გვაქვს. ის ინფორმაცია, რომელიც მათ მოგვაწოდეს, დასკვნების დასადებად ჩვენ არ გამოგვადგებოდა და ამიტომ მოვითხოვეთ თავისი გაწეული სამუშაო დადონ, ჩვენი აუდიტი ამას გამოიყენებს თუ ამ ინფორმაციის გამოყენება შეიძლება.

**- მაია არეშიძისა და მერაბ თავაძის გათავისუფლებასთან დაკავშირებით რას იტყვით? როგორც ისინი აცხადებენ უსაფუძვლოდ და უკანონოდ დაატოვებინეს ის თანამდებობა, რომელზეც ახლა თქვენ ხართ.**

- ქალბატონი მაიას გათავისუფლება და ჩემი დანიშვნა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა. ეს ორი კვირის წინ, მაგრამ დაახლოებით 15 აპრილს მთლიანი საბჭო, რომელთაც როგორც ეკონომიკის ასევე კულტურის მინისტრის მოადგილე ახლდათ, მივიდა კინოსტუდიაში და ქალბატონ მაიას გამოუცხადა, რომ საბჭო ახალ კანდიდატს მოიყვანდა, ასე რომ, დაახლოებით 2 თვით ადრე იცოდა ქალბატონმა მაიამ, რომ ეს პროცესი ახლოვდებოდა. ეს შეგიძლიათ გადაამოწმოთ ნებისმიერ ინსტანციაში.

**- ბატონი მერაბ თავაძე აცხადებს, რომ ის თქვენ გაათავისუფლეთ და საკუთარი თავი თქვენივე ბრძანების საფუძველზე დაინიშნეთ ...**

- სანამ ამ გადაწყვეტილებამდე მივიდოდი შევეცადე ახლობლების საშუალებით დავკავშირებოდი მათ. სამწუხაროდ ბატონი მერაბი ვერ მოვიდა. მოვიდა მხოლოდ ქალბატონი მაია, რომელსაც ჩემი გეგმები გავაცანი და ვუთხარი, რომ მასთან არანაირი პერსონალური ცუდი დამოკიდებულება არ მაქვს, პირიქით, თქვენ საქმეში საკმაოდ გამოცდილი ხართ და თუ გავაგრძელებთ მუშაობას ნამდვილად იქნება თქვენი ადგილი ამ საქმეში-მეთქი. რაც შეეხება მერაბის ადგილზე ჩემს დანიშვნას, მე, როგორც მენეჯერმა, საჭიროდ ჩავთვალე, რეორგანიზაციისთვის გავმხვდარიყავი ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მე გადავამოწმე ორ იურიდიულ ფირმასთან, რომ არანაირ სამართლებრივ დარღვევას არ ჰქონოდა ადგილი, მხოლოდ მას შემდეგ გავათავისუფლე ბატონი მერაბი და დავინიშნე დირექტორად.

**- როგორც ამბობენ, ბატონი მერაბის დანიშვნის შემდეგ ბევრი კარგი რამ გაკეთდა „ქართულ ფილმში“, როგორც თქვით, ქალბატონი მაიაც თავისი საქმის კარგი მცოდნე და პროფესიონალია, რამდენად სამართლიანი და მართებულია ასეთი კადრების სამსახურიდან გაშვება?**

- ქალბატონ მაიას გაშვება, ისევ ვიმეორებ, საბჭოს გადაწყვეტილებით მოხდა. რაც შეეხება ამ მცირე დროში „ქართული ფილმში“ მათ მიერ გაწეულ სამსახურს, შემიძლია გითხრათ, სტუდია ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. ბალახი იყო გადავლილი... ასფალტი ამოყრილი... ამიტომ მე სრულიად ვადასტურებ იმას, რომ მათ ასფალტი მოასწორეს და განათებაც გამოასწორეს. ეს ორი რამ მათ ნამდვილად გააკეთეს, მაგრამ კინოსტუდია და კინოსტუდიის მართვა არ არის მარტო ასფალტის დაგება და სინათლის გაყვანა, ეს არის ძალიან რთული საქმე, რომელიც ფინანსური, მარკეტინგული და იურიდიული მხარეების ცოდნას მოითხოვს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმ ხალხმა, რომელმაც აქ მომიწვია, ჩათვალა, რომ ამისთვის მე ვიყავი კარგი კანდიდატი. თუ ბატონ მერაბს და ქალბატონ მაიას მომავალში კიდევ მოუნდებათ ამ საქმეში ჩართვა, ჩვენ მოხარულები ვიქნებით. ჩემი აზრით, ეს სფერო ძალიან მალე განვითარდება და ყველას მიეცემა შესაძლებლობა, რომ თავი გამოავლინოს... წლის ბოლომდე დავასრულებთ კინოსტუდიის რეორგანიზაციას. თვითონ ორგანიზაცია ფინანსურად და იურიდიულად იქნება გამართული, არ იქნება უაზრო გადახარჯვა. ასევე წლების განმავლობაში მიტოვებული აქტივებიდან რამდენიმეს გავააქტიურებთ. 2014 წლიდან მოგვეცემა საშუალება მივიღოთ სერიოზული ჯგუფები გადაღებისთვის. ჩვენ შევეცდებით რამდენიმე უცხოურ, ჰოლივუდისა და ბოლივუდის ამ ორ ძირითად ცენტრთან დავამყაროთ ურთიერთობა და არ გაგიკვირდეთ თუ კი რამდენიმე თვეში ჩვენ გამოვაცხადებთ საკმაოდ სერიოზული შეთანხმებების შესახებ.




**- როგორი ურთიერთობა გაქვთ ბატონ სოსო ჯაჭვლიანთან, ითქვა, რომ მისი გავლენით მოხდა თქვენი დანიშვნა.**

- ბატონ სოსო ჯაჭვლიანს სულ რამდენჯერმე შევხვდი, პირველად მაშინ, როცა ამერიკიდან ჩამოვედი და მეგობრის საშუალებით შემთხვევით გამაცნეს, მე რამდენადაც ვიცი, ბატონი სოსო პირდაპირ არ არის ჩართული ამ საქმეში, ის არის პარლამენტარი, რომელსაც უბრალოდ, კინოში მოღვაწეობის გამო, ეს სფერო ძალიან აინტერესებს.

**- ბატონო სოსო, მაია არეშიძემ შეიძლება სასამართლოში მოგთხოვოთ პასუხი თუ კი ბოდიშს არ მოიხდით. როგორც ქალბატონმა მაიამ განაცხადა, თქვენ მიერ გაკეთებული განცხადებით მას მერაბ თავაძის ცოლობას აბრალებთ, და ბოდიშისთვის ის სამი დღის ვადას გაძლევთ...**

- როგორ არის იცით? შვილი ჰყოლიათ საერთო, რასაც ჩვენთან, სვანეთში, ცოლქმრობას ეძახიან. აქ რას ეძახიან, არ ვიცი... მე ჩემს ცოლთან ხელი არ მაქვს მოწერილი და სამი ბიჭი მყავს, მაგრამ ჩემი ცოლია, ეს არის ჩემი პასუხი... თუ აპირებს ჩივილს, მიჩივლოს. მე ასე მეგონა, ასე მითხრეს შვილი ჰყავთო და რა ვიცი... მართლა გულწრფელად ვამბობ, უნამუსო ადამიანი ვიყო მერაბი და მაია მართლა ცოლ-ქმარი მეგონა...

**- აქციონერების აქციებთან დაკავშირებით ითქვა, რომ ბატონი სოსო ჯაჭვლიანის ჩარევის შედეგად მოხდა მათი გასხვისება და ჩვენ საქმის კურსში არ ვიყავით.**

- ეს აქციების გასხვისება ნაძირალა სააკაშვილის მთავრობის დროს მოხდა და სოსო როგორ გაასხვისებდა?! მალე საერთაშორისო აუდიტი აღწერს ყველაფერს და არავის დაინდობს, არც სოსო ჯაჭვლიანს, არც პეტრეს და არც რეზო ჩხეიძეს... შევიდნენ, აღწერონ ვინ რა გაასხვისა, ვინ რა მიითვისა, ვინ რა მოიპარა და მერე ვისაუბროთ. ჩვენ შეურაცხყოფა კი არ უნდა მივაყენოთ ერთმანეთს, კანონით უნდა ვილაპარაკოთ.

**- ასევე ქუმსიშვილთან დაკავშირებითაც მინდოდა მეკითხა, სოსო ჯაჭვლიანი ახდენდა ზემოქმედებას და ამის შედეგად მოხდა ჩვენი გათავისუფლება და ენდრიუს დანიშვნაო?**

- სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ 100%-ის მფლობელი სახელმწიფოა. იმას თავი გავანებოთ, რაც გასხვისდა, ამას სათანადო ორგანოები გაარკვევენ. იცით რატომ გასხვისდა? მიზეზად მოიტანეს, რომ 6 000 ვალი ჰქონდა სააქციო საზოგადოებას, ამ დროს სააქციო საზოგადოებას ყოველთვიურად ჰქონდა 70 000 შემოსავალი, მაგრამ სახელმწიფოზე გაასხვისეს. 5 მილიონიანი აქცია 300 000-ად გაასხვისეს. სახელმწიფომ იყიდა, რომ მერე კეზერაშვილებზე და „სასტავზე“ გაესხვისებინა. მაგრამ მოვიდა პირველი ოქტომბერი და ვერ მოასწრეს. და ნახეთ რა კარგი რამ მოხდა, 300 000 დარჩა აქ და სახელმწიფო 100 %-ის მფლობელი გახდა, მაგრამ თუ ვინმე დამნაშავეა ამაში, ის აუცილებლად უნდა დაისაჯოს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი 2007 წლიდან 2012 წლამდე, როცა დეპუტატი გავხდი, კანონი არ მაძლევდა ამის უფლებას, ჩავერიო სააქციოს საკითხებში. მერე სახელმწიფომ გადაწყვიტა 9-კაციანი ბორდი დაენიშნა. მათ შორისაა: ლევან კოლუაშვილი, გიორგი ოვაშვილი, ლევან თუთბერიძე, ზაზა ურუშაძე, ნანა ჯანელიძე, ბუბა ხოტივარი... უფროსი თაობიდან: საშა რეხვიაშვილი, გიორგი შენგელაია და დათო სიხარულიძე. გიორგი შენგელაია ამ ბორდიდან იმიტომ გამოვიდა, რომ თავმჯდომარედ არ აირჩიეს და დაიბოლმა. ჩვენ სკამები კი არ უნდა ვეძებოთ, უნდა ვეძებოთ საქმე... ამ ბორდმა ჩამოიყვანა გელო სულიკაშვილი, რომელზეც ამბობენ, რომ მე ვიცნობ და მე ჩამოვიყვანე, ახლა ხატთან ვდგავარ და ვამბობ, რომ ულირსი ადამიანი ვიყო, თუ კი მე ამ კაცს ვიცნობდი... ბუნებრივია გული უნდა შემტკიოდეს ქართულ ფილმზე, რადგან 16 წლისა მივედი კინოსტუდიაში. იქ გავიზარდე. როდესაც ბორდმა სული ჩამოყვანა, დამაინტერესა ვინ იყო... მთელი საბჭოთა სტუდიები უკვე გადავიდა დასავლურ ყაიდაზე, ერთი ჩვენ მივჩანჩალებთ ასე, ამიტომ გელა რომ ჩამოვიდა, ჩათვალეთ, რომ „ქართული ფილმი“ უკვე შევიდა ნატოში.



გიორგი შენგელაია

**თამაზ ორაშვილი, ერთ-ერთი აქციონერი:** „მეგონა სს „ქართული ფილმის“ მართვა სანდო ადამიანებს ჩავაბარეთ, ეჭვი არ გვეპარებოდა, ვფიქრობდით, დრო სჭირდებათ, რათა სრულყოფილად გაემართად და აემუშავებინათ სტუდია... დროდადრო მეგობრულად ვკითხულობდი მათ საქმიანობას, პასუხად სულ პრობლემებს ასახელებდნენ.... გადასახადებს ვერ აუდივართ, ვერა და ვერ გავიმართეთ წელში და ასე შემდეგ... ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ვაკვირდებოდი პატარ-პატარა სტუდიები როგორ ვითარდებოდნენ, „ქართულ ფილმთან“ შედარებით ძლიერდებოდნენ, სულ მიკვირდა, პატარა სტუდიებთან შედარებით ამხელა ისტორიის მქონე კინოსტუდია „ქართული ფილმი“ როგორ იჩაგრებოდა... მოკლედ, ჩვენი მმართველები კინოგადაღებების მომსახურეობის გარდა უძრავი ქონების გაქირავებით იყვნენ დაკავებულები, კარგი ხელფასები ჰქონდათ, დადიოდნენ მივლინებებში, ისხდნენ თბილ და გრილ კაბინეტებში და ასე ტკბილად ტვინგაუნძრევლად ცხოვრობდნენ... ერთხელაც, ფაქტის წინაშე დაგვაყენეს და გამოგვიცხადეს, რომ ჩვენი კუთვნილი წილის 1/3 მთავრობამ წაიღოო... ავფორიაქდით, გავგიჟდით, როგორ რანაირად, რას ჰქვია წაიღოო?... გვიპასუხეს, ჩვენც არ ვიცოდით ისე წაიღოო...

კინომსახიობთა თეატრში სასწრაფოდ მოვიწვიეთ კრება და ახსნა-განმარტება მოვთხოვეთ, გაირკვა, ვილაც (ჩემთვის ვილაცაა) ლევან ჯოხაძის გამო სასამართლომ დააკისრა სს „ქართულ ფილმს“4 800 დოლარის გადახდა... ეს ყველაფერი თავიდანვე დამალეს, არ გააგებინეს სამეთვალყურეო საბჭოს და არც 2 800 აქციონერს( დროზე რომ ეთქვათ, აქციონერები შევაგროვებდით და გადავიხდიდით ამ თანხას...). ერთი კვირის შემდეგ კინოს სახლში ისევ შევიკრიბეთ გაფართოებული შემადგენლობით...შეხვედრებზე კინოსაზოგადოებამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მერაბ თავაძეს და მოსთხოვა (ის უფრო დეტალურად იყო გარკვეული ამ საკითხებში), ეზრუნა, რათა აქციონერებს თაღლითური გზით წართმეული თავიანთი კუთვნილი 1/3 დაბრუნებოდათ. ეს ყველაფერი 1 ოქტომბრამდე წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა...

1 ოქტომრიდან მერაბ თავაძე ინიშნება სს „ქართული ფილმის“ დირექტორად, კრებს გუნდს (მათ შორის მეც, ოღონდ უხელფასოდ). ყველანი მოტივირებული იყვნენ იმით, რომ თავიანთი ენერგია კუთვნილი წილის 1/3 დაბრუნებასა და კინოსტუდიის განვითარებაზე მიემართათ... დავიწყეთ მუშაობა... მერაბის გუნდმა ყოველდღიური 15-18 საათიანი მუშაობით (იჩქარე ნელას პრინციპით) მივაღწიეთ შედეგს... მოწესრიგდა ტერიტორია, შევარემონტეთ და ასფალტით შევავსეთ წლების წინ დანგრეული სამანქნო გზა, გავანათეთ მთელი ტერიტორია... მოვიწვეთ აქციონერთა კრება, გავაცანით მოთხოვნები, კრების გადაწყვეტილებით ხელისუფლებას გავუგზავნეთ წერილი სამართლიანობის აღდგენასა და ჩვენი წილის 1/3 დაბრუნებასთან დაკავშირებით. მოკლედ, ეს ყველაფერი მერაბის დირექტორობის ორი თვის თავზე მოხდა... პარალელურად, ტექნიკური აღჭურვილობის შეძენისთვის მერაბი მოლაპარაკებებს მართავდა... გუნდმა გაიარა კონსულტაციები სხვადასხვა სექტორებთან, ჩამოვყალიბდით ტექნიკურ ნაწილში, დაიგეგმა პრიორიტეტები, ამის შემდეგ გაკეთდა ხარჯთაღრიცხვა, მოლაპარაკების შედეგად მისულები ვიყავით თანხის გამოყოფის გადაწყვეტილებამდე და ამ დროს თითქოს „შტეფსელიდან“ გამოგვთიშეს... მოხდა ის, რაც ახლა ხდება... მერაბს ჰქონდა ვალდებულებები, ერთი წამითაც არ გაჩერებულა, აგრძელებდა ვალდებულებების შესრულებას იქამდე, სანამ ახალმა დირექტორმა არ ჩამოაყალიბა პოლიციური რეჟიმი, შეაჩერა ყველა საქმიანობა და დაცვას დაავალა სამუშაო ოთახებში არ შევეშვით... ამის შემდეგ ჩავატარეთ პრესკონფერენცია, მივეცით ინტერვიუები, გავუგზავნეთ ხელისუფლებას მესიჯები...

**მე, თამაზ ორაშვილი, სს „ქართული ფილმის თანამშრომლების“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ვთხოვ ხელისუფლებას, გამოიჩინოს კეთილი ნება და წინა ხელისუფლების მიერ, თაღლითური გზით წართმეული ჩვენი წილის 1/3 დაგვიბრუნოს... ეს არის მარტივი გზა... სამართლებრივად კი უეჭველი მოვიგებთ (იმიტომ, რომ მართლები ვართ), მაგრამ დაგვეკარგება წლები... „ქართულ ფილმს“ კი განვითარება სჭირდება...**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N27 (225), ორშაბათი 8 ივლისი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge



გოჩა ქურდაძე - არქიტექტორი დიდი ბექგრაუნდით

exclusive



გიორგი ქრისტესაშვილისა და ქეთი დაუშვილის სამსახურებრივი რომანის თერთმეტთვიანი ისტორია

exclusive





მაია არეშიძე სოსო ჯაჭვლიანს სასამართლოში უჩივლებს

exclusive



exclusive

# „ელდრაინის“ პირველი CD ალბომი და კონცერტი მებრძოლებისთვის

ზაზა შენგელია: „ასეთი პროექტის განხორციელება ჯგუფის წევრების იდეა იყო, „ბრავო რექორდსმა“ კი მხარდაჭერა აღმოუჩინა და მათთან ერთად განახორციელა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და არაკომერციული პროექტი. კომპაქტდისკები არ გაიყიდება“...



# დიდი მხატვარი, რომელსაც უბრალოდ „ძია ჭოლას“ ეძახდნენ

exclusive



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება